



ლიცეიურაფერულ –
სამოგადოებრივი ქურნალი

№ 5 // 2020

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

პასუხისმგებელი რედაქტორი
თამარ გელითაშვილი

რედაქტორ-სტილისტი
ქათევან მერკვილაძე

კომპიუტერული გრაფიკა
და დიზაინი
ქეთი გომართელი

სარედაქციო კოლეგია

ანდრო ბედუპაშვილი
თავმჯდომარე

რონ აზუსელიძე
გიორგი ალიაგაშვილი
ივანე ამირხანაშვილი
გალათერ არაგული
პარლო გარდაველიძე
ლაშა ბაძრაძე
ნარა ბეგივი
გიორგი ბერულავა
ლევან ბრეგაძე
გენრი ღოლიძე
გურამ ღოჩანაშვილი
ზეიად კვარაცხელია
გაგა ნახუცრიშვილი
გიორგი სოსიაშვილი
მაია ტურაბელიძე

ქურნალი გამოისახა
საჭართველოს განათლების,
მეცნიერების, კულტურისა და სპორტის
სამინისტროს მხარდაჭერით

რედაქციასთან დასაკავშირებლად
მოგვწერეთ შემდეგ ელექტრონულ
მისამართზე
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>



სარჩევი

პოეზია			
გურანდა ბერია	3	ბელი ქართლისა	
თამარ მამისეიშვილი	7	ვახტანგ გურული რუსეთი მოდიოდა თუ ერეკლეს მოჰყავდა?! (ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისთავისადმი)	67
პროზა			
აკაკი დაუშვილი	11		
ციკლიდან – დიდებისთვის წასაკითხი ზღაპრები			
ილია ჭანტურია	22	ახალი თარგმანები	
„აი, რა მზის სიზმარია“		კურტ ვონეგუტი მის ცდუნება	83
პრიბიჩა-ესეისტია		ინგლისურიდან თარგმნა ქეთევან გახოკიამ	
ნინო დარბაისელი-სტრონი	29		
ვინ უპასუხა ირაკლის?! (ვასილ გულეურის ლექსზე) „არ ამოხვიდე, ბალახო!“ (ვახტანგ ჯავახაძის ლექსზე)			
ლალი გულისაშვილი	37	ჯოვანი პასკოლი გაბრიელე დ'ანნუნციო	92
ინტერვიუ, რომელიც არ შემდგარა		ლექსები იტალიურიდან თარგმნა ნიკოლოზ შამუგიამ	94
ლიტერატურის ისტორია			
ლუიჯი მაგაროტო	46	პრიბიჩა	
ქართული ავანგარდის		მანანა პაიჭაძე	
ისტორია და თეორია		გოეთეს „ვერთერი“ და მისი კინოადაპტაცია	96
(1915-1924) - ნაწილი II			
იტალიურიდან თარგმნა მაია ჯავახიძემ			

გარეანზე: ვახტანგ ბარდაველიძე -
„წოდომობრები“

ავტორთა საყურადლებოდ!

რედაქტირაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ;
გთხოვთ, მასალების ელვერსია გადმოგზავნოთ ვორდის ფაილით;
უურნალის ყოველი ნომრის ელვერსია მომდევნო ნომრის გამოსვლისთანავე
განთავსდება ჩვენს ფეისბუქერდზე: <https://www.facebook.com/ciskari1852>

გურანდა ბერია



●
შენ არასდროს მოგისმენია საოპერო ნაწარმოები
სამტონიანი თაღის ქვეშ,
არასდროს გამცდარხარ ოქროსფერ უდაბნოსა და წითელ
ზღვას,

შენ არ იცი, როგორია თოვლის სიფაფუკე,
ხოლო, როდესაც შენს ქალაქში წვიმს, ისე საშინლად
ცივა,

რომ სახლში იკეტები
და მზის გამოჩენას ელოდები.
შენი ცხოვრება და შენი ქვეყანა
იმდენად განსხვავდება ჩემგან
და მაინც,

ეს ძლიერი ხელები
და ეს თვალები, რომელთა სიღრმეში ქვების
ბრწყინვალება ჩანს,
მაიძულებს, ჩემი სპარსული სახელი ხელისგულზე
დაგინერო.

თრთიან შენი თითები,
მე კი ვამბობ, რომ ძლიერ ხელებს
თრთოლვა არ უხდებათ
და კალამს ჩანთაში ვიდებ
(მწერლები მუდამ ჩანთით ატარებენ კალამს).

რა უცნაურია, შენ ისევ ვერ წარმოთქვამ მას ზუსტად,
მე კი შენს სახელს მანამ ვიმეორებდი, სანამ ჩემსას
გაიგებდი.

აპმედ, აპმედ!..
ტყის შრიალს ჰეგავს შენი სახლი ჩემთვის,
ხოლო ჩემი შენდამი ლტოლვა –
არაბეთის მწველი ქარების სიცხოველეს.

ყოველთვის, როდესაც სევდა შემიპყრობს,
შენ გგონია, რომ ჩემი სამშობლო მენატრება
მე კი შენთან განშორებას განვიცდი
და მაინც გიყვები,
როგორი ლამაზია ჩემი ქვეყანა
და რომ ყოველი ლამის ნიავს მისი სურნელი მოაქვს
და გკოცნი,
გკოცნი თვალებში,
რომლებიდანაც გამოსჭვივის ღრმა სევდით გამოწვეულ
უსაზღვრო მგრძნობელობა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩანთის ამოლაგებისას, შენი
ნერილი ვიპოვე:
„შენი სახელი ნაპირთან ტალღების ხმაურს ჰგავს,
ხოლო ჩემი გულისცემა უშენოდ უდაბნოს მთელ
სიბრყეზე განფენილი მარტოობის სულის ოხვრას“.



ხშირად ბედისწერას იმ გზაზე შეხვდებით,
რომელსაც მისგან გასაქცევად დავადგებით.
აქამდე არ მეგონა,
რომ არსებობდა საბედისწერო ქალი,
საბედისწერო შეხვედრა
ანდაც საბედისწერო კოცნა,
მაგრამ ერთხელაც ასე ხდება –
შეხვდები, აკოცებ, შეგიყვარდება
და იტანჯები.



მე გიყვებოდი ისტორიას,
ხან დიდებულ მეომრებზე,
ხანაც პატარა ბიჭზე,
რომელიც ტყეში პეპლებს იჭერდა
და მდინარეში კენჭებს აცურებდა.
ახლაღა ვხდები,
შენი გრძელნამნამებიანი თვალები ორი პეპელაა,
რომელთა ფრთების ფახურში
ის პატარა მდინარე სტიქსად იქცა.
მოდის ქარონი და მდინარეში ლოდებს ისვრის.
მოდის ქარონი უნიჩო ნავით
და ქირქილებს, როგორც ქიმერა.
მტანჯავს შენი სიყვარული და ისე



ამ დრომდე მხოლოდ წარმოდგენა შემეძლო,
რას ვიგრძნობდი შენი თვალების კვლავ დანახვისას.
ახლა კი, როდესაც შენი თითები ისე მეხება,

თითქოს, როგორც ჩემი სინდისი –
მეშინია!

მე ხომ პოეტი ვარ,
ჭეშმარიტი სულის პოეტი,
ანუ მშიშარა,
ანუ მერყევი
და უსუსური.

შენამდე მხოლოდ ცეცხლს ვუყურებდი
და მუგუზლად ქალის სხეული მეჩვენებოდა.
გხედავ,
გხედავ, უფსკრულის თავზე ბოშა ქალივით რომ ცეკვავ.
თვალებით ნუ ზომავ მის სილრმეს,
ვგრძნობ, რომ დამიტევს.
ვგრძნობ, რომ მშთანთქავს...
და ვიღუპები.
შენ სიყვარულივით ლამაზი ხარ,
ოლონდ უფრო ძლიერი.

ტვირთის სიმძიმე

თავიდან კარგი იყო შენი გზებით სიარული,
ჩემთვის უცხო და თანაბარი ნაბიჯებით,
მაგრამ, როდესაც დავინახე,
რომ გზა არასოდეს აგრევია
და, რომ
არცერთხელ არ ჩამორჩენილხარ ჩემს ფიქრებს, –
შევკრთი.


სხვა ქალებისთვის რომ მომეყოლა ისტორია,
თუ როგორ შემიყვარდა პირველად გოგო
მზეზე მბრწყინავი მისი საოცარი თმის გამო,
იტყოდნენ,
რომ არის ამაში
რაღაც პოეტური და,
შესაბამისად,
რომანტიკულიც.
შენ კი ასეთ დროს ყოველთვის დუმდი
და უფერულ ხის ნაჭერს ემსგავსებოდა შენი თვალები.



თითქოს ქვესკნელის დიდ კარებთან დგას შენი გუშაგი –
ნეთი
და მელოდება.
„ხემდუ, ხემდუ!“ – ამშვიდებ მას.
მე კი კვლავ მეჩვენება,
რომ შენი სიცოცხლე

სწორედ ჩემი სიკვდილის გულშია.
უნდა წავიდე!

შენი ფიქრები ჩემს ნაბიჯებს უსწორებს.
უნდა წავიდე!
მიწისმოქმედზე გაცვლილ მწყემს დუმუზივით თავს სანამ
ვიგრძნობ,
უნდა წავიდე!
შენ ხარ ყველა ჩემი საბედისწერო ქალი!
უნდა წავიდე!
შენ ხარ ყველა ჩემი საბედისწერო ქალი!
უნდა წავიდე!



თამარ გამისეიშვილი



ვაზები

დამით უეცრად გალვიძებულ, მთრთოლვარე ვაზებს,
ბოლო დროს ხშირად რომ ვამჩნევდი შიშს და ფორიაქს,
გამანდეს, თურმე, ბურანში მყოფთ ნამგალა მთვარე,
ჯალალედინის ხმლის ელვა და რისხვა ჰგონიათ.

ჩიტები

თავს დასტრიალებს დედა ჩიტი დანგრეულ ბუდეს,
ვერც წასვლას ბედავს დაბნეული და ვერც დარჩენას,
მარტის წვიმებით გალუმპული, შემინებული,
სწყევლის უგულო და ბოროტი კაცის გაჩენას.
კორდზე მამალი ბეღურა ზის ფრთებჩამოყრილი,
ციცქნა ჭანგებით ეჭიდება ძელქვის ლეროებს,
სასაცილოა, კაცი, ჩიტს რომ ბუდე წაართვა,
სვამს სიკეთის და სიყვარულის სადღეგრძელოებს.

ბალახი

შეგიმჩნევიათ სულ პანია, ციცქნა ბალახი? –
ზოგჯერ უცნაურ შფოთვითა და ხანაც გულმშვიდად,
ჩვილი ბავშვივით თვალს უსწორებს მზეს და სინათლეს
და შეუპოვრად მოიწევა მინის პეშვიდან.
ხან მოცელილი, ჩამოშლილი მტვრად და ნამცეცად,
სიცოცხლის უინით იბადება ისევ თავიდან,
ხშირად უხეში, ტლანქი ძალით მინას გაკრული
და გათელილი ისევ დგება ნატერფალიდან.
უხმოდ მოცოცავს წვიმებისგან ტანდაცვარული

და არ აშინებს გაკერპებულს ბედთან ჭიდილი,
ამ ბალახივით ამტანი და გასაოცარი,
მარგუნე, ღმერთო, სიცოცხლე და მერე სიკვდილი.

შემომცეკეროდა ჩემი ბავშვობა

ჩემს აივნიდან ვხედავდი გუშინ,
ლურჯად შეღებილ ჭიშკრის კარებთან,
მეზობლის ბიჭი, შურდულით ხელში,
ჩიტებს მთელი დღე უთვალთვალებდა.
მე გამახსენდა ბავშვობის სახლი,
ცაცხვის ტოტებში ბუდე ჩიტების,
იმოსებოდნენ მწვანედ რტოები,
ქარში სკდებოდნენ ატმის კვირტები.
არც კი გასულან ის წლები თითქოს,
თვალწინ დამიდგა მთელი სიცხადით,
მზის მოელვარე ათინათები,
როგორ მოჰქონდათ ჩიტებს ნისკარტით.
ეყარათ მხრებზე ყვავილის მტვერი,
ფრთებს შერჩენოდათ ღრუბლების ფთილა
და სტვენა-სტვენით ოქროსფერ სხივებს,
ცაცხვის ტოტებში აწნავდნენ ფრთხილად.
გუშინ მთელი დღე ვმალავდი ტკივილს,
მარტი სველ ფოთლებს ქარში აშრობდა
და მკვდარი ჩიტის ჩამქრალ თვალთაგან,
შემომცეკეროდა ჩემი ბავშვობა.

იმ სიყვარულის გასაცოცხლებლად

მზემ დაიმუხლა ქართლის მინდვრებზე,
არაგვის პირას ყვავილს რა დალევს,
ამ მღელვარებას გრძნობებს კი არა,
აპრილის მოსვლას გადავაბრალებ.
ჩიტს უცნაური ამბავი მოაქვს,
ველებზე ლურჯად ჰყვავის ღიღილო
და რაც ჩემს თვალებს გადაავინყდათ,
გულს კვლავ სწყურია ისევ იხილოს.
თავბრუს დამახვევს აპრილის სუნთქვა,
გეძახი, გეძებ ქცეულს ოცნებად,
მკვდრეთით აღმდგარი, ყივჩალის მსგავსად,
იმ სიყვარულის გასაცოცხლებლად.

ჭალრები

გადაჩვეულნი ქარებთან ქროლვას
და ავსებულნი ეჭვით, დარდებით,

ამ ძველ ქუჩაზე ჩემი სახლის წინ
განდეგილივით დგანან ჭადრები.
მომსწრე მრავალი ღალატის, ფიცის
და შეჩვეულნი სხვათა ვაებას,
ვეღარ მიმხვდარან მათ სიახლოვეს,
რატომ არავინ ნიშნავს პაემანს.
მაინც ელიან მოსვლას აპრილის,
თავს იმშვიდებენ ძველი ზმანებით,
ჩემი სახლის წინ ჭადრები დგანან –
ყავლგადასული ღამაზმანები.



და სიყვარულის დავეძებ წამალს

მთებში ინთება რიჟრაჟის სხივი,
გვირილა მზისფერს ისწორებს დალალს,
მინდიასავით დავდივარ მინდვრად
და სიყვარულის დავეძებ წამალს.
დროდადრო მსტუმრობს არხოტის მთვარე
და ჩემს ჭერხოში ღამეებს ათევს,
ვერ მიედრება აპრილის ზეცა,
შენი თვალების სიღრმეს და წათელს.
მთას თეთრ კალთაზე აშრება ნისლი,

ცივია მიწა და სველი ჯერაც,
რა სინანულით გარიდებ თვალებს
და მაინც შენკენ გამირბის მზერა.
დილიდან ანცობს ხევებში ქარი,
გვირილას მზისფერს უწენავს დალალს,
მინდიასავით დავდივარ მინდვრად
და სიყვარულის დავეძებ წამალს.

თეთრო გვირილებო

თეთრო გვირილებო, მზისაფერნო,
ქარშიც რომ კეკლუცობთ დალალთ რხევით,
ახლა თქვენს კალთებთან დავჯდები და
რამე იმ ქალაზე მომიყევით.
ვიცი, ეგ ზღაპარი სიყვარულზე,
ნალვლიანია და ძველისძველი,
მაინც მოგისმენდით, სანამ მოვა
მთვარე, ლამეების მასპინძელი.
მეტყვის ამ მთისას და იმ ბარისას,
წავალთ ხეობებში, დიდხანს ვივლით,
მერე იმ ქალაზე მომიყევით,
ვიდრე ამ ბნელ ლამეს გადავივლით.

ძახილი მთების

უკანასკნელი მიიწურა ლამე აპრილის,
მივდივარ ქალავ, ვეღარ შევძლებ ბარში დარჩენას,
ჩემს ჭერხოს კედლებს ემატება ბზარები, ალბათ,
აწვიმს კოშკებს და ქავის კარზე ქისტის მარჯვენას.
მანდ, ალბათ, ქარმა, შარიანმა, გულცივმა მწყემსმა,
ხევს გადმორეკა ბატკნებივით თეთრი ლრუბლები,
ეს მერამდენედ მსაყვედურობს შორიდან დედა,
რომ მიმიჩვია ქალაქმა და აღარ ვბრუნდები.
ალბათ, სწორფერსაც დავავიწყდი ცხრანაწნავიანს,
დავეხეტები ეულად და ჯავრით ვიშლები,
ვინ იცის, ახლა ჩემს ჭერხოში, როგორც დევები,
სხედან და ზეცას უმღერიან მთვრალი შინშები.
დაღლილ კაცივით დაიჩოქებს არხოტის მთვარე,
დარაჯობს ბნელში წინაპართა მდუმარ საძვალეს,
კვლავ ყურს უგდებენ ხეობები არღუნის ლრიალს
და ქარაფებში შფოთიანი ქარი ხარხარებს.
დავდივარ, ისევ გულს მიღადრავს ძახილი მთების
და ვიცი, ისევ ვეღარ შევძლებ ბარში დარჩენას,
ჩემს ჭერხოს კედლებს ემატება ბზარები, ალბათ,
აწვიმს კოშკებს და ქავის კარზე ქისტის მარჯვენას.

პაკი დაუშვილი



დიდებისთვის წასაპითხი ზღაპრები

გულთან სატარებელი მიწის ამბავი

ეს ამბავი ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა, იმდენად დიდი ხნის წინათ, რომ დედამიწის ზურგზე აღარავის ახსოვს. იკითხავთ, შენ როგორლა გაიგეო? ეს ყველაფერი ერთმა მუჭა მიწამ მიამბო. მიწას თუ გულისყურით მოუსმენ, უამრავ რამეს შეიტყობ.

მე კი, რაც ჩემმა მშობლიურმა მიწამ მიამბო, იმას მოგიყვებით:

ქალდელთა ქვეყანაში, რომელსაც მუდამ ჭკვიანი და ხალხზე მზრუნველი მეფეები განაგებდნენ, მოსახლეობა ბედნიერად ცხოვრობდა. ქვეყნის უმთავრესი სიმდიდრე ნაყოფიერი მიწა იყო. რა არ ხარობდა ამ მიწაზე, შრომაც არავის ეზარებოდა. უცხოტომელები შურით შესცემოდნენ, ბევრჯერ მიწის მიტაცებაც განიზრახეს, მაგრამ სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული მამული მშვილებელი დიდი რუდუნებით მოტანილ-შენარჩუნებულ მიწას არავის უთმობდნენ. ბევრმა ძვირფასეულობითაც

მოიწადინა მიწის ხელში ჩაგდება, მაგრამ მარჩენალი მიწა გასაყიდად არავის ემეტებოდა.

ბედის ჩარხი უკულმა მაშინ დატრიალდა, როდესაც მეფედ გაუმაძლარი და ხარბი მეფისწული აკურთხეს. ბაქბარ მეხუთეს ერთადერთი მიზანი ჰქონდა – სასახლის განძსაცავების სწრაფად შევსება. ქალდელთა ქვეყანაში ხომ ყველაზე ძვირფასი მიწა იყო და ბაქბარ მეხუთემაც სწორედ მიწის გაყიდვას მიჰყო ხელი. ეს ამბავი უცხო ქვეყნებში სწრაფად გავრცელდა და ქალდელთა სამეფოსაკენ ქარავანთა უწყვეტი ჯაჭვი გაიბა. ძვირფასეულობით დატვირთული ხარშებმული ურმები, აქლემები, ცხენები და სახედრები მეფის სასახლეში იცლებოდა და მერე დიდი ტომრები მიწით იტვირთებოდა.

სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცები მექარავნეებს თავს ესხმოდნენ და მიწას უკან იბრუნებდნენ. მაშინ ხელმწიფემ

მექარავნეების დასაცავად უცხოტომელთა მრავალრიცხოვანი და საუკეთესოდ შეიარაღებული ჯარი იქირავა. ბაქარ მეხუთე სამშობლოს ერთგულ ვაჟკაცებს ატყვევებდა და ოჯახებთან ერთად ქვეყნიდან აძევებდა, მათ კი სახსოვრად ერთი მუჭა მინა მიჰეონდათ, რომელსაც ტყავის ქისებში ყრიდნენ და გულზე თასმით იკიდებდნენ.

გადიოდა წლები. ბაქარ მეხუთემ მარნები და თავლებიც განძსაცავებად აქცია. მეფის სასახლე ძვირფასეულობით ივსებოდა, ქალდელთა ქვეყანა კი მიწისგან იცლებოდა, ხრიოკდებოდა და უდაბურდებოდა. ბაქარ მეხუთის მემკვიდრეც მეფესავით ხარბი გამოდგა, ისიც მშობლის დაწყებულ საქმეს განაგრძობდა.

სხვადასხვა ქვეყანაში დასახლებული ქალდელები დაულალავად შრომობდნენ და მშობლიური მიწით სავსე ქისას არც დღე და არც დამე გულიდან არ იშორებდნენ. მიწა იმედსა და ძალას მატებდათ.

როდესაც მთელი სამეფო ქვიშით დაიფარა, ქარავნების ჯაჭვიც გაწყდა. ციხე-ქალაქის მიღმა არათუ ხეს, ბუჩქსაც კი ველარსად მოჰკრავდი თვალს. ციხე-ქალაქში ცხოვრება ჩაკვდა, მხოლოდ მეფის სასახლეში ღრეულიდნენ და ხალისობდნენ.

გაძევებულებს სიბერემ უწიათ. მომაკვდავები მიწას შვილებსა და შვილიშვილებს გადასცემდნენ. ისედაც ერთი ბენო მიწას შუაზე ყოფდნენ და ბავშვებს დაბადებისთანავე აგრძნობინებდნენ მშობლიური მიწის სითბოს.

ბაქარ მექექსის გარდაცვალების შემდეგ სამეფო ტახტი ბაქარ მეშვიდემ ჩაიბარა, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ძვირფასეულობა საკმაოდ შემცირებულიყო, თუმცა მაინც დაუფიქრებლად ანიავებდა მიწის გაყიდვით დაგროვებულ ქონებას. ბოლოს უთვალავი ძვირფასეულობიდან აღარაფერი დარჩა. ბაქარ მეშვიდემ გადანახული ოქროს სამკაულები ბოხჩაში გამოკრა და სასახლე მცირე ამალით დატოვა, ქვიშის უდაბნოში გემივით ამომართულ ციხე-ქალაქს კი ქვეწარმავლები და მტაცებელი ფრინველები დაეპატრონენ.

მთელ მსოფლიოს მოედო ერთ დროს

უმდიდრესი ქვეყნის იავარქმნის ამბავი. გაძევებულებმა და მათმა შთამომავლებმა უკან დაბრუნება და სამშობლოს აღორძინება გადაწყვიტეს.

მამულიშვილთა პირველი გემი მალევე მიადგა ქვიშიან სანაპიროს. „ესეც თქვენი სამშობლო!“ – მიმართა უცხოტომელმა კაპიტანმა და სანაპიროზე გადასულ, ქვიშის უდაბნოში ჩაკარგულ ხალხს აღტაცებული მზერა გააყოლა.

ასიოდე კაცი მზის გულზე მიაბიჯებდა. უცებ ქვეყნის უმთავრეს ციხე-ქალაქს მოჰკრეს თვალი. ახალგაზრდებმა ყიუინა დასცეს. ციხე-ქალაქის ქონგურებიდან ფრინველები აიშალნენ. ვაჟკაცებმა ქისები ჩამოიხსნეს და უდაბნოს ნალვლიანად გახედეს: რა უნდა დაეკლო ერთ პეშვ მიწას ზღვასავით ქვიშისთვის? მაგრამ, ჰო საკვირველებავ! – მიწა ქვიშას შეეხო თუ არა, უზარმაზარი ფართობი ნაყოფიერი მიწით დაიფარა.

დაუჯერებელია, მაგრამ ასე იცის სიყვარულის და ერთგულების დაფასება მრავალი წლის მანძილზე გულთან ნატარებმა და გულით გამთბარმა მშობლიურმა მიწამ.

უსამართლოდ გაძევებული ადამიანები სამშობლოს ვეება ტალღებივით მოაწყდნენ – ყოველ მათგანს ტყავის ქისით ერთი სულის შებერვა მიწა მოჰქონდა.

თავს აღარ შეგაწყვენთ და მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ქალდელთა ქვეყანა ისევ აყვავდა და ხალხმა კვლავ ბედნიერად ინყო ცხოვრება. ბაქარ მეშვიდემ აღორძინებულ ქვეყანაში დაბრუნება მოიწადინა, მაგრამ საზღვრამდეც კი არ მოუშესე.

თუ არ დაიზარებთ, მიწას ხელისგულებში სიყვარულით მოიქცევთ, სათქმელს მშობლიურ ენაზე ეტყვით და გულისყურით მოუსმენთ, აუცილებლად აღაპარაკდება, ოდნავ გასაგონად, სევდიანად და იმედიანად აღაპარაკდება.

სამართლიანი მეფეს ამბავი

ეს ამბავი ერთ აყვავებულ სამეფოში მოხდა. ქვეყნის ხელმწიფემ – დადუნ ॥-მ

შეუზღუდავ ხელისუფლებაზე უარი განაცხადა და დარბაზის არჩევა ბრძანა. დარბაზი მთავრობას ამტკიცებდა, კანონმდებლობაში ცვლილებები შეჰქონდა, სამეურნეო-საფინანსო სფეროს განაგებდა და მნიშვნელოვან საქმეებს წყვეტდა. დარბაზის წევრები ამომრჩეველთა კეთილდღეობისათვის იღვნოდნენ და სახელმწიფოში ყველაზე პატივსაცემ, დაფასებულ ადამიანებად მიაჩნდათ, თუმცა, დადუნ ॥-ის წინადადებით, სამართლის წიგნში შეტანილი ასეთი წესი მოქმედებდა – თუკი დარბაზის წევრი ხალხისათვის მიცემულ დაპირებას ვერ შეასრულებდა, სამეფოს დედაქალაქის მთავარ მოედანზე საჯაროდ, გახურებული შანთით შუბლზე ცრუპენტელას დამლას ასვამდნენ.

დარბაზის ორმოცდახუთ წევრს მოსახლეობა ქვეყნის სამთავროებსა და უმნიშვნელოვანებს ქალაქებში ირჩევდა, ხოლო ხუთს დიდებულთა წრიდან მეფე ნიშნავდა. პასუხისმგებლობის გრძნობა რომ არ მოსადუნებოდათ, დაპირებებს დიდებულებიც დებდნენ. დარბაზის საარჩევნო ვადის ამონურვისთანავე, მეფის სათათბირო გულდასმით სწავლობდა, შეასრულეს თუ არა დარბაზის წევრებმა დაპირებები. უნდა ითქვას, რომ შუბლზე ცრუპენტელას დამლის დასმა იშვიათობა იყო.

დადუნ ॥-ის ადმინისტრაციული რეფორმის შემდევ საუკუნეზე მეტი გავიდა და ამ ხნის მანძილზე ქვეყანა კიდევ უფრო გაძლიერდა.

სადარბაზოს მორიგი არჩევნები მოახლოვდა და მეფე დადუნ IX-მ სათათბიროსთან ერთად დარბაზის წევრთა ექვსი წლის ნამოლვანარი შეაჯამა. აღმოჩნდა, დანაპირები მეფის მიერ დანიშნულმა დიდებულმა ვერ შეასრულა, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა.

დედაქალაქის მთავარი მოედანი ხალხით გადაიჭედა.

მეფის გამოჩენას შეკრებილები ტაშითა და შეძახილებით შეხვდნენ. ხალხს ქვეყნის ძლიერებასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე დაუცხრომლად მებრძოლი მეფე ძალიან უყვარდა.

მეფე-დედოფალმა რამდენიმე საფეხური აიარეს და საგანგებოდ მოწყობილ აივანზე დასხდნენ.

ამაღლებულ ფიცარნაგზე სადარბაზოში მეფის მიერ დანიშნული დიდებული ავიდა, რომელმაც თავი ჯერ მეფე-დედოფალს დაუკრა, მერე შეკრებილ ხალხს და შეუსრულებელი დაპირების გამო ბოდიში მოიხადა.

სადამსჯელო ცერემონიას ამირსპასალარი ხელმძღვანელობდა. ამ საქმისთვის მომზადებულ მეფის მცველს ხელში გახურებული შანთი ეკავა. ფიცარნაგზე კიდევ ორი მცველი იდგა. გახურებული რეინის შეხება აუტანელ ფიზიკურ ტკივილს იწვევდა, ზოგი ამას ვერ უძლებდა და ფიცარნაგიდან გარბოდა. ასეთ დროს საქმეში მცველები ერეოდნენ და გაქცეულს ბორკილებს ადებდნენ, ფიცარნაგზე ძალით მობრუნებულს კი ხალხი გამაყრუებელი სტვენით ხვდებოდა.

მოულოდნელად მეფე ფეხზე წამოდგა, საფეხურებზე სწრაფად დაეშვა და ამაღლებულ ფიცარნაგზე ავიდა. ფიცარნაგზე მეფის გამოჩენას არავინ ელოდა და სიჩუმე ჩამოწვა.

– დიდებულის შერჩევისას შევცდი და შეუსრულებელი დაპირების გამო მე უნდა დავისაჯო, – თქვა მეფემ. დიდებულს ფიცარნაგიდან ჩასვლა უბრძანა და ამირსპასალარსა და დაბწეულ მცველს მკაცრად გახედა.

გაოგნებულმა მცველმა, რომელსაც ხელები უცახცახებდა ამირსპასალარს შეხედა. ამირსპასალარმა მეფის უტეხი ხასიათი ძალიან კარგად იცოდა, იგი შანთიან მცველთან მივიდა, ხელი უბიძგა და უთხრა:

– გიბრძანებ, შენი საქმე შეასრულე! მეფემ ტკივილს წარბშეუხრელად გაუძლო – სამარისებურ სიჩუმეში ერთხელაც არ დაუკვნესია.

– შერცხვენილი მეფე სახელმწიფოს ველარ გაუძლვება. ხვალ ტახტის მემკვიდრეს დავასახელებ, – თქვა მეფემ, დედოფლის ფიცარნაგზე ჩამოსვლას დაელოდა და სასახლისაკენ ფეხით გაემართა.

ტაშის ხმამ იქაურობა გააყრუა. ბევრს თვალზე ცრემლი მოადგა, ზოგი ხმამალ-ლა ატირდა. უცეპ, მეფე-დედოფლის ფერ-ხთით ყვავილებმა იწყო ცვენა – ცრუპენ-ტელას დამღადასმულ მეფეს ხალხი გმი-რად აცილებდა.

დადუნ IX-ის პოლიტიკურმა შორსმჭვრე-ტელობამ, სახელმწიფოებრივმა სიბრძნემ და პირადი მაგალითის ძალამ დადებითი შედეგი გამოიღო და ამ ამბის შემდეგ საარჩევნო დაპირების შეუსრულებლობის გამო აღარა-ვინ დასჯილა.

უნამუსო კაცის ამბავი

ერთ სამეფოში, ერთ მდიდარ ვაჭარს უნამუსოდ ცხოვრება მოპეზრდა, რადგან ყველა უნამუსოს ეძახდა და გადაწყვიტა, ნამუსი ეყიდა, მაგრამ ვაჭრობაში განა-ფულმა სიფრთხილე გამოიჩინა: – მოდი, ჯერ ერთი თვით ვიქირავებ, იქნებ, არც ისეთი კარგია ნამუსიანად ცხოვრება, ალ-ბათ, დიდი ფული ეღირება, სანანებლად არ მექცესო? და ერთ ხანშიშესულ, ნამუსით განთქმულ კაცს მიადგა.

– შენი ნამუსი მომაქირავე. ერთხანს ასე ვიცხოვრებ და, თუ მომენტია, კარგ ფასად ვიყიდი, ქირად კი ამ ბეჭედს მოგცემ, – უთხრა ვაჭარმა და სახელდახელოდ შედ-გენილი თამასუქის ერთი პირი და ოქროს ბეჭედი გაუწოდა.

ნამუსიანმა კაცმა ოქროს ბეჭედი და თამასუქი ლიმილით ჩამოართვა, სახლში შევიდა და თავდაცობილი ჭინჭილა გამო-იტანა:

– აპა, წაიღე! ჭინჭილაშია ჩემი ნამუსი. თვალისჩინივით გაუფრთხილდი, არ დაკარ-გო და სიბერე არ გამიმნარო – უნამუსოდ ცხოვრებას ვერ შევეგუები.

ვაჭარმა ჭინჭილა ჩამოართვა, აქლემე-ბის ქარავანი ნაირ-ნაირი საქონლით დატ-ვირთა და სავაჭროდ სამეფოს სამხრეთის პროვინციებისაკენ გაემგზავრა. მეორე დღეს ქარავანი პატარა ქალაქს მიადგა. იქაურ მჭედელს ავადმყოფი ცოლის სამ-კურნალოდ ერთი თვის წინ ვაჭარმა ფული

ასესხა, მაგრამ ქალს ვერაფერი ეშველა და გარდაიცვალა. ნათესავებმა, მეგობრებმა და მეზობლებმა მჭედელს ფული შეუგრო-ვეს და მევახშეს გასესხებული თანხა უკან დაუბრუნეს.

– სარგებელი სადლაა, – იკითხა ვაჭარ-მა.

– სანამ დედაქალაქში დაბრუნდები, სარგებელსაც გადაგიხდი, – თხოვნით უთ-ხრა მჭედელმა.

– ფული სარგებლის გამო გასესხე, – ვაჭარმა ხელში ფურცელი ააფრიალა. – ამ თამასუქში ჩვენი შეთანხმების ყველა პი-რობაა ჩამოთვლილი. გადამიხადე, თორემ სასამართლოში გიჩივლებ.

– რა უნამუსო ყოფილხარ! – აღშფო-თება ვერ დამალა ხნიერმა კაცმა, – უარს ხომ არ გეუბნება, ცოლს დაკრძალავს და სარგებელსაც გაგისტუმრებს.

– რაო, უნამუსონ?! – შეცბა ვაჭარი და სასამართლოსკენ გაემართა.

ახლობლებმა მჭედელი განსაცდელში არ მიატოვეს, სარგებელის თანხა სასწრა-ფოდ შეუგროვეს და ვაჭარს სასამართლოს კიბეზე დააწიეს.

„ისევ უნამუსოს მეძახიან, ნამუსია-ნი კაცის ნამუსმაც ვერ გაჭრა. ჭინჭილას საცობს ავხდი და ნამუსს თვალებში ჩავ-ხედავ“, – გაიფიქრა ვაჭარმა და ხელი აქ-ლემზე გადაკიდებულ ხურჯინში ჩაყო, მაგ-რამ ჭინჭილას ვერ მიაგნო. გულგახეთქილი ვაჭარი აქლემიდან ჩამოქვეითდა, ხურჯინი ჩამოხსნა და მინაზე წამოაპირევავა, მაგ-რამ ჭინჭილა სადლაც გამქრალიყო.

„ჭინჭილა რა სადარდებელია, ვინ იცის, დაკარგულ ნამუსს ნამუსიანი კაცი რა ფასს დაადებს“, – ვაჭარმა ქარავანი სასწრაფოდ დედაქალაქისაკენ დაძრა, ერთი დღის სავა-ლი რამდენიმე საათში დაფარა, პირდაპირ ნამუსიანი კაცის სახლს მიადგა და სადარ-ბაზოდან გამოსულს აღელვებით უთხრა:

– შენი ნამუსი დავკარგე, ჭინჭილაც... რამდენი გადაგიხადო?

– ნამუსს ვერც იყიდი და ვერც იქირა-ვებ, ნამუსს არც ფერი აქვს და არც წონა, ვერც თვალით დაინახავ და ვერც ხელით

შეიგრძნობ, ნამუსიანი კაცის სახელის მო-
საპოვებლად პატიოსნად უნდა იცხოვრო, –
უთხრა ნამუსიანმა კაცმა.

– თუ არც ჩანს და არც წონა არა აქვს,
როგორ გავიგო ნამუსი მაქვს თუ არა?

– ნამუსი აუცილებლად შეგანუხებს
და სულს აგიფორიაქებს, საშუალებას არ
მოგცემს, მხოლოდ პირად კეთილდღეო-
ბაზე იფიქრო და ფულს საქვეყნო საქმე-
ებში დაგახარჯინებს, გაჭირვებულისთვის
უანგარო დახმარებას გაიძულებს. რა თქმა
უნდა, ჭინჭილა ცარიელი იყო, ვერც ჭკუა
ისწავლე.

– ნამუსი საჩემო საქმე არ ყოფილა, –
გადაჭრით თქვა ვაჭარმა.

ნამუსიანმა კაცმა თამასუქი დახია, თი-
თიდან ბეჭედი მოიხსნა და უნამუსო კაცს
გაუწოდა.

ვაჭარმა ბეჭედი ხარბად ჩაბლუჯა: –
ღმერთმა ამრავლოს ნამუსიანი კაცებიო,
– გაიფიქრა, გახარებული აქლემზე შეჯ-
და და იქაურობას სასწრაფოდ გაეცალა.
აქლემების ქარავანი სამეფოს ჩრდილოეთ
პროვინციებისკენ მიმავალ შარაგზას და-
ადგა. ვაჭარმა ოქროს ბეჭედი საჩვენებელ
თითზე წამოიცვა, მზის სხივებზე აბრჭყვი-
ალებულ ბრილიანტს აღტაცებით გახედა
და ჰილიზონტზე გამქრალი ქარავანივით
სამუდამოდ დაივინყა ნამუსიან ცხოვრება-
ზე ფიქრი.

საშობაო ამბავი

ზამთრის ულონო მზე ჩავიდა და ყინ-
ვამ კიდევ უფრო მოუჭირა. პატარა ქალა-
ქის დათოვლილ ქუჩაზე ძველ, გაქუცულ
ქურთუკში გახვეული კაცი მიაბიჯებდა
და ფანტელები გახურებულ სახეზე აღნე-
ბოდა. ქრისტეშობის ღამე იდგა. სანთლის
დასანთებად კაცი დანგრეულ ეკლესისკენ
ამავალ აღმართს აუყვა. ქალაქის ცენტრში
ხალხი ახალაშენებულ ტაძარში იკრიბე-
ბოდა, მაგრამ კაცს გულმა ძველი, მიტო-
ვებული ეკლესისკენ გაუწია. უცებ თოვა
შეწყდა, ღრუბლები გადაიყარა და მთვა-
რის შუქზე ბორცვზე წამომართული ტაძა-

რი გამოჩნდა. კაცმა ნახევრად დანგრეუ-
ლი გუმბათის გარშემო მანათობელი სფე-
როები შენიშნა. მერე ქურთუკის ჯიბიდან
სანთელი ამოიღო, ასანთის ღერი გაჰერა,
სანთელს მოუკიდა, ეკლესის კედელზე მი-
ამაგრა, პირველი გადაიწერა და კვლავ
მანათობელ სფეროებს ახედა. სფეროები
ძირს დაეშვნენ და კაცის წინ სამ ფრთიან
არსებად გარდაისახნენ.

– ვინ ხართ! – გაოცდა კაცი.

– ღვთის ანგელოზები, – უპასუხა ულა-
მაზესმა მწვანეთვალება ანგელოზმა, –
ჩვენ ქრისტეშობის ღამეს დედამიწაზე ჩა-
მოვდივართ. გადავწყვიტეთ, ვინც დანგრე-
ულ, მიტოვებულ ეკლესიასთან სანთელს
დაანთებდა, ნებისმიერი ერთი სურვილი
აგვესრულებინა.

– ნებისმიერ სურვილს ამისრულებთ? –
დაეჭვებით იკითხა კაცმა.

– ნებისმიერს, – ღიმილით დაეთანხმა
ქრისტონი ანგელოზი, რომელსაც მთვა-
რის შუქზე მბზინვარე გრძელი კულულე-
ბი მხრებზე შემოდგომის შეყვითლებული
ფოთლებივით ეყარა.

კაცს სიხარულისგან სახე გაუნათდა და
დაუფიქრებლად წამოიძახა:

– გარდაცვლილი დედა დამიბრუნეთ!

– დედას ვერ დაგიბრუნებთ, ეგ ღვ-
თის საქმეა, – იუარა ოქროსფერფრთიან-
მა ანგელოზმა, – შეგვიძლია ახალი სახლი
დაგიდგათ, ზარდახშა ძვირფასეულობით
აგივსოთ...

– ცოტა ხნით მაინც შემახვედრეთ დე-
დას!

– ადრე თუ გვიან იმ ქვეყნად ყველანი
წახვალთ და დედას მაშინ შეხვდები. ისეთი
რამ ინატრე, შენს გაჭირვებულ ოჯახს შვე-
ბას რომ მოუტანს, – დაარიგა მწვანეთვა-
ლება ანგელოზმა.

– დედას შემახვედრეთ, თუნდ ერთი წუ-
თით, პატიება უნდა ვთხოვო!

– პატიება?! – შესძახა ოქროსფერ-
ფრთიანმა ანგელოზმა.

– დედას, რომელიც საკუთარ სიცოცხლეს
ჩემთვის უყოყმანოდ გაიღებდა, სიყვარული
და სითბო დავაკელი, მის გადასარჩენად თავი

არ გავწირე. პატიება თუ არ ვთხოვე, მთელი ცხოვრება დავიტანჯები.

— ნება შენია! — ერთხმად თქვეს ლვთის ანგელოზებმა.

ირგვლივ ყველაფერი სქელმა ნისლმა შთანთქა, მერე კი ნელ-ნელა იწყო გაფანტვა. კაცმა აჩქარებით მომვალ დედას მოჰკრა თვალი, მისკენ სირბილით გაექანა და გადაეხვია.

— დედა, ძალიან მომენატრე, — კაცს აღელვებისგან გული გამალებით უცემდა.

— ვიცი, რისთვისაც მოხვედი, — ქალმა შვილს თვალებში ალერსით ჩახედა.

— მაპატიე! — კაცმა დედას აკანკალებული ხელი ჭალარა თმაზე გადაუსვა. — მაპატიე, გთხოვ.

— ცხოვრებაში არაფერი გიწყენინებია. ახლაც სიმდიდრეს ჩემთან შეხვედრა ამჯობინე, შენით ყველანი ვამაყობთ, — ქალმა მარცხნივ გაიხედა. ნისლში ახალგაზრდულ ასაკში გარდაცვლილი მამა და უახლოესი ადამიანები ილანდებოდნენ. კაცმა მათკენ წასვლა სცადა, მაგრამ დედამ ხელით შეაჩერა. — სულ რამდენიმე წამილა დაგვრჩა!

— დედა, ყველა ტკივილი დამიამდა, შენთან დავრჩები, — კაცმა თავი დედის მკერდში ჩარგო.

— ჩვენზე ნუ იდარდებ, აქ ძალიან კარგად ვართ. შინ დაბრუნდი, ცოლ-შვილს მოუარე! როდესაც ღმერთი ინებებს, სამუდამოდ ჩვენთან დარჩები.

დედის მხურვალე ცრემლები კაცს ყელში სასიამოვნოდ ელვრებოდა. იგრძნო, დედა სწრაფად ილეოდა, სუსტ მხრებზე ხელები მთელი ძალით შემოაჭდო და როდესაც აცახცახებული თითებით საკუთარ ქურთუქს ჩაებლაუჭა, მიხვდა, დედა გამქრალიყო.

ნისლი გაიფანტა და კვლავ ეკლესია და ნახევრად ანგრეული გუმბათი გამოჩნდა. კაცმა ანგელოზები ვეღარსად დაინახა და შინისკენ გაემართა. სახლში კი ცოლი და ოთხი შვილი ელოდა. ძნელია შობის ლამეს ოჯახში ხელცარიელი შესვლა და ერთი წამით, მხოლოდ ერთი წამით გაიფიქრა: „იქნებ, ჯობდა ანგელოზებისთვის დამეჯერებინა და

ოქროს მონეტებით სავსე ქისა მენატრა“. კაცმა ძველი ქურთუკი გაიხადა თუ არა, ტანზე რაღაცამ ცივად დასუსხა, თითქოს მაისურმი მინის წვრილი ნამსხვრევები ჩაუყარესო. შეწუხებული საწოლ ოთახში გავიდა და მაისურის გახდისთანავე სხვადასხვა ზომისა და ფერის ბრილიანტები იატაკზე მიმოიფანტა.

— დედის ცრემლები! — შეჰყვირა გაოგნებულმა კაცმა და სარკმელს გახედა, საიდანაც მწვანეთვალება ლვთის ანგელოზი ღიმილით იმზირებოდა. კაცი სარკმლისკენ წავიდა, მაგრამ ანგელოზი ადგილს მოსწყდა და უსასრულობაში ვარსკვლავად აიჭრა. ცა კვლავ ღრუბლებმა დაფარა, ქარმაც წამოუბერა და ორგვლივ მსხვილი ფანტელები აფარფატდნენ.

კაცს ალილოს გალობა შემოესმა და მისი სახლისკენ მოძრავი ხუთი ჩირალდანი დაინახა. მერე იატაკზე დაიხარა, ხუთი ყველაზე მსხვილი ბრილიანტი ამოარჩია და მგალობელი ბავშვების შესაგებებლად ცოლ-შვილთან ერთად აივანზე გავიდა. გალობა სულ უფრო და ურო ძლიერდებოდა და ზამთრის სუსხსა და მოწყენილობას ფანტავდა.

ქრისტეშობის ღამე თენდებოდა.

ცოლვილი კაცის ამბავი

საოპერაციო ოთახში ჭერთან მოლივლივე ცოდვილი კაცი საკუთარ თავს მშვიდად დასცეკეროდა, აწრიალებული ექიმები კი მის გადარჩენას ცდილობდნენ. მერე ბეტონის ჭერში კაცი უმტკივნეულოდ განქარდა და უსასრულობისკენ მსუბუქად აცურდა. ენით აუწერელმა სილამაზემ ცოდვილს სივრცის შეგრძნება დაუკარგა და გონს უჩვეულო ადგილას მოეგო: ირგვლივ ყველაფერი თითქოს შუშისა იყო — კედლებიც, იატაკიც და ჭერიც. შუშა კი სქელი, თეთრი ქაფით დაეფარათ. უცებ მხარზე ხელის შეხება იგრძნო და შეტრიალდა. თეთრი ტილოსგან შეკერილ სადა, გრძელსახელოებიან სამოსში გამოწყობილი მამაკაცი სანდომიანი სახით შეჰყურებდა.

- სად ვარ? – შიშით იკითხა ცოდვილმა.
- ალბათ, ხვდები, ცოცხალი აღარ ხარ.
- ვითომ? შენც გხედავ. შუშის კედლებ-საც ვხედავ.
- სული უკვდავია.
- სული? ახლა მხოლოდ სული ვარ?
- ეს ადგილი გამყოფია სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის. მე ცოდვა-მადლის ამ-ნონავი ვარ.

- ცოდვების ამწონავი?
- კი, ცოდვებს ვწონი. – ტილოს სამოსი-ანი მოპირდაპირე მხარეს გაემართა.

ცოდვილმა ნაბიჯი გაუტედავად გადად-გა. შუშის იატაკი მყარი გამოდგა. ამწონი მოწყობილობიდან ამოშვერილ დრეკად ნა-ხევარკალზე სკამი ეკიდა.

– სკამში ჩაჯექი და შენი მომავალიც გა-ირკვევა, – თქვა ცოდვების ამწონავმა.

– ან სამოთხე, ან ჯოჯოხეთი?.. – ძლივს ამოღერლა ცოდვილმა.

– თითოეული ადამიანი კეთილი თუ ბო-როტი საქმეებით განისჯება. ყოველ ჩადე-ნილ ცოდვას შესაბამისი წონა აქვს. წესი ყველასთვის ერთია: ას გრამამდე ცოდვა გეპატიება და სკამით სამოთხეში ახვალ, ხოლო თუკი წონა ას გრამზე მეტია ჯოჯო-ხეთში ჩაეშვები. – ამწონავმა მზერა კუთ-ხისკენ გააპარა.

ცოდვილმა მზერას თვალი გააყოლა და ნაანახმა შეზარა. რქიან არსებებს ქაფიანი მინიდან თავები ამოეყოთ და ხარბად შეჰ-ყურებდნენ. კაცი სასწორისკენ ნირნამხდა-რი წალასლასდა, სკამში ჩაეშვა და ცხოვ-რებაში ჩადენილმა უამრავმა ცოდვამ კი-ნოკადრებივით ჩაუქროლა.

– კილო და სამასი გრამი. დედამიწაზე ბოროტების მეტი არაფერი გიყეთებია?! – ამწონავის კითხვამ ცოდვილი შეაკრთო.

– ახლა სულიერადაც მოვკვდი, არა?! – ცოდვილმა რქიან არსებებს ზიზლით გახე-და.

– მფარველ ანგელოზს დაელოდე.

ცოდვილი სკამიდან წამოდგა. მალე მფარველი ანგელოზიც მოფრინდა.

– ცოდვებისგან რატომ არ მიხსენი? – უსაყვედურა კაცმა.

– როდესაც სული ეშმაკს მიჰყიდე და ღმერთს ზურგი აქციე, შენს გადარჩენას ვცდილობდი, მაგრამ ჩემს მინიშნებებს ყუ-რადლებას არ აქცევდი, თუმცა ღმერთი სულგრძელია და ცოდვილთ სამოთხეში მოხვედრის შესაძლებლობას მუდამ უტო-ვებს.

– რა შესაძლებლობას? – შეჰყვირა კაც-მა.

– კვლავ სკამში ჩაჯექი და შენ მიერ გა-კეთებული სიკეთები გაიხსენე. თითოეულ კეთილ საქმეზე ცოდვების წონა მოიკლებს და იქნებ, როგორმე ას გრამამდე ჩამოხ-ვიდე, – ცოდვილს მოეჩვენა, რომ ამ სიტ-ყვების წარმოთქმისას მფარველ ანგელოზს დამცინავად ჩაელიმა. – გახსოვდეს, უმნიშ-ვნელო სიკეთეც კი ჩაგეთვლება.

ცოდვილი სკამში გუნებაწამხდარი ჩაჯ-და. უფრო სიჭაბუკის წლებს უკირკიტა და ერთი-ორი სიკეთისმაგვარი რაღაც გაიხ-სენა, მერე შიშით სასწორისკენ გააპარა მზერა. სასწორი კილო-ორას ოთხმოცდაათ გრამს აჩვენებდა.

რატომლაც დიდი ხნის წინანდელი ამბა-ვი გაახსენდა. ათი წლისა იყო, როდესაც თავისზე სამი წლით პატარა ბიჭს თვალში მუშტი ჩაარტყა და სათამაშო მანქანა წა-ართვა. ტირილზე თავს უფროსები წამო-ადგნენ. მიხვდა, მანქანას პატარა ბიჭს და-უბრუნებდნენ და სათამაშოს ფეხები გამე-ტებით დაუშინა, ნამსხვრევებად აქცია. დე-დამ ყველაფერი შეიტყო და უსაყვედურა:

– ბიჭისთვის გული არ უნდა გეტკინა!

– ნატკენი თვალი მალე მოურჩება, – უკმეხად მიუგო დედას.

– თვალზე კი არა, ნატკენ გულზე გე-უბნები.

ცოდვილს დედის ნათქვამი არასოდეს გახსენებია. ადამიანების გულის ტკენას არაფრად აგდებდა – უამრავ ადამიანს და-უნგრია ცხოვრება, უამრავს სატანჯველად უქცია. პატარა ბიჭის გულისტკევილი ათა-სობით გაუტედურებული ადამიანის გუ-ლისცემას უერთდებოდა და უეცრად ცოდ-ვილს ცრემლი წასკდა, ნატკენი გულების ბაგაბუგი კი სულ უფრო და უფრო ძლიერ-

დებოდა და შუბლში უროსავით ურტყამდა.

— უფალო, შემიწყალე! — იღრიალა კაც-მა და ხელისგულები საფეხქლებზე იტაცა.

უცეპ სკამი მაღლა აქანდა. გაოგნებულ-მა ცოდვილმა მფარველ ანგელოზს გახედა.

— ღმერთმა შენი გულწრფელი სინა-ნული დაინახა და ცოდვები მოგიტევა! — უთხრა ანგელოზმა და ფრთები მძლავრად დაიქნია.

ცოდვებშენდობილმა კაცმა მფარველ ანგელოზს მზერა ააყოლა და სამოთხის კა-რიბჭეს მოჰკრა თვალი, საიდანაც დვთიუ-რი სხივი თვალისმომჭრელად იღვრებოდა.

ასო-ბგერიათა აყალმაყალის ამბავი

ერთხელ ანბანეთს უხილავმა და ვერაგ-მა მტერმა — ამპარტავნობამ შემოუტია და პირველობის მოსურნე ასოები ერთმანეთს დაერივნენ. აყალმაყალი კი „მ“-მ ატეხა:

— აბა, ჩამოქვეითდი, ადგილი დამითმე! — ქედმაღლურად უთხრა „მ“-მ. „ა“-ს.

— მე მეუბნები? ნახე, რა ძვირფასი სიტ-ყვები იწყება „ა“-თი: ანგელოზი, ანბანთქე-ბა, ალმასი, არნივი, აბრეშუმი, ასფურცე-ლა, ათინათი... — საკუთარი პირველობის დამტკიცებას შეეცადა „ა“.

— ხმა ჩაიწყვიტე! — დაჰყვირა „მ“-მ. — უამრავი ქართული სიტყვაა, „მ“-თი რომ იწყება. თანაც, რა სიტყვები: მზე, მამული, მშობელი, მეფე, მამალი, მუხა, მანდილი, მოძღვარი, მონასტერი, მარანი... ასე რომ, აქედან დაიკარგე! — „მ“-მ „ა“-ს ხელი უბიძ-გა.

— ერთი აქეთ მოიხედეთ! თვალში ხომ არ გეპატარავებით?! — ანბანის ბოლოდან გა-მოხტა „ხ“. — აი, რა სიტყვები იწყება ჩემით: ხატი, ხალიჩა, ხე, ხეხილი, ხარი, ხავერდი, ხალასი, ხაჭაპური...

— ხინკალი?! — შეჰყვირა „ფ“-მ და ხინ-კლის ხსენებაზე სულ იფ-იფ-იფ! იძახა.

„ქ“-მ ორი ნაბიჯი წინ წადგა:

— განა არსებობს სხვა ამგვარი სიტყვე-ბი: ქართველი, ქვეყანა, ქვევრი, ქორწილი, ქოლგა, ქარავანი, ქონგური, ქრისტიანობა...

— ქრისტე?! — კვლავ „ფ“-მ გამოიდო თავი და პირჯვარი გამოისახა.

ქრისტეს ხსენებაზე ასოები ერთხანს დადუმდნენ. მერე კი „ლ“ მეზობლად მდგარ „ფ“-ს თავზე გადაევლო, „ქ“-ს წინ დაუს-კუპდა და სიტყვები ლილინ-ლილინით წარ-მოთქვა:

— ღმერთი, ღვთისმშობელი, ღვინო, ღი-ღილო, ღრუბელი, ღაწვი, ღაბუა, ღირსე-ბა...

უცეპ ანბანის შუაგულიდან „ს“-მ წამო-ყო თავი:

— სამშობლო, სალოცავი, სანთელი, სა-მება, სხივი, სამაია, სიმღერა, სინდისი, სი-მართლე, სამოსელი...

ასოები სკუთარი უპირატესობის დამ-ტკიცებას ცდილობდნენ.

— ჭირხლი, ჭალი, ჭადარი, ჭიაკოკონა, ჭიამაია, ჭანჭური, ჭიკჭიკი.... — აჭრიჭინ-და „ჭ“.

— ძახველი, ძოწეული, ძმადნაფიცი, ძუა, ძილისპირული, ძროხა, ძეწნა... — „ძ“-მ „ჭ“-ს ძიგილაობა დაუწყო.

— უოლო, უირაფი, უინუვლა, უურნალი, — აუივუივდა „ქ“.

— ოჯახი, ორბი, ოქრო, ოკეანე, ოაზისი, ოფოფი, ორნამერნტი... — მლელვარებისგან „ო“-ს ცივმა ოფლმა დაასხა.

— გმირი, გვრიტი, გოგრა, გემი, გულა-ბი, გედი, გოზინაყი, გლობუსი, გუშაგი.....

— გაგულისდა „გ“.

— „დ“-თი ისეთი სიტყვები იწყება, პირ-ველობას ვერავინ შემეცილება: დედა, დე-დამინა, დედასამშობლო, დაბადება, დედ-მამიშვილობა, დაფნა, დღესასწაული, დიდ-გორი, დოლი... — „დ“-მ დავლური დაუარა.

— ვაზი, ვენახი, ვაჟუაცი, ვარდი, ვარ-სკვლავი... — „დ“-ს ცეკვით გახალისებულ-მა „ვ“-მ ვარლალი-ვარლალო შემოსახა.

— შვილი, შარავანდი, შველი, შინდი, შურდული, შაშვი, შარაგზა, შროშანი, შან-დალი, შუქურა... — აშიშინდა „შ“.

— ეეეე! — „შ“-ს შეუტია „ე“-მ, — ახლა ჩემი ჯერია: ეკლესია, ერისკაცი, ენძელა, ეჟვანი...

— ჯვარი, ჯაფარა, ჯანდი, ჯეირანი, ჯე-

ჯილი... – სიბრაზისგან „ჯ“-ს სახე დაეჯ-ლანა.

– თაფლი, თიბათვე, თელა, თავანკარა, თავთავი, თივა, თოვლი... – თრთოლვით თქვა „თ“-მ.

უცებ მდუმარედ მჯდარი, რაღაცაზე მნა-რედ ჩაფიქრებული „ჰ“ ნელ-ნელა ფეხზე წა-მოიმართა, მხრები შეარხია და ჩაახველა.

– ანბანის მაჩანჩალას მოვუსმინოთ! – ირონიულად ჩაიქირქილა „ჩ“-მ.

– დიახ, ჩემი ადგილი ანბანის ბოლო-შია, მაგრამ განა ეს დასაცინია? – ბოხი, თბილი ხმით დაიწყო „ჰ“-მ. – „ჰ“-ს გარეშე სიტყვები გაუგებარი გახდება: ჰაერი – აე-რად გადაკეთდება, ჰამაკი – ამაკად, ჰანგი – ანგად, ჰიმნი – იმნად... ასეთივე საჭირო, შეუცვლელი და განუმეორებელია ყოველი ასო. მართალია „ა“ ანბანის პირველი ასოა, მაგრამ მხოლოდ „ა“-თი სიტყვებს ვერ გა-მოთქვამთ და ვერც დაწერთ. უჩვენოდ „ა“ არაფერს წარმოადგენს.

– სწორია, – დაეთანხმა „ფ“ და ის იყო, ჩამოთვლა ფრესკით უნდა დაეწყო და ფი-ანდაზით დაესრულებინა, რომ შორიახლოს მდგარმა „ც“-მ შეუბლვირა.

– ერთმანეთის მხარში დგომის გარე-შე, როგორც იტყვიან, კაპიკია თითოეული ჩვენგანის ფასი. ქართული ანბანი ჩამოქ-ნილი და სრულყოფილია, თქვენ კი ამპარ-ტავნობამ გძლიათ და კინალამ ეს ღვთიური ჰარმონია დაარღვიეთ.

ასოებმა ერთმანეთს დარცხვენით გადა-სხდეს...

მას შემდეგ არც ერთ ასო-ბგერას აზ-რად აღარ მოსვლია საკუთარი უპირატე-სობის დამტკიცება და ამიტომაც არის, ქართული ანბანი სილამაზით, სისადავითა და კეთილხმოვანებით ახლაც რომ გვატ-კბობს.

ნატვრა

გამომძიებელი თანაგრძნობით შესცქე-როდა თავზარდაცემულ ქალს, რომლის მე-უღლეც მესამე დღეა უგზო-უკვლოდ გამ-ქრალიყო.

კაცი პურის საცხობში გვიან ღამემ-დე ცომს ზელდა და რკინის ფირფიტებზე ალაგებდა. შინ დაბრუნებული სწრაფად ივახშებდა, ქალ-ვაჟს მიუალერსებდა და დაღლილ-დაქანცული მაშინვე დასაძინებ-ლად მიდიოდა. ღრმად ეძინა და დილა-ბინდზე წამომდგარს უკვირდა, რა მალე გაილია ღამეო. არადა, ბუნებით რომანტი-კოს ტყეში სიარული და პოეზია უყვარ-და. წლობით ნაგროვები წიგნები მეუღლემ ნელ-ნელა გასაყიდად გაზიდა. გულს უკ-ლავდა წიგნების კარადის ყურება, სადაც ახლა გამოუსადეგარი წივთები ელაგა.

გახურებულ ღუმელთან მდგარი, ოფ-ლში გახვითქული კაცი საცხობის რკინის გისოსებიანი ფანჯრიდან მთას გაჰყურებ-და და იქიდან გაფრენას წატრობდა.

– ფრთები, ფრთები შეიბი და გაფრინ-დები, – ეხუმრებოდა ცოლი.

– გავფრინდები! – დარწმუნებით პასუ-ხობდა კაცი.

ქალი დროდადრო ქმრის უჩვეულო გან-ზრახვაზე შიშით ფიქრობდა, მაგრამ კაცს სიგიჟისა არაფერი ეტყობოდა.

„გაფრენით, აპა, როგორ გაფრინდება? რომც შეძლოს, ამ გაჭირვებაში არ მიგვა-ტოვებს“, თავს ინუგეშებდა ქალი და დამ-თრგუნველი ეჭვის გასაფანტავად საწყლად იღიმებოდა.

საცხობიდან გასული კაცი ბოლოს დამ-ლაგებელმა დაინახა:

„ერთხანს ბოლთას სცემდა. მერე კა-რი გაიხურა, თუმცა უცებ ამოვარდნილმა ძლიერმა ქარმა კარი ხმაურით შემოგლი-ჯა. თვალი მოვკარი – მთაზე ადიოდა. გა-მიკირდა, რადგან გზას მუდამ თავდაღმა, შინისკენ მიუყვებოდა ხოლმე. მერე კარ-თან მივედი, მინდოდა ჩამერაზა. მთისკენ ამავალ აღმართზე აღარავინ ჩანდა. მოზ-რდილი გუბიდან გაყვითლებული მთვარე წამით გაქრა და ზევიდან რაღაც შხუილი მომესმა“.

ორი წლის შემდეგ კაცი უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადდა.

გამომძიებელს კი მოსვენებას არ აძ-ლევდა საცხობის სიახლოვეს მცხოვრები

ქალის მონათხობი:

„ეზოდან გასაშრობად გაფენილი თეთრეულის ტყლაშუნი შემომესმა. გარეთ გასულს არავინ დამინახავს. ქარმა წვალებით ჩამოხსნილი ზენარი ხელიდან გამტაცა. მინდოდა, დამენახა სად დაეცემოდა, მაგრამ თოქზე აფრიალებული ხალათი სახეზე ამეფარა. მერე ცაში ატაცებული ზენარი დიდ, საგსე მთვარეს გადაეფარა. სისულელეა, მაგრამ მომეჩვენა, თითქოს ზენარში ადამიანი მიმალულიყო და ხელები ფრთებიგით გაეშალა.“

უკანასკნელი წინადადება, უაზრო შინაარსის გამო, გამომძიებელს დაკითხვის ოქმში არ შეუტანია.



წლების შემდეგ მონადირეები ხეობაში ადამიანის ძვლებს წააწყდნენ. სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, ძვლები უგზოუკვლოდ დაკარგული მეპურის სხეულის ნაწილებად მიიჩნიეს, გამომძიებელმა კი ცხედრის ნაშთი მაშინვე ამოიცნო, რადგანაც ხეობის თავზე წამომართულ ხის კენეროზე დაფლეთილი ზენარი ფრიალებდა.

თრითამოგეხილი ანგელოზი

ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანაში, ქრისტეშობის წინა ღამეს, ქრისტეს სადიდებლად, ალილოს აღარ მღეროდნენ, ეკლესია-მონასტრებშიც დუმილი და სიცარიელე გამეფებულიყო. ადამიანებს ღმერთისთვის ზურგი ექციათ და სული ეშმაკის-თვის მიეყიდათ.

ნიკოს ღამფა აენთო და ხატავდა.

სოფლის გორაკზე მდგარ ტაძარს მთვარე მცრთალად ანათებდა. უცებ ციდან მოციმციმე, ფრთიანი არსებები დაეშვნენ და გუმბათს შემოერტყნენ. მერე სხვადასხვა მხარეს გაფრინდნენ. ერთმა ანგელოზმა თეთრი ფრთები ნიკოს სახლის სარკმელთან დაუშვა და ოთახში შეიხედა. მხატვარი ზურგით იდგა.

ნიკოს სახლს რამდენიმე კაცი ქურდულად უახლოვდებოდა. მათ ხელში ქვები ეჭირათ

და შობის ღამეს ღვთის ანგელოზებზე ნადირობდნენ. სარკმელთან მდგარ ანგელოზს ოქროსფერჯულულებიანი თმა მხრებზე ჩამოშლოდა. წამით ნიკო პალიტრისკენ დაიხარა, სარკმელთან მდგარმა ანგელოზმა მუშამბაზე გამოსახული ანგელოზი დაინახა და გაელიმა. მერე კვნესა აღმოხდა, თვალები მილულა და გონინასული მინაზე მიესვენა. სხვა ქვამ სარკმლის მინა ჩამსხვრია... ნიკომ ფუნჯი პალიტრაზე დააგდო, სარკმელთან შედგა და მინაზე გაშლილ ოქროსფერ კულულებსა და ქათქათა ფრთას ჰკიდა თვალი. ანგელოზებზე მონადირენი მიიმანენ. ნიკო ეზოში გავიდა და გულწასულთან ჩამუხლა. ანგელოზი მთლად ბავშვი იყო და სახეზე ვარდისფერი გადაჰკრავდა. მხატვარმა ცალი ხელი ფრთებქვეშ ფრთხილად შეუცურა, მეორე ხელი მუხლებთან ამოსდო, წელში გაიმართა, სახლში შევიდა და ანგელოზი ტახტზე დააწვინა. მხარში მოხვედრილ ქვას ფრთა მოეტეხა. ნიკომ ტილოს თეთრი პირსახოცი წვრილად დახია, ფრთა გადანატეს ადგილას გაუსწორა და მაგრად შეუკრა. ანგელოზმა დაიკვნესა, თვალი გაახილა. მხატვარმა ცისფერ ტბებში ჩაიხედა და მშვიდად უთხრა:

– ნუ გეშინია!

ანგელოზმა მუშამბას შეხედა და დამშვიდდა. კამოდზე მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები ესვენა. მუშამბაზე გამოსახულ ანგელოზსაც ოქროსფერი კულულები და დიდი, ცისფერი თვალები ჰქონდა.

– ფრთა შეგიხვიე.

– ველარ გავფრინდები, – სასონარკვეთით თქვა ანგელოზმა. – მომკლავენ...

– არ მიგატოვებ!

ნიკომ ალილო წამოიწყო, ანგელოზიც აჲყვა. მხატვარმა ჭიქაში წითელი ღვინო ჩამოასხა, უფლის სადიდებელი თქვა და ჭიქა ანგელოზს გაუწოდა. ანგელოზმა ერთი ყლუპი მოსვა და უმაღ ჩაეძინა.

ინათა. გორაკზე ტაძარი გამოიკვეთა. ნიკოს სახლს ორი კაცი მიადგა.

– გამოდი, საქმე გვაქვს! – გაისმა ღობის გადაღმიდან.

ნიკომ ანგელოზს შემკრთალ, ცისფერ თვალებში ჩახედა, ოქროსფერ კულულებ-

ზე მიეცერა, კედლიდან თოფი ჩამოხსნა და ეზოში გავიდა.

- რა გინდათ?!
- კარგად იცი, რაც გვინდა!
- წადით!
- ანგელოზი მოგვეცი!
- არა!
- სოფელს ნუ დაუპირისპირდები!
- სოფელი შეიძალა! ღმერთი აღარა გნამთ! წადით! – მხატვარმა თოფი გადატენა.

– კარგად დაფიქრდი, მალე დაგბრუნდებით! – კაცები ღობეს გასცილდნენ.

ნიკო სახლში შებრუნდა, თოფი კართან მიაყუდა, ანგელოზს მიეახლა და ცრემლჩამდგარ თვალებში ჩახედა.

– ჩვენი გამოჩენით ადამიანებს ღმერთის რწმენა გვინდა დავუბრუნოთ, – თქვა ანგელოზმა.

– მჯერა, ნახატს გავაცოცხლებ, – ნიკო პალიტრას დასწვდა, ფუნჯი მოიმარჯვა და ხატვას შეუდგა,

მოსალამოვდა. ის იყო ნიკომ ნახატი დაასრულა, რომ ჩოჩქოლი და შეძახილები გაისმა. მხატვარმა ცალი ხელით ანგელოზი გულზე მიიხუტა, მეორე ხელით თოფი ჩაბლუჯა და გარეთ გავიდა. აღელვებულმა ბრბომ კარი შემოანგრია და ეზოში შემოვარდა. თითქმის მთელი სოფელი შეკრებილიყო, ქვები და ჯოხები ეჭირათ. ახალგაზრდამ, ბრბოს რომ მოთავეობდა, მბრძანებლურად თქვა:

- ანგელოზი მოგვეცი!
- ნიკოს მკერდზე მიხუტებულ ანგელოზს მხატვრისთვის კისერზე ხელები შემოეჭდო.
- ანგელოზებს უბედურება მოაქვთ! მოგვეცი, თორემ შენც ჩაგქოლავთ!
- ბინდმა კიდევ უფრო იძალა.
- უფლებას არ მოგცემთ ანგელოზს უწმინდური ხელებით შეეხოთ! – ნიკომ თოფი შემართა.
- ანგელოზი მოგვეცი! ანგელოზი მოგ-

ვეცი! – იღრიალა ბრბომ და ქვებმომარჯვებულები მხატვრისკენ დაიძრნენ.

ნიკო შეშინებული ანგელოზის თრთოლას მთელი სხეულით გრძნობდა. მხატვარმა თოფი ჰაერში ისროლა. ცოდვილნი წამით შედგნენ. ნიკო შეტრიალდა და გორაკზე წამომართული ტაძრისკენ გაიქცა. ბრბო ღრიალით დაედევნა. ნიკოს ფერდობზე არბენა გაუჭირდა. უცებ ქვა ზურგში მოხვდა, მერე კიდევ ქვებს წვიმასავით უშენდნენ... ტაძარი სულ ახლოს იყო. ნიკომ ანგელოზს ოქროსფერკულულებიან თავზე ლოყა დაადო, უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ნაბიჯს აუჩქარა. რამდენიმე ქვა ფეხებსა და ბეჭებში მოხვდა, მაგრამ ამას ყურადღებას არ აქცევდა. მთავარია, ბრბოსთვის ტაძარში შეესწრო, – დარწმუნებული იყო, შესვლას ვერ გაბედავდნენ. მთლად ჩამოლამდა. ნიკო ტაძარში შევიდა და ძალაგამოცლილი კედელს მიეყრდნო. სიბნელეს ანგელოზის ოქროსფერკულულებიანი თმა ოდნავ ფანტავდა. ბრბო ტაძარში შესვლას უფრთხოდა.

– კარი ამოვკოლოთ! – თქვა ვიღაცამ.

ცოდვილნი ნელ-ნელა ტაძრისკენ დაიძრნენ. უცებ გუმბათის სარკმლებიდან თბილ სხივებად გადმოიღვარა მძლავრი ნათება. ბრბო შედგა. ციდან ანგელოზები დაეშვნენ და გუმბათს შემოერტყნენ. მერე ვარსკვლავები ამოძრავდნენ და ცაზე მაცხოვარი, იესო ქრისტე, ქე უფლისა გამოისახა. იესომ ქვეყნიერებას პირჯვარი გადასახა. ეკლის გვირგვინიდან სისხლის წევთებმა იწყო ცვენა, მიწაზე შეხებისას ხან ანთებულ სანთლად რომ იქცეოდა, ხანაც – ბატკად თუ მტრედად. ტაძრის კარში მკერდზე ანგელოზმიხუტებული მხატვარი გამოჩნდა. ვიღაცამ ქრისტეს სადიდებლად ალილო წამოიწყო. ანგელოზმა ნელა გაშალა ფრთები და ანგელოზთა დასთან ერთად მაცხოვრისაკენ აცურდა.



ილია ჭანტურია

„აი, რა მზის სიზმარია”

**ეძღვნებათ მტრედებს, რომლებსაც
ჩემი ქალაქის ბულვარში საჭმლის
ნამცეცებს ვუყრიდი ხოლმე**

●
ნიკოს სიცხე აქვს. ხელით ვუსინ-ჯავ, შუბლი სულ გახურებული აქვს. საწოლში წევს სამ ადიალაში ერთად გახვეული და შეშინებული თვალებით მიყურებს.

— მცივა, — მეუბნება და მისი კბილების წაკნაკის ხმა მესმის. აკანკალებს.

— მცივა, ძააან, ძააან მცივა... — მი-მეორებს.

მე ვეუბნები, რომ წამალს მოვუტან აფთიაქიდან და მალე დავბრუნდები.

— დედას დაურეკე, რა, მოვიდეს, — მერე შემომხედავს და ამატებს: — მე-შინია!

მისი იღლიიდან გრადუსი გამომაქვს — 38 და 8 ხაზი. არ მინდა, რომ მაი-კოს დავურეკო. რომ გაიგებს, სიცხემ

აუნია, ისევ მე დამიწყებს ლანძღვას — რამდენიმე დღით გყავდა ბავშვი და როგორ ვერ მოუარეო. მერე მეც ცუ-დად ვუპასუხებ და ამ ყველაფრის თავი ნამდვილად არ მაქვს.

— დედას ახლა არ ეცლება, გადავალ აგერ გვერდითა აფთიაქში და წამალს მოგიტან, ხუთი წუთიც არ მინდა.

— მარტო არ მინდა, მეშინია. დედას დაურეკე!

— მისმინე, დედას ახლა რო დავურე-კოთ, ძალიან გაბრაზდება, ისე ძალიან, რომ სულ აფეთქდება, თან ძალიან დი-დი ხმაურით აფეთქდება.

— დედა ბომბი არაა!

— თუ დავურეკავთ, ბომბი გახდება.

— მარტო არაააა!

— მარტო არც იქნები. აი, გოგლიკოს აქ გიტოვებ. მოიცა, მოვიყვანო!

მეორე ოთახში გავდივარ და პატარა ლეკვი შემომყავს — გოგლიკო, ნიკოს რომ ვაჩუქე მეხუთე დაბადების დღეზე — შარშან. ძალლი საწოლზე ძვრება და ნიკოს გვერდით უწვება. საწოლზე ას-ვლას არასდროს ვანებებ, მაგრამ ახლა შეუძლია, ნიკოს სიცხე აქვს და გოგლიკოს მის გასართობად ახლა ყველაფრის ნება აქვს, ოლონდ ზედ არ მოისაქმოს.

— ღამით გოგლიკოსაც ეშინია, წკმუნებს.

— შენ არ იცი, გოგლიკო როგორი უშიშარია. არაფრისაც არ ეშინია. აქ იყავი და ხუთ წუთში აქ ვიქნები.

— ეგ რამდენია?

— სამოცამდე დაითვალე ხუთჯერ და აქ გავჩნდები.

— ამდენი თვლა არ ვიცი.

მაგიდიდან საათს ვიღებ.

— ეს ისარი აქამდე სანამ მივა, აქ გავჩნდები.

ცოტა ხანი დუმს, ვხვდები, რომ არ მოწონს.

— კაი, დაგელოდები, — მეუბნება, სა-ათს მართმევს და ისევ ადიალებში ეხ-ვევა, საათით ხელში. ბინიდან გავდივარ და კარს გარედან ვკეტავ. კიბებზე ჩავრბივარ. აფთიაქი ჩვენი კორპუსის გვერდითაა, შორი სავალი არცაა. შიგ-ნით რომ შევდივარ, ისევ ის მოლარე გოგო მხვდება, რომელიც დღისით შეს-ვლისას შემხვდა. თავისი ჩაღამებული თვალებით ერთი-ორჯერ შემომხედავს, სიცხის დამწევ წამალს ნელა მანვდის და ხურდას მიბრუნებს. მადლობას ვე-უბნები და გამოვდივარ.

ტროტუარს ჩქარა მივუყვები. ვიცი, რომ სახლში ნიკო მელოდება — შეში-ნებული და სიცხიანი. უნდა მოვუარო, წამალი დავალევინო, თან გვიანია, ხვალ დილით სამსახურში უნდა წავიდე. მალე ერთი წელი გავა, რაც პოლიციაში დავიწყე მუშაობა. საოფისე საქმეები მერჩივნა, მაგრამ უმცროს სერუანტად გამამწესეს.

მანქანით გამოძახებებზე დავდივართ ხოლმე. რთული საქმე არაა, უბრალოდ, მთავარია, ღამის ცვლაში არ მოხვდე. მაგას მოჰყვება გათენებული ღამეები და მერე დღისა და ღამის არევა. ეს თვეებია, დღის ცვლაში მიწევს მუშაობა, დილით გავდივარ და საღამოს ვბრუნდები; დაღლილი კი ვარ, მაგრამ ნიკოსთვის დროს ყოველთვის ვიტოვებ, რანაირად ვერ მოვიტოვებ, როცა კვირაში სამჯერ ვხედავ ხოლმე. მე და მაიკომ დამორების მერე ასე გავინანილეთ დღეები — ოთხი დღე მასთანა და დანარჩენ სამ დღეს, საღამოობით, ჩემთან მომყავს, დღისით კიდევ ჩემს მშობლებთან ვტოვებ.

გვიანია ახლა, ძალიან გვიანია, ნიკოს, ალბათ, ეშინია. მარცხნივ ვუხვევ და სადარბაზოში შევდივარ. კიბებზე ავრბივარ, მერე კარს ვაღებ. ოთახში შევდივარ, ნიკოს სძინავს და მთელი სხეულით ცახცახებს. გოგლიკო მის გვერდით წევს და საწყალი თვალებით მიყურებს. ეშინია, რომ საწოლიდან ჩამოვსვამ. ჭიქით წყალი მომაქვს და ნიკოს ვაღვიძებ. თვალებს ახელს და საათისკენ იყურება.

— ისარი გადასცდა იმ ადგილს.

— შენ კიდევ ჩაგეძინა.

წამალს ვაძლევ.

— მარტო ეს ერთი დალიე და მალე სიცხესაც დაგიწევეს.

წამალს წყალს აყოლებს. ბალიშზე თავს დებს... ისევ ეძინება. მაღვიძარას 5 საათზე ვაყენებ, ნიკოს შუბლზე ვკოცნი და გვერდით ვუწვები. „ჰე-ჰე, ოთხ საათში ისევ უნდა გაიღვიძო, ჯი-გარო“, — ფეხსაცმელს ვიხდი და შუქს ვაქრობ.



აივნის კარი ღიაა. მტრედები ნელ-ნელა სხდებიან აივანზე გადმოდებულ დაფაზე, სადაც ახლახან პურის ნაფშვენები დავუყარე. ცოტა ხანი ასე ჩუმად ღუღუნებენ და მერე კენკვას იწყებენ.

პატარაობაში, როცა დედამ მითხრა,

რომ ჩიტები შემოდგომას ჩვენი ქალა-
ქიდან უფრო თბილ ადგილებში მიფრი-
ნავენ, მერე კი, როცა აქეთ ისევ გა-
მოიდარებს, უკან ბრუნდებიან, ძალიან
მომინდა, რომ მეც პატარა ჩიტი ვყო-
ფილიყავი, ასე, მთელი ცხოვრება სით-
ბო მეძებნა და სხვადასხვა ადგილში მე-
მოგზაურა ფრენით. საერთოდ სიცივე
არასდროს მომწონდა. ზამთარში მერ-
ჩივნა, სახლში თბილად ვმჯდარიყავი,
ვიდრე თანატოლ ბავშვებთან ერთად
მეგუნდავა ან მეზობელ სოფელში ცი-
გით სასრიალიდ წავსულიყავი. ყოველ
შემოდგომას მოზრდილ ჩიტებს ვუსაფ-
რდებოდი და ჩვენი ეზოს თხილნარში
პატარ-პატარა მახეებს ვუგებდი. დღის
ბოლოს ერთი მაინც გაებმებოდა ხოლ-
მე. მე ნელა მივიდოდი, ამოვიყვანდი,
მერე ისევ, ძალიან ნელა, ჯიბიდან წი-
თელ ლენტს ამოვილებდი, ფეხზე ნაზად
ვაბამდი და ვუშვებდი. ეს მისი ნიშანი
უნდა ყოფილიყო. თვეების მერე, რო-
ცა ჩვენს ქალაქში გაზაფხული კვლავ
აყვავილდებოდა, გადამფრენი ჩიტები
იწყებდნენ დაბრუნებას. მეც ყველას
ვდარაჯობდი და იმ წითელ ლენტიანს
ვეძებდი, რომელიც მე დავნიშნე. ასე
ვაკეთებდი ყოველ ჯერზე, მაგრამ ვერ-
ც ერთხელ ვერ ვიპოვე. მთელი დღეები
მივუყვებოდი ტროტუარებს, ბალებს,
სკვერებს და ყველა ჩიტს ფეხზე ვაკ-
ვირდებოდი, მაინც არაფერი გამომდი-
ოდა. სულ ბოლოს ხელი ჩავიქნიე ამ
ყველაფერზე, გადავწყვიტე არაფერი
მექნა, იმიტომ რომ ჩემი ჩიტები უკან
დაბრუნებას აღარ აპირებდნენ, მიფ-
რინავნენ ჩვენი ქალაქიდან და აღარ
ბრუნდებოდნენ. დედამ მითხრა, რომ
ისინი ერთხელაც აუცილებლად დაბ-
რუნდებოდნენ, დაბრუნდებოდნენ
იმისთვის, რომ ჩვენთვის რაღაც მნიშ-
ვნელოვანი შეეხსენებინათ. მაგის მე-
რე პირველ ორ გაზაფხულს იმედი არ
გამქრობია. მერე, რაც დრო გავიდა,
ეს ყველაფერი გადამავიწყდა. ქუჩაში
რომ გავდივარ, თუ სულ ახლოს, ფე-

ხების წინ შემეფეთა ჩიტების ჯგუფი,
მხოლოდ მაშინ მახსენდებიან ისინი და,
ყოველი შემთხვევისთვის, ფეხზე მაინც
ვაყოლებ თვალს.

ტელეფონი რეკავს, საწოლიდან ვი-
წევი. დედაჩემია. ყურმილს ვიღებ, დე-
დაჩემი ნერვიულად ლაპარაკობს.

— გაგა, გაგა... დღეს დილით მანდ
ორი მუშა... ველარ პოულობენ... მანდ
არის გაგა? გაგა მანდ არის?

მე ვაწყნარებ და ვეუბნები, რომ გა-
გა აქ არის, ოთახში, ტახტზე წევს და
სძინავს. მერე თანდათან მშვიდდება.

გაგა ჩემი ძმაა, მშენებლობაზე მუშა-
ობს ამ ქალაქში. ბაკალავრს მალე ამთავ-
რებს, თან მუშაობს და თან სწავლობს,
იმისთვის რომ ბინის ქირა და სწავლის
ფული დაფთაროთ. მე ჯერ მეორე კურსზე
ვარ და სამუშაოს დაწყებას ვერიდები. დედაჩემი მეუბნება, რომ ამ დილით იმ
ადგილზე, სადაც გაგა მუშაობს, კედელი
ჩამოიხვრა და ორი მუშა ნანგრევებში
მოჰყვა, ცხედრებს კიდევ ეძებენ და ვერ
პოულობენ. როგორც კი ეს გაიგო, ჩემ-
თან გადმორევა.

ტელეფონს ადგილზე ვაბრუნებ და
ვდგები. ჩემს თავს ვეუბნები, რომ ახლა
უნდა გაპრაზდე, ახლა ძალიან უნდა გაბ-
რაზდე, იმიტომ რომ იქ შეიძლება შენი
ძმა ყოფილიყო, აი, აგერ, შენს წინ რომ
წევს და სძინავს; იმ ორი ბიჭის ადგილას
შეიძლება, შენი უფროსი ძმა ყოფილიყო
და, რომც არ ყოფილიყო, მაინც უნდა
გაბრაზდე. მთელ ბრაზს ერთად უნდა
მოუყარო თავი. მე ვერც ვხვდები, რას
ვგრძნობ. უკვე იმდენჯერ მოხდა, თით-
ქოს ეჩვევი. დედაჩემი, როგორც კი რა-
მე საშინელ ამბავს გაგიებს, ამ ქალაქის
მშენებლობაზე მომხდარს, მე მირეკავს;
შეშინებული მელაპარაკება, გაგას კითხუ-
ლობს. მე ვამშვიდებ, ყოველ ასეთ ახალ
ამბავზე მე უნდა დამირეკავს. გაგასთან
დარეკავის ეშინია, ვაითუ არ აიღოს ან არ
უპასუხოს. ამიტომ მე მირეკავს, მე კი-
დევ ყოველ მის დარეკაზე ვშინდებოდი,
მერე გაბრაზებული წამოვხტებოდი და

უმისამართოდ ვიგინებოდი, ახლა ცოტა შევეჩვიე თითქოს.

ლეპტოპს ვიღებ და ფეისბუქზე შევდი-ვარ. მეგობრების პოსტებს ვაწყდები – ამ ამბებზე წუხან და განიცდიან, მერე ვხე-დავ, რომ აქციაც არის დაანონსებული. დღეს ისევ გავალ აქციაზე, ისე როგორც წინა სხვა ჯერზე. გავალთ, ვიყვირებთ, გავპრაზდებით, მერე დავიშლებით და მომავალ აქციამდე, ალბათ, ვერც შევ-ხვდებით ერთმანეთს. ასეა. დღეს ადრე გამოვალ ლექციებიდან და წავალ. მერე რა, რომ უკვე ეჭვიც მეპარება აქვს თუ არა აზრი ამ ყველაფერს, მერე რა? გა-ვალ და დავდგები.

ლეპტოპს ვკეცავ, მეორე ოთახში გავდივარ და წყლით სავსე ჩაიდანს გა-მათბობელზე ვდგამ. აივანზე ვიყურე-ბი, მტრედები არ არიან, პატარა ნამცე-ცები დაუტოვებიათ და გაფრენილან.



ოთხ საათში არა, საათ-წახევარში ისევ მომინია გაღვიძებამ – ნიკო მექახ-და. სიცხის დამწევმა იმოქმედა და სიც-ხე წელ-წელა უკლებდა. ოფლი სდიოდა ტანზე და მაისური სულ სველი ჰქონ-და. ტანსაცმელი გამოვუცვალე და ისევ დავაწვინე.

დილით სამსახურში უძინარს მომი-ნია მისვლა. სანამ მანქანაში ჩავსხდე-ბოდით, უფროსმა გვითხრა, რომ დღეს ქალაქში აქცია იმართებოდა ამა და ამ ადგილას, ამა და ამ დროს და იქ უნდა მივსულიყავით, მდგომარეობის გასაკონტროლებლად. ასე გვითხრა, მდგომარეობა უნდა გააკონტროლო-თო. აქცია რის გამო იმართებოდა, ვერ გავიგეთ. ვკითხე, მაგრამ ამან – მე რა ვიცი, ერთი მაგათი დედაცო და თავის კაბინეტში შებრუნდა.

მანქანაში ჩავსხედით და დავიძარით. უბნიდან რომ გავდიოდით, მაიკოს მესივი მომივიდა ტელეფონზე. წამით გამიხარ-და მისი სახელი რო დაეწერა ეკრანზე, ოღონდ – მხოლოდ წამით. „SAPROCEN-

TO GADASAXDELIA!!!”, – ისე მწერდა, თითქოს ხმამაღლა მიყვიროდა, ჩვენს ბან-კის სესხს მახსენებდა, რომელიც, ერთად რომ ვიყავით, მაშინ გამოვიტანეთ. მაგის მერე ერთად ვფარავთ – ნაწილს ის იხ-დის, ნაწილს – მე. შევთავაზე, მთლიანად მე დავფარავ-მეთქი, მაგრამ უარი მით-ხრა, თანაც დაამატა, რომ სამსახური თვითონაც აქვს და ამ ნაწილის დაფარვა ჩემ გარეშეც შეუძლია. არ შევწინააღ-მდეგებივარ.

ჩემს მეწყვილეს ბანკთან გაჩერებას ვთხოვ. მანქანიდან გადმოვდივარ.

– ეე, ეე, ეგ რაღაცა, – მანქანიდან გადასულს მექახის.

– რა?

– ეს რაღაც დაგრჩა.

უკან ვბრუნდები და პატარა ქა-ლალდს ვართმევ. ნიკოს წერილია. ხელწერით ვცნობ. ეტყობა, ქურთუკში ჩამიდო და საფულის ამოღებისას ამო-მივარდა. ასე შევრება ხოლმე.

„მამა სახლში როდაბრუნები მიიდე ჩუპაჩუპა“.

მეღიმება და წერილს ჯიბეში ვიდებ.



ერთხელაც, საუბრისას ვუთხარი, რომ თვითონაც უნდა დამდგარიყო ჩვენთან ერთად, თავისი უფლებები თვითონაც უნდა დაეცვა, თან ეს ცოტა ბრაზითაც მომივიდა. ამ ყველაფერს ბოლო მაინც არ უჩანდა, ყოველთვის ერთი და იგივე, ერთი ადგილის ტკეპნა იყო და მეტი არა-ფერი. გაგა წამოდგა და მითხრა, იგივე იმ ბიჭებისთვისაც გამემორებინა, ჩვენთან ერთად აქციებზე რომ დადიოდნენ და მე-რე, რამდენიმე დღეში, სამსახურიც დაკარ-გეს და ოჯახში შესატანი ფულიც აღარ ჰქონდათ. მივხვდი, რომ, რაც არ უნდა მეთქვა, აზრი არ ექნებოდა. ახლაც ასეა

– ვდგავართ, სამანქანო გზის ნახევარი გადაკეტილი გვაქვს და ვაპროტესტებთ ამ ყველაფერს, მაგრამ მხოლოდ წანილი, რომელიც ან უმუშევარია, ან შედარებით დაცულ ადგილას უწევს მუშაობა. მუშებს

კი ვერსად ვხედავ. ახალგაზრდები დგანან და საპროტესტო ფრაზებს გაჰყვირიან, ხელში რუპორები უჭირავთ და ისე ყვირიან, კისერზე ძარღვები ებერებათ. იქნებ აქციამდე მუშებთან მივსულიყავით, მათთან ერთად შევთანხმებულიყავით, იქნებ ერთიანი ძალებით გაფიცვაც მოგვეწყო და ახლა ამ ადგილას ერთად ვმდგარიყავით.

გზის შუა ნაწილში პოლიციელები დგანან, უკნიდან პოლიციის მანქანები და მათი უფროსების ჯიპები მოგვყებიან. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ალყაში გვაქცევენ. თანდათან, ნელ-ნელა გვაწვებიან. ჩვენც არ ვანებებთ და იქით ვაწვებით. ჩოჩქოლი იმატებს და ვხვდები, აი, სადაცა კულმინაციაც მოვა, ეგ ბრაზის ბუშტი მალე გაიბერება, გაიბერება და გასკდება. აი, ერთი თითის მიკარება უნდა... და იწყება. ვიღაც მხარზე მექაჩება, პოლიციელები გვაწვებიან და ტროტუარზე გადავყავართ. ხმაური კიდევ უფრო მატულობს – ვიღაც იგინება, ვიღაც მთელი ბრაზით გაჰყვირის. ტროტუარზე ადგილი აღარ რჩება და ერთმანეთს ვეტმანსებით. პოლიციელები გვიყვირიან – ჩაინიეთო. მე ვეუბნები, რომ ადგილი არ არის და ვერსად ჩავიწევით. ეს ისევ მიყვირის: – პოდა, მერე ჩაინიეო. ვბრაზდები და მთელი ძალით ვაწვები. ვიღაც მხარზე მქაჩავს ისევ, ხელზეხელს ვკიდებ და ჩვენკენ ვექაჩები. ვიღაც შავგრემანი ტიპია, პოლიციის ფორმა არ აცვია, ხელს მკიდებს და პოლიციელების მხარეს მაწვება: – გამაყვანინეთ ერთი ეს, მანქანაში უნდა ჩავტენო. უკნიდან მექაჩება. იქ მდგომები ალყას ხსნიან. ვინც უკნიდან მაწვება, იმ შავტუხა ტიპისკენ ვიწევი გასარტყმელად. ხალხი კვლავ მაწვება და ვერ ვინძრევი. ეს გინებით მომყვება უკან, ბოლოს მაკავებს და ვიღაც სხვას ეძახის დასახმარებლად. მეორეც მოდის. ერთი ერთ მხარში მიჭერს, მეორე მეორეში. შენინააღმდეგებას ვცდილობ, მაგრამ ერთი თავში მაგრად მირტყამს, მეორე ხელს მკიდებს და მანქანაში მაგდებს.



რვა საათი იყო უკვე, აქციის ადგილზე რომ მივედით. ძალიან ბევრიც არა, მაგრამ ხალხი მაინც საკმაოდ შეკრებილიყო. ვაკირდებოდი და ახალგაზრდები იყვნენ უმეტესად. გზის ნახევარი გადაკეტილი ჰქონდათ. მშენებლობისას კედელი ჩამონგრეულა და ორი მუშა მოყოლილა შიგ. მთელი დღე ეძებეს და გარდაცვლილები მერე იპოვეს. ერთი ჩამოვარდნისთანავე დალუპულა, მეორეს კიდევ საათები მოუწია მანდ ყოფნა და მერე გარდაიცვალა – ექსპერტზას ეგრე დაუდგენია. ხომ შეიძლებოდა ესეც მომხდარიყო, რომ ერთ დღესაც ჩემს უფროსს ისეთ ოპერაციაზე გავეგზავნე, საიდანაც ცოცხალი ვერ დავბრუნდებოდი ან თუნდაც ვინმე თავქარიანს ესროლა ჩვენთვის და დავლუპულიყავი. ასეთ მომენტებში ყოველთვის იმაზე ვფიქრობ, ნიკოს ვინ ეტყვის ამას ან თვითონ ნიკო როგორ მიიღებს ამ ყველაფერს. მამაჩემთან კარგი ურთიერთობა არასდროს მქონია. რაც წავიდა, იშვიათად ვხედავდი. ფულის მოსაცემად მოდიოდა ხოლმე. ამიტომ როცა ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში აპარატზე მიერთებული გარდაიცვალა, უკნაური რაღაც ვიგრძენი – თითქოს ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ დრო მოვიდა, დროა იტირო ან ცრემლი მაინც წამოგივიდეს, ბოლოს და ბოლოს მამაშენი დაიღუპა. მე კიდევ ვიდექი ასე გაუნდრევლად და არ ვიცოდი, რა მექნა. რაღაც მცირედი სიცარიელე დამიტოვა ამ ყველაფერმა. დედა მანალვლებდა და ჩემი პატარა დები. ალბათ, ეს იყო, სხვა არაფერი. ნიკო კიდევ არ ვიცი, როგორ მიიღებს. მგონი, არ ვარ ისეთი მამა, როგორიც მამაჩემი იყო. ამაზე ხშირად ვფიქრობ და ჩემს თავსაც მამაჩემს ხშირად ვადარებ. აბა, როგორი გამოვდექი, რამეში დავემსგავსე თუ არა-მეთქი.

მანქანიდან გადმოვდივართ. ჩვენი უფროსი თავის შავ ჯიპთან დგას, თან რამდენიმე კაცი ახლავს. გზის შუა ნა-

წილში დადექით და ესენი აქეთა მხარეს არაფრით გადმოუშვათ, მერე ნელა-ნელა მიაწერით, ნელა-ნელა შეავინაროეთ ისე, რომ ტროტუარზე გადაიყვანოთო; ისეც არა, რო გაგიძალიანდნენ. აბა, მთელი საღამო ამათ აქხომ ვერ ვაყურყუტებთ, ბრძანებაა ასეთი ზევიდანო. ისე ვაკეთებთ, როგორც გვეუბნებიან – რამდენიმე საათი ასე ვართ, მერე ჩვენები თანდათან მიწოლას იწყებენ. ჩვენ წინ ახალგაზრდები დგანან, ბოლო ხმაზე ყვირიან, მე ჩემებს მივყვები, როგორც დაგვავალეს, ნელ-ნელა ტროტუარისკენ ვიწევით, თან ახალგაზრდებს ვეუბნებით, რომ ცოტ-ცოტათი მიიწიონ. რაღაც დროის მერე ერთად მჭირდროვდებიან და აქეთ იწყებენ მოწოლას. ჩვენ ჯაჭვს ვკრავთ და მთელი ძალით ვაწვებით, ისე, რომ უკვე ტროტუარამდე მიდიან. ახალგაზრდები ხმაურს იწყებენ და ჩვენკენ იწევიან. ვხვდები, რომ ამ ყველაფრის ნაწილი არ მინდა ვიყო, არ მინდა პატარა გოგო-ბიჭებს ტროტუარებისკენ იმის გამო ვექაჩებოდე, რომ მათი თანატოლების მსხვერპლად შენირვას აპროტესტებენ. რასაც გიბრძანებან, ასრულებ და ემორჩილები. მერე ისიც მახსენდება, ეს ყველაფერი რომ არ შევასრულო, სამსახურის და-



ტოვება მომიწევს, ვერც ვალს დავფარავ და ვერც ნიკოსთვის განკუთვნილ ფულს დავიტოვებ. ჩემ წინ გოგო დგას, ასე ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის იქნება, სხვები მთელი ბრაზით გვიღრენენ, ეს კიდევ დგას და ასე გაოცებული თვა-

ლებით გვიყურებს, მერე ჩემკენ იხედება და თვალებს თვალებში მისწორებს. წამით ვუყურებ და მერე თვალებს განგებ ვარიდებ. უკნიდან დამატებით გვაწვებიან და თან გვაქეზებენ:

- მიდით, ტროტუარამდე მიიყვანეთო.
- ვხედავ, რომ მათ უკან გზა არაა.
- ერთმანეთს ჰო ვერ მივაჭყლი-ტავთ-მეთქი?
- მიდი, ბოლომდე მიაწექი. ეგენი ად-

გილს მონახავენ. ნუ გეშინია, შენო, —
მეუბნება ვიღაც და თან ისევ მაწვება.

ბიჭი გამოდის მათი მხრიდან, უკან
იმ კაცს ვხედავ ჩვენს უფროსს რომ ახ-
ლდა თან.

— ჯაჭვი გახს, ეს უნდა ჩავტენო მან-
ქანაშიო, — ყვირის და თან იმ ბიჭს ექა-
ჩება. ეს ბიჭიც უტრიალდება და დარ-
ტყმას ცდილობს.

ალყას ვხსნით. ბიჭს უკან მივყვები,
თან ვცდილობ, იმ ტიპს დავეფარო, გი-
ნებით რომ მოჰყვება უკან. ვერაფერს
ვახერხებ, მიჯიკავებს და გვერდით ვვარ-
დები. ბიჭი წინ გასვლას ცდილობს, ეს
უკნიდან ეწევა და იჭერს; ბიჭი ეწინა-
აღმდეგება, ეს მე მეძახის: — მოდი და
დამეხმარე, ვერ ხედავ, რა დღეშიაო?
თავიდან ფეხს ვითრევ, მერე ეს ჩემ-
კენ იხედება და უფრო ხმამალლა მიყ-
ვირის. მივდივარ და ბიჭს მხარში ვკი-
დებ ხელს, ის მეორე მხარში სწვდება და
მანქანისკენ მიგვყავს. ბიჭი არ ჩერდება,
ცდილობს, რომ შეგვენინააღმდეგოს, ეს
მეორე კიდევ მხარზე მაგრად ჰკიდებს
ერთ ხელს, თავისუფალ ხელს კი კეფაში
ურტყამს. ბიჭი წამით ჩერდება. მე ვეჭი-
დები და მანქანაში ვაგდებ. კარებს კე-
ტავენ. მანქანას ვშორდები, გამოვდივარ
და კამერები მეფეთება წინ. არ მინდა,
რომ გადამიღონ, საშინლად არ მინდა,
ახლა ვინმე კამერა მომიღეროს. სახეზე
ხელს ვიფარებ და რაც შეიძლება ჩქარა
ვცდილობ ამ ადგილს მოვცილდე, თან
კამერებს არ ვანახებ სახეს, მგონია, რომ
ახლა ტელევიზორთან ნიკო ზის თავის
პატარა სკამზე და ეკრანზე გამოსახულ
ჩემს სახეს უყურებს, როგორ მივათრევ
ახალგაზრდა ბიჭს. მის მზერას ვგრძნობ,
თვალწინ მისი გაოცებული სახე მიდგე-
ბა, აი, ისეთი გაოცებული, როგორიც
იმ პატარა გოგოს ჰქონდა, რომ ვეღარ
ხვდებოდა, ამას როგორ ჩავდიოდით. ეს
ყველაფერი თვალწინ ჩნდება და მცხვე-
ნია, საშინლად მცხვენია, ამიტომ სახეზე
ხელაფარებული კამერებს ვშორდები და
სიარულის ტემპს თანდათან ვუმატებ.




უკვე ბინაში ვარ. უბნის სამმართვე-
ლოდან დილით გამომიშვეს. გაგა სამ-
სახურშია და მარტო ვარ. თავი მტკივა.
გუშინდელზე ჩემებისთვის არც მითქვამს.
გაგას ვეტყვი, ალბათ, როცა მოვა. სა-
სამართლო შემდეგ კვირას დამინიშნეს.

თაროდან ჭიქას ვიღებ და ონკანს
ვუშვებ. ორ ტკივილგამაყუჩებელს ერ-
თად ვიგდებ პირში და წყალს ვაყოლებ. სამზარეულოდან გამოვდივარ, ტახ-
ტზე ვწვები. აივნისკენ ვიხედები. რა-
ფაზე ჩიტები სხედან. ტახტიდან ვდგე-
ბი და აივანს ნელ-ნელა ვუახლოვდები. არ
მინდა, რომ ორივე დავაფრთხო. ამ
დროს ტელეფონი რეკავს, ეკრანზე დე-
დაჩემის სახელი ეწერება, უცად ისევ
ისეთი შიში მიპყრობს, როგორიც წლე-
ბის წინ დედაჩემის დარეკილზე მიპ-
ყრობდა ხოლმე. მეშინია პასუხის გა-
ცემის და დედაჩემის სიტყვები გაგო-
ნების. რატომ არ ვიცი. ისევ აივნისკენ
ვბრუნდები. ტელეფონის ხმაზე ჩიტები
ფრთხებიან და აივნის რაფას სცილდე-
ბიან. გარეთ გავდივარ და ვიყურები. ცაში ირტი მოჩანს, წამით ვამჩნევ,
თითქოს ცაში, მათთან ერთად, წითელი
ლენტიც დაფარფატებს, ისინი კი მიფ-
რინავენ, მიფრანევნ ისე, თითქოს არც
არასდროს დაბრუნდებიან უკან.

ტელეფონი კი ისევ რეკავს...



იმ დილით, სანამ სამსახურში წავი-
დოდი, ნიკომ მითხრა, რომ ღამით უც-
ნაური რაღაც ესიზმრა — თითქოს ჩი-
ტი იყო და თავის მეგობართან ერთად
ცაში მიფრინავდა, უკან გამოხედვისას
კი ჩვენს ქალაქს ხედავდა, სახლებს,
მაღალ-მაღალ შენობებს და ქუჩებს. მე
კიდევ გავულიმე, როგორც ყოველთვის,
თავზე ხელი გადავუსვი, მერე გავიფიქ-
რე, ნეტავ რომელი ბავშვი არ ფიქრობს
ჩიტად გადაქცევაზე-მეთქი და, ასე
ნაღვლიანად, ცას ავხედე.



ნინო დარბაისელი-სტრონი

ვინ უკასუხა ირაკლის?! (ვასილ გულეურის ერთი ლექსის გამო)

არა, ძვირფასო მკითხველო, არ შემ-
შლია ლექსის სათაური, არც კორექტუ-
რაა გაპარული, „უპასუხა“ რომ მიწერია
აქ, (ნაცვლად ვასილ გულეურის ლექ-
სის სათაურში გამოყენებული ფორმისა – „უპასუხებს“).

დიახ, ირაკლიმაც და ლექსის ავ-
ტორმაც „ფეისბუქზე“ ახლახან ისეთი
„პასუხი“ მიიღო კითხვებზე ქართველი
„ზეპური დედებისაგნ“, აქ გამეორება
ძალიან მრცხვენია.

თავად წარმოიდგინეთ ყველაზე დი-
დი უწმანურობა, რაც კი გასმენიათ!

მშობლის „როლური მოდელის“
დღესდღეობით ძალზე პოპულარული
აღმზრდელობითი მეთოდის შუქზე თუ
შევაფასებთ მათ საქციელს, უნდა ით-
ქვას, რომ საკუთარ აღსაზრდელებსა
თუ შვილებს, მთელ ქართულ ინტერ-
ნეტსაზოგადოებას იმდენსართულიანი
პირადი მაგალითი მისცეს საქვეყნოდ,
ვასო გულეური ერთი კი არა, მისებრი
ასი რომ გვყავდეს, მთელი თავისი შე-
მოქმედებით, ცოტას თუ რასმე უშვე-
ლის... მაგრამ „ასი ცხვრისა და ერთიც

მგლისაო“, ნათქვამია.

ეს ლექსიც ვნახოთ, იქნებ რაღაცაში
არც ისინი ტყუიან.

დარწმუნებული არა ვარ, სად გადა-
აწყდნენ ამ ლექსს. არ მგონია, პოეზიის
და მით უმეტეს, საბავშვოს კითხვაში
ათენ-ალამებდნენ, თორემ ელემენტა-
რული რამეები ხომ მაინც ეცოდინებო-
დათ ამ სფეროში...

არ მითხრათ, ასე რატომ ენამვწარე-
ობ, მათგან არაერთი ლექსებსაც წერს,
აქვეყნებს კიდეცო...

ჩვენი უბედურებაც სწორედ ეგაა!

საქართველოში, მით უმეტეს ახლა,
რაც ხალხმა ინტერნეტის მოხმარება
ისწავლა, ყველა წერს და არათუ სხვე-
ბის ან ახლობლების, საკუთარ წაწე-
რებსაც კი არ კითხულობს გამოკვეყ-
ნებამდე, რომ ელემენტარული რამეები
ჩაასწოროს; დარწმუნებულია, ფრთა-
ფარფატა მუზა აზის მხარზე და თავან-
კარა, ზეციური ინსპირაციის შედეგია
მთელი მისი ლექსები.

ესეც ასე! პირველმა პრაზმა გადა-
მიარა (განა მე კი არა ვარ პრაზიანი?!

„ცხვარი ცხვარიაო“) ახლა შეგვიძლია, მშვიდად, ორიოდე სიტყვა ვთქვათ ამ ლექსზე:

ვასილ გულეური ვინ უპასუხებს ირაკლის

ჩვენი პატარა ირაკლი,
ჩემი უმცროსი ძამიკო,
უცნაურ კითხვებს გვისვამს და
სურს, ყველაფერი გაიგოს.

– მზე როცა ჩადის, სად ჩადის,
ან დიღით როგორ ამოდის?
ლრუბელი წვიმას რომ გზავნის,
მერე იმ ლრუბელს რა მოსდის?

წრუნუნას თხილი რად უყვარს?
მელას რად უყვარს ჩიჩია?
ვინც ყოველ დიღით რძეს დალევს,
მართლა მაგარი ბიჭია?

ლამურა ლამით ხომ ფრინავს?
დღისით რომ ფრინავს ბელურა,
ბელურას რატომ ვეძახით,
რატომ არ ჰქვია დღემურა?

გაზაფხული რომ მთავრდება,
ზაფხული თუკი იწყება,
შემოდგომას რომ მოჰყვება,
მოდგომა ერქვას, იქნება?
კითხვებს იგონებს უცნაურს,
თუმცა სულ ამას ვარიგებ:
– ბიჭო, ირაკლი, გეყოფა,
გაიზრდები და გაიგებ!

მაგრამ მაინც არ ჩუმდება,
მთელი დღე კამათს ვუნდებით:
– შენ რომ დიდი ხარ, თუ იცი,
მე რატომ არ მეუბნები?

ჯერ ფორმა მოვილიოთ:

ავტორს უმარტივესი, დაბალშაირის
გახალხურებული (5/3) რიტმი შეურჩე-
ვია, თავისი შვიდკატრენიანი ლექსის-
თვის, „ადვილი“ სარითმო წყვილებით
(0:0:0 0:0:0) – ქართველი ბავშვის ასაკი-

სათვის ზედმინევნით ადვილად აღსაქ-
მელი ფორმაა.

ძირითადი ლექსიკური არსენალიც
(„შემოთავაზებული“, აქცენტირებული
ნეოლოგიზმების გამოკლებით, თუმცა
ისინიც არსით, იმავე ფაზას მიეკუთ-
ვნება. ამაზე – ქვემოთ.) სავსებით შე-
ესაბამება იმ ასაკობრივ არეალს, რო-
მელიც ტექსტშია წარმოდგენილი. იქ-
ნებ ავცდე კიდეც ავტორის ჩანაფიქრს,
მაგრამ, როგორც მე ვგრძნობ და მე-
სახება, პატარა ძმა, ირაკლი ასე, ოთ-
ხი-ხუთი წლისა უნდა იყოს, რადგან ეს
ასაკი გამოირჩევა სწორედ ინტენსიური
სიტყვათანარმოებითი აქტივობითა და
ჩვენთვის, უფროსთათვის გაცვეთილ
სიტყვათა და ფრაზათა „ახლებური“
სემანტიზაციით, რისი არაერთი ნიმუ-
შიცაა დაფიქსირებული ამ ლექსში... ამ
საკითხით დაინტერესებულ მოყვარულ
მკითხველს ვურჩევ კ. ჩუკოვსკის სახა-
ლისო წიგნს „ორიდან ხუთამდე“.

ახლა გარე კომპოზიციას შევხედოთ,
მანამდე კი ამბის ჩარჩო შემოვწეროთ:

ლექსის მიხედვით, არსებობს ორი
ძმა. ერთი უკვე სკოლაში დადის, „დიდი
ბიჭია“, ხოლო მეორე პატარაა, რომე-
ლიც ასაკობრივად იმყოფება საგნებსა
და მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობ-
რივი კავშირების დაფიქსირების ქვედა
ფაზაში, როცა ენის შიდა სტრუქტურას
კი გრძნობს ბუნებრივად, გაუცნობიე-
რებლად, მაგრამ, ლექსიკური სალარო
ჯერ კიდევ არა აქვს იმდენად მდიდარი,
რომ მომარჯვოს.

გარეკომპოზიციურად ლექსის ში-
ნაარსი ორი ნაკადის ურთიერთმო-
ნაცვლეობითაა აგებული. ერთ მოდურ
ლიტერატურულებით თეორიას თუ მო-
ვიშველიებთ, მასში ერთი აქტორისგან
მომდინარე ორი ძირითადი ხმა ისმის:

პირველი – საკუთრივი, „დიდური“,
რომლითაც იწყება ლექსი და – ორხმო-
ვანი – აქტორის მიერ გახმოვანებული
სხვისი სიტყვები (დიდი ძმა იმეორებს
პატარას ნათქვამს, როგორც „უცნა-

ურს“ (სტრ. 2,3,4,5) და ეს ორხმოვანება ფინალშიც უღერს (სტრ. 7).

არის თუ არა სინამდვილეში უცნაური ის კითხვები, რომლებსაც პატარა ძამიკო სვამს?

იქნებ ზემოთა ტექსტს თავად ახედო, ძვირფასო მკითხველო, პასუხი ხელის-გულზე დევს და აღარ მინდა, ზედმეტი ციტატებით გადავტვირთო ნაწერი.

დიდი ადამიანის თვალით დიალაც უცნაურია და, არა მგონია, ამაზე თუნდაც ყველაზე ორთოდოქს იპონენტებს განსხვავებული აზრი ჰქონდეთ.

„დიდი ძმა“, რომლის სახელიც არ ვიცით, დაწყებითი კლასების მონაფე ჩანს, ასაკობრივად და განვითარების მხრივ იმ ფაზაში, როცა კითხვის უცნაურობას კი უკვე ხვდება, მაგრამ ჯერ კიდევ პატარაა იმისთვის, უცნაურის საცნაურად ქცევა რომ შეეძლოს და მით უმეტეს, პატარა ძმისთვის გასაგებ ენაზე ახსნა. კონფლიქტის ეს მომენტი კარგად არის ჩავლებული ფინალში, სადაც პატარა ძამიკო ეუბნება:

- შენ რომ დიდი ხარ, თუ იცი,
მე რატომ არ მეუბნები?

(ფინალური ორხმოვანება)



ლიტერატურის ყველა კარგმა მკითხველმა იცის ლამის აქსიომა:

ყველა უანრს თავისი სპეციფიკა აქვს და ერთი უანრის მახასიათებლები მეორისათვის კრიტერიუმად რომ გამოვიყენოთ, ტრაგი-კომიკურ შედეგამ-დე მივალთ.

კლასიკის მოყვარულებს მარტივად შევახსენებ შექსპირის ტრაგედიებსა და კომედიებს, რომელიც, ერთი მხრით, თანაბრად ემორჩილებიან დრამის ზოგად კანონებს, მაგრამ უანრობრივად პრიციპულად სხვადასხვა კანონებს მისდევენ (და ქმნიან).

თუმცა ქართველ მკითხველს, ალბათ, მშობლიური ლიტერატურის მაგალითი უჯობს:

მაგალითად, შეიძლება ბარათაშვილის ფილოსოფიური „ფიქრნი მტკვრის პირად“ და გურამიშვილის ბუკოლიკური, დაუსრულებელი პოემა „ქაცვია მწყემსი“, რომლის ცენტრალურ მომენტშიც ვნებამორეულ ახალგაზრდებს ნაცში ეკლები ესობათ, ერთი სამზერიდან განიჩერიკოს? არადა, ხომ ორივე ქართული პოეზიის საგანძურშია?

ან რად გვინდა ბარათაშვილის შენუხება,

თავად „დავითიანის“ დიდ ნაწილს შევუდაროთ „ქაცვია მწყემსი“, თუნდაც იმ ფრაგმენტებს, ძველებს სკოლაში საზეპიროდ რომ გვეძლეოდა.

ვიცი, საბავშვო პოეზიასთან უფრო ახლო მდგომი მაგალითის მოხმობა სჯობდა აქ, მაგრამ თვალსაჩინოების-თვის ეს ვარჩიე.

თუმცა კლასიკას რატომ, შედარებით გვიანდელ მაგალითს მოვუმოოთ!

შეიძლება, თუნდაც არა ადამიანზე, არამედ ერთ ცხოველზე, დათვზე დაწერილი დრამატული ლირიკის ნიმუში და საბავშვო ლექსი განვიხილოთ ერთი და იმავე კრიტერიუმით?

მაგალითად ავიღოთ მურმან ლებანიძის „დათვები“:

მთელი ზამთარი ხუდადოვის ტყეში ეძინა,

იქ ცხოვრობს ჩემი წყეული კასტა.

...

.... და ჰა, ბუნაგიდან გამოვდივარ დაჭრილი დათვი!

ახლა შევადაროთ გივი ჭიჭინაძის ამ ლექსა:

დათუნია დრუნჩასა

ერბო მერგო ქარვისა,

რა გინდ ბევრი მეხვენოთ,

არ დაგითმობთ არვისა!

„რთულად მისაღწევი სიმარტივე“ – აი, რა მოეთხოვება საბავშვო პოეზიას ლექსის მწერალთა სამზერიდან.

უთუოდ ამითაა გაპირობებული, რომ არაერთ დიდსა და „სადიდო“ პოეტს უცდია ხილად ამ უანრის ნიმუშის შექმნა, მაგრამ არ მაგონდება ერთი მაგალითიც კი, შედეგი მათსავე კარგ ლექსებს გატოლებოდეს, არათუ საუკეთესოებს. თუ მე არ მახსოვს ან აქ რამე მეშლება, მადლიერებით მივიღებ მართებულ შენიშვნას.



მარტივად: რა მოეთხოვება საბავშვო ლექსს?

იგი, როგორც ეს განსახილველი ლექსი, აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს თამაშურ საფუძველს.

თამაში უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მხოლოდ ბავშვის, არამედ პიროვნებისა და მეტიც, საზოგადოების ფორმირებისთვის (ვისაც წაკითხული არა აქვს, მოიძიოს თუნდაც ჰორჩინგა).

როგორც ამ ლექსში, საბავშვო პოეზიის თამაში უნდა იყოს კეთილი და სწორი, რაც იმას ნიშნავს, რომ ბავშვის ნაზ ფსიქიაში პოზიტიური მოტივები უნდა შეჰქონდეს შეუმჩნევლად, რათა ეს ბავშვი არ დაემსგავსოს იმ აგრესიულ, უზრდელ „ზეპურ დედებს“, რომელნიც ზემოთ მოვიხსენიე.

საბავშვო პოეზიას, როგორც ამ ლექსს, უნდა ახასიათებდეს საღი იუმორი და პოზიტიურ განწყობას უზრუნველყოფდეს, რაც ბავშვის შემეცნებით არხებს ხსნის (ეს რომ თვალნათლივი იყოს, წარმოიდგინეთ აქ მისი ანტითეზა – უფროსების მხრიდან არაჯანსაღი, ნეგატიური ხუმრობა, შემაშინებელი ან დამამცირებელი, თუნდაც გაუგებარი, რასაც შედეგად ბავშვის მრავალმხრივი „ჩაკეტვა“ მოსდევს).

როგორც ამ ლექსში, ავტორი კარგად უნდა იცნობდეს იმ ასაკობრივ ფსიქოლოგიას, რომლისათვისაც ტექსტია განკუთვნილი;

იცოდეს ბავშვის აზროვნების სპეციფიკა.

ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა სამყაროს, საგანთა და მოვლენათა მიმართ გამოვლენილი ინტენსიური, თუმცა ასაკით გაპირობებული ნაივური ყურადღება; გამოცდილების ჯერაც მწირ, საკუთარ ენობრივ ველში მოქცევის მცდელობა.

საბავშვო პოეტმა ამ ავტორივით უნდა იცოდეს, რომ არსებობს ენის, სიტყვათწარმოების წესის შინაგანი, თანდაყოლილი გრძნობა ბავშვში, გრძნობა, რომელიც მას უბიძგებს, სიტყვათწარმოების წესი განავრცოს და ე.წ. „ანალოგური მოდელირების“ შედეგად საკუთარი ნეოლიგიზმები შექმნას.

დარწმუნებული ვარ, ამ „ზეპურთაგან“ არაერთი დარჩებოდა აღტაცებული, მათ პატარა შვილს ან შვილიშვილს რომ ეკითხა, ღამურას თუ ღამურა ჰქვია, იმიტომ რომ ღამე დაფრინავს, ბელურას დღემურა რატომ არ ჰქვია: ყველას მოუყვებოდნენ, ენაცვალოს დედა/ბებია/მამიდა! ვიღაც სასწაული გვეზრდებაო.



ახლა რა ლექსის გახსენებასაც ვაპირებ, ის რომ ვასილ გულეურს ან რომელიმე მის ქართველ კოლეგას გამოექვეყნებინა, ალბათ, სადარბაზოს წინ დაუხვდებოდა გავეშებულ „ზეპურ დედათა“ სიმრავლე, ხელში ტრანსფარანტებით: „შორს ანტისანიტარია ჩვენი შვილებისაგან“, „ბუზი – შენს ჯიშსა და შთამომავლობას!“ მის ჩვიდმეტ საბავშვო და შვიდ „სადიდო“ წიგნს აუტოდაფეს შესწირავდნენ და ზედ ხელებს გაითბობდნენ თუ მოითბობდნენ (სეზონსა და ვითარებას გააჩნია) და ა.შ., ხოლო თუ გავიხსენებთ, თუ რა ღიად, გამწარებით იწყევლებიან და იმუქრებიან ისინი ფეისბუქება და ზოგადად, ვირტუალში ვასო გულეურის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფით, რიყის ქვები და დანა-ხანჯალიც რომ მოემარჯვებინათ, გასაკვირი არც ის იქნებოდა.

ბუზი, ბუზი ბუზანკალი,
ოქროსმუცლიანი ქალი!

ბუზმა მინდვრად იქროლა.
ბუზმა ფული იპოვა.

მოიარა მან ბაზარი
და იყიდა სამოვარი.

„მოდით, ტარაკანებო,
ჩაის დავაყენებო“

და სტუმრებიც გაჩდნენ იქა,
გამოცალეს ყველა ჭიქა.

სამწერეთი მოიკრიბა,
თითომ შესვა სამი ჭიქა.
უხდებაო რძე დილით,
უყვართ ჩაი კრენდელით.
დღეს ხომ ბუზი ბუზანკალის
დაბადების დღეა!

ცხადია, იცანით! ეს ხომ რუსულე-
ნოვანი საბავშვო პოეზიის ერთ-ერთი
მწვერვალის, კორნეი ჩუკოვსკის „Myxa
Сакатуხა“-ს დასაწყისია, თუმცა რუ-
სული რაღად გვინდა! რამე, საბავშვო
პოეზიის მსოფლიო კლასიკის საგანძუ-
რიდან არ გვირჩევნია?! მაგალითად, ეს:

მე ვარ სემი. მე ვარ სემი.
ეს სახელი არის ჩემი.

– მე სემი ვარ,
მოვალ-მივალ.
მე არ მომწონს, რომ სემი ვარ!
– მიპასუხეთ, გიყვართ ლორი,
მწვანე კვერცხი ერთი-ორი?

– არა, ყელში არ ჩამივა. მე სემი
ვარ!
მე სემი ვარ!
მე არ მიყვარს თქვენი ლორი. მწვანე
კვერცხი ერთი-ორი.

– ხომ არ გინდათ, შინ ან გარეთ?

მე არ მინდა შინ ან გარეთ! მაგას
კერსად დამაძალებთ!
მე არ მიყვარს თქვენი ლორი, მწვანე
კვერცხი ერთი-ორი.
მე არ მიყვარს. მე ვარ სემი!
ეს სახელი არის ჩემი!

„მწვანე კვერცხიო“, არა?! ხედავთ,
როგორ ატყუებენ ბავშვებს?! ამის წამ-
კითხავი „ზეპური დედები“ ხომ არაფ-
რით დაიჯერებდნენ, რომ გაეგოთ, რომ
„მწვანე კვერცხები და ლორი“, რომლის
დასაწყისის თარგმანიც ახლა გაგაცანით,
დოქტორ სუსის საუკეთესო ლექსია; რომ
ყოველწლიურად მისი ავტორის დაბადე-
ბის დღეზე, 2 მარტს, მთელი ინგლისუ-
რენოვანი სამყაროს ბალებში, სკოლებ-
სა თუ რესტორან-სასადილოებში მწვანე
ერბო-კვერცხით უმასპინძლდებიან ბავ-
შვებს, ხოლო სკოლებსა და ბავშვთა სხვა
სასწავლო დაწესებულებებში, გასართობ
ადგილებსა თუ მაღაზიებში წითელზო-
ლიანი წინდებით, უცნაური ქუდებით
და დოქტორ სუსის პერსონაჟთა ტან-
საცმლით იმოსება დიდი თუ პატარა...
კიდევ უარესი! თითქოს ის არ კმარო-
დეს, ყველამ ზეპირად რომ იცის, მასზე
ანიმაციური ფილმიცაა გადაღებული;
მისი პირველი სტრიქონი „მე ვარ სე-
მი“ ხომ არაერთი აკადემიური პრიზის
მფლობელი ფილმის სათაურადაც იქცა
(ვისაც ნანახი აქვს და ახლა მე გავახსე-
ნე, მჯერა, გახსენებაზე ცრემლი თუ არ
მოერეოდა, ყელი მაინც ჩაეკეტებოდა.
ვისაც ჯერ არ უნახავს, ვურჩევ, მოიძი-
ოს, რადგან სწორედ იმაზეა ეს ფილმი,
თუ რა სჭირდება სინამდვილეში ბავშვს
უფროსებისგან, ანუ იმაზე, რასაც ვერ
ხედავენ და ვერ გრძნობენ ჩვენი ნეტარი
„ზეპურები“.

ასე მგონია, კორნეი ჩუკოვსკი – რუ-
სული საბავშვო პოეზიის მწვერვალი,
დოქტორ სუსი – ამერიკულისა – დღე-
ვანდელ საქართველოს რომ პყოლო-
და, ამ „ზეპურ დედათაგან“ ყველაზე
ჰუმანურთა წყალობით, ალბათ, კარგა

ხნის დაქვემდებარებულნი იქნებოდნენ ე.წ. იძულებით მკურნალობას, რედი-არდ კიპლინგის გვერდითა პალატაში.

რედიარდ კიპლინგი ტყუილად რო-დი ვახსენე აქ. გულეურის ეს ლექსი მე მისი შემოქმედებით ინსპირირებულად მიმაჩნია, ოღონდ არა უშუალო გზით, მისი შორეული პირველწყარო უნდა იყოს ერთი ლექსი კრებულიდან „უბ-რალოდ ზღაპრები“, კერძოდ, ლექსი, რომლითაც მთავრდება „პატარა სპი-ლოს ამბავი“. აი, ისიც:

მე მყავს ექვსი მსახური (ზღაპრიდან „პატარა სპილოს ამბავი“)

მე მყავს ექვსი მსახური. ყველა
ერთად მოდის,
რომ დამიდგეს წინ.
მათი სახელებია: რა, რატომ და
როდის,
როგორ, სად და ვინ.
ვგ ზავნი ყველგან: ზღვა არის,
მთებია თუ ბარი,
ოთხივ მხარეს და
შრომით დაღლილს ვასვენებ,
როგორც მეგობარი, –
მოსულს შორიდან.

დილის ცხრიდან ხუთამდე
ვსაქმიანობ რაკი,
არ ვაწუხებ სულ,
არც საუზე-სადილის დროს ღირს
ლაპარაკი,
რადგან ჭამა სურთ.
მაგრამ ადამიანი არის
მრავალგვარი.
ერთ პატარა ქალს
ათი მილიონი ჰყავს მსახურ-
მეგობარი,
შრომით აცლის ძალს.

ფხიზლობს, რათა გაგ ზავნოს
საზღვრებს იქით მარტო,
მინად, ზღვად თუ ცად,

მილიონი „როგორ?“ და ორჯერ
მეტი „რატომ?“
შვიდჯერ მეტი „სად?“

(ეს და სხვა ლექსები და ტექსტები საგანგებოდ „ზეპური დედებისთვის“, ინგლისურიდან და რუსულიდან თარ-გმნა ნინო დარბაისელმა)

კიპლინგის ეს ლექსი იმის დასტუ-რად როდი მოვიყვანე, რომ თითქოს იგი ვასო გულეურის ლექსის უშუალო წინამორბედად მიმაჩნდეს. სიცხადის-თვის უნდა აღინიშნოს, რომ კიპლინ-გის ლექსი, ქრონოლოგიურად პირვე-ლი იყო, იმ ლექსთა შორის, რომელიც ბავშვის ამ ასაკობრივ თავისებურებას – ინტენსიურ ცნობისმოყვარეობას შე-ეხო. პატარა სპილოს ამბავიც ხომ იმას ეხება, ზედმეტი ცნობისმოყვარეობის გამო, ამ უკანასკნელს ცხვირი ხორ-თუმად როგორ გადაექცა. მას შემდეგ არაერთმა საბავშვო პოეტმა დაამუშა-ვა იგივე თემა, არაერთ ნაციონალურ ლიტერატურაში გადავიდა და ინტერ-ტექსტუალურობის მთელი ბადე გაი-ბა. კიპლინგთან ინტერტექსტუალური კავშირი ჩვენს განსახილველ ლექსს ინ-დირექტული, ანუ არაპირდაპირი აქვს, მათ შუა მინიმუმ, კიდევ ერთი ქართუ-ლი პოეტური ტექსტია, რომელიც, ჩემი ვარაუდით, რუსული წყაროდან უნდა იღებდეს სათავეს.

კიპლინგის ის ლექსი ადრევე, არაერ-თხელ ითარგმნა რუსულად, ქართულა-დაც, ანუ ვასილ გულეურს არაფერი შე-უშლიდა ხელს, ისიც სცოდნოდა, მაგრამ ამ შემთხვევაში კიპლინგი მისი უშუალო წინამორბედი ვერ იქნება. ვასილ გულე-ურის ლექსის თემის წინარე დამუშავება უკვე სხვა საფეხურზე ასული ჩანს.

ვინც მორის ფოცხიშვილის შემოქ-მედებას იცნობს, ეცოდინება, რომ იგი ბევრს მუშაობდა ქართული სასიმღერო რეპერტუარის ტექსტებზე. პირადად მე ვაჟა აზარაშვილისგან არაერთგზის მომისმენია, რომ მორის ფოცხიშვი-

ლისთანა ადამიანის წასვლა დიდი დანაკლისი იყო იყო ქართველი კომპოზიტორებისთვის, რადგან მას გააჩნდა უნიკალური უნარი მზა სასიმღერო მელოდიაზე ტექსტის დადებისა. ეს იქნებ არც მომგონებოდა ახლა, რომ არა ტექსტი, რომელიც მინდა, ჩემი თაობის ადამიანებს გავახსენო. თქმა მიჭირს, ამ შესანიშნავ სიმღერაში რომელი იყო პირველადი – ლექსი თუ მუსიკა, რომელსაც ფოცხიშვილმა პოეტური ტექსტი „დაადო“ (ვგულისხმობ სიმღერას „მზიურის“ პირველი თაობის რეპერტუარიდან). „რატომ? საიდან? რისთვის? – ვეკითხებოდი ყველას (როგორც ჩემთვის ცნობილია – თავდაპირველი, ვრცელი ვერსიის მიხედვით, ხოლო „მზიური“ უკვე შემოკლებულ-შეცვლილ ვერსიას ასრულებს, თუმცა არც ეს ენინააღმდეგება ჩემს მოსაზრებას). იმ ლექსის მიხედვით, ბავშვი უკვე სკოლის მოსწავლეა, წიგნებს კითხულობს, ცოდნას ენაფება და იცის პასუხები კითხვებზე, რომლებიც სკოლაში წასვლამდე აინტერესებდა: რატომ ვარდება მეხი, რატომ არის ყინული ცივი, რად არ დაფრინავს თევზი და ა.შ.

კონფლიქტი იმ სიმღერაში არ არსებობს (მოკლე, „მზიურისეულ“ ვერსიაშიც კი ფინალი ლიაა, ე.ნ. რკალურ რეფრენად მეორდება თავში დასმული კითხვა). უკონფლიქტობის იდეოლოგის გარკვეული ექო ხომ კვლავაც მოქმედი იყო მაშინ! (გასული საუკუნის სამოცდა-ათიან წლებს შეა). ბავშვი გაიზრდება და სკოლაში ყველაფერს ისწავლის. დროის ამბავია. დასკვნა – „ცოდნა – სამყაროს შეცნობისას – ლამპარია“.

რა შემდეგ ნაბიჯს დგამს ინტერტექსტუალურ კიბეზე ვასილ გულეური, გარდა იმისა, რომ ფინალში კონფლიქტი შემოაქვს?

უფროსი ძმის სახით, გვიხატავს ადამიანს, რომელიც ზემოდან უყურებს სხვას, მას, ვისაც უპასუხო კითხვები აწუხებს, ხოლო თავად ამ კითხვებზე საპასუხოდ

მზად არაა (სოციალური პლანი); გარდა ამისა, ვასილ გულეურს შემოაქვს ახალი, ენასთან, მისი სიტყვათნარმობების წეს-თან, ადამიანის ასაკობრივი მიმართების პრობლემა, ეს კი კროსდისციპლინარული პრობლემა ენათმეცნიერებას, ასაკობრივ ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიას შორის. საქმეში ჩაუხედავი ადამიანის-თვის, ორთოდოქსი ოპონენტის, „ზეპური დედისთვის“ იქნებ ხმამაღლადაც უღერდეს, მაგრამ აგერ, ზემოთ დევს ტექსტი, პრობლემა აშკარაა და მასზე პასუხს ვერც მარტო ენათმეცნიერება ფარავს, ვერც ასაკობრივი ფსიქოლოგია და ვერც მარტო სოციოლოგია. და კვლავ ჩემი საყვარელი ფრაზა: „თუ მე არასწორად მესმის, მადლიერად მივიღებ ყველა დასაბუთებულ განმარტებას!“

იქნებ ვინმეს ფიქრით, ერთ საბავშვო, შვიდსტროფიან ლექსის კიდევ მეტი მოეთხოვება? მე ვფიქრობ, არა!

●

საკვირველზე საკვირველია ერთი ამბავი. საქართველოში, რომელსაც, რიტორიკულად თუ გულწრფელად, „პოეტების ქვეყანას“ უწოდებენ, დღეს მაინც, როცა მთელი საქართველო წერს, ჯერაც არ არსებობს ლექსის წერის სასწავლი რაიმე სახელმძღვანელო. არადა, სხვადასხვა ენაზე გამოცემული ასეთი წიგნებით სავსეა უცხოეთის მაღაზიები. ბევრგან შეხვდებით თავს – „როგორ დავწეროთ ლექსი ბავშვებისათვის“. ამ თემისადმი მიძღვნილი სტატიების სიმცირეც ნამდვილად არ იგრძნობა. „გუგლით“ ძებნა ვისაც არ ეზარება, ინტერნეტშიც ბევრს იპოვის.

დამაინტერესა და ერთგან მოცემულ, ექვსპუნქტიან მეთოდურ რჩევებს შევუდარე ვასილ გულეურის ეს ერთი ლექსი. წერისას ძალიან ვეცადე, მთავარ დინებას არ ავცდენოდი და მის სხვა ლექსებზე არ მეღაპარაკა.

შევუდარე ეს ლექსი და, გინდ დამიკერეთ, გინდ არა, ხურდაც კი დამრჩა!

ჯერ ვიფიქრე, შევიტან ამ ჩემს წერილში მეტი თვალსაჩინოებისთვის-მეთქი... ახალგაზრდა ლიტერატორი რომ ვყოფილიყავი, დაუყოვნებლივ ასეც მოვიქცეოდი, გადმოკოპირებას რაღა უნდა, მაგრამ ასაკში რომ შედიხარ ადამიანი, გამოცდილებით ბევრს სწავლობ.

არსებით სადავოს რომ ვერ მოერეოდნენ ოპონენტები, დაიწყებდნენ რამე ასეთს:

– ხედავთ, დარბაისელს უნდა, ქართული, მშობლიური ლიტერატურა უცხო არშინით გაგვიზომოს;

– მაგათგან რა გვესწავლება, კოლუმბი რომ ჯერ მაგათ ქვეყანას დაეძებდა, ვახტანგ მეფე კანონებს გვიწერდაო;

– ეგ რა ავტორია, ვისაც ეს იმოწმებს, მაგაზე დიდი საბავშვო პოეტები სხვები არიან. ისინი უფრო მეტ ან ნაკლებ კრიტერიუმებს ასახელებენ!

– ეგრე ხომ სხვათა ლექსებიც შეიძლება მაგ პუნქტებს მოერგოს, ნეტა თავის ინგლისურის ცოდნას რას გვახსარბეჭსო... დაიწყებოდა ჩემთვის უცნობი ავტორების დასახელება.

– და ასე შემდეგ...

და მართლებიც იქნებოდნენ, გარკვეული გაგებით.

როგორც ინტერნეტიდან ვხედავ, ვასო გულეური საქართველოში არაერთ საინტერესო საქმეს უძღვება, საბავშვო პოეზიის, ლიტერატურის პოპულარიზაციის მიზნით. აი, ძირითადად ის მიმართულებანი, რაც ინტერნეტში მიპოვია:

შაბათის შეხვედრები – „ბავშვები მწერალთა სახლში“;

სისტემატური შეხვედრები ბავშვებთან სკოლებში, როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში;

პანდემიის პერიოდში ონლაინ-ჩართვები სკოლებში, პირდაპირი ჩართვები და საბავშვო ლიტერატურაზე საუბრები;

„იუთუბის“ არხზე საკუთარი შემოქმედების აუდიოჩანაწერები (კარანტინის პერიოდში ამ ვიდეოებს რამდენიმე ათასი ნახვა ჰქონდა დღეში);

საბავშვო ლიტერატურის თარგმნა...

იქნებ რაიმე კიდეც გამომრჩა. ყველაფრისთვის ამსიშორიდან თვალის დევნება ძნელია, თუმცა ადვილია იმის დანახვა, რომ ვასილ გულეური საკუთარი პრაქტიკული მაგალითთაც გვიჩვენებს, როგორი უნდა იყოს საბავშვო პოეტი, საბავშვო ლექსი, რაკრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი... ზოგადად, ეს არის ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა მოახმარო შენი ნიჭი და ცოდნა შენს ქვეყანას, მაგრამ ეს მაინც ცოტაა...

მასზე კარგად დღეს საქართველოში ვერავინ შექმნის თუნდაც პატარა წიგნს „როგორ დავწეროთ საბავშვო ლექსი“ (სახელმძღვანელო დამწყებთათვის); უცხოური მასალებით აგრე, მე მოვამარაგებდი...

წავიოცნებოთ:

ეს უნდა იყოს ერთდროულად პრაქტიკული სახელმძღვანელოც, საუკეთესო თვალსაჩინოებებით, ფერადი ნახატებით, სახალისო დავალებებით და ზოგადად, მსოფლიო და ქართული საბავშვო პოეზიის ისტორიაც.

თუ ვასილ გულეური იტყვის, მარტო ამხელა სამუშაოს ვერ შევეჭიდებიო. საბედნიეროდ, გყვავს დღეს მთელი წყება საბავშვო პოეზიის შესანიშნავი ავტორებისა, კალამიც რომ კარგად უჭრით, გონებაც, ილუსტრირებაც რომ შთამბეჭდავად შეუძლიათ, მაგრამ, კარგი საქმის საკეთებლად საერთო პროექტში გაერთიანება, კარგი წინამძლოლი და გუნდად ქცევა აკლიათ.

იმედი მაქვს, მათზე საუბრის საშუალებაც გვექნება.

არ ამონვიდე, ბალახო!

(3. ჯავახაძის ერთი ლექსის გამო)

მოდით, ასეთი რამ წარმოვიდგინოთ:

ვითომ მე ვახტანგ ჯავახაძის ეს და სხვა ლექსები ლამის ბავშვობიდანვე ზეპირად კი არ ვიცი და მიყვარს, საერთოდ არ ვიცი, ვინ არის; ვითომ სადღაც, ფურცელზე და-ნერილი ეს ტექსტი ვიპოვე...

ვიყოთ ცოტა რომანტიკულები, რა უჭირს!

— საქართველოში ჩამოსული შავ ზღვაზე ვისვერებდი და ბოთლი გამორიყა წყალმა. გავხსენი და შიგ ფურცელი იდო. ზედ უცნაურად, სულ კაბეებად დატეხილი რაღაც ეწერა, არც — ავტორი, არც — არაფერი! ვკითხულობ და ვერ გამიგია, რა არის ეს!

ტყეში ამოდი,
ბალახო,
მზეში ამოდი,
ბალახო,
მთაზე ამოდი,
ბალახო,
გზაზე ამოდი,
ბალახო,
თუ გინდ
ასფალტზე ამოდი,
თუ გინდ
კიბესთან ამოდი,
არ
ამოხვიდე
კიბეზე!

რაღაც ბალახზე კია ლაპარაკი, ერთი და იგივე წინადადების კონსტრუქციები მეორდება და მეორდება, თავიდან ყველა წინა-დადება „ბალახოთი“ მთავრდება. ბოლოში, ორჯერ, „ამოდი“ ენაცვლება, სულ ბოლოს კი ეს „ამოდიც“ და მთელი ტექსტიც აფირმაციულობას, ანუ მტკიცებით ხასიათს კარგავს და ნეგაციით, ანუ უარყოფა-აკრძალვით იცვლება: „არ ამოხვიდე!“

სულ ცამეტი სიტყვაა.
ლექსია?
რიტმი კი აშკარად აქვს ლექსისა, თან

არც მეტი, არც ნაკლები — ქართული შაირისა, თანაც არა ხალხურის, არამედ მთლად რუსთველური დაბალი შაირისა, დაქტილური, ანუ თავმახვილიანი სამმარცვლელი სიტყვის — „ბალახოს“ წყალობით. რიტმულად ლამის ზუსტად ჯდება სტროფში: „იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვიანი“ და ა.შ. ოლონდ უკვე მოდერნიზებულია. დიდ და მცირე ცეზურებთან — დაყოფის ადგილებზე, ანუ სალექსო პაუზებთან ტაები გაკვეთილია და გრაფიკულად ლექსი, როგორც უკვე ვთქვი, კიბეებად დატეხილ სტრიქონებადაა წარმოდგენილი...

თვალსაჩინოებისთვის მოვშალოთ გრაფიკული პლანი და შაირად გადავაწყოთ ეს ლექსი:

ტყეში ამოდი, ბალახო, მზეში /
ამოდი, ბალახო, //
მთაზე ამოდი, ბალახო, გზაზე /
ამოდი, ბალახო, //
თუ გინდ, ასფალტზე ამოდი, თუ/
გინდ კიბესთან ამოდი, /
არ ამოხვიდე კიბეზე!...//

ჰმ! არათუ ერთი მარცვლის ან მარცვლების, ან თუნდაც ტერფის, არამედ დიდი ცეზურის, ანუ დიდი პაუზის შემდგომი მთელი ნაწილის — მუხლის მოკვეთაა, ასე ვთქათ, უზარმაზარი კატალექსისი (თუ რომელიმე თქვენგანი ამ წერილს კითხულობთ, ძვირფასო კოლეგებო, ვიდრე შენიშნავდეთ, თავად ვიტყვი, ასე პირობითად ვუწოდებ).

რას უნდა ემსახურებოდეს ეს ხერხი? სკოლის ასაკიდანვე ქართველი მკითხველის ყურში საფუძვლიანად გამჯდარი რიტმული ინერცია, დაწყებული პირველი სტრიქონიდან, ბოლოში უეცრად წყდება და დაუსრულებლობის, უკმარობის გამოწვევის ამ ეფექტით კიდევ მეტად არის გამოკვეთილი თეზა-ანტითეზური ფინალი (ამოდი/არ ამოხვიდე).

და თუ შაირია, რითმები რატომ არა აქვსო?! იქნებ კონვენციური კია, მაგრამ ურითმო, ანუ თეთრი ლექსია, ანუ ვერბლანიო?!

ვფიქრობ, რითმის ფუნქცია აქ სტრიქონთა ბოლოში ჯერ ოთხჯერ გამეორებულ სიტყვას „ბალახო“, ხოლო ბოლოსკენ „ამოდი“-ს ეკისრება.



რაკი ეს რევიუ თამაშის პირობით დავიწყე, ხომ შეიძლება, ხანდახან „თამაშგარე მდგომარეობაშიც“ აღმოვჩნდე და იქიდან შემოვაწიო რეპლიკა?

ლექსის გრაფიკაზე საუბრისას, უკვე ალვნიშნე, მას ფინალში, გრაფიკულად, კიბის ფორმა აქვს-მეტე. გრაფიკული პოეზიის ვახტანგ ჯავახაძისეულ ნიმუშებში ერთი სწორედ კიბის ფორმის ლექსიცაა – „ამ სტრიქონებზე, როგორც კიბის საფეხურებზე“... ლექსი ასე ბოლოვდება:

ფრთხილად,
აქ ბოლო საფეხური
ჩატეხილია.

აქ

გელოდები, ვით ამ ლექსის
ბოლო წერტილი.

გასული საუკუნის სამოც-სამოცდათიან წლებში ვახტანგ ჯავახაძე ერთი იმ მცირე-რიცხოვან პოეტთაგანი იყო, ვინც ქართული ლექსის ახალ-ახალი ფორმებითა და სახეობებით გამდიდრებაზე ინტენსიურად მუშაობდა.

მისი მრავალგვარი, თამამი, წარმატებული ექსპერიმენტი ამ სფეროში წინა დეკადებში რომ გამოჩენილიყო, ავტორს სხვა, რამდენიმე კოლეგასთან ერთად, ლიტერატურაში ფორმალიზმის დანერგვის მცდელობისთვის, ანუ საბჭოთა იდეოლოგიის მიერ ასეთი წარმატებით დაძლეული კაპიტალისტური სამყაროს კულტურული დივერსიის ხელშეწყობისთვის, კარგი არაფერი ელოდა, მაგრამ ეს ყველაფერი სწორედ გვიანსაბჭოური პერიოდის დასაწყისს დაემთხვა, ეს პერიოდი კი („ოტტეპელის“ შემდგომი საფეხური, გაგრძელება) გაცი-

ლებით ლოიალური იყო შემოქმედთა მიმართ (თუმცა არც-თუ მთლად თვალმოხუჭული).

უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგ ჯავახსაძის შემოქმედებას მაშინ არ დაუკავებია ადგილი მაგისტრალურ დინებაში. მაგისტრალს სხვა დიდი სახელები მიუძღლოდნენ. იგი სადღაც, მაგისტრალსა და პერიფერიას შუა იდგა და მიმდევრებიც დიდად არ გასჩენია, თუმცა სასწავლი ნამდვილად ბევრი იყო და არის მასში. ჩემი პროგნოზით, თუ ქართულ პოეზიას არსებობა და განვითარება უწერია, მისი იმდროინდელი შემოქმედებით დაინტერესება უფრო და უფრო მოიმატებს.



დავუბრუნდეთ თამაშს!

შინაარსზე ვფიქრობ:

– რაო, რა მინდაო – ავტორმა?

– ბალახის ელაპარაკება, – სადაც გინდა, იქ ამოდი, ოლონდ კიბეზე არ ამოვიდეო, თან არც სიცოცხლის წყურვილის ძალას უკარგავს, თუ გინდა, ასფალტზეც ამოდიო.

ბებია ქუთათური მყავდა და მისგან გამიგონია, რომ წყევლათა შორის იქ ერთი ასეთი – ყველაზე საშინელიც არსებობდა: „თქვენს კიბეზე ვნახე ბალახი ამოსულიო“

– რაც, კახურად რომ ვთარგმნო, გამოვა – ერთიანად ამონწყვეტილი მენახოს თქვენი ჯიში და ჯილაგიო.

(ჩვენს ძელებს ხომ უთქვამთ რაღაც ასეთი, ჩვენებური სიყვარული სულ ლანდღვააო და იქნებ, წყევლაც ჩვენი ალერსის ფორმა).

მართლაც, კიბე, რომელზეც ადამიანები აღარ ადი-ჩამოდიან, მათი ხშირი ნაბიჯებით აღარ იტკებენბა, დროთა ვითარებაში ადამიანურის ნაცვლად „სხვა სიცოცხლით“ იფარება.

სალხური შელოცვისა თუ გამოლოცვის მაგიურ ტექსტებს ახასიათებს ე.ნ. ჩამონათვალურობა და ერთი და იმავე ან მსგავსი სინტაქსური კონსტრუქციების გამეორება და ამ გზით თავისებურ ჰიპნოზურ

მდგომარეობაში ცნობიერების გადაყვანა.

იქნებ ვინმე არსებული ან მოსალოდ-ნელი წყევლისგან გათავისუფლებას ცდი-ლობს? („მაგრამ შენ გინდა ერთადერთი, წყევლისაგან განთავისუფლება“ – გალაკ-ტიონი „დედოფალა“).

ბალახის შესახებ ქართულ პოეზიაში და სხვაგანაც არაერთი კარგი ლექსი არსებობს, მაგრამ ძნელია, ამ დროს არ გამახ-სენდეს რობერტ ფროსტის უცნობილესი ლექსი ამავე თემაზე.

ბალახი

ყარეთ ზვინებად სხეულები აუსტერ-ლიცში, ვატერლოოში,

ქვეშ შემომიგეთ ნიჩბებით და მიმიშვით მერე! – მე გადავფარავ სუყველაფერს.

ყარეთ ზვინებად გეტისბერგში,

ყარეთ ეპრაში და ვერდენში,

ქვეშ შემომიგეთ ნიჩბებით და

მიმიშვით მერე!

სულ ორი წელი, ათი წელი და მერე
ჰკითხონ გამყოლს მგ ზავრებმა:
რა ადგილია?
სად ვიმყოფებით?

მე ვარ ბალახი.

გთხოვთ, მიმიშვათ სამუშაოზე!

(თარგმანი ნინო დარბაისელისა)

ნაპოვნი ტექსტისა და ფროსტის ამ ლექსის ნათესაობა მე ხელშესახები მგონია. ორივეგან ბალახი და სიკვდილია მთავარი ტოპიკი, თუმცა გენეტიკურია ეს ნათესაობა თუ მარტოოდენ ტიპობრივი, ძნელი სათქმელია, ერთი განსხვავება კი უნდა აღინიშნოს. ფროსტს პრობლემა ზოგად-კაცობრიულ ასპექტში აქვს მოაზრებული, ჩვენს ფურცელზე კი რაღაც ისეთი წერია, კერძო ადამიანის ღრმა ქვეცნობიერისკენ რომ მიემართება, ანუ აქ სრულიად სხვა-დასხვა, საპირისპირო ვექტორები გვაქვს. რობერტ ფროსტი ამ ლექსში ცნობილი ინ-გლისური იდიომის პოეტურ ვერსიას ქმნის

– „ხალიჩის ქვეშ რამის შეგვა ან შეხვეტა“, რაც პოლიტიკურ დისკურსში ხშირად გა-მოიყენება და ნიშნავს სერიოზული, დიდი პრობლემის უცებ, მარჯვედ თუ ლამაზად დამალვას, „გადაფარვას“ მოჩვენებითი წესრიგით, თუმცა ფროსტი ცოცხს ნიჩბით ცვლის და ბალახი-ხალიჩის საუთარ პოე-ტურ სახეს ქმნის – ზნმად აქცევს რა არ-სებით სახელს „ნიჩაბი“. მის სტილს რომ საშუალება მოეცა, ალბათ, თარგმანში „მი-ანიჩეთ“ უნდა გამომეყენებინა...

თუმცა გვეყოფა ფროსტზე! ისევ ჩვენს ნაპოვნს მივუბრუნდეთ.

აი, ვკითხულობ და გრძელი სიტყვის მოკლედ თქმა, როგორც შაირის სიკარგის ნიშანი, მაგრანდება. მართლაც, ადვილი არ უნდა იყოს, როგორც გურამიშვილი იტ-ყოდა, „ძეძვით შეუმოსავად“, სულ მცირე, მინიმალურად მცირე ლექსიკური მარაგის გამოყენებით, (13 სიტყვა!) მეტიც, პოეტუ-რი ტროპის სახეობათა მინიმალური მო-მარჯვების გარეშე, სიკვდილი-სიცოცხლის მარადიული თემის ამ მოულოდნელ პრიზ-მაში მოხელთება! მრავალმხრივ მინიმალუ-რი დანახარჯის ფასად – მაქსიმალური ეფექტი! ეს ეფექტი კი მიიღწევა მკაფიოდ გამოკვეთილი რიტმით, რომელიც, მეტრუ-ლი რიტმის ვარიაციის გარდა, ძირითადად იქმნება სინტაქსური პარალელიზმებითა და ინტონაციური გრადაციით.

აქ, ალბათ, პასუხი ერთ ცნობილ გარე-მოებაშიც უნდა ვეძიოთ:

პოეტურ მეტყველებას პროზაულისგან გამოარჩევს არა მხოლოდ ე.წ. მეტრული რიტმი და რითმა ან პოეტური ტროპის სა-ხეობებით სარგებლობა, ან თუნდაც „პოე-ტური“ სათქმელი (დღეს პოეზიის სათქმე-ლი გაცილებით მრავალფეროვანია), არა-მედ ლექსის სხვადასხვა ასპექტის გამეო-რებათა, სიმეტრიის წყალობით შექმნილი რიტმი, რომელიც, ტრადიციულად, ზოგ-ჯერ მკითხველს ადვილსახილველად არც ეძლევა, უკანა პლანიდან მუშაობს. აქ კი ჩვენთვის უცნობ ავტორს იგი თვალხილუ-ლი გაუხდია, მთლად ხელისგულზე დაუდია მკითხველისთვის.

და ისევ – რეპლიკა თამაშგარე მდგო-
მარეობიდან!

თანამედროვე ხელოვნების ერთი ნიშანი გამომსახულობით საშუალებათა დარგთა-
შორისი ნასესხობაცაა. ამჯერად მუსიკი-
დან ნასესხობის ერთ კერძო შემთხვევაზე მინდა შევაჩერო ყურადღება, მანამდე კი აღვნიშნავ, რომ გამეორება ლექსის დინა-
მიკაში მრავალგვარ, ძირითადად კი ინტო-
ნაციურ გრადაციას იწვევს, რადგან მისი არც ერთი შემთხვევა არ არის თანაბარი ძალისა, თუნდაც, იმიტომ რომ ლექსის სხვადასხვა ნაწილში ლოკალიზდება, ანუ თავსდება განმეორებადი ერთეული და ყო-
ველ ახალ ჯერზე მას მეტი და მეტი სუ-
გესტიური ძალა ეძლევა... (ერთი საგულის-
ხმო მომენტიც თეორიის მოყვარულთათ-
ვის – ზემოთ ვახტანგ ჯავახაძის კიდევ ერთი ლექსი რომ გავიხსენეთ კიბეზე). ის ამგვარ გამეორებებს არ მიმართავს, მაგ-
რამ, შეგვეძლო გვეთქვა, რომ თავისებუ-
რად გრადაციის საპირისპირო მოვლენას -
ანტიკლმაქსის, ანუ კიბეზე დაღმასვლას გამოხატავს, შინაარსითაც და გრაფიკული ფორმითაც).

სუგესტიური, სუგესტია... – არ ვიცი, კიდევ არის თუ არა ლიტმცოდნებით მი-
მოქცევაში ეს ტერმინი, რომელიც ჩვენში რუსულის წყალობით ისე დამკვიდრდა, რომ პირველწყაროს, ცოტა არ იყოს, ასცდა კი-
დეც. მოკლედ, ახალგაზრდა თაობისა რა მოგახსენოთ და წინათაობელები ნამდვილად მიხვდებიან, რას ვგულისხმობ, ახლებმა მარ-
ტივად გაიაზრონ, როგორც „ზემოქმედებითი ან შთამაგონებელი ძალა“.

მორის რაველის ცნობილი მუსიკალური ნაწარმოები, „ბოლერო“ ნახევარი საუკუნის წინათ ტრანსფორმირდა ქართულ პოეზიაში, ერთი მხრივ, ტარიელ ჭანტურიას ირონიულ პაროდიული ლექსის წყალობით („მე რომ გავაბოლე, რომ გავაბოლე რომ“), მეორე მხრივ კი – ვახტანგ ჯავახაძის ამ და სხვა ლექსებით, რომელთა დინამიკაც განმეორე-

ბათა გრადაციას ეყრდნობოდა და რამდენიმე დეკადის შემდგომ ბესიკ ხარანაულის ან უკვე ჰიტად ქცეულ ლექსში გამოვლინდა – „სად არიან შვილები“.

ვინც ბესიკ ხარანაულის შემოქმედებას კარგად იცნობს, დამეთანხმება, რომ აღნიშ-
ნული ლექსი ნამდვილად არ მიეკუთვნება მის კარგ ქმნილებათა რიცხვს, მაგრამ, ჩემი ფიქრით, ეს ის შემთხვევაა, როცა ლექსის ესთეტიკური ღირებულება და პოპულარობის ხარისხი არაერთგვაროვანია, ერთმანეთისგან აცდენილი. ასეთ მაგალითებს ცოტას როდი იცნობს ლიტერატურის ისტორია.

მასსოვს, რომ სასკოლო პროგრამაში ამ ლექსის შეტანამ პედაგოგთა დიდი დაბნეულობაც გამოიწვია და, რომ არა თემურაზ დოიაშვილის ბრწყინვალე ანალიზი და სხვა მკვლევართა შესანიშნავი წერილები, არ არის გამორიცხული, რომ სასკოლო პროგრამიდან მისი ამოღების მოთხოვნისთვისაც ერთად ებრძოლათ მასწავლებლებსა და მშობლებს.



დავბრუნდეთ თამაშში.

მე რამდენიმე სავარაუდო პირველწყარო დავასახელე ამ ლექსისა, მათ შორის ხალხური სიტყვიერება, კერძოდ, მაგიური ტექსტები და მუსიკა, კერძოდ, რაველის „ბოლერო“ და ასე ვცადე ინტერპრეტირება. არ არის გამორიცხული და მოსალოდნელიც კია, რომ ჩემი, როგორც მეითხველისა და ვახტანგ ჯავახაძის, როგორც ავტორის აზრი საუსებით განსხვავებული იყოს. სხვა მეითხველმა სხვა დროს იქნებ სულ სხვა მხრიდან, სხვა გასაღებიც მოარგოს ტექსტს.

სან იქნებ შეგვეშალოს კიდეც.

არა უჭირს!

მთავარია, პოეზიასთან შეხვედრისას, ფიქრი ვისწავლოთ.

და აი, მე ვკეცავ ბოთლიდან ამოღებულ ფურცელს. შიგ ვდებ, მჭიდროდ ვაცობ თავსახურს და ისევ ზღვას ვუბრუნებ.

დაე, ახლა მისი ჯერი იყოს, ვინც ამ ფურცელს იპოვის!

ლალი გულისაშვილი



ინტერვიუ, რომელიც არ შემდგარა

უკაცრავად... გავკადნიერდები და თქვენთან საუბარი მომენატრა. მომენატრა კი არა, ვისურვე. არა, თქვენ არაფერზე შეგანუხებთ, არაფერს გყითხავთ, მხოლოდ მე ვილაპარაკებ, თქვენ არც კი გამოჩენდებით, სახელსაც კი არ ვახსენებ თქვენსას. მხოლოდ მომისმინეთ, ოღონდ არა ისეთმა, როგორსაც ყოველდღე გხედავენ ნაცნობები თუ უცნობები – არა გონიერით, ჩხრევით, მომაკვდინებელი შენიშვნებით... არამედ, ნარმოიდგინეთ, თითქოს ხე ხართ მარტო-სული, დამეხილი, დიდი და ვერშეცნობილი. ერთ მშვენიერ დღეს კი თქვენს დაშაშრულ ტოტზე პატარა ჩიტი შემოფრინდა. რას უზამთ ამ ჩიტს?

მე კი ვზივარ და ვფიქრობ. გადაშლილი მაქვს 1984 წლის „მნათობის“ მეცხრე ნომერი და მიკვირს ის საოცარი დუმილი, რომელიც დღემდე გრძელდება. ეგებ თქვენ მაინც მითხრათ რამე? დაახ, დაახ, საკუთარ თავზე, თქვენს ლექსებზე, საერთოდ-პოეზიაზე...

ეს რა დამემართა... მაპატიეთ!.. მგონი, სულ დაგკარგეთ. როგორ დავიჯერე, რომ

რაიმეს გამიმხელდით, მომიყვებოდით, გამენდობოდით. სხვა ხართ, მაგრამ რატომ არის თქვენი პოეზია „ჩემი?“ – ეს მაინც მითხარით!

დუმილი გრძელდება. მარტო თქვენ კი არა, ყველა დუმს. ნუთუ „ზეპირ გითხრეს“ ქება-დიდება, ტყუილ-მართალი, ავი და კარგი... არა, მე არაფრის მტკიცებას არ ვაპირებ, ხმამალლა ვფიქრობ. თუ ვინმე მკითხავს აზრს (და უკვე დავიჯერე, რომ მკითხეს) დღევანდელ ქართულ პოეზიაზი, ვიტყოდი: ლექსების ციკლი „გამოთხოვება“ ერთ-ერთი ყველაზე ორიგინალური მოვლენაა თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

უკვე გადახაზეთ ეს წინადადება? ნუ ჩქარობთ! მე შეგნებულად დავწერე, რადგანაც ეს ის შემთხვევაა, როდესაც ტრაფარეტული ფრაზა ყველაზე დიდი სიმართლით გამოხატავს სათქმელს, თქვენი ლექსები კი, თითქოს უცნაურია და, ძალიან გგავთ. „არ გახუნდება, დედისავ“ – ნანასავით გიმლერათ ქალმა, „მცირე ანდერძივით“ რომ იჯდა სკამზე და თვალებში შემოგყურებდათ:

ნუხელ ცისპირი მესიზრმა,
ვარსკვლავები და ნარი,
ვიწექ და გულზე მეფინა,
შენი შროშნების ქარი.

ნუთუ ასე ადვილია ცისპირის დასიზ-
მრება? ანდა: „ცისფრად შრიალებს რიურა-
ჟი, /მწვანედ შრიალებს წვიმა...“

და მაინც მგონია, რომ სიტყვა თქვენი პო-
ების „მთავარი პერსონაჟია“. მახსოვს, ერთ
დღეს ძალიან სერიოზულად თქვით: „ორი
თვეა სამ სიტყვას ვეძებ და ვერ მიპოვნიაო“.
პოეტებს შვენით ლეგენდები, თქვენ ჩემზე
უკეთ მოგეხსენებათ. ლეგენდა თქვენზე კი,
ალბათ, ასეთი იქნება: განდევილის მოთმი-
ნებით ჩაიკეტებით რომელმე საყდარში და
მხოლოდ ასეთი თანმიმდევრობით დაალა-
გებთ სიტყვებს: „ძენის შრიალი გვირისტად/
ჩასდევს მდინარის პირებს...“ ანდა: „ცრემლი,
რომელიც მღერის...“

ამ სამი სიტყვიდან რომელიმეს შეცვლა
ისეთივე მკრეხელობა იქნებოდა, როგორც
დამახინჯებულად წარმოთქმული ლოცვა
და ვგრძნობ, რომ ერთდროულად ძალიან
ძველიც ხართ და ძალიან ახალიც, მსუბუ-
ქიც და მძიმეც, ლალიც და ტრაგიკულიც:

კაეშნის კოშკ მაღალო,
ზღუდე გავლია სათის,
ყურანის ღია სურიდან
გულზე უდაბნო გადის...

ყურანის „პოეტური სურები“ ვიცოდი,
მაგრამ „ყურანის ღია სურიდან“ წამოსულ-
მა სევდამ მოსვენება დამიკარგა. თქვენი
ლექსები თქვენივე სევდიანი ბედნიერებაა.
სხვათათვის, ალბათ, ბედნიერი მგოსანი
ხართ, „გემლერებთ და მღერით“. ხალხუ-
რი პოეზიის მსუბუქი სხეული აქვთ თქვენს
ლექსებს, რომლითაც ოსტატურადაა შე-
ნილბული აზრისა და გრძნობის ტრაგიკუ-
ლი სიმძიმე: „ვის უპოვია ზმანება, /გზაა,
ვალია, ძებნე...“

სხვა სალექსო ფორმა, ალბათ, დაამძი-
მებდა ამ თავისთავად მძიმე აზრს, თქვენ
კი ისე წერთ, თითქოს მღერით. გაფიქრე-
ბაც კი გვზარავს იმისა, რაც თქვენ ასეთი
შეუბრალებელი გულწრფელობით გვით-
ხარით, „გზაა, ვალია, ძებნე“ კი როგორი

თავგანწირულობითაა ნათქვამი, თითქოს
ქარებს მისდევდე მინდორში. ვერასოდეს
იპოვი, მაგრამ – „გზაა, ვალია, ძებნე“ და
ასე დაუსრულებლად, რადგან „ვერმიხვდო-
მისა წყენითაა“ ფასეული ადამიანის ცხოვ-
რება და ამ „ვერმიხვდომილის“ ძებნის
გზაზე სიარულია ყველაზე დიდი საზომი
ადამიანთა ტანჯვისა...

ზოგჯერ შეგებულად გინდათ, მოგვატ-
ყუოთ. თითქოს გებრალებოდეთ მკითხველი
ზემორენათქვამში ჩასაწვდომად და ამიტომ
„სამთვარიოს“ დასაწყისში ცდილობთ, სხვა
რამეზე გაამახვილოთ ყურადღება. თითქოს
ეს არის თქვენი ნამდვილი, მთავარი საწუ-
ხარი: „ჩანს ბროლში ყველა ფატმანი, /ვინც
მე მიყვარდა, არ ჩანს...“ კი არ გავიგე, მივ-
ხვდი, ვიგრძენი, რისი თქმაც გინდოდათ.
როგორ დაწერეთ ასეთი სტრიქონები? „სად
მოყმე, ლექსის მიჯნური, /ბნელში დაექებს
ნესტანს“. ნესტანს კი დაექებს, მაგრამ, პირ-
ველ რიგში, „ლექსის მიჯნურია“. რამდენი
ეპითეტია დახარჯული ნესტანის მაქებრის
მიმართ, მაგრამ „ლექსის მიჯნური“ არავის
უწოდებია მისთვის. „უპოვნელი ზმანებაც“
ნესტანს კი არა, მას მიემართება, ყველაზე
დიდი რომაა, ჩვენ გარეთ რომ სუფევს და
მაინც არსად რომ არაა... რა ბედნიერი ხართ,
მას რომ ეძებთ.

როდის დაწერეთ „კვირიკე“? ბავშვო-
ბიდან წერდით? გულით დაატარებდით,
სულს უდგამდით, ყვავილივით ზრდიდით...
ტანჯვით, წვალებით იბადებოდა სიტყვა,
იქმნებოდა სტრიქონები... კმაყოფილება
კი შორს იყო, უჯრაში კეტავდით, გამოქ-
ვეყნებას არც ფიქრობდით, არავის აჩვე-
ნებდით. „ურნებულო თომას“ უნდობლობით
კითხულობდით ყოველ სიტყვას, ყოველ
ფრაზას... ენამეთ? შეუძლებელია! მარტვი-
ლი ბერის მიერ სანთლის შუქზე შექმნილ
საგალობელს ჰგავს ყოველივე. საყდრული
სიცივისა და სიმშვიდის გამოსხივება და
სვანეთის წმინდა კვირიკეს ბაზილიკის მგა-
ლობელ ბერთა მიერ „მტრედისფერ საგა-
ლობლებში“ ამოკითხული ლოცვაა:

ისევ ზარზმა და გელათი,
სამთავისი და მცხეთა,

ტროპარის ნუსხურ გზაწვრილზე
თეთრი მტრედები სხედან...

როგორც დღევანდელი კრიტიკოსები იტყვიან: „ფორმა და შინაარსი ღრმად ეროვნულია, შესრულების მანერა და შინაგანი სტრუქტურა კი – ევროპული“. ერთი სიტყვით, ეროვნულია და, ამავე დროს, ძალიან ევროპულიც. ეგებ სწორედ ეს სინთეზი ქმინის სიძნელეს თქვენი ლექსების ინტიმურ-ემოციური აღქმისათვის?

ყველა სენს კურნავს კვირიკე,
ყველა სატკივარს არჩენს,
ვერ კურნავს გულის სიბრმავეს,
ღვთისგან დადებულ სასჯელს.

პოეზიის წაკითხვა ბრმა გულით შეუძლებელია, მით უფრო, თქვენი პოეზიისა.

ვგრძნობ, უკვე თავი მოგაბეზრეთ, მე კი როგორ მინდა, ცოტა ხანს კიდევ ამიტანოთ:

ივსება ჯავრის ფურცელი,
ჟამი მოგვდის და მიგვდის,
არ იცი, თეთრო ყვავილო,
როგორ უხდები სიკვდილს.

ამ ლექსს „შერიგება“ ჰქია, „სიკვდილ-თან შერიგება“ – ვაზუსტებ ჩემთვის და ბოლო სტრიქონებს ვკითხულობ:

თალხებს ჩაიცვამ, ლამაზო,
ისეც გშევნოდა შავი,
მოხვალ, დამხედავ, დამირგავ
კართან ღვთისმშობლის ყვავილს...
შივ მაინც სევდა ჩადგება,
მოუხელთები სხვისთვის,
არ იცი, თეთრო ყვავილო,
როგორ ვუხდებით სიკვდილს.

რა მოულოდნელად მთავრდება „ზღვაში ჩადიან ღრუბლები“ და, საერთოდ, სიადან იგონებთ ასეთ საშინელ სიმართლეებს? – „ვაპმე, რა მშვიდად თამაშობს, /სიკვდილ-სიცოცხლის თამაშს...“

ეს „ლაზარედანაა“. თქვენი კვირიკეც“ ამ გზით მიდის, მაგრამ უფრო განწირულია, რადგან სიკვდილშიც დაეჭვებულა. ალბათ, ამიტომაც ეფერებით: „სად მიკრთი, ივერთ ნათელო, /მზით, ვარსკვლავებით, მთვარით...“

საიდან დგას „ეკლესიასტეს“ სევდა კვირიკეს გოდებაში: „ნუთუ სიკვდილიც ფუ-

ჭია, /არსად გვეღება კარნი?“

როგორ წამოგცდათ! „სიკვდილის იმედი“ მაინც დაგეტოვებინათ. ასეთი სტრიქონებიც გაქვთ „კვირიკეში“: „უხსოვარ წყლულზე შემეხო, ლურჯი ქიტონის ქობა...“

სწორედ „უხსოვარ წყლულზე შეხებაა“ თქვენი „ძველი სიმღერა“ და „შავშამშე, მეფის მასხარა“. მხოლოდ ემოციისა და განწყობილების შესაქმნელად არ ინერება თქვენი ლექსი. თითოეულ სიტყვაში, სტრიქონში იმხელა აზრი იმაღლება, დაუსრულებლად შეგიძლია იფიქრო, უფრო სწორად, ისწავლო და დაიმახსოვრო:

ეგებ არც ისე ძნელია,
სულის უჟამო ხდამდე,
უფსკრულში ჩაკიდებული
ტყვიას ტყვიაში სვამდე.
ტყვივილის ძაფსლა ემაგრო,
ბოლო ხავილის ექოს,
არა ძალა და იმედი,
სასონარკვეთა გეყოს..

აქამდე მეგონა, გმირობა ის იყო, ძალა და იმედი თუ გეყოფოდა, თქვენ კი გვასწავლით, „სასონარკვეთა გეყოსო“. თურმე იმედი კი არა, უიმედობა უნდა გეყოს, რომ გადარჩე. „ტყივილის ძაფზე“ დაკიდებულ ადამიანთან იმედს რა უნდა! „სულის უჟამო ხდამდე“ მისულიც სასონარკვეთამ უნდა გადაარჩინოს. ალბათ, იმიტომაც გაქვთ „ლაზარეში“ ასეთი შეუსაბამობნი: „სხივ-თალხითგანათებულა“ და „მაცოცხლებელი დარდით“. ჰარმონიულობა დარღვეულია, მაგრამ ჩნდება პიროვნება მთელი თავისი ტრაგედიით, მტკივანი სხეულით, დაქცეული კოშკით, გათელილი მინდვრით, მაგრამ სულიერად ამაღლებული, ღვთაებრივ ნათელში გახვეული, „სხივთალხით განათებული“. თქვენი „მაცოცხლებელი დარდი“ ის მეგზურია, რომელიც მუდამ თან სდევს ერის ბედზე ჩაფიქრებულ კაცს. ამის გარეშე ეკლესიას ვერ ააშენებ, წიგნს ვერ დაწერ, მამულს ლობეს ვერ შემოავლებ... აქედან გამომდინარე, გასაგებია ის საშინელი წყევლაც, ყველას რომ უკითხავთ და, პირველ რიგში, საკუთარ თავს:

ისე შემყროდეს სიკვდილი,

მხარი არ მეგრძნოს ძმისა,
მტრისგანაც გამომეჩოქოს,
დასამარხავი მინა.

წყევლაა, მაგრამ ლოცვასავით ისმის:

განა რა ბევრი მჭირდება,
ვგრძნობდე, თვისტომნი მყვანან,
ვიცოდე, მართლა ჩემია,
ჩემი სახლი და ყანა.

ნატვრაა, თითქოს ნიკოლოზ სასწაულ-
მოქმედს ევედრებით, გულს ულბობთ –
„განა ბევრი რამ მჭირდებაო“ და „მცირე
სასწაულს“ შესთხოვთ: „ვიცოდე, მართლა
ჩემია ჩემი სახლი და ყანა“, „სახლსა და ყა-
ნას“ კი არსმენილ ფიცს აძლევთ:

კლდის ბზარში ჩაკიდებულო,
თვალთა ნათელო, ხალდე,
თავსასთუმალთან, ძილისპირს,
იარაღივით დამდე...
ლმერთმა გისმინოთ!...

როგორ არ შეგეცოდათ შავშამშე, მეფის
მასხარა, პატარა და უბედური კაცი... რო-
გორ აკეიდეთ ამდენი ტვირთი, ასეთი დარ-
დი, ამხელა სათქმელი:

ცრის... რა უღრანი დამეა...
ლმერთო, გზას ავცდი, მგონი...
ძახილის ძალა მომეცი,
ძალა წყვდიადში დგომის.

დიადი სული ანათებს შავშამეშს. გზა-
საცდენილი, თვალბრუნდი, ულამპრო და
უარგნო, ძახილსა და წყვდიადში დგომის
ძალას სთხოვს ლმერთს და არა შველას,
დახმარებას, ნუგეშს... ერთადერთი იმედი
მხოლოდ „მნარე ძახილია“, თუკი დამძახე-
ბელი გამოჩნდება ვინმე, მანამდე კი შავ-
შამშემ იცის, რომ უნდა „იდგეს“, რადგან
სხვა მდგომარეობა უკვე ღალატი და და-
მარცხება იქნება:

ვამბობ: იმედი კვამლია,
ცრემლი – ყომრალი სითხე,
თურმე რამდენი ფარული
სიბრძნე გჭირდება-იდგე.

თუ „უღრან ღამეში“ (და არა „უსიერ
ტყეში“) „მნარე ძახილს“ გავიგებთ და არ
გავყვებით, „ძველი სიმღერის“ ზემონახსე-

ნები წყევლა ანდა რანგი სქოლარის „წყევ-
ლის ბალადა“ აგვიხდება.

სამობლოს სიყვარულს ქადილი არ
სჭირდება, – გვასწავლით თქვენ. ეს ერ-
თადერთი შემთხვევაა, რომელიც არა სიტ-
ყვით, არამედ ტკივილით უნდა გააცხადო.
ყოვლისგამომხატველი სიტყვა მხოლოდ აქ
არის უძლური.

ყოველი დროის მწერლობას გამოხატ-
ვის თავისებური საშუალება ჰქონდა. დღეს
ყურს გვჭრის ხმამაღალი სიტყვიერი შე-
ჯიბრი მამულის სიყვარულში, გლოვა მი-
ტყვებულ სოფლებზე, კიბეზე ამოსულ
ბალაზე, სოფლის ერთადერთ პატრონად
დარჩენილ მოხუცებზე, რომლებიც გვინ-
და, რომ დავამსგავსოთ, მაგრამ არაფრით
ჰგვანან ვაჟა-ფშაველას სანათას. მართალი
ტკივილი აკლიათ და მიტომ, თქვენ კი რა
უბრალოდ წერთ თუნდაც ამ სტრიქონებს:

და ვიდრე უამი დაკრავდეს,
კვლავ ჩამიხვევდეს ჩეერი,
გლების ბიჭი ვარ, ლაზარე,
ხნულში ვდგავარ და ვძლერი.

ხნულში დგახართ და მღერით, ქართუ-
ლი მინით გაქვთ დასვრილი ფეხი, დასვრი-
ლი კი არა, ნატყენი, დაწყლულებული. ეს
მინა რომ არა, ვერ იქნებოდით ასეთი მარ-
თალი, ასეთი სუფთა, ასეთი უბედური...
მამა-პაპათა ძვლებს რომ არ ხედავდეთ გა-
დახნული მინის ყოველ ბელტში, ვერ და-
ნერდით:

მუხლებზე ხელებდაყრილი
ვზივარ ეკვდერის კარად.
აღმდგარა ყველა ლაზარე,
ჩემი ლაზარე – არა!

არაფერია, ლსდგება თქვენი ლაზარეც,
მანამდე კი „სხივთალხით“ იქნება განათე-
ბული თქვენი ქართლი, „გვირგვინი ეკლი-
სა“ და „მნირის არგანი“.

ყველაფერთან ერთად, სიტყვის სიყვა-
რულსაც ვსწავლობთ თქვენგან, სიტყვის
მონახვას, შეგრძნებას, გადარჩენას, გამო-
ყენებას მხოლოდ იქ, სადაც აუცილებლად
უნდა იყოს ის ერთადერთი და არა სხვა
სიტყვა. ალბათ, სწორედ ამიტომ არის ასე-
თი დახვენილი თქვენი ლექსი, თქვენს პო-

ეზიასთან თანაზიარობა კი აუცილებლად გულისხმობს გარკვეულ ინტელექტუალურ საფუძველსა და ტკივილით დაფლეთილ სულს. ამის გარეშე სწორი აღქმა შეუძლებელია. „გლეხის ბიჭი ვარ, ლაზარე, ხნულში ვდგავარ და ვმღერი“, – რომ წერთ, თქვენს შიშველ ფესვებს ნათლად ვხედავთ, ხოლო დახვეწილი, ევროპულ კულტურას ნაზიარები სული დაფარულია. მისი დავიწყება არ შეიძლება, რადგანაც თქვენს „ხნულს“ ნათლის სვეტად ადგას, ანათებს და ამთლიანებს. თქვენ ისეთივე ოსტატობით შეგიძლიათ დაწეროთ ჭეშმრიტად „ხალხური“ ლექსი, როგორც დიდებულ ოსტატთა შესაშური სონეტი.

რამდენი ვიღლაპარაკე...

ვიღლაპარაკე კი არა, „წყალი ვნაყე“, „კედელს ცერცვი შევაყარე“. სიტყვა ვერ

დაგაცდენინეთ. რა ბრძანეთ? საუბარი არ გიყვართ, მხოლოდ წერთ? ყველას როდი შეუძლია ასე ცხოვრება.

უკაცრავად, მართლა ძალიან შეგანუხეთ. თქვენი სულგრძელობის იმედი მქონდა. თქვენთან ერთად, ალბათ, მკითხველიც დავტანჯვე. რა ბრძანეთ? ბოლოს და ბოლოს ვთქვა, ვისზე ვწერ? არ შემიძლია. დასაწყისში დავპირდი, დავპირდი კი არა, ფიცი მივეცი, „თქვენ არც კი გამოჩნდებით, სახელსაც კი არ ვახსენებ-მეთქი თქვენსას“. არ შეიძლება! „გამოთხოვების“ ციკლში კი ერთი ასეთი ლექსიც არის: „ძველი წარწერები“, რომელიც შემდეგი სტრიქონებით მთავრდება: „ოსტატი, ვისი სახელიც არ იკითხება, /გაქარა!“

მაპატიეთ, ისევ ვერაფერი გითხარით.

საშველი არ ყოფილა და ეგ არის!..


მთავარი რედაქტორის მინაწერი:

ნუ გაუკვირდებათ, ნახსენები რომ არ არის იმ კაცის სახელი და გვარი, ვისაც ეს ესე ეძღვნება. ეს არც ესეისტის ორიგინალობის სურვილით არის გაპირობებული და არც იმის უჟველი რწმენით, რომ მკითხველი ვალდებულია, აქ მოხმობილი რამდენიმე პოეტური სტროფის მეშვეობით ამოიცნოს მისი ავტორი. ესეისტის განზრახვა დავით წერედიანის პირვენებისა და ცხოვრების სტილითაა ნაკარნახევი. ის მაქსიმალურად იყო განრიდებული წუთისოფლის ხმაურს, პირვენულ ამბიციურობას, პოეტებისათვის ხშირად დამახასიათებელ ბოპემური ცხოვრების წესს. ეს ხელს შეუშლიდა ფიქრსა და ჩაღრმავებაში. მასვე შეეფერებოდა ყველაზე მეტად: „ვაპე, რა მშვიდად თამაშობს სიკვდილ-სიცოცხლის თამაშს“. ამიტომ აღარ გიკვირს, როგორ შეძლო, ინტრავერტულობისკენ მიდრეკილმა კაცმა ჩვენამდე მოეტანა ქურდის და ყაჩაღის, სიკვდილმისჯილი კაცის, ფრანსუა ვიორნის გასაოცარი სითამამე, თავხედობამდე მისული ირონია ყველასა და ყველაფრისადმი. მსუბუქ ირონიას, ოღონდ უსიტყვოს, როცა რაიმე არ მოსწონდა, დავით წერედიანსაც შეამჩნევდით. შესანიშნავია მისი ნათარგმნი ფრანსუა ვიორნის დიდი და მცირე ანდერძები. ამავდროულად, მთარგმნელის ინტერესის სფეროში ექცევა გოეთეს „ფაუსტიც“.

თვითჩაღრმავების უამს მშობლიური ფესვების მაცოცხლებელ ენერგიასაც გრძნობდა მისი გულისძერა. ამის შედეგია სვანური პოეზიის წერედიანისეული თარგმანები.

ცალკე აღსანიშნავია დავით წერედიანის ლიტერატურული ნარკვევები და ესეისტიკა. პირადად მე, მისდამი, როგორც ესეისტისადმი, პატივისცემა იმით გამოვხატე, რომ 2002 წელს აღმანახში „ლიტერატურა და სხვა“, რომლის რედაქტორ-გამომცემელიც გახლდით, რუბრიკით – მასტერკლასი – დავგეხვდე დავით წერედიანის „ცოტა რამ აკაკის ლირიკაზე“.

30 დეკემბერს დავით წერედიანის გარდაცვალებიდან ერთი წელი სრულდება.



ლუიჯი ბაგაროტო

ქართული ავანგარდის ისტორია და თეორია (1915-1924)

[გაგრძელება. დასაწყისი - „ცისკარი 1852“-ის მე-4 ნომერში]

3. „საბჭოთა პერიოდის დასაწყისში ჩვენ ისევ ფრანგი სიურრეალისტებითა და დადაისტებით ვიყავით გატაცებულნი.“.

ტ. ტაბიძე

ახალგაზრდა „ცისფერყანწელების“ ამპარტავანი და გამომწვევი საქციელი, რომელთაც საქმიანობის ასპარეზად მართლაც ისეთი ქართული ქალაქი აირჩიეს, როგორიც ქუთაისი იყო, დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ ვერ გაუძლეს თბილისის ხიბლს, რომელიც ნამდვილ ინტერნაციონალურ ქალაქად იქცა.

იმ ნლებში რუსეთი სამოქალაქო ომის შედეგად სრულიად გაჩანაგებუ-

ლი იყო; ომს თან ახლდა ყველა მისი თანამდევი საშინელება – გაპარტახება, სიკვდილი, შიმშილი. პატარა, დამოუკიდებელი და სუვერენული საქართველო, როგორც ის ოსიპ მანდელშტამმა აღწერა – „ახალი შვეიცარიის მსგავსი, ნეიტრალური და დაბადებიდან უბინო“¹, რომლის დედაქალაქი – თბილისი – დეზერტირება და ლტოლვილებს აევსოთ, ბოლშევიკების ფარული ინტრიგების საყვარელი ადგილი იყო; აქ ისინი ნოე უორდანის მენშევიკური მთავრობის ჩამოგდებას ცდილობდნენ. ამ პერიოდში თბილისი ბევრი რუსი პოეტის, მხატვრის, მწერლისა და მუსიკოსის თავშესაფარიც გახდა.²

პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, ტიციანის მომავალ მეუღლესთან, ნინო მაყაშვილთან ერთად ხშირად სეირნობ-

1. О. Мандельштам, Меньшевики в Грузии // Собр. соч. в двух томах, т. II, New York, 1966, гл. 236.2.

2. Г. Эристов, Тифлисский цех поэтов, „Современник“, 1962, 5.

დნენ თბილისის ქუჩებსა და მოედნებზე, რომლებიც სულ უფრო და უფრო იცვლებოდა. „ტიციანი მას ძველ თბილისა და თავის პოეზიას აცნობდა. ერევნის მოედნიდან, საიდანაც გოლოვინის პროსპექტი იწყებოდა, სომხური ბაზრის პატარა მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით ძველ ქალაქში შეიძლებოდა ჩასვლა. პატარა, ვიწრო ქუჩებსა და ჩიხებში სიცოცხლე ჩქეფდა; დახლები და დუქნები ერთმანეთის მიყოლებით იყო ჩამწკრივებული, ღვინით შეზარხოშებულთა სიმღერის ხმაც ისმოდა. სომხური ბაზრის ვიწრო გადასასვლელებსა და მაიდანზე ხალხი ფუტკარივით ირეოდა: ტრადიციულად, შავ ფერებში გამოწყობილი ყარაჩოხელები, ჭრელაჭრულად ჩაცმული ქურთები, ჭორიკანა კინტობი, სომები, სპარსი და თათარი ვაჭრები, თურქეთის ფრონტიდან გამოქცეული რუსი დეზერტირი სამხედროები, რომელთაც თავი სადგურთან მოეყარათ, სადაც იარაღსა და სამხედრო ფორმას ყიდდნენ... ამიტომაც იმ ხმაურიან ბაზარს დეზერტირების ბაზარს ეძახდნენ“.¹ მაიდნის ბაზრიდან სულ რამდენიმე ნაბიჯში იყო შაითან ბაზარი (სატანის ბაზარი), უფრო ზუსტად, ქართულად, თათრის ან თათრების ბაზარი, ვინაიდან ქართველები ყველა არაქრისტიან აღმოსავლელს თათარს ეძახდნენ; იქვე იყო სომხური და მართლმადიდებლური ეკლესიები, სინაგოგა და მტკვრის მოპირდაპირე მხარეს, მეტების ციხის წინ – მეჩეთი, რომლის მაღალი მინარეთიდანაც მუედინი ლოცვისაკენ მოუწოდებდა მორწმუნებს. ამ არაჩვეულებრივი ბაზრის დეტალური აღწერა ილია ერნბურგმაც დატოვა: „აქამდე არასოდეს ვყოფილვარ აღმოსავლეთში და ძველი თბილისი მე მაგონებს ქალაქს «ათას ერთი ლამიდან». ჩვენ ვხეტიალობდით უკიდეგანო

მეიდანზე. იქ იყიდებოდა ფირუზი ფისში და ცხელი კვერები, ნარგილები და გრამოფონები, სანელებლები და შაშხანები, მეფე თამარის პორტრეტები და დოლარები, ძველი ხელნაწერები და კაცის საცვლები. მოვაჭრენი გამვლელებს უხმობდნენ, ნაირფერ კომპლიმენტებს აფრქვევდნენ და თავიანთ მრავალრიცხოვან ოჯახის წევრებს იფიცებდნენ“.²

რუსეთიდან თბილისში ჩამოსული პოეტები და მსახიობები მალევე ცდილობდნენ თავიანთი შეწყვეტილი საქმიანობის აღდგენას; ქმნიდნენ ლიტერატურულ დაჯგუფებებს, უშვებდნენ ახალ ჟურნალებს, შემოქმედებითი შეხვედრებისთვის ირჩევდნენ კაფეებს, ანუყობდნენ პოეზიის საღამოებსა და კამათებში მონაწილეობდნენ; თბილისში ის შემოქმედებითი ცხოვრება ჩქეფდა, რომელიც ომამდე მოსკოვსა და პეტერბურგში იყო.

„ცისფერყანწელები“ აქტიურად და მთელი ენერგიით მონაწილეობდნენ რუსი ავანგარდისტების წამოწყებებში. განსაკუთრებით აქტიურნი აღმოჩდნენ მათი ლიდერები – გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი და, ნაწილობრივ, ვალერიან გაფრინდაშვილი. მათი სტატიები და ლექსები იბეჭდებოდა ახალგაზრდა პოეტის, ბორის კორნეევის რედაქტორობით გამოცემულ ჟურნალში „Куранты“, ასევე ჟურნალში „Феникс“, რომლის ირგვლივაც შეკრებილიყვნენ პოეტები – Цех поэтов „Кольчуг“ – და რომლის სულისჩამდგმელიც იყო აკმეისტი პოეტი, „ერეტიკოსი“ იური დეგენი; ბოლოს იყო „ARS-ი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა „ორთოდოქსი“ აკმეისტი პოეტი – სერგეი გოროდეცკი. „ცისფერყანწელები“ ძალიან აქტიურად ებმებოდნენ კამათში, რომელიც იმართებოდა ალექსეი კრუჩინიხის, ილია

1. Г. Цурикова, Поэзия Тициана Табидзе // Т. Табидзе, Стихотворения и поэмы, М.-Л., გვ. 103.
2. И. Эренбург, Люди, годы, жизнь // Собр. соч. в девяти томах, т. VIII, М., გვ. 321.

ზდანევიჩის და 1918 წლიდან იგორ ტერენტიევის მიერ ფუტურეული სტული უნივერსიტეტი) ჩატარებული ლექციების შემდეგ. მათი თავშეყრის ადგილი იყო ძალიან უბადრუკი ფантастический კაბაჩეკ, რომელიც თავიდან ცნობილი იყო სახელით – Студия поэтов. ძნელია იმის დამადასტურებელი საბუთის პოვნა, რასაც ა. კრუჩინიხი ამტკიცებს, რომ, თითქოს, „ცისფერყანწელებმა“ ფანტასტიკური კაბაჩეკ-ის თეორიული დებულებების უშუალო გავლენა განიცადეს. ერთი რამ სრულიად ნათელია, რომ არსებული გაუთავებელი კამათის გარემოში ქართველი პოეტები არასდროს ყოფილან შემწყნარებელნი რუსი პოეტების მიმართ. ისინი ძალიან კარგად აცნობიერებდნენ, რომ ალექსეი კრუჩინიხს, ილია ზდანევიჩსა და იგორ ტერენტიევს თავიანთი ვერბალური გამოგონებებით უკვე დაეტოვებინათ ფუტურისტული ექსპერიმენტალიზმის ნიადაგი, რათა დადაისტურ ნულიზმამდე მისულიყვნენ (რომელიც მისი თანამედროვე შვეიცარიული დადაიზმისაგან დამოუკიდებლად აღმოცენდა). ამას მათ მიერ, ფანტასტიკური კაბაჩეკ-ში ჩატარებული საღამოების გარდა, ძალიან ნათლად ადასტურებს ახალ ჯგუფში, 41°-ში შექმნილი აბსტრაქციისა და აბსურდის პოეზია. სტატიაში – „ირონია და ცინიზმი“, რომელიც 1923 წელს იმ ფუტურისტულ-დადაისტურ ჯგუფთან კამათში დაიბეჭდა, რომელიც 1924 წელს დააარსებს ჟურნალს H_2SO_4 , ტიციან ტაბიძე აღიარებს, რომ „ყველაზე უფრო პრინციპული რუსულ ფუტურიზმში, რომელიც ენათესავება ფრანგულ დადაიზმს, ეს 41°-ილია ზდანევიჩი, ალექსეი კრუჩინიხი და იგორ ტერენტიევმა“.

ბა ისაა, რომ მათ დაიცვეს (ან იცავენ) ქართული პოეზია აბსურდის თეორიების „კონტამინაციისაგან“. და მაინც, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ რუსი ფუტურისტები ქართულ პოეზიაში ქარიშხალივით შემოიქმნენ. მათმა შემოქრამ შექმნა მუდმივი გამოგონების, პოეტური პროვოკაციის, დიდი კულტურული ღიაობის გარემო, გამოაცოცხლა ფანტაზია და „ცისფერყანწელებს“ შემოქმედებითი სიმამაცისკენ უბიძგა. ეს განსაკუთრებით გრიგოლ რობაქიძეს ეხება, რომლის დემონური და მისური პიროვნება ძალიან წააგავდა ა. კრუჩინიხისას, რასაც ფუტურისტებთან კამათში გატარებული ღამეების მოწმე ტ. ტაბიძეც აღიარებს. „ფრაგმენტებით შეუძლებელია „ცისფერი ყანწების“ ისტორიის დაწერა: ყოველი ყანწელი თავის თავს გრძნობს ჯვაროსნად და დაინერება ეს ეპოქა; ახლა წერილის დაწყებისთვის მე მინდა მოვიგონო ერთი ეპიზოდი: ეს იყო კაფე «იმედი». ტფილისში ამ კაფედან დაიწყეს ყანწელებმა: მეორე საღამო მოაწყვეს რუსმა ფუტურისტებმა: ილია ზდანევიჩმა, ალექსეი კრუჩინიხმა და იგორ ტერენტიევმა. ეს საღამო იყო ფუტურისტული მხატვრობისა, სადაც უმთავრესად წარმოდგენილი იყო მეორე ზდანევიჩი¹ და ლადო გუდიაშვილი; მოხსენებას კითხულობდა «ფუტურისტული სიტყვის ეზუიტი» ალექსეი კრუჩინიხი. როდესაც ტფილისის აკადემიურმა წურბელებმა გული იჯერეს (მახსოვს, იყვნენ მათემატიკის დოქტორი გ. ხარაზოვი და ს. გოროდეცკი), როცა ფუტურისტების ფრონტი მოიხსნა და ა. კრუჩინიხი ჩხაოდა, როგორც მიგდებული კატა, სიტყვა გრიგოლ რობაქიძემ აიღო. ეს იყო ქარიშხლის მოვარდნა (ალბათ, ეს ღამე დაამახსოვრდა ა. კრუჩინიხს, როცა გრიგოლ რობაქიძეს დაარქვა: «Специалист по Апокалипсису и

1. А. Кручёных, Фантастический кабачёк, „Куранты“, 1919, 2.

безумиию». Аრ ვიცი, იმ ღამეს ვისთვის ლაპარაკობდა გრიგოლ რობაქიძე: ამართლებდა ფუტურისტებს, თუ ამართლებდა თავის თავს, რომელიც ბედმა განირა ამ ღვაწლისთვის (подвиг), ამოევსო ქართული კულტურის ყველა ხრამი და ხანდისხან ამისთვის მორიდებოდა პირდაპირ გზას...

ის გაცოფებული ლაპარაკობდა და თვალნინ ვერავის ამჩნევდა. მას უღალატა ორატორის ზომიერებამ, ყვიროდა, როგორც დაჭრილი ვეფხი: ეს ღამე მართლა თ. ტიუტჩევის ციცერონესი იყო:

Оператор римской говорил,
Сред бурь гражданских и тревоги:
«Я поздно встал — и на дороге
Застигнут ночью Рима был!»

ომ, მართლაც იყო ეს ღამე: როცა არ იყო მარტო სიტყვები:

Блажен, кто посетил сей мир
В его минуты роковые!
Его призвали всеблагие,
Как собеседника на пир¹.

ასეთი ღამისა და საუბრის მოწყობა მარტო ლადო გუდიაშვილმა დაამტკიცა, რომელიც იმ ღამის შემდეგ სახლში ჩაიკეტა და გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი დახატა: ეს არის უდიდესი, რაც შეუქმნია ლადო გუდიაშვილს: გრიგოლ რობაქიძე არნივის თავით, რომელსაც ტვინი ბალლამივით გადმოსდის და შუბლი ისე შეუკრავს, თითქოს მაცხოვარს ჩასცეს ლახვარი: ამ ღამის სიმფონიის გადმოცემა არ შეიძლება, ეს ღამეც დაიკარგა ისე, როგორც ათასი ყანწელის ღამე, დღემდე დამარწმუნებელი დიდი პოეზიის ნიშნობაში...

ამ აპოკალიპსის ორკესტრიდან რამდენიმე ფრაზა დავიმახსოვრე: აქ იყო

ლაპარაკი ნიცშეს ინსტინქტების ანარქიაზე, ედგარ პოეს მიწის ქვესკნელის გაურჟოლებაზე, გეოლოგიურ კატასტროფებზე; ამ ღამეს გრიგოლ რობაქიძის ასოციაციებით დაიწერებოდა ლოტრეამონის «Poesies» და ლ. გუდიაშვილმა მაღდარორის გ. რობაქიძეში დატოვა ბეჭედი: დასკვნა ასეთი იყო: ფუტურისტები გამართლებული არიან ცხოვრებით: თქვენ ამტკიცებთ, რომ ისინი შეგნებულად ჯამბაზობენ, მაგრამ კარგი: თუ საუკეთესო ახალგაზრდობა საფრანგეთის, რუსეთის, საქართველოსი და შეიძლება მთელი ქვეყნისაც შეგნებულად ჯამბაზობს, მით უარესი თვითონ ქვეყნისთვისო.

განა არ იყო ეს უდიდესი ტერორი?

ამ ღამეს გრიგოლ რობაქიძემ თავისი ნიღაბი გახსნა: ამ ღამეს ის არ იყო მთაწმინდელი,² ღვაწლით შემოსილი, მას სძლია პოეტის უკიდურესობამ... შეიძლებოდა ეს ღამე ყოფილიყო ქართული ფუტურიზმის დეკლარაცია, მაგრამ ეს იყო წმინდა ანტონის ცდუნება.

ეს ღამე მართლა იყო იერონიმუსს ბოსხის ფანტასტიკიდან და ჩაბნელებული ესკურიალივით. ჩემთვის ის აქამდე დარჩა, როგორც ნიშანი. მხოლოდ უდიდესი სიყვარული, როგორც მეტრისადმი, მაბედინებს ვთქვა, რომ იმ ღამეს გრიგოლ რობაქიძე დარჩენილიყო თავისი თავის მიმდევარი — დადაიზმი უკვე ფაქტი იყო საქართველოში. ეს იყო დაგუბებული იარის გახსნა, ბალლამის დაწვეთება.

მართალია, აქედან ახლოს არის თვითმკვლელობამდე (გრიგოლ რობაქიძე ამის შესახებ მაფრთხილებდა და გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდა ჩემთვის ჩემი გამოსვლის დროს. როცა დავით კაკაბაძემ ს. სუდეიკინთან ერთად ტფილისში მხატვრობის საღა-

1. ტ. ტაბიძე, ირონია და ცინიზმი, „მეოცნებე ნიამორები“, 1923, 9.

2. მეორე ზდანევიჩი არის მხატვარი კირილე, ილიას ძმა.

მო მოაწყო და უნდოდა, ეს ყოფილი ყოფილი ფუტურისტული საღამო, მე წავიკითხე დადაიზმის დეკლარაცია), მაგრამ მე აქამდე მახსოვს, რომ ნამდვილი და წმიდა გრიგოლ რობაქიძე იყო ის იმ დამეს. მთელი შემდგომი მტკიცება, რომ დადაიზმი და ფუტურიზმი არის ეშმაკის საქმე, რომ ალექსეი კრუჩინიხი ჭინკაა, ჩემთვის არის მხოლოდ სქოლასტიკა (...)".

„ცისფერყანწელებსა“ და ფუტურისტებს შორის, უფრო მეტიც, რუს პოსტიფუტურისტებს შორის არსებობდა არაორგანული ორგანულობის ურთიერთობა. ორივე ჯგუფი თავის მკვეთრად განსაზღვრულ და განსხვავებულ პოეტურ გზას მიჰყებოდა, თუმცა ისინი მაინც ახდენდნენ ერთმანეთზე გავლენას, გამუდმებით კამათობდნენ, მაგრამ ერთად ბევრ დროს ატარებდნენ; თითქოს ყოველი მათგანი მეორის განადგურებას ლამობდა და მაინც გამუდმებით იგონებდნენ სხვადასხვა წლისთავსა და იუბილეს (Фантастический кабачек-ис იუბილე 1918 წლის 25 ნოემბერს ჩატარდა, ხოლო კამენსკის იუბილე კონსერვატორიის დარბაზში – 1919 წლის 23 ნოემბერს, რომელსაც გ. რობაქიძემ ლექსი მიუძღვნა¹ და სხვ.), რათა ისინი მეგობრულად, ერთად აღენიშნათ. ნათელი ხდება, რომ, „მიგდებულ კატაზე“ კამათის მიუხედავად, „ცისფერყანწელები“ კარგად იღებდნენ რუსი პოსტიფუტურისტების შემოქმედებით ნიჭს, ფანტაზიას და ორგანიზაციულ უნარს. 1919 წელს ვალერიან გაფრინდაშვილმა ა. კრუჩინიხი ასე დაახასიათა – „ის არის პოეზიის ლენინი“, იმ ეპითეტების უკან, რომლითაც მას ახასიათებენ: „ჭინკა“, „ეშმაკის მსახური“ და ა.შ. – იმალება ბავშვური სიფა-

ქიზე. ალექსეი კრუჩინიხი არის გონების გარეშე მდგომი პოეზიის ბელადი და გამომგონებელი, ვ. გაფრინდაშვილი მას „ბუმბერაზს“ უწოდებს, რომელიც სამაგალითოა ქართველი პოეტებისთვის და მას უნდა მიბაძონ და მისგან უნდა ისწავლონ“.²

საბოლოო შედეგები, რომელსაც ა. კრუჩინიხმა მიაღწია თავის პოეზიაში, გამართლებასა და ახსნას პოულობს მისი, როგორც თეორიტიკოსის უნუგეშო ცნობიერებაში, რომელსაც ყოველდღიურობისა და თანამედროვე სამყაროს საშინელი გარემოცვა განაპირობებს. მისი კარგად ცნობილი პოეტური „ექსტრემიზმი“, მის მიერ აბსურდის ძიება, მისი ნაშრომების კომპოზიციური რღვევა – მისი სასოწარკვეთილი ყვირილის გარდაუვალი შედეგია, რომელიც დასავლეთის დადაისტების ბევრ განცხადებას ჰგავს. „კიდევ არის შემორჩენილი ძველი სახელები, მაგრამ არსებითად აღარც ღამეა და აღარც დღე, რადგან მზე აღარ არის“.³

თავიდან არც ერთმა ქართველმა პოეტმა არ მიიღო ალექსეი კრუჩინიხის რადიკალურობა, თანამედროვე ხელოვნების შესახებ მისი დასკვნების ფეხებადი მუხტი. მხოლოდ 1922 წლის 5 მაისს, „ცისფერყანწელების“ მიერ მოწყობილ საღამოზე, ახალგაზრდა პოეტებმა, რომელთაც სათავეში სიმონ ჩიქოვანი ედგათ, თავიანთი მანიფესტი – „ფენიქსი“ წაიკითხეს და ხაზი გაუსვეს იმ შედეგების მნიშვნელობას, რომელთანაც ჯერ ფუტურისტები მისულიყვნენ რუსეთში, ხოლო შემდეგ რუსი პოსტიფუტურისტები – საქართველოში. მათ ამ გამოცდილების გამაგრძელებლად თავი უკვე ღიად გამოაცხადეს. ამ პოეტების მანიფესტი ისევ გაჟღენ-

1. Ф. Тютчев, Цицерон // Стихотворения, М., 1972, გვ. 76.

2. X-XI საუკუნეების ქართველი რელიგიური მოღვაწეები და მწიგნობარნი.

3. ტ. ტაბიძე, დადაიზმი და ცისფერი ყანწები, „მეოცნებე ნიამორები“, 1923, 10.

თილია იმ თემატიკით, რომელიც, როგორც ადრე ვთქვით, ქართული ლიტერატურის მიერ უკვე მიღებული და ათვისებული იყო „ცისფერყანწელების“ მანიფესტიდან, პირველი, ასე ვთქვათ, კლასიკური ფუტურიზმიდან. ა. კრუჩინიშვილის პოსტფუტურიზმის შედეგებმა კი თავისი გავლენა პირდაპირ უურნალის „ H_2SO_4 “-ის შექმნაზე იქონია. ეს ახალგაზრდა პოეტები, თავიანთი ყველაზე ცნობილი რუსი და იტალიელი მასნავლებლების კვალდაკვალ, აცხადებდნენ: „უარყოფთ წარსულს, რადგან იგი არის სამლოცველო ბებრებისა და მომაკვდაკვებისა“; „ქართული პოეზის დამახასიათებელი თვისება იქნება გაქანება, სითამამე და ამბოხება.“... ისინი არიან „დინამიკური“ სიტყვის მიმდევრები, სიტყვას იძლევიან, რომ მთვარის შუქს ჩაანაცვლებენ ელექტრული შუქით, ისინი უმდერიან მანქანას და ქალაქის ხმაურს.¹ ამ გამოსვლას დიდი წარმატება არ მოჰყოლია. „ცისფერყანწელები“, ალბათ, ამაყობდნენ იმით, რომ ისინი იყვნენ პირველი ავანგარდისტები ქართულ ლიტერატურაში, ამიტომ ხმაურიანად აპროტესტებდნენ მანიფესტს და უარყოფითად გამსჭვალულ საზოგადოებასაც აქეზებდნენ. ვიღაცამ სკამების სროლაც დაუწყო „პროვოკატორებს“ და ყველაფერი დიდი არეულ-დარეულობით, ხმაურითა და შეხლა-შემოხლით დამთავრდა. ამის შემდეგ ნეოფუტურისტებმა უკვე თავად მოაწყვეს ლიტერატურული სალამოები და ისე წარსდგნენ საზოგადოების წინაშე (მაგრამ თითქმის ყოველთვის ისეთივე „წარმატებით“ სარგებლობდნენ მსმენელებში, როგორც პირველ შემთხვევაში).² მხოლოდ 1924 წლის მარტში, უურნალ „ H_2SO_4 “-ის გა-

მოცემით, ნათელი ხდება ჯგუფის შემადგენლობა, მისი წევრების ლიტერატურული საქმიანობა და ის მიზნები, საითაც ისინი მიისწრაფიან.

ახალი უურნალის გარეკანზე, სათაურის ქვეშ, ჩამოწერილი იყო მისი თანამშრომლების სია: მხატვარი და გრაფიკოსი ბენო (ბესარიონ) გორდეზიანი, პოეტი და მთარგმნელი ნიოგოლ (ნიკოლოზ) ჩაჩავა, მხატვარი და სცენოგრაფი ირაკლი გამრეკელი (რომელსაც ასე იხსენებს გუდიაშვილი: „ქართული თეატრალური მხატვრობის ეს დიდი რეფორმატორი. მან პირველმა შემოიტანა ქართულ თეატრში ის სპეციფიკა, რაც ამ ხელოვნების – სპექტაკლის სახვითი ხორციშესხმის არსა შეადგენს“),³ პოეტი, ფილოლოგი და მწერალი პავლო (პავლე) ნოზაძე, პოეტი და პროზაიკოსი უანგო ლოლობერიძე, პროზაიკოსი აკაკი ბელიაშვილი, პოეტი და პროზაიკოსი ბიძინა აბულაძე, პოეტი სიმონ ჩიქოვანი, იმ დროს პოეტი და მომავალში კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია, პოეტი და კრიტიკოსი შალვა ალხაზიშვილი. უცნაურია, მაგრამ არ ჩანს ბესარიონ ულენტის ფიგურა, რომელიც მონაწილეობდა პირველ სკანდალურად ცნობილ სალამებში და რომელიც მოგვიანებით უურნალ „მემარცხენეობის“ მნიშვნელოვანი წევრი გახდება. „ H_2SO_4 “-ის გარეკანზე არ არის მითითებული მისი რედაქტორის სახელი, მაგრამ, ეჭვგარეშეა, რომ ჯგუფის ლიდერი სიმონ ჩიქოვანი იყო.

სიმონ ჩიქოვანი 1903 წელს დაიბადა დასავლეთ საქართველოში, სოფელ ნაესაკოვოში; სწავლობდა ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სამთო-საინჟინრო ფაკულტეტზე, მაგრამ, როგორც თავად იხსენებს, მისმა საუკეთესო მე-

1. გ. რობაქიძე, ვასილი კამენსკის, „მეოცნებე ნიამორები“, 1920, 4.

2. ვ. გაფრინდაშვილი, მხატვრული მატიანე, „მეოცნებე ნიამორები“, 1919, 1.

3. A. Кручёных, Язвы Аполлона, „Феникс“, 1919, 1.

გობრებმა, რომლებიც კლასიკურ გიმნაზიაში სწავლობდნენ, მასში ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი ინტერესი გააღვივეს. გადაიფიქრა რა ინჟინრობა, ჩიქოვანმა ლექსების წერა დაიწყო. 1924 წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსები, რომლებშიც იგრძობოდა ფუტურისტების შთაგონება. ამ ლექსებში ის უბრალოდ კი არ მისდევს ველიმირ ხლებინიკოვისა და ალექსეი კრუჩინიხის სწავლებას, არამედ იყენებს სამეგრელოს ფოლკლორის ელემენტებს და ბესიკის პოეტიკისათვის დამახასიათებელ გარკვეულ ნიშნებს. ამ უკანასკნელს უკვე XVIII საუკუნეში ჰქონდა ალიტერაციის ტექნიკით, თითქმის ფუტურისტული „სდვიგოლოგიის“ შესაბამისად შექმნილი პოეზიის საოცარი ნიმუშები, მაგალითად: „ტანო ტატანო“, „შავნი შაშვნი“. ს. ჩიქოვანის პოეზიის საწყისი პერიოდიც, რომელიც ყველაზე უფრო ნათლად და განზრახ ფუტურისტულია თავისი არსით, ქართულ კულტურულ ტრადიციებში იღებს სათავეს (უარი კლასიკური მემკვიდრეობაზე, რომელსაც ადასტურებდნენ თეორიულად, პრაქტიკაში ფრიად განსხვავებულად ხორციელდებოდა), ამიტომაც ის საკმაოდ შორს არის ალოგიკური ექსპერიმენტალიზმიდან და ბერების აბსტრაქტული დაჯგუფებიდან, რომელსაც 41°-ის ვაუმნიკი სთავაზობდნენ; მისი კომპოზიცია ყოველთვის მყარი, ცოცხალი და ნამდვილია. თავისი პირველი ექსპერიმენტების „ H_2SO_4 “-ში გამოქვეყნების შემდეგ, სიმონ ჩიქოვანი ძალიან მალე გამოდის სხვა ხასიათის – თანამედროვე პრობლემებისათვის უფრო გახსნილი, რევოლუციის მოთხოვნების შესაბამისი პოეზიის მომხრე, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ის გაუდენოს იყო პროლეტარული ლიტერატურული ორგანიზაციების (რომლებიც ძალიან აქტიურობდნენ საქართველოშიც) მიერ გავრცელებული იდეოლოგიით, მაინც ინარჩუნებდა განსაკუთრებული,

განსხვავებული დისციპლინის სტატუსს და ვ. მაიაკოვსკის „ლეფ“-ის მსგავსად, რომლის შემოქმედებაშიც ამ მიმართულების რეალიზაციას ხედავდა, დააარსა „ქართული ხელოვნების მემარცხენე ფრონტი“. მისი ორგანო იყო უურნალი „მემარცხენობა“, რომელიც 1927 წლის ბოლოს გამოიცა.

„ H_2SO_4 “-ის მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა. მასში გამოყენებულია ბევრი სხვადასხვა ტიპოგრაფიული შრიფტი. ის ფუტურისტულ სტილშია დაბეჭდილი – გრაფიკული თამაშების შესაბამისად, რომელთა შორის მოთავსებულია მხატვრების – ირაკლი გამრეკელისა და ბენო გორდეზიანის მიერ კუბიზმის გავლენით შესრულებული ნახატები. „ H_2SO_4 “-ის გამოცემის მიზნები წარმოდგენილია უსათაურო მანიფესტში, რომელსაც სრულად გთავაზობთ:

„ H_2SO_4 “-ის გამოსვლით ქართული ხელოვნების არსებული პოზიციები დაირღვა, მომაკვდავი შეკოლების ნარჩენმა თავი მოიყარა სქელტანიან საექსპლოატაციო უურნალებში.

„ H_2SO_4 “-ის დაარსების არგუმენტები: ქართული ხელოვნება სრულიად დაშორდა თანადროულობას: ქართული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა და შემოქმედება გაიმიჯნა: პირველს ხვდა მყოფადური რეალობა, უკანასკნელი კი ისტორიზმსა და შარულ ოთახურ რომანტიკას დაუბრუნდა. ლიტერატურულ მეშჩანიზმის შექმნილი ფორმულა „მშვენიერი ტყუილი“ განსაზღვრაა განვლილი პოზიციებისა. „მშვენიერი ტყუილი“ და აღმშენებლობითი სიმაგრეთანადროულობის ერთ პოლუსშივერ მოთავსდა. აქედან დაიწყო დეკადანსი და სრული განადგურება. „მშვენიერი ტყუილის“ („ყანწები“, „ხომალდელები“, შემდეგ „ილიონი“ – და სხვები.). კომუნისტურმა რევოლუციამ მოსპო პოლიტიკური რომანტიკა შექმნილი ფეოდალურ და წვრილ ბურჟუაზიულ მოზაროვნების მიერ, რომელიც

ისტორიულად ამახინჯებდა ქართულ ორიგინალურ შემოქმედებას – ამიტომ იყო ქართული ხელოვნება ისტორიულად პლაგიატი (ხალხური შემოქმედების გარეშე).

დოკუმენტაციური ქრონიკა: ძველ საფეხურზე მდგომი შკოლების („ყანწები“, „პროლეტარული პოეტები“, „ხომალდები“, „ილიონელები“ და „ძველი მწერლობა“) შენაცვლით გამოდის „ H_2SO_4 “.

„ H_2SO_4 “ თანდროულობის კინემატოგრაფიულ გადაღავებისა და აღმოჩენების ორგანიზაციაა. მასალები პოლიტიკური დეკლარაციისთვის არის გამოცემული მანიფესტებშიც. კომუნისტურმა აღმშენებლობამ მოსპონ ძველი ფსიხიკა? ჩვენ პარალელურად გვიხდებოდა დაგვეშალა ქართული შემოქმედების ანტირევოლუციონური ფორმულიროვება. რევოლუციების შემდეგ სიმბოლიზმი, როგორც ბურჟუაზიულ გემოვნებით წარმოშობილ ლიტერატურული მიმართება, დეკადანსა განიცდის. ქართული სიმბოლიზმის („ყანწები“ და წინანდელი „ილიონი“) დარღვევამ დაბადა ორი ახალი ცდა პოეზიაში – თანადროობის არალეგალობისთვის: ექსპრესიონიზმი და უკიდურესი დეკადენტიზმი. პირველს რელიგიით არათანდროული ფსიქიკის გადარჩნის სურვილს დაჰყვა პატალოგია – მეორე მხარე მოექცა იმაჟინისტური შკოლის გავლენის ქვეშ (განსაკ. შერშენევიჩიადა) და დავიდა დეგენერატიზმის მიღებამდე. „ყანწების“ იმაჟინიზმ-ეკსპრესიონიზმი საზღვრავს ქართული პოეზიის პოზიციებს. რელიგიურ პატრიოტიზმს და უკლასიფიკაციონ გამოსვლებს არ აქვთ გავლენა საერთო ატმოსფეროზე. მიმდევარ ჯგუფებს ხსენებული გაგებათა გადამდერება უხდებათ. პროლეტარული პოეტები, რომლებიც მხოლოდ პრეტენზიენტები არიან რევოლუციონურობის, საერთო

განწყობილების გავლენის ქვეშ მოექცენ. ისინი სიმბოლიზმის მუზეუმში მოთავსებულ მასალებით ქმნიან პრაკლამაციურ ოდებს თანამედროობის. აյ ჩნდება კონტრრევოლუცია ფორმის და საერთოდ მასალის დალაგების.

რევოლუციონურ პოეტიკის საზომათ ჩვენ ვაყენებთ ნივთობრივ გადაღავებასთან – შემოქმედებით აპერცეციის რეფორმაციასაც; კონსტრუქცია ახალი ათვისების = პარალელური თანდროულ ეპოქის. – მოცემული კონტურა გაგების, ხსნის საჭიროებას ახალი ტერორის, ბურჟუაზიულ ფსიხიკით შექმნილ პოეზიის ფრონტების გასანადგურებლათ. ეს არის ბრძოლის მთავარი პროცესი, რომელსაც ვეძახით ფსიხიკის რევოლუციას. (მხოლოდ პროცესი, მოძრაობის – ჩვენი დადა) შემდეგი პერსპექტივები გამოდის საზოგადოებრივ აღმშენებლობითი ფიკუსიდან: კომუნისტური მასასა აშენებს მყოფადერ ქვეყანას – კომუნიზმის სახით – ხელოვნება იღებს რეჟისორის მოვალეობას – მყოფადერ რეალის სტრუქტურის ყალიბში. ორგანიზაცია მასიურ მოძრაობის და კონსტრუქცია მომავალი ნივთების (წარმოებითი ფუტურიზმი და კონსტრუკტივიზმი). ხელოვნებასა და სახელმწიფოს შორის ორგანიული კავშირი ქმნის მყოფადერ ორგანიზმს, რომელსაც ჩვენ უწოდეთ საქართველო – აკუსტური აღმშენებლობა – 3-რ შეხვედრის არის ნივთი და მოძრაობითი სწრაფვა. „ H_2SO_4 “ – საბჭო და უცხოეთის მემარცხენე ფრონტი: თითქოს მონათესავე უცხოელ ხელოვნების მიმართებებს „ H_2SO_4 “ – საბჭო სრულიად უარყოფს. ჩვენ უარვყობთ იტალიურ ფუტურიზმს, რომელიც არისონერატიის კომფორტს წარმოადგენს. არც ფრანგული ეკსტრემიზმის სალონური რევოლუციონრობა და მარტო ფორმალური სიბრტყეების ძიება შეიძლება ჩაითვალოს თქვენთვის მისაღებათ. „ H_2SO_4 “ უარყოფს ფრანგულ დადასაც – რო-

მელიც ძლიერ დეკადენტური ტონით ცდილობს რევოლუციის მოწყობას. რუსულ ფუტურიზმთან „ H_2SO_4 “ აერთებს მხოლოთ კომუნისტური სახელმწიფოებრივი გაგებიდან გამოსვლა. ხოლო ჩვენი მეთოდი და მასალა კი იხსნება თანდროულ ხელოვნებისთვის სრულიად უცნობ და ახალი მიღწევებით. რუსული მემარცხენე ფრონტის პლაკატი და აგიტაცია სრულიად შორდება ორგანიზატორობის მყოფადერ რეალობას. ჩვენი დადა, ფუტურიზმი და კონსტრუქტივიზმი იხსნება სრული რევოლუციონური და კომუნისტური აღმშენებლობითი საწყისით. ახალი ინდუსტრიალიზმი, ორგანიზაცია მასიური მოძრაობის და საერთოდ ს. ს. ს. რ.

ფაქტი – არ არის სხვა მიმართება ქართულ ხელოვნებაში, რომელსაც ქონდეს დიქტატურის უფლება.

H_2SO_4

ამ ავანგარდისტულ მანიფესტში წარმოდგენილი მითითების შესაბამისად, „ H_2SO_4 “-ის წევრები აცხადებენ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურული ტრადიციების კანონების რღვევას, მოშლას, უფრო სწორად კი, მათ გამოწვევას. თავად ურნალის სახელწოდებასაც – „ H_2SO_4 “, რაც გოგირდმჟავის ქიმიური ფორმულაა – არ აქვს მსგავსი პრეცენდენტი ავანგარდისტული პუბლიცისტების ისტორიაში, იმისდა მიუხედავად, რომ ევროპელი დადაისტები მიმართავდნენ პოეტური ნაწარმოების შექმნის მცდელობებს ქიმიური ფორმულების საფუძველზე და მათ ქიმიურ პოემებს უწოდებდნენ. ისიც ცნობილია, რომ 1920 წელს პარიზში დადაისტმა უორუ რიბმონ-დესენიმ გამოაცხადა, რომ გამოდიოდა ურნალი სახელწოდებით „ $D^4O^2H^2$ “, მაგრამ ეს წა-

მოწყება მხოლოდ ჩანაფიქრის დონეზე დარჩა. სავსებით შესაძლებელია, რომ ქიმიური ფორმულა ურნალის სახელწოდებად მომდინარეობს ავანგარდისტული თეორიიდან, რომელიც პოეტური ექსპერიმენტების ხშირად მოულოდნელ შედეგებს ქიმიკოსის საქმიანობას ადარებდა; ამას იური დეგენიც ამტკიცებდა რამდენიმე წლით ადრე: „ამავდროულად, პოეტის სახელოსნო მხოლოდ ქიმიკოსის ლაბორატორიას შეიძლება შევადაროთ. მისი საქმიანობა ქიმიური ცდის მსგავსია. პოეტები, ისევე როგორც ქიმიკოსები, ათასგვარი მინარევით, რეაქციით, გახურებითა და გაციებით აღწევენ იმას, რომ ერთი განსაზღვრული და თითქმის უცვლელი ყოფიდან მიიღონ სხვა – მისგან სრულიად განსხვავებული“.¹ მაგრამ რატომ მაინცადამაინც გოგირდმჟავას ქიმიური ფორმულა? ერთმნიშვნელოვანი და ერთადერთი პასუხი თავად „ H_2SO_4 “-ის მანიფესტშია მოცემული: ახალი შემოქმედება არის იმგვარი პროდუქტი, რომლის მიღებაც შესაძლებელია დაძველებული რომანტიზმის, სიმბოლიზმის, დეკანსის კოროზიითა და მოშლით, პატარაბურუჟუაზიული ხედვის დაშლის გზით.² კომუნისტური რევოლუცია არის ის ფუნდამენტური მოცემულობა, რომელმაც შეცვალა ლიტერატურისა და ხელოვნების პერსპექტივა: მან დაანგრია არა მხოლოდ ბურუჟუაზიული წყობა, არამედ ძველი აზროვნება და ახლა ითხოვს ახალ აღქმას ხელოვნების სფეროშიც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რევოლუცია ქმნის იმ გამყოფ ზღვარს, რომლის ერთ მხარეს – წარსულში არიან – „ცისფერყანწელები“, ურნალ „ხომალდის“ ირგვლივ გაერთიანებული აკადემიკოსთა კავშირი, ქართველ მწერალთა გაერთიანება „ილიონი“, რომელსაც ცნობილი მწერალი – კონსტანტინე გამსახურდია

1. Ю. Деген, Е.А. Боратынский, „Феникс“, 1918, 1.

2. გ. ხერხეულიძე, თანამედროვე ქართული პოეზია, თბ., 1977, გვ. 98.

ხელმძღვანელობდა, მეორე მხარეს კი – მომავლის შემქმნელი ხელოვნებაა, რომელიც ხელოვანის ინდივიდუალურ მეს კოლექტიურ ჩვენ-ში აერთიანებს, ქმნის კომუნისტური ხელოვნების პროდუქტს. რევოლუციამდელი ხელოვნების პოლიტიკაზე დაიყვანება აგრეთვე ახალი პროლეტარი პოეტების შემოქმედებაც, რომლებიც ფეხს მონდომებით უწყობენ პარტიის გეგმებს და მაინც მჭიდროდ დაკავშირებულნი აღმოჩნდნენ უკვე წარსულს მიბარებულ კონცეფციასთან გამოსახვის მხატვრულ ხერხებისა და მასალის გამოყენების თვალსაზრისით. ისინი პირდაპირ აღიარებდნენ, რომ „საბჭოთა H_2SO_4 “-ის წევრებში შეინიშნება მაიაკოვსკისეული „ლეფის“ პათოსი; ისინი რევოლუციის მიზნებში საკუთარ მიზნებსაც ხედავენ, რომ უკვე წარმართონ თავიანთი მხატვრული შემოქმედება; მიისწრაფიან, რომ უკვე ანმყოში განიცადონ მომავლის მონაპოვარი. ძალიან მაღე „საბჭოთა H_2SO_4 “ მივიდა ამ მიმართულებების ბუნებრივ დასასრულამდე – ის გადაიქცა ქართული ხელოვნების მემარცხენე ფრონტად და მოსკოვური „ლეფის“ წინააღმდეგ მწვავე პოლემიკა, რომელსაც მანიფესტი შეიცავს, უკვე კარგად ცნობილი ავანგარდისტული ანტაგონიზმია. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ეს მანიფესტი არ არის ახალი ჯგუფის აგრესიული განცხადება, ის არ გვთავაზობს რადიკალურ თეორიებს, არც განსხვავებულ პოეტურ თუ მხატვრულ ტექნიკას წარმოადგენს, არამედ უბრალოდ იმით იფარგლება, რომ იღებს სხვა ავანგარდისტული ჯგუფების თეორიებს. პარადოქსია, მაგრამ მას შემდეგ, რაც „ H_2SO_4 “-ის წევრები გაემიჯნენ იტალიურ ფუტურიზმს, ფრანგულ დადაიზმსა და რუსულ „ლეფს“, ისინი ფუტურისტებად, დადაისტებად, კოსტრუქტივისტებად და ლეფიანელებად აცხადებენ თავს. აქ საქმე გვაქვს ამბიციურ, მაგრამ არარეალიზებად მცდელობასთან, გაერთიანდეს ამ მიმდინარეობების დადებითი მხარე, მათი

შემოქმედებითი ენერგია, მათი არაჩვეულებრივი უტოპია, განწმენდილი ბურჟუაზიული მინარევისაგან (რასაც ადგილი ჰქონდა იტალიაში, საფრანგეთსა თუ რუსეთში), რათა რევოლუციური და კომუნისტური აღმშენებლობის, ახალი, სოციალური წყობის სამსახურში ჩადგეს. ქართველ ფუტურისტ-დადაისტ-კოსტრუქტივის-ლეფიანელებს (რომელთაც შემდგომში სიმარტივის გამო პოსტფუტურისტებად მოვიხსენიებ) არარეალური მიზნები აქვთ: მათ სურთ, დადაიზმიდან გადმოიღონ მოძრაობის პროცესი, ფუტურიზმიდან – ძმეს-ის (გადაწევა, გადანაცვლება), როგორც რეალურის ტრანსფორმაციის ცნება, კოსტრუქტივიზმიდან რამის მიმართ ახალი დამოკიდებულება (ისინი აქვე აზუსტებდნენ, რომ რამეში არ იგულისხმება საგანი), რამე გაგებულია როგორ ცადამიანის მიერ განხორციელებული მწარმოებლური პროცესის შედეგი, არასაქონლად ქცეული სოციალური პროდუქტი. ლეფინიზმთან კი მათ აერთიანებდათ სახელმწიფოს კომუნისტური მოწყობის იდეა. ისინი განსაკუთრებით მიისწრაფვიან, რომ მისდიონ ლეფიანელთა პოლიტიკას შემოქმედებასთან მიმართებაში, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა სკოლის ერთ ფრონტად გაერთიანებას, მათი ერთმანეთისაგან განსხვავებული უნარისა და თავისებურების ისეთ შემოქმედებით მიმართულებად შედუღებას, რომელიც იქნება სრულიად ახალი და რევოლუციური. ქართველი პოსტფუტურისტები მისდევენ ლეფიანელთა უტოპიას, ისინი ცდილობენ, რომ, იყვნენ პოლიტიკოსი ხელოვანი, როგორც ამას ახალი სოციალური წყობა მოითხოვს. მათი ამოცანა არ არის რომელიმე სკოლის თეორიების თავს მოხვევა (რასაც მეტ-ნაკლებად ღიად ცდილობდნენ პროლეტარი მწერლები), მათი ამოცანაა წვრილბურულუაზიული ნარჩენებისაგან განმენდილი ყველა იმ ჯგუფის გაერთიანება და რევოლუციურ

სამსახურში ჩაყენება, რომელმაც მიიღო რევოლუცია. „ H_2SO_4 “-ის ეს მისწრაფება ლეფიანელთა მისწრაფების მსგავსია, მაგრამ მათგან განსხვავებით არ აქვს თეორიული საფუძველი. როდესაც ვ. მაიკოვსკი სხვადასხვა შემოქმედებით სკოლას ერთ ფრონტად აერთიანებდა, ამას მათთვის დამახასიათებელი ერთი საერთო ნიშნის საფუძველზე აღნიშვნა, ეს არის რევოლუციური შემოქმედებითი პროცესი, რომელიც ეფუძნება ფორმის, შინაარსისა და სოციალური ურთიერთობების ერთობლიობას. ქართველმა პოსტფუტურისტებმა ვერ გაიგეს ამგვარი მიდგომა და რევოლუციაზე, მის პრობლემებზე, მის ბრწყინვალე მიზნებზე საუბრისას შემოიფარგლენ სხვადასხვა ავანგარდისტული ჯგუფისათვის დამახასიათებელი ტექნიკური საშუალებების გამოყენებით. ქართველი პოსტფუტურისტების შემოქმედება, რომელიც ლეფიანელთაგან განსხვავებით არ არის თეორიაზე დაფუძნებული, ხშირად იმაზე დადის, რომ რამდენიმე ზომიერად დადაისტურ ლექსს რევოლუციური თემებით გაუდენოენ ან მას ფურცელზე აღრეულად წარმოადგენენ, როგორც ეს ფუტურისტებს სჩევევიათ.

ასე ნათლად გამოხატული ეკლექტიზმის პირობებში, პოლიტიკური ვალდებულება, რომელსაც იღებს „ H_2SO_4 “ უცხოა იმ სოციალური ურთიერთობებისათვის, რომლისთვისაც იბრძვის „НовыЙ Лეф“. ეს სოციალური ურთიერთობები მყარდება იმგვარი საქმიანობის შედეგად, რომელიც წარმოებად გაიგება, თუმცალა ვლინდება როგორც ინდივიდუალური ვალდებულება-თავგანწირვა, ცალკეული ხელოვანის „იდეოლოგიური“, „მგზნებარე“ ან „კლასობრივი“ ვალდებულება, იმ ხელოვანისა, რომელიც, როგორც ნიკოლოზ შენგელაია ამბობს, პროლეტარიატის მხარეს დგება. შენგელაიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია კინოში, უფრო ადრე კი

ნაკლები წარმატებით საკუთარი ძალები პოეზიაშიც მოსინჯა:

(...)

მოვედით

დერბით/

ს ს ს რ

ერთად...

ბეჯითი ნაბიჯით პირდაპირ დროშები დროშები დროშები წითელი წითელზე ფერდაფერ იარრ

(...)

მუშჰა

მუშჲა

მუშჲა

მუშჲა

მუშჲა ამშენებელი გონება

მუშჲა რკინა ლონე და

მუშჲა პოეტი ორატორი

მუშჲა დიქტატორი

მუშჲის მუშტი

ურო

რომ აპობს ქონიან ლიპებს

და მირონცხებულ ჭიპებს.

მკერდი დედამიწის მოდიდდა,

მდუღარე მადნების ამოსუნთქვით

ცხელ მაღაროების ყრონტიდან

გრგვინავს

კუნთებიანი ხმა

ი ნ ტ ე რ ნ ა ც ი ო ნ ა ა ლ,

სმენაა...

პოეტებო გასწორდით.¹

გარდა ამისა, „ H_2SO_4 “ ითხოვს მხატვრული საქმიანობის შესაბამისობას ეკონომიკურ არჩევანთან, „ახალ ინდუსტრიალიზაციასთან“, „კომუნისტურ აღმშენებლობასთან“; აღიარებს, რომ არ ცდილობს ხელოვნებად წოდებული დარგის უშუალო სოციალურ სამუშაოდ ქცევას; ის ცდილობს იმ განსაკუთრებული ადგილის შექმნას, სადაც მთელი თავისებურებით გამოვლინდება შემოქმედებით ფასეულობად გაგებული საქმიანობა.

1. 6. შენგელაია, მოხსენება პირველი, „ H_2SO_4 “.

თავის მანიფესტში „ H_2SO_4 “ თავს აცხადებს ორგანიზაციად, რომელიც რეალობას „კინემატოგრაფიულად“ აღნიშნავს და ამგვარი პოზიცია შემდგომში „განვითარებულია“ უანგო ღოლობერიძის გაუგებარ სტატიაში, რომელსაც ქართველმა კრიტიკოსმა „ჰიპერტროფიული აზროვნების შედეგი“¹ უწოდა. სტატიას ექსტრავაგანტული და დადაისტური სახელწოდება აქვს – „მზადება, რომელიც მობრუნებულ შემოქმედებაში უდრის საზომს, დაბრუნებულ მოქმედებაში-3-ს და ინერება“.² მოდერნის შემქმნელად ლიტარეტურაში კინოს მაესტრო – ჩარლი ჩაპლინი სახელდება, ვინაიდან კინემატოგრაფი „აერთებს ჯგუფებს, ეს არის ყოველმხრივი შეფარდების გადამტანი“. მართლაც, „ლეჟეს ფორმების ვარიაცია, რუსეთელ მხატვრების უკანასკნელ გამოფენაზე – მოძრავი სურათები, მთელი ფუტურისტული ლიტერატურა (დარჩენილი მასალა) განსაკუთრებით განივთების პროცესი და გრაფიკული პოეზია უახლოეს კავშირშია კინემატოგრაფთან. შეიძლება პირდაპირ ლიტერატურა დაყო კინემატოგრაფის სტადიებათ და ამით არაფერი არ გამოიცვლება“. კინემატოგრაფს, კონკრეტულად კი მოძრაობას, ქმედებას, დინამიკას, გააჩნია უდიდესი გავლენა ბევრი მწერლის შემოქმედებაზე, როგორც, მაგალითად იღია ერენბურგის რომანზე „Треест•Д.Е.“, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ისაა, რომ ის ქმნის სამგანზომილებიან სივრცეს, რომელიც სტატიკურ ნივთს „სულიერ მოძრაობას“ ანიჭებს. ქ. ღოლობერიძის აზრით, „ნივთის ასეთი გაგება მეორე მხრივ უდრის საგნების კომბინაციას. დადას აქვს ბევრნაირი კომბინაციები ნივთის. თამაში 2-ზე ექვსის საშუალე-

ბით, თამაში ექვსზე საკუთარი კისრით და სხვა (...) სიტყვის აკრობატიკა იბადება მხედველობით, ნივთის აკრობატიკა – სმენით. (...) მხატვარ გამრეკელის სურათში «მე და ცირკი», მე მოძრაობა მესმის და ვხედავ ხმას. სივრცე ჯამბაზსა და მხატვარს შორის შემოკლებული, დაყვანილი ფორმების შენაერთებამდე იგივეა რაც «ზაუმი» რომელიც გრაფიკამდე მიდის. (...) დაბოლოს არ არის გაქვავებული მომენტი მხატვარსა და სურათს შორის, არის მხოლოდ განივთების პროცესი, რომელიც ერთის მხრივ უდრის მოძრაობას და მეორეს მხრივ უქსტს და მასალის კომბინაციებს“. ღოლობერიძე ცდილობს, ყველა ავანგარდისტს გაასწროს, სრულიად ახალ შედეგებამდე მივიდეს, განსაკუთრებით ის ფრანგულ დადაიზმს ეკამათება, თუმცა სწორედ დადაიზმის თეორიებმა მოახდინა მასზე დიდი გავლენა. ჩვენ თვალწინ იშლება შურისძიება, გათავისუფლების უშედეგო მცდელობა: „დადა უარყოფს პოეზიას, მაგრამ ის ვერ უარყოფს გემოვნებას. დადა უარყოფს მასალას გამიზნულს მაგრამ ის თითონ აშენებს (პერე, სუპო). (...) დადა უკანასკნელი მოდის ფრაკს იცვამს და სოციალისტურ ორგანოში წერილს ათავსებს, დადა ყვირის თავის გარყვინლებაზე, მისთვის რომ ეს არ ახარებს ევროპიელის ხელოვნურად გაბერილ კუნთებს და რეზინის ძუძუებს. აი რად არის დადა – დადა“. ქართველი პოსტტურისტები განაგრძობენ ფუტურიზმის, კონსტრუქტივიზმის და დადაისტური თეორიების სფეროში „მოძრაობას“, ხშირად, როგორც მათი მიმდევრები, თუმცალა მათ ახლის შექმნის პრეტენზია აქვთ. ეს თეორიები ასე აქვთ სინთეზირებული:

1.მ. აბულაძე, ფუტურისტ-ლეფელთა ლიტერატურული დაჯგუფება (ხელნაწერი), გვ. 56.

2. ღოლობერიძე, მზადება, რომელიც მობრუნებულ შემოქმედებაში უდრის საზომს, დაბრუნებულ მოქმედებაში-3-ს და ინერება, „ H_2SO_4 “. შემდგომში გამოყენებული ყველა ციტატა ამოღებულია ამ წყაროდან, თუ არ არის მითითებული სხვა წყარო.

ფუტურიზმი / კონსტრუქტივიზმი
 მასალა მოძრავი/მასალა გამიზნული
 სისწრაფე / ეკონომიკა
 განივთება /პროდუქტი
 რიტმი მანქანის /მოძრაობა სიუჟე-
 ტის
 პროტესტი /ტერორი

დადა

მასალა ქაოტიური
 დალაგება გამიზნული
 საგნების კომბინაცია
 მოძრაობის მაქსიმუმი (ჟესტი)
 ტერორი

ლოლობერიძეს პრეტენზია აქვს, რომ
 აღმოაჩინა პოეზიის ისეთი საფუძველი,
 რომლის წინააღმდეგ არც ფუტურის-
 ტები გაილაშქრებდნენ და არც დადა-
 ისტები: რიტმი, რომელიც „ H_2SO_4 “-ის
 პოეტებმა დაარღვიეს. ისინი მხოლოდ
 მოძრაობას ენდობიან, სიტყვას სინ-
 ტაქსის წინააღმდეგ გამოიყენებენ, მას
 ათავისუფლებენ და ამგვარ განტოლებ-
 ას იღებენ:

სხეული
----- =

გრაფიკა
 ხაზი + ხმა
 ესე იგი „სიტყვის შეხვედრა სურათ-
 თან იძლევა სხეულს, სურათის შეხვე-
 დრა ხაზთან იძლევა გრაფიკას“.

„ H_2SO_4 “-ის წევრებს სწამთ, რომ მე-
 რცე საუკუნის რუსი და ევროპელი
 ავანგარდისტული დაჯგუფების თე-
 ორიების სინთეზით განსაზღვრეს ის
 გზა, რომელიც სოციალისტურ ხელოვ-
 ნებას უნდა გაევლო, თუმცადა შემ-
 დეგვში მათი მხატვრული შემოქმედების
 შედეგი არ იქნება ამგვარი ამბიციური

განცხადების შესაბამისი, მაინც ძალიან
 თვალშისაცემია ის გავლენა, რომელიც
 ფრანგული დადაიზმის მოწოდებებმა
 იქონია „ H_2SO_4 “-ის წევრებზე. ამ მოწო-
 დებებს აქამდე არც რუსეთში და არც
 საქართველოში არ ჰქონია განსაკუთ-
 რებული წარმატება.

მართლაც, დადაიზმის შესახებ ოფი-
 აციალური ინფორმაცია საქართველო-
 სა და რუსეთამდე საკმაოდ გვიან აღ-
 ნევს. „დადაიზმზე მხოლოდ მისი დაბა-
 დებიდან თითქმის ხუთი წლის შემდეგ
 გავიგეთ“, – აღიარებს კრიტიკოსი აბ-
 რამ ეფროსი – „როდესაც რევოლუციის
 ირგვლივ შექმნილი ბლოკი შესუსტდა
 და, როგორც წირვის მომასწავებელ
 ზარებს, ისე ვისრუტავდით დასავლე-
 თიდან მომავალ ყველა ახალ ამბავს.
 დადას უკვე თავისი დასრულებული
 სახე მიეღო და ჭკობასაც იწყებდა,
 როდესაც, 1921 წელს, პირველად გა-
 ვიგეთ ეს ოთხი ასო. ისინი გაოგნებ-
 დნენ ხელოვნური ინფანტილურობით;
 ყოველგვარ მნიშვნელობას იყვნენ მოკ-
 ლებულნი და ჩვენგან დამცინავ პასუხს
 დაუინებით ითხოვდნენ“.¹ გორიელიც
 იხსენებს, რომ „სიტყვა დადამ და და-
 დაიზმა მოსკოვისა და ლენინგრადის
 კარზე ძალიან გვიან დააკაკუნა, როდე-
 საც ეს ორი ქალაქი რუსეთის დედაქა-
 ლაქები კი არა, საბჭოთა კავშირის დე-
 დაქალაქები იყო. ეს ის დროა, როდე-
 საც მოსკოვი პირველ, ლენინგრადი კი
 მეორე დედაქალად ითვლებოდა. პრო-
 ლეტარული რუსეთი შორს იყო ბურჟუ-
 აზიული დასავლეთისაგან“.²

ზუსტ და დეტალურ ინფორმაცი-
 ას დადაიზმსა და საერთოდ ფრანგულ
 პოეზიაზე ვალენტინ პარნახი იძლევა
 1922-1923 წლებში; ის პირადად იც-

1. A. Эфрос, Дада и дадаизм, „Современный запад“, 1923, 3.

2. B. Goriély, Dada en Russie, „Cahiers de l'Association Internationale pour l'étude de Dada et du Surrealisme“, 1966, გვ. 1.

ნობდა ფრანგულ შემოქმედებით რე-ალობას.¹ სიმპტომატურია, რომ, რო-დესაც რუსი კრიტიკოსები საუბრობენ დადაიზმზე, ისინი, პირველ რიგში, რუს ვაუმნიკ-ებთან მათ მსგავსებას გამოყოფენ. „სიტყვა დადა არაფერს ნიშნავს!“ – ამაყად აცხადებს ტრისტან ცარა. „დადაიზმი ჩვენს ჩიცევოკ-ებს და ნაწილობრივ ა. კრუჩინის მანერას შექსაბამება. (...) დადაისტების პირველი გამოსვლები პარიზში ძალიან ჰგავდა 1919 წელს ა. კრუჩინის და სხვათა გამოსვლებს“.² შესაბამისად, დადაიზმის ანალოგიას რუსული ფუტურიზმის საწყის ეტაპზე კი არ უნდა ვეძებდეთ (ამ მნიშვნელობით მართალია გ. ბამელი, როდესაც ამტკიცებს, რომ „დადაიზმს არაფერი აქვს საერთო კუბიზმთან, ფუტურიზმსა და ექსპრესიონიზმთან“),³ არამედ ის უნდა დავინახოთ ალექსეი კრუჩინის, ილია ზდანევიჩისა და იგორ ტერენტიევის გვიანდელ გამოცდილებაში, როცა მათ უკვე შექმნეს ჯგუფი 41° . მართლაც, მაგალითად, ვ. ხლებნიკოვის ექსპრიმენტები სიტყვაზე – „ნარმოუდგენლად მძიმეა გასუფთავება საწყისი ბერისა და ხატისა მინარევებისაგან და უკიდურეს ძალისხმევას მოითხოვს“, ის შეიძლება მხოლოდ გ. ფლობერის სულიერ ტანჯვას შევადაროთ და არა დადაისტების „გლოსოლალიას“,⁴ რასაც მიუახლოვდა 41° -ის სემიოლოგიური და ფონეტიკური ცვიგ-ით გამოწვეული სრული აბსტრაქტულობა.

აქ არ შევჩერდებით დიდხანს ამ ასპექტის ანალიზზე, ვინაიდან

დადაიზმს რუსეთში ყოველთვის ნაკლებად მნიშვნელოვანი მიმდევრები ჰყავდა. 1920 წელს დონის როსტოვში იქმნება ჯგუფი – ჩიცევოკი, რომლის სულისჩამდგმელნი იყვნენ ახალგაზრდა პოეტები: სერგეი სადიკოვი, სუზანა მარი, ელენა ნიკოლაევა, ალექსანდრე რანოვი, რიურიკ როკი, დევის უმანსკი და ოლეგ ერბერგი, რომლებიც იმ პროვინციულ ქალაქში (შემდგომში, ბუნებრივია, ისინი მოსკოვში გადადიან) მანიფესტებითა და სხვა პუბლიკაციებით იცავენ დადაისტურ თეორიებს. ისინი ისევე, როგორც ვ. მაიაკოვსკი 1918 წელს, „ფუტურისტების გაზეთში“, მოუწოდებენ „სულის რევოლუციისაკენ“, რუტინის, ყოველდღიურობის, ტრადიციების, პრინციპების, ყოფის და ა.შ. წინააღმდეგ განუწყვეტელი ბრძოლისაკენ, რათა ხელი შეუწყონ საყოველთაო ცვლილებებს, ანუ ანტი-ისტიტუციონალურ და ანტიორგანიზაციულ, ანტიპროფესიონალურ, ანტისპეციალისტურ გადატრიალებას, რომელიც „ფუტურისტების გაზეთისაგან“ განსხვავებით, მთავრდება არა ხელოვნების უნივერსალიზაციით, არა-მედ ხელოვნების სიკვდილის შესახებ ავანგარდისტული იმპერატიულობით გამოხატული ტერორისტული დასკვნით: „არაფერი დაწეროთ! არაფერი წაიკითხოთ! არაფერი თქვათ! არაფერი დაბეჭდოთ!“⁵ თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობით, იმაუინისტური პოეზის დახვენილობით, მეტრით, რიტმით, სამყაროს ახლებური ალქმით „კრეატიულობის ჩიცევოკი“ მალუ-

1. В. Парнах, Кризис французской поэзии, „Паруса“, 1922, 1 და Современный Париж, „Россия“, 1923, 7.

2. იქვე

3. Г. Баммель, Дада Альманах, „Печать и Революция“, 1922, 6.

4. А. Эфрос, Дада и дадаизм, დასახ. წიგნი, 1923, გვ. 3.

5. Декрет о Ничевоках Поэзии // Труды Творческого Бюро Ничевоков, Ничевоки. Собачий ящик, М., 1922.

ლად არ მიისწრაფვიან ბურჟუები-სათვის დამახასიათებელი მიზნისკენ – ხელახლა გააცოცხლონ ხელოვნება, შექმნან ახალი პოეტიკა და ესთეტიკა; ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ამ დახვენის საშუალებით „მოსპობენ ხელოვნებას და მას არაფრისკენ და არა-ფერში წაიყვანენ“.¹ ახალი დოქტრინა, რომელსაც ავრცელებენ „ცხოვრების ნიჩევოკი“, რომელთაც „Хобо“ უწოდეს და მასში ფაქტობრივად იგულისხმება „революционный бродяга“² (ხო-ბო არის აგრეთვე პირველი ორი მარცვალი ა. კრუჩინის მიერ შემოთავაზებულ „ფო-ლი-ფა“-ში, რომელიც დაიბეჭდა თბილისში 1918 წელს, მაგრამ მას არ უნდა ჰქონდეს რაიმე კავშირი ნიჩევოკ-ების აბრევიატურასთან) მოუწოდებს შეიქმნას ნიჩევოკ-ებისა და დადაისტების გაერთიანებული ფრონტი „სიტყვაკაზმული მწერლობის გახრენისა და დემორალიზაციის მიზნით“,³ „ჩვენ ვალიარებთ სიტყვიერი ტერორის მელნისმიერ პროგრამას“.⁴ რუსი ნიჩევოკ-ების თეორიულ, პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, მათ თავგადასავალზე თავის მკაცრ და უაპელაციო აზრს გამოხატავს კრიტიკოსი ა. ეფროსი: „რუსეთი არ იცნობდა დადაიზმს. ერთი მუჭა «ничевок»-ები, რომლებიც რაღაც პართენოგენეზით მოევლინენ ქვეყანას დონის როსტოვში, ვერ გასცდნენ დონის როსტოვის საზღვრებს და მათი თეორია ძირის ძირიბამდე ისეთივე პროვინციული დარჩა, როგორი მოკრძალებულიცაა მათი პრაქტიკული საქმიანობის ნაყოფი“.⁵

ამ შეხედულების მიუხედავად, რო-

მელიც უეჭველად მიკერძოებული და აპრიორი ანტიდადაისტურია, შესაძლოა, მართალი იყოს, რომ ნიჩევოკ-ებს არ გადაუკვეთიათ თავიანთი პროვინციის საზღვრები და რუსული პოეზიის განვითარებაზე არანაირი გავლენა არ მოუხდებიათ – არც თეორიული და არც პოეტური. შესაბამისად, კიდევ უფრო რთულია ვიფიქროთ „დადაისტურ“ ლერძზე – დონის როსტოვი-თბილისი, მიუხედავად იმისა, რომ ა. ტარასენკო ბიბლიოგრაფიულ ჩამონათვალში ასახელებს ნიჩევოკ-ების მომავალი შემქმნელების – ე. ნიკოლაევასა და მ. აგაბაბოვას ორ პოეტურ კრებულს: „Змеиные крыльца“-სა და „За лошадьми на велосипедах“-ს, რომლებიც თბილისში 1918 წელს გამოიცა.⁶ თუ ნაყოფიერი კონტაქტები და კულტურული ურთიერთსესხებები რუს ნიჩევოკ-ებსა და ქართველ პოსტყუტურისტებს შორის უნდა გამოვრიცხოთ, ტარასენკოს საინტერესო მოსაზრების თანახმად, გადასამოწმებელი რჩება 41°-ის ექსპერიმენტების შესაძლო გავლენა დონის როსტოვის ახალგაზრდა პოეტებზე. მხოლოდ ამ შემთხვევაში გახდებოდა ღირებული ბ. გორიელის ჯერჯერობით დაუდგენელი თვალსაზრისი, „დადა-ს მოძრაობა პირდაპირ დასავლეთიდან კი არ მოსულა, არამედ სამხრეთიდან, უფრო ზუსტად კი კავკასიიდან. (...) რუსული დადაიბადა ქუთაისსა და თბილისში. საქართველოდან ის ნელ-ნელა ჩრდილოეთით ავიდა და დონის როსტოვში გაჩერდა, სადაც რამდენიმე ახალგაზრდამ შექმნა ნიჩევოკების – რუსული დადას – პირ-

1. იქვე.

2. Приказ по организационной части // Труды Творческого Бюро Ничевоков.

3. В собачий ящик, Введение // Труды Творческого Бюро Ничевоков.

4. Ничевоки России – Дада Запада // Труды Творческого Бюро Ничевоков.

5. А. Эфрос, Дада и дадаизм.

6. А. Тарасенко, Русские поэты XX века 1900-1955. Библиография, М., 1966, გვ. 268-278.

ველი ჯგუფი“.¹ ამ თავდაჯერებულ განცხადებაში თითქოს ნათლად არ ჩანს განსხვავება ქუთაისელი „ცისფერყანწელების“ პირველი თეორიული მცდელობების არსა და თბილისში მოქმედი ქართველი პოსტფუტურისტების მიზნებს შორის, რის გამოც რისკის ქვეშ დგება თავად საკითხის დაყენებაც კი. მართლაც, „ცისფერყანწელების“ წევრები იმ ქრონოლოგიური საზღვრების შიგნით მოქმედებდნენ, რომლებიც უკვე შემოვხაზე, რაც შეეხება ქართველ პოსტფუტურისტებს, ისინი, ჩიცევიკებთან შედარებით, გვიან გამოჩდნენ, ამიტომაც ამ მიმართულებით სიარული არ მიმაჩნია მიზანშენონილად. ღრმა კვლევითი სამუშაო რჩება ჩასატარებელი 41°-ის ჯგუფის არა იმდენად თეორიულ და პტაქტიკულ შემოქმედებაზე, რამდენადაც მის უეჭველ გავლენაზე, პრაქტიკული ხასიათის განშტოებებზე, პირად კავშირებზე, მოკლედ, მის კულტურულ პოლიტიკაზე (პარადოქსია, მაგრამ ეს პოლიტიკა არსებობდა) თბილისისა და საქართველოს შემოქმედებით გარემოს მიღმა; მხოლოდ ამ ტიპის კვლევებმა შეიძლება, მოგვცეს საბოლოო დასკვნები.

მართლაც, ოციანი წლების დასაწყისში (და არა უფრო ადრე) საქართველოში ვრცელდება, მოდაში შემოდის დადაიზმი, რისი მიზეზიც, ნაწილობრივ, ჯგუფი 41°-ის პოეტების მიერ მიღებული შედეგი იყო და, ნაწილობრივ ის ინფორმაცია, რომელიც პირდაპირ საფრანგეთიდან მოდიოდა. თავად ილია ზდანევიჩი, რომელმაც დამოუკიდებლად შექმნა დადაისტური მიმართულების არაჩვეულებრივი „დრა“ (ე. ი. დრამა), მხოლოდ 1920 წელს, მეგობრისაგან, ლადო გუდიაშვილისგან, იგებს ევროპაში დადაიზმის არსებობის

შესახებ.² ასეთი უცნაური მოძრაობის არსებობით გაკვირვებული და წახალი-სებული არიან „ცისფერყანწელებიც“; ზოგიერთი მათგანი თავის ძალებს ახალი პოეზიის ნიმუშების შექმნაში სინჯავს, როგორც, მაგალითად, ტიციან ტაპიძე, რომელიც თავის სატრაფოს – მელიტა ჩოლოყაშვილს, მისივე თქმით, დადაისტურ მადრიგალს უძლვნის:

მელიტა

დადაისტური მადრიგალი

ყველაზე უფრო არცხვენს ჩემ

სახელს ტიციანს,

ძველ ხავერდის ტიციანთან

შედარებით დახეული

კანაპები

ალბად არ ელოდა ტიციან: ასეთ
ორეულს.

მერი შერვაშიძე (გიგო დიასამიძის
უურნალიდან

ამოხეული)

ურია მხატვარმა სამ წელს რომ
ხატა,

უყურებს ამ ლექსს და ეცინება.

ნინად ღვთისმშობელს ეს სახე

ჰქონდა

ნინად აშენებდნენ ამისთვის
ტაძრებს.

თავზე დამყურებს მერი შერვაშიძე
(სანდორ ყანჩელის უურნალიდან
ამოხეული

ურია მხატვარმა სამ წელს რომ ხატა).

მელიტა! შენ ალბად უყურებ
ტიუტჩევის და

რომის ცას,

იქნებ მარინეტიც შენით
აღტაცებულია.

ჩვენი ტფილისი კი თანდათან ძირს
იწევს,

1. B. Goriély, Dada en Russie.

2. Iliazzd, Paris, 1978, გვ. 53.3.

გრიგოლ რობაქიძემ ხერხემალი
გადაუტეხა,
მაგრამ მიწის ძვრა მაინც
იგვიანებს.¹

მადრიგალი დაწერილია 1923 წელს, მას შემდეგ, რაც მელიტა იტალიაში გაემგზავრა, აქედან ტიციან ტაბიძისა და ტიციანო ვეჩელიოს სახელების ომნიმია და ყველა სხვა მიმართებები იტალიასთან. მადრიგალი სცდება გარეგნული გამოსახულების საზღვრებს და განთავსდება მხედველობის ველში, როგორც მზერის თვალნათელი „პოეტიკა“, სხვათა უცილობელი თანდასწრება. შემთხვევითი არ არის, რომ პირველი სწორედ მხატვარია – ტიციანო ვეჩელიო, რომელიც უთვალთვალებს და ამონტებს ამ სურათის ფორმით აგებულ პოეტურ ნაშრომს, რომლის შექმნასაც ცდილობს ტიციანი. პოეტი თავადვე აღიარებს, რომ მან განიცადა გავლენა არა მხოლოდ დადაიზმისა, არამედ პირველი ცნობებისაც კი ფრანგული სიურეალიზმის შესახებ. ასე ცდილობს დაწეროს ლექსი მელიტაზე მაშინ, როდესაც მას პორტრეტიდან უმზერს სხვა ქალბატონი – მერი შერვაშიძე – რუსეთის საიმპერატორო კარის ფრეილინა, რომელსაც საქართველოში ბევრი პოეტი ეტრფოდა (იგი გალაკტიონ ტაბიძის პოეტური მუზაც კი გახდა). როგორც ჩანს, მხატვარ სორინის მიერ შესრულებული მერი შერვაშიძის პორტრეტი, რომელიც გიგო დიასამინისა და სანდრო ყანჩელის მიერ გამოცემული ჟურნალ „Братство“-დან იყო ამოჭრილი, ტიციანის სამუშაო ოთახში, კედელზე ეკიდა, რასაც ტიციანის მეუღლეც მოწმობს. მაგრამ ის პორტრეტი მაღვე აღმოჩნდება ტრომპე-ლ'ოელ, ანუ ოპტიკური ილუზია: ის, რაც ჩანს, განსხვავდება იმისგან, რაც სინამდვილეშია. ტიციან ტაბიძე უხმობს: „მელ-

იტა!“, რითაც თვალნათლივ აცხადებს, რომ არასოდეს დაუშვია, თითქოს, მერის პორტრეტს დამამშვიდებელი, აპოლონური ეფექტი ჰქონდებს, არა-სოდეს განუცდია თვალის გავლენა, ანუ არ დაუნახავს უშუალოდ მერი. პირიქით, მან მზერა გულს დაუმორჩილა და სხვა ობიექტს, მელიტას მიმართა, ვისაც ეძღვნება მადრიგალი, ვინაიდან სწორედ ის არის სურვილის ობიექტი. და ბოლო, მოულოდნელ ტაეპებში ცხადი ხდება, თუ საიდან უცქერიან მადრიგალ-სურათს: თბილისიდან, თბილისური ცხოვრებითა და ამბებით უკეთესად აღიქმება შორეული მელიტას თანდასწრება.

„ცისფერყანწელების“ ექსპერიმენტები ფრაგმენტული ხასიათისაა. დადაიზმი პოსტფუტურისტებმა უფრო განავითარეს და ამას გარკვეული თანმიმდევრულობითა და თავდაჯერებულობით აკეთებდნენ. „ H_2SO_4 “-ის ფურცლებზე ეს კავშირი დადაიზმთან სულ არის და იქ მოცემული მითითებების შესაბამისად სხვადასხვა პოეტი ორიგინალურ კომპოზიციებს ქმნის; მათი სამიზნე, პირველ რიგში, სხვა ლიტერატურული სკოლებია, შემდეგ ამ სკოლებს ახალ წესებს უპირისპირებენ, რომლებიც ჟურნალის გვერდებზე ნახაზებსა და მათემატიკურ ფორმულებს შორისაა მიმობნეული. იქვეა წვრილად მიწერილი ქართველი კლასიკოსების ლექსებიც, მაგალითად, ილია ჭავჭავაძის („მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის“), აკაკი წერეთლის („ნათელა“ – „ჩინგურს სიმები ავუბი“), წარმოდგენილია ასევე ვალერიან გაფრინდაშვილის ბერების უბრალო თანწყობა და ნონსენსი („პოეტისთვის არ არსებობს სხვა კარიერა, გარდა სიგიუს“). აი, მაგალითად, ნაწყვეტი ნიოგოლ ჩაჩავას კომპოზიციიდან: „პოეზია²² + პოეტი = 0“, ანდა ჩამოთვლილია მორფემები,

1. t. tabiZe, dadaisturi madrigali, „meocnebe niamorebi~ 1923, 10.

რომელთაც ყოველთვის არა აქვთ მნიშვნელობა, მაგრამ აქვთ საერთო ხმოვნები: „გურილ / ბურულ / ულ / ულუ“, თუმცადა ეს ყველაფერი ძალიან შორს არის იღია ზდანევიჩის მიერ მიღწეული ფონეტიკური რადიკალიზმისაგან მის ცნობილ „დრა“-სა და ზაუმნიკების ოპერაციებიდან 41° -ში.

პოსტფუტურისტები ცდილობენ, სოციალური ხასიათის პრობლემები ავანგარდისტული ტექნიკით გადაჭრან და მათ მიერ დადასტური მოდელით შექმნილ ნიმუშებს ახალი, სოციალისტური პრობლემატიკით ავსებენ, სადაც თემის ხასიათი ზმოქმედებს ფორმაზე, მიენდობა მხატვრულ ჩანაფიქრსა და ლოგიკის ძალას, ამიტომაც შედეგი არასოდეს არ არის ისეთი ავტომატური, როგორსაც ვხედავთ ჟ. ლოლობერიძის ლექსში „უანგო დადა და ფაბრიკანტების კოალიცია“:

როცა მაიმუნივით თავის
მკლავებზე
ნვება
პროსპექტი
უანგო მოდის და ათვალიერებს
აფიშებს
ის ძალიან ცოცხალი ადამიანია
აინტერესებს თითოეული მუცლის
ცხოვრება
მას ემუქრებიან ფაბრიკანტები
მის წინააღმდეგ გახსნილია
თამბაქოს ტრესტი
უანგო არ იღებს არც ერთ
პროცენტს
მის წინააღმდეგ მუსაიფობს
დამფუძნებელი კრება
უანგო ფიქრობს თავისთვის
ამ მოკლე ხანში მან უნდა გახსნას
საპნის ქარხანა
უდგება საქმეს
მისი მოხერხებით მდიდარი ხალხი
აცოცდა ხეებზე

უანგომ მხოლოდ სანთელი აანთო გამდიდრებულ ხეებს ჩამოსდის ქონი.¹

პოსტფუტურისტებმა მიიღეს რუსი კონსტრუქტივისტების მოწვევა უურნალ „Вещь“-ის ფურცლებიდან – შეენუვიტათ თავიანთი ურთიერთსაწინააღმდეგო პრინციპების გამოცხადება და საგნობრიობაზე გადასულიყვნებ; პოსტფუტურისტებსაც სურთ ხელოვნებაში ტექნიკის, ინუინერიის შემოტანა, რომელიც გადალახავს ინდივიდუალური შემოქმედების ბუნდოვან საზღვრებსა და მეცნიერების სიზუსტით შექმნის კონსტრუქციას, უფრო სწორად, პროდუქციას – ახალ ნივთებს. ამგვარი პროცესი ამოძრავებს ნამდვილ დინამიზმს მხატვრულ შემოქმედებაში, რომელიც, პოლიტიკურ-სოციალურ რევოლუციასთან ერთად, სიმბიოზში ანგრევს ძველ ფორმებს და ქმნის ახალს, რომელიც მომხმარებელში იწვევს საგნის სრულიად ახლებურ აღქმას.² ესთეტიზმსა და დეკორატიულ მუხტს მოკლებული ხელოვნება ხდება ადამიანის ჩვეულებრივი საქმიანობა; ყველა მოქალაქეს მოუნოდებენ, მისდიონ მას მისი კანონების, მისი ნორმების ათვისების შემდეგ, როცა დარწმუნდებიან, რომ ხელოვნებას ამგვარად ჩამოაშორეს მეტაფიზიკური აურა და შეუდგნენ ახალი ურთიერთობების დამყარებას საგანთან, სოციალურ პროდუქტთან.³

„ H_2SO_4 “-ის წევრები თითქოს ლოგიკური შთამომავალი არიან იმ უტოპიური მუხტისა, რომელიც აცოცხლებდა არა მხოლოდ რუს კონსტრუქტივისტებს, არამედ ლეფელებს; ლეფელებივით ოცნებობენ გადალახონ ბევრი „წყეული“, მუდმივი პრობლემა, რომელიც ახლავს შემოქმედებით საქმიანობას, როგორიცაა დიქოტომია

1. ჟ. ლოლობერიძე, უანგო დადა და ფაბრიკანტების კოალიცია, „ H_2SO_4 “.

2. საქართველო ისტორია, „ H_2SO_4 “.

3. იქვე.

ინტელექტუალურ და ხელით შესასრულებელ სამუშაოს შორის. პროდუქტის საქონლად ქცევა (ან „საგნის განივთება“ და მისი გაცვლის საგნამდე დეგრადირება)¹ პროდუქტიულობა, როგორც ღირებულების საზომი; უშუალო, პირდაპირი მიმართების დამყარება წარმოებასა და მოხმარებას შორის, მაგრამ, როგორც ლეფიანელი ავანგარდისტების შემთხვევაში, მომავალი არც ქართველ პოსტიურისტებს აქვთ.

სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებას შორის დაძაბული ურთიერთობები იყო, არც „ H_2SO_4 “-ს აკლდა ცინიზმი, ირონია და უხეობა ერთადერთი „კონკურენტი“ დაჯგუფების – „ცისფერყანწელების“ მიმართ. მთელი ჯგუფი „ცისფერყანწელებისა“ ფუტურისტული „თავაზიანობის“ წესების შესაბამისად, მოხსენებულია, როგორც „კრეტინების ფაბრიკა“. „ტიციან ტაბიძე ქართული იგავ-არაკების ავტორია, რომელიც ამაռდ ცდილობს მიბაძოს ჟ. ლაფორგს; ლაფორგს ჰქონდა სმენა და ხმა, ტ. ტაბიძის მეტყველება კი არის ბალალაიკის სტილი. ვალერიან გაფრინდაშვილი არაფერ როლს არ თამაშობს, მხოლოდ იძახის ქუდის მოზდით: გაუმარჯოს ვალერიან გაფრინდაშვილს. გ. რობაქიძე და პ. იაშვილი მიმბაძველები არიან, ერთი გერმანული ექსპრესიონიზმისა და მეორე ფუტურიზმისა, რომელიც თავად პ. იაშვილს შემოუტანია პარიზიდან (ეს შეხედულებები მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება სიმართლეს). მოკლედ, „ცისფერყანწელების“ მთელი პოეტური შემოქმედება არის უბრალო სადლეგრძელო, ერთ-ერთი იმათგანი, რომელსაც ამბობენ ქართულ სუფრაზე“.² როგორც ჩანს, საქმე ეხება განზრას პროვოკაციულ ქმედებას, საკმაოდ

უხეშსაც, რომელიც არ ეწინააღმდეგება ახალგაზრდა ავანგარდისტული ჯგუფის პრინციპებს. ის ბევრად უფრო თავშეკავებულ გაგრძელებას პოულობს პოსტიურისტების უურნალში „ლიტერატურა და სხვა“ გამოქვეყნებულ სტატიაში, რომლის განხილვა არ არის ამ ნაშრომის მიზანი. გავიხსენებ მხოლოდ, რომ კირილე ზდანევიჩის მიერ შესრულებულ პირველი ნომრის ყდაზე მითითებულია 1924-1925 წლები და ის, რომ უურნალი გამოიცა ნიკოლოზ ჩარჩავას რედაქტორობით „ H_2SO_4 “-ის რედაქციის მიერ, რომელშიც ამჯერად იბეჭდებოდნენ დემნა შენგელაია – შემდგომში ქართული პროზის მნიშვნელოვანი ფიგურა და კრიტიკოსი ბესო ჟლენტი, რომელიც განსაკუთრებით აქტიურობდა პოსტიურისტულ უურნალებში. სწორედ მას ეკუთვნის სტატია „ცისფერყანწელებზე“, რომელშიც ის ზუსტად განმარტავს იმ წვლილს, რომელიც ტიციან ტაბიძემ და პაოლო იაშვილმა შეიტანეს უურნალ „ცისფერი ყანწების“ გამოცემაში: „პაოლო იაშვილის «პირველთქმა» პირველყოფილი ფუტურისტების მანიფესტების რომანტიკული პათოსით გამეორებას წარმოადგენს, ხოლო ტიციან ტაბიძის წერილი – სიმბოლიზმის იდეოლოგიის პრეტენზიას აცხადებს“.² „ცისფერი ყანწები“ თავისი სენტიმენტალიზმითა და რომანტიკით „მთვარის სამყაროსა“ და სოფლის პოეზიაა.³ ის განსხვავება, რითაც პოსტიურისტები უპირისპირდებიან „ცისფერყანწელებს“, იდეოლოგიური არ იყო. ეს უკანასკნელიც, როგორც უკვე ვნახეთ, ეჭვისა და ყოყმანის გარეშე დადგნენ რევოლუციის მხარეს, რასაც 1923 წელს აცხადებდნენ: „ვთქვათ ღიად, რომ ვიყავით და ვიქნებით რევოლუციის მხარეს“.⁴ ზუსტად იმ დროს

1. იქვე.

2. H_2SO_4 პოეზიის პარალიტიკებს, „ H_2SO_4 “.

3. პ. ჟლენტი, თვით პოეტიკაზე, „ლიტერატურა და სხვა“ 1924-1925, 1.

4. იქვე.

დიდი ქართველი პოეტი გალაკტიონ ტაბიძეც, იმავე ვალდებულებას იღებდა: „მე გეძახით თქვენ, გმირებო, შემოქმედების ცეცხლით სავსე ახალგაზრდობავ, შეითვისეთ და შეიყვარეთ ახალი საქართველოს ხმა: განახლება ან სიკვდილი!“¹ უფრო მეტად კი პირობას დებდა აეღო დადაიზმის გამომსახველობითი ტექნიკა, ასევე სოციალური ვალდებულება – გამოხატა უტილიტარული ხელოვნება. არ არის შემთხვევითი, რომ ქართველი პოსტფუტურისტები ცირკს ანიჭებდნენ უპირატესობას, როგორც ადგილს, სადაც ერთიანდება მასა და კოლექტივი, სადაც აუდიტორია გადალახავს შემოქმედებისა და აღქმის საზღვრებს და სრული ერთიანობა მყარდება. საცირკო წარმოდგენის დროს ხდება ახლის გამუდმებული ქმნადობა და სხვა ტიპის შემოქმედების განხორციელება, ახლა კი, სოციალური წყობის მოთხოვნებთან უნისონში უნდა შეიქმნას მართლაც სახალხო შემოქმედება – კოლექტივის ხელოვნება, სერგეი ეიზენშტეინის ექსპერიმენტების, მის მოთავსების განვითარებისა და უ. კოკტოს მიზანსცენების შესაბამისად.²

„H₂SO₄“-ის ისტორია მაღე დამთავრდა. პოსტფუტურისტული ილუზია – რომ ის შეძლებდა დადაიზმის გამოხატვას დეკადენტური მიდგომის გადალახვით, როგორც სიმონ ჩიქოვანი ამტკიცებდა, ენინაალმდეგება არა მხოლოდ ეროვნული განვითარების მოთხოვნებს (გზას უთმობს რა უურნალ „მემარცხენების“ პროექტებსა და ექსპერიმენტებს, რომლებიც ნამდვილად უფრო დადებითი და „შრომატევადია“), არამედ ეჯახება საკუთარ უუნარობასაც – უკიდურეს შედეგებამდე წარმართოს დადაისტური რადიკალიზმი. „H₂SO₄“ განიცდის შინაგან წინააღმდე-

გობას. მას ახასიათებს, ერთი მხრივ, ადამიანის მიერ საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ნებისმიერი იდეოლოგის, დოგმის, სისტემისაგან დადაისტური გათავისუფლების სურვილი, რითაც გამოხატავს თავის დევიზს: „არც კი მინდა ვიცოდე იმის შესახებ, რომ ჩემამდე სხვა ადამიანები იყვნენ!“ და, მეორე მხრივ, პრეტენზია, რომ აღმოაჩინა იდეოლოგია, რომელიც ყველა იდეოლოგიაზე მაღლაა – საბოლოო და უმაღლესი სისტემა – სოციალისტური, რომლის საჭიროებებსაც უნდა უპასუხოს რევოლუციონერი პოეტისა და ხელოვანის თეორიულმა და პრაქტიკულმა საქმიანობამ. „H₂SO₄“-ის წევრები ამ ახალი იდეოლოგის სახელით აცხადებენ, რომ დადაისტური თეორიების საშუალებით გაანადგურეს ძველი ფსიქიკა, მაგრამ არ ულრმავდებიან ამ თეორიების შემთხვევით და არაპარმონიულ ბუნებას, ისინი მიისწრაფვიან სხვა, გამოყენებითი ხელოვნებისა და ახალი პოეზის შექმნისაკენ. დადაიზმის სწავლების შესაბამისად, „H₂SO₄“-იც ართმევს სიტყვებს მათ უშუალო მნიშვნელობას; ენდობა არა მათ ინფორმაციულ ძალას, არამედ ასოციაციურს, თუმცა, როგორც უკვე ვნახეთ, არასოდეს მიუღწევიათ ზაუმნიკების მიერ შემოთავაზებული ექსტრემიზმისათვის (უკიდურესობისთვის). ზაუმნიკებმა იმ წლებში, მისდევდნენ რაფრიიდის სწავლებას, გადალახეს მოლაპარაკე მე-ს ყველანაირი ზღვარი და შექმნეს განსაკუთრებული ენა, ბოდვა, როგორც გაუცნობელებელი დისკურსის გამომხატველი სტრუქტურა. ქართველი პოსტფუტურისტები არ იზიარებენ იმ პრინციპს, რომლის თანახმადაც სიტყვების სამყარო ქმნის საგნების სამყაროს; თავიანთი პოეტური

1. История грузинской литературы, Тб., 1977, гл. 368.

2. გალაკტიონ ტაბიძის უურნალი, 1922, 1.

ქმნილებებით ისინი გაცილებით უფრო ზომიერ პოზიციას იკავებენ, ვიდრე მათი შორეული ფრანგი მასწავლებლებითუ ზაუმნიკები. ისინი გულისხმობენ საგნების სამყაროს შექმნაში პირდაპირ მონაწილეობას, ვერბალური შუამავლობის გარეშე, რითაც აიხსნება მათი მისწრაფება კონსტრუქტივიზმისაკენ და განსაკუთრებით მათი ინტერესი ლეფინანსობა წამოწყებისადმი. „H₂SO₄“-ის გამოცდა, რომელიც ძალიან მაღალ დამთავრდა, არ გვთავაზობს მთლიან შემოქმედებით „გეგმას“, არც რეალიზაცია-დამუშავებას, არამედ ის იფარგლება მერყეობით, ინტუიციით, შემოქმედებითი თეორიისა და პოეტი-

კის უბრალო გახლეჩვით, რასაც არც განმარტება აქვს და არც სისტემურობა. და მაინც, ექსპერიმენტის არათანმიმდევრულობის გამო „H₂SO₄“ არ განიცდის არც შესაძლო და მოსალოდნელი წარუმატებლობის სირთულეს და არც იმის იმედგაცრუებას, ვისაც თავიდან აქვს ყველაფერი დასაწყები. საბოლოო და გადამნებეტი დამარცხება ჯერ კიდევ წინ არის და მათ კიდევ რამდენიმე წელი რჩებათ ახალი და საინტერესო წამოწყებებისათვის.¹

იტალიურიდან თარგმნა მაია ჯავახიძემ

1. უან კოქტოს პარიზულ ნაშრომებზე „H₂SO₄“-ის თეორეტიკოსებს ხელი პირდაპირ არ მიუწვდებოდათ. როგორც თავად აღნიშნავდნენ, მათ შესახებ ვ. პარნახისგან იცოდნენ, ჩემ მიერ დასახელებული იმ ორი სტატიდან, რომლებშიც კოქტო პარიზის მეიერჰოლდად არის დახასიათებული (იხ. ქართული ცირკუ, „H₂SO₄“).

ბოლოს კი დიდი და განსაკუთრებული მაღლობა მინდა გადავუხადო 6. აბესაძეს, შ. აფრიდონიძეს, ა. განერელიას, გ. ბებუთოვს და მ. ქურდიანს, რომლებიც რჩევებითა და მითითებებით დამეხმარნენ, გავრკვეულიყავი ქართული ავანგარდის უკიდეგანო სამყაროში. გულითადი მაღლობა ასევე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის დირექტორს, ს. ხადურს; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორს, შ. აფაქიძესა და თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორს, ც. ჩიკვაშვილს, რომლებიც მუდამ მზად იყვნენ, მოენოდებინათ ჩემი კვლევისათვის საჭირო მასალა.



ვახტანგ გურული

რუსეთი მოდიოდა თუ ერეკლეს მოჰყავდა?!
(ერეკლე II-ის დაბადებიდან 300 წლისთავისადმი)

წერილის სათაურში გამოტანილი კითხვა დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა დასვა. კითხვას თავადვე უპასუხა: **რუსეთი მოდიოდა და ერეკლეს პრორუსული ორიენტაცია სწორედ ამ რეალობის გამოხატულებას წარმოადგენდა.** იქვე მეცნიერმა ირონიულად შენიშნა: **რუსეთის პოლიტიკა საქართველოში მთავარმართებელ ალექსეი ერმოლოვს უკეთ ესმოდა, ვიდრე ზოგიერთ ქართველ ისტორიკოსსო.** ნიკო ბერძენიშვილი ჭეშმარიტებას ბრძანებდა! ეს საინტერესო ნაშრომი 1955 წელს გამოქვეყნდა. მას შემდეგ ექვს ათწლეულზე მეტი გავიდა და, შეიძლება დაპეჯითებით ითქვას, სასიკეთოდ ბევრი არაფერი შეცვლილა: **ერეკლე II-ის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ ქართულ ისტორიოგრაფიაში ობიექტური, პოლიტიკური კონიუნქტურისაგან თავისუფალი, მეცნიერული შეხედულება ვერ ჩამოყალიბდა.** მკვლევართა და ფართო საზოგადოების აზრი ორად არის გაყოფილი: ერთი ქართლ-კახეთის სამეფოს ტრაგიკულ აღსასრულს ერეკლე II-ის პრორუსულ ორიენტაციას უკავშირებენ, მეორენი მიიჩნევენ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს ტრაგედია და

საერთოდ, ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა XV-XVIII საუკუნეებში წარმოშობილ-მა საშინაო და საგარეო ფაქტორებმა განაპირობა. სამეფო-სამთავროებად დაშლილი, ღრმა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისში მყოფი ქვეყანა სამი დიდი იმპერიის – ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის – ბრძოლის ასპარეზად იქცა. სამხრეთ კავკა-სის გეოპოლიტიკურ რეგიონში, შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე გაბატონებას სამივე დამპყრობელი სასიცოცხლო მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ შემთხვევაში არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ქართველი მეფეები რომელ საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას დაადგებოდნენ: პროირანულს, პროისმალურსა თუ პრორუსულს. საქართველო დარჩებოდა იმას, ვინც ამ დაპირისპირებაში გაიმარჯვებდა. შედეგი ყველა შემთხვევაში ტრაგიკული იქნებოდა. რთულია და, შეიძლება გარკვეული გაგებით, უმაღლურობის გამოხატულებაც კი იყოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანში ქართველი მეფეების დადანაშაულება. „პატარა ლაშქრით და დიდი გულით დიდ იმპერიებს შეჭიდებულ“ ქართველ მეფეებს, როგორც წესი, გამონაკლისის გარეშე,

არჩევნის გაკეთება ცუდსა და უარესს შორის უხდებოდათ. არც ერეკლე II-ის ხვედრი იყო განსხვავებული.

საქართველოში პრორუსული ორიენტაცია ერეკლე II-ით არ იწყება. რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური დახმარებით ის-ლამური სამყაროს (ირანის, ოსმალეთის) აგრესისაგან თავის დაცვის პირველი მცდელობა კახთა მეფე ალექსანდრე I-ს (1476-1511) ეკუთვნის. პრორუსული ორიენტაციის გზით ქვეყნის ხსნას ცდილობდნენ კახთა მეფები: ლევანი (1518-1574) და ალექსანდრე II (1574-1605), რაც კახეთის სამეფო სახლს ძალზე ძვირად დაუჯდა. პრორუსული ორიენტაციის მარცხის მიუხედავად, ალექსანდრე II-ის შვილიშვილი, მეფე თეიმურაზ I (1606-1648) მაინც პრორუსულ ორიენტაციას ადგა.

სამხრეთ კავკასიაში პოზიციების მოპოვება პირველად რუსეთის მეფე პიოტრ I-მა (1696-1725) სცადა. 1796 წელს რუსეთი აზოვისპირეთიდან ოსმალეთის განდევნას შეეცადა. რუსეთის ჯარმა მდინარე დონის შესართავში აზოვის ძლიერი სიმაგრე აიღო. 1700 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის სტამბოლში საზავო ხელშეკრულება დაიდო. პიოტრ I ხელშეკრულებაში, სხვა ტიტულებთან ერთად, თავის თავს „ივერიის ქვეყნის, ქართლისა და საქართველოს მეფეების მბრძანებელსა და ხელმწიფეს“ უწოდებს. 1722 წელს რუსეთის ჯარი, დარუბანდის გავლით, კასპიისპირეთში შეიქრა და ირანის პროვინციების დაკავებას შეეცადა. ირანის წინააღმდეგ რუსეთის მოკავშირედ გამოვიდა ქართლის მეფე ვახტანგ VI. იგი დიდი ჯარით რუსეთის ჯარს უნდა შეერთებოდა, მაგრამ მოულოდნელად პიოტრ I-მა ლაშქრობა შეწყვიტა და ქართლის მეფე მისი პრორუსული ორიენტაციით გაღიზიანებული ირანისა და ოსმალეთის წინააღმდეგ მარტო დატოვა. ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაცია ძვირად დაუჯდა ქართლის სამეფო სახლს. მეფემ ტახტი დაკარგა და რუსეთში გადაიხვენა. ქართლი და კახეთი ოსმალეთს დარჩა. 1723 წელს პიოტრ I-მა ლაშქრობა განაახლა და ბაქო აიღო. 1723 წლის პეტერბურგის ზავით დასუსტებულმა

ირანმა რუსეთს დარუბანდი, ბაქო, გილიანის, მაზანდარანისა და ასტრაბადის პროვინციები დაუთმო. 1724 წლის სტამბოლის ზავით ოსმალეთმა რუსეთის მიერ ირანის ტერიტორიის მიტაცება აღიარა.

ამრიგად, 1723-1724 წლებში სამხრეთ კავკასიაში რუსეთის შექრა და ირანის ტერიტორიის მიტაცება ორი საერთაშორისო ხელშეკრულებით – პეტერბურგისა და სტამბოლის ზავებით დადასტურდა. ერეკლე II ამ დროისათვის 3-4 წლის ბავშვი იყო.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთის გარიგებას ბოლო მოუღო ირანის სამხედრო მინისტრმა ნადირ ხანმა (ირანის შაჰი 1736-1747 წლებში). პიოტრ I-ის მემკვიდრეები იძულებული გახდნენ, ადრე მიტაცებული ტერიტორიები ნელ-ნელა დაეთმოთ. 1735 წელს ნადირ ხანი კავკასიაში ოსმალთა ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენს, განჯის ციხეს შემოადგა. თბილისში გამაგრებული ოსმალო ფაშა განჯის გარნიზონის დასახმარებლად ემზადებოდა. კახეთის სამეფო სახლის წარმომადგენლებმა, ერეკლე I ნაზარალი ხანის ვაჟმა თეიმურაზმა (მომავალი მეფე თეიმურაზ II) და თეიმურაზის ძემ, ერეკლემ (მომავალი მეფე ერეკლე II), შექმნილი უალრესად რთული სამხედრო-პოლიტიკური ვითარება სწორად შეაფასეს და ძალთა ახალი თანაფარდობის პიორბებში პროირანული ორიენტაცია ირჩიეს. მამაშვილმა თბილისიდან განჯის გარნიზონის დასახმარებლად დაძრული ოსმალთა ჯარი გაფანტა და ნადირ ხანს განჯის აღებაშიც დაეხმარა. განჯიდან ნადირ ხანი თბილისისაკენ დაიძრა. თეიმურაზმა და ერეკლემ გამარჯვებულ ირანელ სარდალს მეფეური მიღება მოუწყვეს. ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის შემდეგ ნადირ ხანისათვის თეიმურაზისა და ერეკლეს საქციელი, აღბათ, მოულოდნელიც კი იყო. ნადირ ხანმა კარგად უწყოდა, რომ რუსეთი სამხრეთ კავკასიაში შემოქრას კვლავაც ეცდებოდა. სწორედ ამიტომ ირანისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ვახტანგ VI-ის პრორუსული ორიენტაციის მონინააღმდეგების – თეიმურაზისა და ერეკლეს მიმ-

ხრობა. ყოველივე ეს კარგად გაითვალისწინა ნადირ შაჰმა. 1744 წელს მან თეიმურაზი ქართლის, ხოლო ერეკლე კახეთის მეფებად დაამტკიცა. მოულოდნელი იყო ის, რომ შაჰს ტახტზე ასვლის პირობად თეიმურაზისა და ერეკლესათვის ისლამის მიღება არ წამოუყენებია. ცხადია, ეს დათმობაც პოლიტიკური მიზნით იყო ნაკარნახევი. ირანი ჩვეულებრივი დამპყრობელი იყო, მაგრამ რა მიზანიც უნდა ჰქონოდა, ერთი ცხადია: ნადირ შაჰმა სამხრეთ კავკასიაში ქართული სახელმწიფოებრიობის (ქართლისა და კახეთის სამეფოების) არსებობა ქრისტიანი ბაგრატიონი მეფებით სათავეში შესაძლებლად მიიჩნია.

1735 წლიდან 35 წლის განმავლობაში ქართლისა და კახეთის სამეფოები (შემდგომში ქართლ-კახეთის სამეფო) პროირანულ ორიენტაციას ადგნენ. შედეგიც ცხადი იყო: ქვეყანა დამშვიდდა, წელში გაიმართა, განმტკიცდა სამეფო ხელისუფლება, დაითრგუნა თავადური ოპოზიცია, დაიწყო კავკასიერ მთიელთა შემოსევების აღკვეთისათვის ორგანიზებული ბრძოლა. ირანში ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების პირობებში, რაც ნადირ შაჰის მკვლელობის (1747 წ.) შემდევ დაიწყო, სამხრეთ კავკასიის ირანულ სახანოებში თეიმურაზისა და ერეკლეს ავტორიტეტი ამაღლდა. განჯის, ერევნის, ყარაბაღის, ნახქევნის ხანები, სურდათ თუ არ სურდათ, თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის პირველობას აღიარებდნენ. ერეკლე II რეალურად არა მარტო საქართველოს, არამედ სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ღიდერად მოიაზრებოდა. ქართლისა და კახეთის მეფეებს ანგარიშს უწევდნენ ირანის შაჰის ტახტის პრეტენდენტები. თუ ყოველივე ზემოთ თქმულს გავითვალისწინებთ, ბუნებრივად ისმის კითხვა: რატომ შეცვალა ერეკლე II-მ პროირანული ორიენტაცია პრორუსულით? შევეცდებით ამ საჭიროობოტო კითხვას ვუპასუხოთ.

პროირანული ორიენტაცია მომგებიანი იყო მანამ, სანამ ირანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რეალურ ძალას წარმოადგენდა. ნადირ შაჰის მკვლელობის

შემდეგ ირანში შაჰის ტახტისათვის ბრძოლა დაიწყო. შაჰის პრედენდენტთა შორის გამოიკვეთა ქერიმ ხან ზენდი. მან, მართალია, ირანის დიდი ნაწილი თავის ხელისუფლებას დაუქვემდებარა, მაგრამ მისი ძალაუფლება მთელ ირანზე არასდროს გავრცელებულა, რის გამოც ქერიმ ხანმა შაჰის ტიტული ვერ მიიღო. ქერიმ ხანის მმართველობის წლებშივე (1760-1779) ნათელი გახდა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ირანში შინააშლილობა ახალი ძალით გაგრძელდებოდა. თეიმურაზ II და ერეკლე II სავაჭით სწორად ფიქრობდნენ, რომ, სანამ ქერიმ ხანის ირანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ჯერ კიდევ რეალურ ძალას წარმოადგენდა, პროირანული ორიენტაციის შენარჩუნება მომგებიანი იყო. ამასთან ერთად, მეფეებს პასუხი უნდა გაეცათ ძალზე ძნელი კითხვისათვის: შეძლებდა კი ირანი ქერიმ ხანის შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რეალურ ძალად დარჩენას? ირანის დასუსტება აუცილებლად გამოიწვევდა რეგიონში რუსეთისა და ოსმალეთის გააქტიურებას. სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის შეჭრის შემთხვევაში ქართლისა და კახეთის სამეფოებისათვის პროირანულ ორიენტაციაზე ყოფნა ძალზე სახიფათო იქნებოდა. ყოველივე ეს, ცხადია, კარგად გაიაზრეს თეიმურაზმა და ერეკლემ. გადაწყდა, ირანის დასუსტების შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაპატიონების ყველაზე რეალურ პრეტენდენტთან, რუსეთთან დაეწყოთ ნიადაგის მოსინჯვა. სწორედ ამ მიზანს ისახავდა თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში (1760-1762 წწ.). თეიმურაზისა და ერეკლეს ჩანაფიქრი იმთავითვე ამოიცნეს პეტერბურგში: ქართველ მეფეებს რუსეთი მხოლოდ ირანის დასუსტების შემთხვევაში სჭირდებოდათ. ამიტომ იყო, რომ ქართლის მეფეს რუსმა დიპლომატებმა ძალზე ბუნდოვანი და ზოგადი პასუხი გასცეს. ცხადი გახდა ისიც, რომ ნადირ შაჰისა და ქერიმ ხანის მოკავშირეებს, თეიმურაზ II-სა და ერეკლე II-ს, რუსეთის საიმპერატორო კარი აშკარად არ ენდობოდა. რუსები დროს ელოდნენ. მათვისაც ძალზე მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლე-

ნები ირანში ქერიმ ხანის შემდეგ. თეიმურაზ II-ის ელჩობა რუსეთში უშედეგოდ დასრულდა (მეფე ელჩობის დასრულებამდე, 1762 წლის იანვარში, პეტერბურგშივე გარდაიცვალა). ამასთან ერთად, ცხადია, ქართლის მეფის ელჩობა ირანის საწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნია ქერიმ ხანმა, თუმცა ძველი ურთიერთობა ირანსა და ქართლ-კახეთს შორის მაინც შენარჩუნდა. ლოდინის ტაქტიკა ხელს აძლევდა რუსეთის იმპერიას, მაგრამ სრულიად მიუღებელი იყო ქართლ-კახეთის სამეფოსათვის. ირანიდან შემაშფოთებელი ხმები მოდიოდა. ქერიმ ხან ზენდი ავადმყოფობდა, ყაჯართა ტომი ზენდებზე შურის საძიებლად ემზადებოდა. ასეთ ვთარებაში 1768 წელს დაიწყო რუსეთ-ოსმალეთის ომი, რომელიც 1774 წლამდე გაგრძელდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა ოსმალეთის წინააღმდეგ სამხრეთ კავკასიის ქრისტიანი მეფე-მთავრების მიმხრობის გეგმა შეიმუშავა. ოსმალეთის წინააღმდეგ მებრძოლი იმერეთის მეფე სოლომონ I რომ რუსეთს მხარს დაუჭერდა, პეტერბურგში არც ეჭვობდნენ. ამასთან ერთად, რუსი დიპლომატები დარწმუნებული იყვნენ, რომ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკურ კავშირს არ მიემხრობოდა. ქართლ-კახეთის სამეფო ირანის სავასალო იყო. ერეკლე II-ს მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთთან და, რუსეთის საიმპერატორო კარის მოსაზრებით, მეფე ამ ურთიერთობის შენარჩუნებას ეცდებოდა. გარდა ამისა, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მხარეზე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა მიუღებელი იქნებოდა ირანისათვის, რადგან ირანი რუსეთ-ოსმალეთის ომში ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა. ოსმალეთი ირანს ურჩი ვასალის, ერეკლე II-ის, დასჯას მოსთხოვდა. სხვაგვარად ფიქრობდა ერეკლე II. მეფის აზრით, რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის მიღმა ქართლ-კახეთის სამეფოს დარჩენა წამგებიანი და სახიფათოც კი იყო. მეფის დასკვნა შემდეგ მოსაზრებას ემყარებოდა: პირველი. რუსეთ-იმერეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის წარმატების შემთხვევაში ქართულ

სამეფო-სამთავროებში და, საერთოდ, სამხრეთ კავკასიაში ერეკლე II ლიდერის ფუნქციას კარგავდა, მის ადგილს იმერეთის მეფე სოლომონ I დაიკავებდა; მეორე. იმერეთის სამეფოსა და რუსეთის ჯარების მიერ სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის დამარცხების შემთხვევაში, კონკრეტულად, აწყურის, ხერთვისის, ახალციხის, ახალქალაქის ციხეებიდან ოსმალთა გარნიზონების გაძევების შემდეგ აღნიშნული ტერიტორია რუსეთის მოკავშირეს, იმერეთის სამეფოს გადაცემოდა, რასაც ერეკლე II ვერ დაუშვებდა; მესამე. ოსმალეთთან ომში წარმატებისა და სამხრეთ კავკასიაში ფეხის მოკიდების შემთხვევაში რუსეთი რეგიონიდან ირანის გაძევებას შეეცდებოდა და ამ დროისათვის მეფე ერეკლეს რუსეთთან ურთიერთობა მოგვარებული უნდა ჰქონიდა. ამიტომ იყო, რომ ქართლ-კახეთის მეფე რუსეთ-იმერეთის სამხედრო კავშირს შეუერთდა და ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაეპა. რომ არა 1768 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყება, რომელმაც ერეკლე II იძულებული გახადა ომის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოეხატა, ქართლ-კახეთის მეფე კვლავ პროირანულ ორიენტაციაზე დარჩებოდა, საგარეო პოლიტიკაში არაფერს შეცვლიდა და ირანში მოვლენათა განვითარებას დაელოდებოდა.

1768 წელს დაწყებულმა რუსეთ-ოსმალეთის ომმა, როგორც აღვნიშნეთ, ერეკლე II აიძულა საგარეო-პოლიტიკური კურსი შეეცვალა და ომში რუსეთის მხარეს ჩაბმულიყო. ომამდე ერეკლეს ოსმალეთის სულთანთან ურთიერთობა მოგვარებული ჰქონდა და, ალბათ, არც სულთანი ელოდა ქართლ-კახეთის მეფისაგან პოზიციის ასეთ მკვეთრ ცვლილებას, მაგრამ ერეკლე მძიმე, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და ამან გახადა იძულებული, სასწრაფოდ მიეღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოლომონ I-ც. იმერეთის მეფე აქამდეც თავგამოდებით ებრძოდა ოსმალეთს, თუმცა 1768 წლისათვის სულთანთან ურთიერთობა მას, ასე თუ ისე, მოგვარებული ჰქონდა. ომში ნეიტრალიტეტის დაცვით სოლომონ I ოსმალეთის

სულთნის კეთილგანწყობას დაიმსახურებდა. ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ომში ჩაბმა ისლამურ სამყაროსთან, ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, შეიძლება, ბუნებრივადაც კი მოგვეჩვენოს, მაგრამ დღეს, როცა მეფეთა გადაწყვეტილებას ვაფასებთ, არ შეიძლება არ დავსვათ კითხვა: სწორი იყო თუ არა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმა? 1769 წლისათვის, როდესაც რუსეთის ჯარი საქართველოში შემოვიდა, სოლომონ I-სა და ერეკლე II-ს არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რით დამთავრდებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი. ომში გამარჯვების შემთხვევაში, ოსმალეთი სასტიკად ააოხრებდა როგორც იმერეთს, ისე ქართლ-კახეთს. ორივე მეფეს შეიძლებოდა, პრორუსული ორიენტაცია ძვირად დასჯდომოდა და ვახტანგ VI-ის ბედი გაეზიარებინათ. ასე რომ, ერეკლე II და სოლომონ I ყოველმხრივ გაუმართლებელ რისკზე მიდიოდნენ. იმხანად მეფეებმა არ იცოდნენ, რომ რუსეთის საიმპერატორო კარი სამხრეთ კავკასიაში სერიოზული საბრძოლო მოქმედებების დაწყებას არც გეგმავდა და საექსპედიციო კორპუსის გამოგზავნით მხოლოდ ოსმალეთის დაშინებას აპირებდა. რუსი პოლიტიკოსები და სამხედროები ვარაუდობდნენ, რომ საექსპედიციო კორპუსის სამხრეთ კავკასიაში გამოჩენა ოსმალეთს აიძულებდა, აქ განლაგებული ჯარი და არტილერია აქვე დაეტოვებინა და ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში არ გადაესროლა. ეს გადაწყვეტილება სახელმწიფო საიდუმლოება იყო და მას, ცხადია, სოლომონ I და ერეკლე II ვერ შეიტყობდნენ. მიუხედავად ამისა, მეფეებს დაეჭვებისათვის საკმაოზე მეტი ფაქტი ჰქონდათ. 1769 წლის აგვისტოში რუსეთიდან საქართველოსაკენ დაიძრა საექსპედიციო კორპუსი გენერალ გოტლიბ კურტ ჰერნის ფონ ტოტლებენის მეთაურობით. საექსპედიციო კორპუსში 480 ოფიცერი და ჯარისკაცი და 4 ქვემეხი ირიცხებოდა. ეს ძალა, რა თქმა უნდა, ოსმალეთთან საბრძოლველად ძალზე მცირერიცხოვანი იყო, მით უფრო, რომ გენერალი ტოტლებენი საქართველოს საზღვრებში ასიოდე მებრძოლოთა და ორი ქვემეხით შემოვიდა, დანარჩენი

ჯარი კი მოზდოკში დატოვა.

1769 წლის 29 აგვისტოს ერეკლე II, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, გიორგი და ლევან ბატონიშვილები რუსთა ჯარს სოფელ ხოდაში შეხვდნენ. ერეკლე II-მ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაბმის პირობად საქართველოში 5.000 ოფიცრისა და ჯარისკაცის გამოგზავნა მოითხოვა, რომლის ნაწილი – 1.500 კაცი საქართველოში დაზამთრებამდე უნდა ჩამოსულიყო. 1769 წლის 22 ოქტომბერს ეკატერინა II-მ საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის რაოდენობა 3.767 კაცით განსაზღვრა. რეალურად 1770 წლის მარტში სურამში მდგარ გენერალ ტოტლებენს მხოლოდ 1.200 ოფიცერი და ჯარისკაცი ჰყავდა. ამ ჯარის ნაწილი ტოტლებენმა სადგერის ციხესთან დატოვა და აწყურისაკენ დაახლოებით 600-700 კაცით დაიძრა. ცხადია, 700 მებრძოლით ოსმალეთის წინააღმდეგ ომის დაწყება იმას ნიშანვდა, რომ ტოტლებენი სერიოზული ბრძოლების გამართვას არ აპირებდა. ასეც მოხდა. 1770 წლის 18 აპრილს გენერალმა აწყურის ალყის დაწყებიდან მეორე დღეს ჯარი უკან, სურამში დააბრუნა და ერეკლე II მარტო დატოვა. 20 აპრილს ასპინძასთან გამართულ ბრძოლაში მეფე ერეკლემ ისმალთა და ლეკთა გაერთიანებული ლაშქარი სასტიკად დაამარცხა. ერეკლემ არ იცოდა, რა გეგმები ჰქონდა გენერალ ტოტლებენს, ამიტომ მან თბილისში სურამის გავლით დაბრუნება გადაიფიქრა და ჯავახეთის გზით წავიდა.

გოტლიბ ტოტლებენის ავანტიურა უამრავ კითხვას აჩენს: ვისი დავალებით მოქმედებდა გენერალი? რა იყო მისი მიზანი, როგორ უნდა განეხორციელებინა დასახული გეგმა?.. – ამ კითხვებზე პასუხების გაცემისას სულ ოთხი ვერსია გამოიკვეთა: 1. ტოტლებენი მოქმედებდა თვითნებურად, პირადი შეხედულებით. ამ ვერსიის შემქმნელები რუსეთის საიმპერატორო კარისათვის ნამუსის მოწმენდას ცდილობენ და მთელ პასუხისმგებლობას მომხდარისათვის ავანტიურისტ გენერალს აკისრებენ; 2. გენერალი უცხო სახელმწიფოების (ინგლისის, პრუსიის, ოს-

მალეთის) დაზერვის მიერ შეთავაზებული გეგმით მოქმედებდა. ამ ვერსიას კვებავს ერთი საინტერესო ფაქტი: 1757-1763 წლებში პრუსიის წინააღმდეგ მიმდინარე ომში ტოტ-ლებენი რუსეთის ჯარის გენერალი იყო. იგი ფაქტზე დაიტირეს და ამხილეს, როგორც პრუსიის იმპერატორ ფრიდრიხის დიდის ინ-ფორმატორი, გაასამართლეს და სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. რუსეთის იმპერატორმა სიკვდილმისჯილი შეიწყნარა და ქვეყნიდან გაძევებით დაკმაყოფილდა. რუსეთ-ოსმალე-თის ომის დაწყების შემდეგ ტოტლებენმა კვლავ მოახერხა რუსეთში დაბრუნება და საქართველოში გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსის მეთაურადაც დაინიშნა. 3. ტოტ-ლებენი ქართლის თავადებმა წააქეზეს და გენერალიც მათი თანადგომით მოქმედებდა. ეს ვერსია ემყარება ქართლის თავადების მისწრაფებას, ქართლის ტახტზე დაეპრუნებინათ ვახტანგ VI-ის შთამომავლობა, თუმცა ძალიან ძნელი დასაჯარებელია, რომ გენერალი, თუნდაც ავანტიურისტი, ქართლის თავადების სურვილს ანგარიშს გაუწევდა და მეფის ტახტიდან ჩამოგდებას გადაწყვეტდა; 4. გენერალი ტოტლებენი საიმპერატორო კარის დავალებით მოქმედებდა, პეტერბურგში შემუშავებული გეგმის თანახმად. გენერალს ერეკლე II-ის თავიდან მოცილება ჰქონდა დავალებული. რა გზით უნდა გაეკეთებინა ეს, პირადად მას უნდა გადაეწყვიტა. ტოტლებენმა უმჯობესად მეფე ერეკლეს ბრძოლაში მიტოვება მიიჩნია, სადაც ის დაიღუპებოდა და ქართლ-კახეთის ლაშქარიც განადგურდებოდა. რუსეთის საიმპერატორო კარის გეგმის დანარჩენი ნაწილი ჩვენთვის უცნობია, რადგან ტოტლებენის ავანტიურა ჩაიშალა, მალე იგი ქართლს საერთოდ გაეცალა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მნიშვნელოვანი დეტალის დადგენა მაინც შეიძლება.

ასინძის ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ერეკლე II-მ რუსეთში ელჩიობა მიავლინა, რათა იმპერატორი-სათვის გამარჯვება მიელოცა. ელჩიობის ერთ-ერთ წევრს, ქართლელ თავად ზაალ ორბელიანს რუსი სენატორი შევდა და უთხრა, ეკატერინა II ერეკლე II-ით უკმა-

ყოფილოა. არც მეტი არც ნაკლები, ზაალ ორბელიანს რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიაში ასეთი რამ განუცხადებია: „თუ მეფე (ეკატერინა II - ვ. გ.) ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე მისცეს ქვეყანა, ან - სოლომონს“. როგორც ვხედავთ, ტოტ-ლებენის ავანტიურის ჩაშლის შემდეგაც კი, ზაალ ორბელიანი ერეკლე II-ის ტახტიდან ჩამოგდებაზე ოცნებას არ წყვეტდა. ზაალ ორბელიანის საუბრის ტექსტი რუსეთის საიმპერატორო კარმა ერეკლე II-ს გამოუგზავნა. რა იყო ეს, კეთილგანწყობილების გამოხატულება, თუ ერეკლეს დაშინების მცდელობა? ალბათ, საპოლემიკო არაა, რომ რუსეთის იმპერატორი ქართლის თავადებითა და რუსეთში გადახვენილი ვახტანგ VI-ის მემკვიდრეებით ერეკლეს დაშინებას ცდილობდა.

რა დასკვნა გამოიტანა ერეკლე II-მ გოტლიბ ტოტლებენის ავანტიურისა და ამ ავანტიურაში ქართლის თავადების შესაძლო მონაწილეობისაგან? ერეკლე მეფე დარწმუნდა, რომ, ოსმალეთის ნინაალმდეგ ომში ჩაბმის მიუხედავად, ნადირ შაჰთან, ადილ შაჰსა და ქერიმ ხანთან ახლო ურთიერთობაში მყოფი და დიდი ხნის განმავლობაში პროირანული ორიენტაციის გამტარებელი ერეკლე II რუსეთის საიმპერატორო კარზე მიუღებელ და შეიძლება, საშიშ მეფედაც ითვლებოდა. პროირანული ორიენტაციის უარყოფა და პრორუსული ორიენტაციის აღიარება ქართლ-კახეთის მეფეს უფრო დამაჯერებლად უნდა გამოეხატა. ერეკლეს დიდი ფიქრის დროც არ ჰქონდა - რუსეთ-ოსმალეთის ომის პირველმა ორმა წელმა აშკარა გახადა, რომ ოსმალეთი რუსეთს ვერ დაამარცხებდა, მაშასადამე, სამხრეთ კავკასიაში ოსმალთა პოზიციები შესუსტებოდა. გამარჯვებულ რუსეთ-თან ურთიერთობის მოგვარებაზე ერეკლეს წინდანინ უნდა ეზრუნა.

საბოლოო გადაწყვეტილება მეფემ 1771 წლის დეკემბრის მიწურულსა და 1772 წლის იანვრის დამდეგს მიიღო. 1771 წლის 30 დეკემბერს თბილისში ერეკლე II-მ ხელი მოაწერა ეკატერინა II-დმი გასაგზავნ დოკუმენტს -

ხელშექრულების პროექტს, რომლის მიხედვითაც, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. 1772 წლის 6 იანვარს მცხეთაში ხელმოწერილ იქნა მეორე დოკუმენტი – ქართლ-კახეთის სამეფო სახლის პირობა რუსეთის იმპერატორს. პირველისაგან განსხვავებით, ამ დოკუმენტს ხელს აწერდნენ: ერეკლე II, დედოფალი დარეჯანი, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I, ბატონიშვილები: გიორგი, ლევანი, იულიონი, ვახტანგი. 1772 წლის მაისში ერეკლე II-ის თხოვნა ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის მფარველობაში მიღების თაობაზე კათოლიკოს-პატრიარქმა ანტონ I-მა და ლევან ბატონიშვილმა რუსეთის საიმპერატორო კარს ოფიციალურად წარუდგინეს. ერეკლე II-ის წინადადების თანახმად, რუსეთის იმპერიის მფარველობაში შესულ ქართლ-კახეთის სამეფოში „უცვალებლად“ უნდა შენარჩუნებულიყო მეფისა და კათოლიკოს-პატრიარქის ხელისუფლება, ანუ უმაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლება. ქართლ-კახეთის მეფის თხოვნას პეტერბურგში 11 წელი, 1772 წლიდან 1783 წლამდე, ყურადღებას არ აქცევდნენ. რუსეთის იმპერატორი ეკატერინა II ლოდინის ტაქტიკას ტყუილად არ ადგა. დაძაბული ურთიერთობა ევროპის სახელმწიფოებთან (ბრძოლა პოლონეთის გადანაწილებისათვის) და ოსმალეთთან (ბრძოლა ჩრდილოეთისათვის) და სომალეთთან (ბრძოლა ჩრდილოეთში შავიზლვისპირეთში გაბატონებისათვის) რუსეთს ირანთან ურთიერთობაში სიფრთხილისაკენ უბიძებდა. ეკატერინა II ირანის გალიზიანებას ერიდებოდა და ქართლ-კახეთის სამეფოს ირანის სავასალო ტერიტორიად, ხოლო ერეკლე II-ს ირანის ვასალად სცნობდა. ცხადია, ირანში კარგად უწყობდნენ 1772 წელს ერეკლე II-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე – ირანის ვასალი რუსეთის მფარველობაში შესვლას ითხოვდა. ირანს ერეკლე II-ის დასასჯელად მიზეზები საკმაოზე მეტი ჰქონდა. ეს ეკატერინა II-მაც კარგად უწყობდა. მიუხედავად ამისა, პეტერბურგში ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღებას, როგორც უკვე ვთქვით, 11 წელი აჭიანურებდნენ. საბედნიეროდ, ქერიმ ხანის სიკვდილის შემდეგ ირანში შინააშლი-

ლობა დაიწყო და ქართლ-კახეთის სამეფო დასჯას გადარჩა.

რუსეთის საიმპერატორო კარი ქართლ-კახეთის მეფეს არ ენდობოდა, მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე II 1769 წელს ოსმალეთის წინააღმდეგ ომში ჩაეპა და, ცხადია, ამით ოსმალეთთან ურთიერთობა სამომავლოდ სერიოზულად გაირთულა. ეს უნდობლობა არ გამქრალა არც მას შემდეგ, რაც 1772 წლის მაისში ერეკლე II-მ რუსეთის მფარველობაში შესვლა ოფიციალურად ითხოვა. რა უნდა ყოფილყო ამის მიზეზი? ქართლ-კახეთის მეფის კარზე მყოფი რუსი რეზიდენტები პეტერბურგში გაგზავნილ საიდუმლო მოხსენებებში აღნიშნავდნენ, რომ 1772 წლის შემდეგაც ერეკლე II-ს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ირანის გამგებელ ქერიმ ხანთან და, რაც მთავარია, მეფე არ კარგავდა იმედს, რომ ავსტრიის იმპერატორისაგან დახმარების მიღებას შეძლებდა. ეს საკითხი აქტუალური კიდევ ერთხელ გახდა, როდესაც ეკატერინა II-მ ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღება გადაწყვიტა და 1782 წლის მიწურულსა თუ 1783 წლის დამდეგს მფარველობითი ხელშექრულების პირობები იმხანად საგარეო უწყების პრაქტიკულ ხელმძღვანელს, ალექსანდრ ბეზბოროდეკის უკარნახა. აი, ამ პირობების ჩვენთვის საინტერესო ნაწილი: 1. ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორსა და სხვა ქრისტიანულ სახელმწიფოებთან ყოველგვარი ურთიერთობა უნდა შეეწყვიტათ; 2. ქართველი მეფეებისათვის უნდა განემარტათ, რომ ამ სახელმწიფოებს დადებული ჰქონდათ პირობა, არ ჩარეულიყვნენ რუსეთის მეზობელი აზიური სახელმწიფოების საქმეებში; 3. ერეკლე II-სა და სოლომონ I-ს ავსტრიის იმპერატორისათვის წერილიც კი არ უნდა გაეგზავნათ. მართალია, ეკატერინა II-ის ეს მოთხოვნები გეორგიევსკის ტრაქტატში არ ასახულა, მაგრამ არა იმიტომ, რომ რუსეთის იმპერატორმა აზრი შეიცვალა, არამედ იმიტომ, რომ ეკატერინა II ავსტრიისა და პრუსიის იმპერატორებთან უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩენილიყო. ამ აკრძალვის მიუხედავად, როგორც რუსი რეზიდენტების მოხსენებებიდან ჩანს,

ერეკლე II ავსტრიის იმპერატორისაგან დახმარების მიღებას გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგაც ცდილობდა, რაც, ცხადია, რუსეთის საიმპერატორო კარის ქართლ-კახეთის მეფისადმი უნდობლობას კიდევ უფრო ზრდიდა. ეკატერინა II-ს თავისი რეზიდენტების მოხსენებების სიმართლეში ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ის, რაც შემდეგ მოხდა, ძალზე დამაჯერებელი სამხილი იყო. ავსტრიის იმპერიას ოსმალეთთან ურთიერთობა დაეძაბა და რუსეთის დახმარება დასჭირდა. ეკატერინა II-დმი თავისი კეთილგანწყობა რომ დაედასტურებინა, ავსტრიის იმპერატორმა ერეკლე II-ის მთელი მიმოწერა, რომელიც რუსეთის საიმპერატორო კარისათვის მანამდე სრულიად უცნობი იყო, ეკატერინა II-ს გაუგზავნა. ასე რომ, რუსეთის იმპერატორი ერეკლე II-დმი უნდობლობას რომ იჩენდა, მიზეზი საკმაოზე მეტი ჰქონდა. ეკატერინა II-მ ავსტრიის იმპერატორის „საჩუქრის“ შემდეგ სრულიად ლოგიკური დასკვნები გააკეთა, თუმცა მომხდარის შესახებ ერეკლე მეფისათვის არც კი მიუნიშნებია.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რა მიზეზებმა განაპირობა ის, რომ თერთმეტწლიანი ლოდინის შემდეგ ეკატერინა II-მ 1783 წელს ქართლ-კახეთის სამეფოს მფარველობაში მიღება მაინც გადაწყვიტა? დღეს ამ მიზეზებზე აღარავინ დაობს: პირველი. 1782-1783 წლებში დაძაბული ურთიერთობის შემდეგ რუსეთმა ოსმალეთი აიძულა, ყირიმის სახანო დაეთმო. ამან ჩრდილო კავკასიაში რუსეთის გააქტიურებისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა, რადგან უზარმაზარი სივრცე შავი ზღვიდან, უფრო კონკრეტულად, აზოვის ზღვიდან კასპიის ზღვამდე (ასტრახანამდე) რუსეთის კონტროლს დაექვემდებარა. კავკასიის დაპყრობაში ოსმალეთი რუსეთს ხელს ვეღარ შეუშლიდა; მეორე. ცნობილმა პოლიტიკურმა და სამხედრო მოღვაწემ, გრიგორი პოტიომკინმა, ოსმალეთის დაშლის გეგმა წამოაყენა. მისი აზრით, ოსმალეთი, როგორც ერთიანი სახელმწიფო, უნდა დაშლილიყო. ბალკანეთის წახვარკუნძულზე, ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე, ბერძნების გარშემო, ქრისტიანი ხალხები უნ-

და გაერთიანებულიყვნენ და ერთი ქრისტიანული სახელმწიფო შექმნილიყო, რომლის მეფეც რუსი უფლისწული იქნებოდა. სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის ბატონობისაგან გათავისუფლებული ქრისტიანი ხალხებისაგან (ქართველების, სომხების, ასირიელებისაგან) ასევე უნდა შექმნილიყო სახელმწიფო, რომელიც, ცხადია, რუსული ორიენტაციისა იქნებოდა. გრიგორი პოტიომკინის გეგმამ „საბერძნეთის პროექტის“ („ბერძნული პროექტის“) სახელწოდება მიიღო. ბალკანეთზე ახალი სახელმწიფოს შემქმნელი მთავარი ძალა ბერძნები უნდა ყოფილიყვნენ, სამხრეთ კავკასიაში – ქართველები, როგორც რეგიონში სახელმწიფოებრიობის მქონე ერთადერთი ერი. ამ სახელმწიფოში უნდა შესულიყვნენ სომხები და ქრისტიანი ასირიელები. სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის დაშლის შემდეგ ქრისტიანული სახელმწიფოს შექმნა ერეკლე II-ის გარეშე ვერ მოხერხდებოდა, რადგან იგი არა მარტო ქართული სამეფო-სამთავროების, არამედ საერთოკავკასიურ ლიდერადაც მოიაზრებოდა. საბერძნეთის პროექტმა ერეკლე II-სა და ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში, მეტიც, აღმოსავლურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკისრა. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ პეტერბურგში 11 წლის დუმილის შემდეგ ერეკლე II-ის თხოვნა გაახსენდათ და, თუ ადრე რუსები ფეხს ითრევდნენ, ახლა ერეკლე II-ს, პირიქით, აჩქარებდნენ მფარველობის თაობაზე ხელშეკრულების დადებას, რაც 1783 წლის 24 ივლისს გეორგიევსკში ხელმოწერილი ტრაქტატით განხორციელდა კიდეც.

1783 წლის მფარველობითი ხელშეკრულება (ტრაქტატი) ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის, ზოგიერთი მუხლის გამოკლებით, ერეკლე II-ის მიერ წამოყენებული პირობების მიხედვით დაიდო. ტრაქტატის ძალით, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, რუსეთი ვალდებული იყო, საქართველოში უმაღლესი საერო (სამეფო) და სასულიერო (საეკლესიო) ხელისუფლება უცვლელად შეენარჩუნებინა, ანუ ქართლ-კახეთს ეყოლებოდა მეფე ბაგრატიონთა

დინასტიიდან (ერეკლე II-ის შთამომავლები) და კათოლიკოს-პატრიარქი; ახალი მეფის ტახტზე ასვლა რუსეთის იმპერატორს სამეფო ნიშნების – ინვესტიტურის გამოგზავნით უნდა დაედასტურებინა; სხვა სახელმწიფოთა აგრძისისაგან დაცვის მიზნით, ქართლ-კახეთის სამეფოში მუდმივად უნდა მდგარიყო რუსეთის ჯარი (2 ბატალიონი), რომლის რაოდენობა საჭიროების შემთხვევაში გაიზრდებოდა; ქართლ-კახეთში უცვლელი არა მარტო სამეფო ხელისუფლება რჩებოდა, არამედ უცვლელი იქნებოდა ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა, ქართული სამართალი და სასამართლოს სისტემა; მიმოქცევაში რჩებოდა ქართული ფული და ზომა-წნონის ერთეულები; უცვლელად უნდა შენარჩუნებულიყო ქართლ-კახეთის მეფის ქვეშევრდომობა; ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები არ ხდებოდნენ რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომები. ტრაქტატი გარკვეულ ვალდებულებას აკისრებდა ქართლ-კახეთის მეფეს. ერეკლე II რუსეთის იმპერატორის სამუდამო მფარველობაში შედიოდა და არასდროს აღარ მიიღებდა სხვა სახელმწიფოს მფარველობას. ქართლ-კახეთის მეფეს საგარეო პოლიტიკა რუსეთის საიმპერატორო კართან უნდა შეეთანხმებინა. ეს იყო ქართლ-კახეთის სამეფოს მხრიდან ორი უმთავრესი ვალდებულება, რომლებიც ქვეყნის სუვერენიტეტს ზღუდავდა. ერეკლე II-ის ღირსებას ლახავდა ტრაქტატის ერთი პირობა: ქართლ-კახეთის მეფეს უშუალოდ რუსეთის იმპერატორისათვის არ შეეძლო მიემართა, მეფეს იმპერატორისათვის მოსახსენებელი ჯერ კავკასიის ხაზის მთავარსარდლისათვის უნდა ეცნობებინა. რუსეთი ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო საქმეებში არ უნდა ჩარეულიყო, თუმცა ტრაქტატის ერთ-ერთი მუხლი ამ პირობას ეწინააღმდეგბოდა: სამოხელეო თანამდებობებზე დანიშვნისას ქართლ-კახეთის მეფეს კანდიდატის რუსეთის წინაშე დამსახურება უნდა გაეთვალისწინებინა, რაც გარკვეული დროის შემდეგ მნიშვნელოვან სახელმწიფო თანამდებობაზე რუსოფილებს მოამრავლებდა. ერეკლე II-ისა და სოლომონ I-ის ღირსებას ლახავდა

ტრაქტატის კიდევ ერთი მუხლი: ქართველ მეფებს შორის დავის წარმოშობის შემთხვევაში არბიტრის როლი რუსეთის იმპერატორს უნდა შეესრულებინა. კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ის ღირსებას გარკვეულწილად ამცირებდა ის, რომ უძველესი საპატრიარქო ტახტის მპყრობელი და უძველესი ავტოკეფალური ეკლესიის მეთაური რუსეთის ეკლესიის უწმინდესი სინოდის წევრი ხდებოდა და სინოდის წევრ მეუფებს შორის მერვე ადგილს იკავებდა. გეორგიევსკის ტრაქტატის მომზადებისა და დადების პერიოდში კიდევ ერთი არასასიამოვნო ფაქტი მოხდა. ერეკლე II-ის მოთხოვნით, ტრაქტატის ტექსტში მისი ტიტულატურა ასე უნდა განსაზღვრულიყო: „ერეკლე II – მეფე კახეთისა და მეფე ქართლისა, მემკვიდრე მთავარი სამცხე-საათაბაგოსი, ყაზახის მთავარი, ბორჩალოს მთავარი, შამშადილუს მთავარი, კახის მთავარი, შაქის მთავარი და შირვანის მთავარი, მფლობელი და მფარველი განჯისა, ერევნისა და სხვათა.“ რუსული მხარის მოთხოვნით, ერეკლე II-ის ამგვარი ტიტულატურა ტრაქტატის ტექსტში არ შესულა, რაც რუსმა დიპლომატებმა ასე ახსნეს: სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის ტერიტორიას წარმოადგენდა და მისი მემკვიდრე მთავარი ქართლ-კახეთის მეფე ვერ იქნებოდა; კახი (ჭარ-ბელაგენის ნაწილი), შაქი, შირვანი ირანის სახელმწიფოში შედიოდა, რის გამოც ქართლ-კახეთის მეფე მათი მთავარი ვერ იქნებოდა; განჯისა და ერევნის სახანოები ირანს ეკუთვნოდა, რის გამოც მათ მფლობელად და მფარველად ქართლ-კახეთის მეფე ვერ ჩაითვლებოდა. რუსმა დიპლომატებმა საბოლოოდ ასეთი დასკვნა გააკეთეს: ერეკლე II-ის ტიტულის წარდგენილი სახით დამტკიცება ლახავდა ოსმალეთისა და ირანის სუვერენიტეტს, რაც ამ ქვეყნების ხელისუფალთა გაღიზიანებას გამოიწვევდა, ეს კი რუსეთის ინტერესებში არ შედიოდა.

გეორგიევსკის ტრაქტატი რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლებისა და 1787-1791 წლების ომებს შორის დაიდო. თავდაპირველად რუსეთის იმპერიის მფარველობაში იმერეთის სამეფოც უნდა შესულიყო. იმერეთის სამეფოს საკითხი რუსეთის საიმ-

პერატორო კარზე 1782 წლის ბოლოსა და 1783 წლის დამდეგსაც განიხილებოდა. ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ ეკატერინა II-ს მიერ ალექსანდრ ბეზბოროდკოსათვის ნაკარნა-ხევი მფარველობითი ხელშეკრულების პი-რობები ეხებოდა როგორც ქართლ-კახეთის, ისე იმერეთის სამეფოს. ეს ის დრო იყო, როდესაც რუსეთსა და ოსმალეთს შორის დაპირისპირება მთელი ძალით გრძელდებოდა. რუსეთს პოლონეთის გადანაწილებასთან დაკავშირებით დაძაბული ურთიერთობა პერნდა ევროპის სახელმწიფოებთან (პოლონეთის პირველი გადანაწილება 1772 წელს შედგა, მეორე – 1793 წელს). ორ ფრონტზე მეპრძოლ რუსეთის იმპერიას ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერეთის სამეფოს მფარველობაში მიღების გამო შეიძლებოდა, ირანსა და ოსმალეთთან ურთიერთობა დაძაბვოდა, გამორიცხული არ იყო ომიც. ამიტომ იყო, რომ ეკატერინა II ფრთხილობდა. მის მიერ ნაკარნახევი ხელშეკრულების პირველ მუხლში გარკვევით იყო აღნიშნული: ქართველ მეფეებთან სამოკავშირეო ტრაქტატი დაიდოს; მათ ქვეშევდომები არ ვუწოდოთ, არამედ – რუსეთის იმპერიის მფარველობაში მყოფი მოკავშირები. ეკატერინა II ფრთხილობდა, ირანის გალიზიანებას ერიდებოდა. 1768-1774 წლების ომის შემდგომ რუსეთოსმალეთის ურთიერთობა, დროდადრო, სერიოზულად იძაბებოდა. იმავდროულად, ინგლისი ცდილობდა, პოლონეთის დანაწილებისათვის, რუსეთის, ავსტრიისა და პრუსიისათვის დაპირისპირება როგორმე მოშენებაში გადაეზარდა. ამ ფონზე ირანთან ურთიერთობის დაძაბვა არასასურველი, საშიშიც კი იქნებოდა. გარკვევით უნდა ითქვას, რომ გეორგიესკის ტრაქტატის დადებით სერიოზულ რისკს არა რუსეთის იმპერია, არამედ ქართლ-კახეთის სამეფო სწორდა. საშიშოება მრავალმხრივი იყო: ყველაზე დიდ ხიფათს შეიცავდა ირანის გაერთიანება და სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავასიაში რუსეთის აგრესის აღკვეთა, როგორც ეს ნადირ შაპმა მოიმოქმედა. ამ შემთხვევისათვის ქართლ-კახეთის სამეფოს „მფარველი“, ოსმალეთსა და ევროპის სახელმწიფოებთან დაპირისპირებული რუსეთი,

გარკვეული ხნით კავკასიონის ქედს გადაღმა დარჩებოდა, ერეკლე II-ის პროტული ორი-ენტაციით გაღიზიანებული ირანი კი შურს იძიებდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, ცხადია, კარგად ჰქონდა გააზრებული ერეკლე II-ს. მაშინ, რატომ გადაწყვიტა მეფემ გეორგი-ევსკის ტრაქტატის დადება? ერეკლე II-ს სწამდა, რომ ირან-ოსმალეთ-რუსეთის დაპირისპირება ადრე თუ გვიან რუსეთის გამარჯვებით დასრულდებოდა, ამიტომ უმჯობესი იყო, ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში სამხრეთ-აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში რუსეთის შემოჭრამდე შესულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთი ქართლ-კახეთს ირანულ სახანოებთან გააიგივებდა და მასაც სახანოების მსგავსად დაიპყრობდა. ერეკლე რუსეთთან ისეთი ხელშეკრულების დადებას ესწრაფოდა, რომელიც ქართლ-კახეთს ირანული სახანოებისაგან გამოარჩევდა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარანტიას მისცემდა. ერეკლე II სავსებით ლოგიკურად აზროვნებდა, თუმცა მოვლენები სხვაგვარად, თუ შეიძლება ითქვას, სრულიად არალოგიკურად განვითარდა.

არ შეიძლება, ზოგიერთი საბედისწერო გადაწყვეტილების მიღებაში ერეკლე II დავადანაშაულოთ. ჩვენი პოზიცია რომ უფრო ნათელი გახდეს, აუცილებელია, რუსეთის საიმპერატორო კარის იმ გადაწყვეტილებებს შევეხოთ, რომლებიც ერეკლეს, არათუ 1782-1783 წლებში, სიცოცხლის ბოლომდეც კი არ შეუტყვია. საგარეო პოლიტიკის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე გადაწყვეტილებას მეფე, სამეფო კარი იმ ინფორმაციის ანალიზის შედეგად უნდა იღებდეს, რომელსაც სხვადასხვა სახელმწიფოს დედაქალაქიდან აწვდიან. ერეკლე II-ის შემთხვევაში ვითარება კარდინალურად განსხვავებული იყო. ქართლ-კახეთის სამეფოს თეირანში, სტამბოლსა და პეტერბურგში რაიმე დიპლომატიური წარმომადგენლობის მსგავსი (ელჩი, კონსული) 1783 წლამდე არასდროს ჰყოლია. ეს იმას ნიშნავს, რომ მეფემ არაფერი უწყოდა იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებსაც

ირანში, ოსმალეთსა და რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოსთან ურთიერთობის თაობაზე იღებდნენ. ერეკლეს ინფორმაცია მისდიოდა, მაგრამ ეს შემთხვევიდან შემთხვევამდე ხდებოდა, ხოლო ხშირად მოწოდებული ინფორმაცია ყურმოკრული ცნობები იყო. ეს არ იყო პროფესიონალი დიპლომატების მიერ მოწოდებული მასალა. ქართლ-კახეთის სამეფოს არ გააჩნდა საგარეო დაზვერვა, რომელიც ირანში, ოსმალეთსა და რუსეთში, მეფის დავალებით, გარკვეული სახის ინფორმაციას მოიპოვებდა. ასე რომ, ერეკლე II-ს გადაწყვეტილებები, ფაქტობრივად, ნულოვანი ინფორმაციის პირობებში უნდა მიეღო. ასე მოხდა 1782-1783 წლებშიც. მაშინ, როდესაც რუსი რეზიდენტები ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ათწლეულების განმავლობაში წარმატებით მუშაობდნენ (ოფიციალურად ისინი მოგზაურები, მხატვრები ან ექიმები იყვნენ), ერეკლეს რუსეთის იმპერიის დედაქალაქში არც ერთი დიპლომატი არ ჰყავდა. რუსეთის საიმპერატორო კარმა თითქმის ყველაფერი იცოდა, რაც ქართლ-კახეთის სამეფო კარზე ხდებოდა, ერეკლე II-მ კი არაფერი უწყოდა იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც პეტერბურგსა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის მფარველობითი ხელშეკრულების დადების პერიოდში ან შემდგომ ხანებში მიიღეს. ამიტომ იყო, რომ მეფემ ვერ ახსნა, რუსეთის საიმპერატორო კარი, რომელიც 11 წლი არ ჩქარობდა ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების დადებას, მოულოდნელად 1782 წლის ბოლოს და 1783 წლის დამდეგს რატომ აჩქარდა და ხელშეკრულების მომზადება და დადება უმოკლეს დროში რატომ მოინდომა. ქართლ-კახეთის მეფემ არ იცოდა, რომ რუსეთის საიმპერატორო კარის აჩქარება ორმა მიზეზმა განაპირობა: ყირიმის სახანოს საკითხის რუსეთის სასარგებლოდ გადაწყვეტამ და „საბერძნეთის პროექტიმა.“ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „საბერძნეთის პროექტიმა“ ქართლ-კახეთის სამეფოს სამხრეთ ამიერკავკასიაში მნიშვნელოვანი ფუნქცია შესძინა. მალე ვითარება კარდინალურად, ქართლ-კახეთისათვის საბედისნეროდ შეიცვალა. ოსმალეთის და-

ნაწილების საკითხში რუსეთის მოკავშირე ავსტრიის იმპერია იყო. ინგლისმა, რომელ-საც რუსეთისა და ავსტრიის მონაწილეობით ოსმალეთის დანაწილება ხელს არ აძლევდა, ავსტრიის იმპერატორზე გავლენა მოახდინა და ავსტრია „საბერძნეთის პროექტს“ გამოეთიშა. ავსტრიის იმპერატორმა ეკატერინა II-ს მისწერა: ყირიმის სახანოს რუსეთის შემადგენლობაში გადასვლას ვცნობ; თუ ოსმალეთი რუსეთს ომს დაუწყებს, რუსეთის მოკავშირე ვიქები, მაგრამ ოსმალეთის გადანაწილებაში მონაწილეობას ვერ მივიღებო. „საბერძნეთის პროექტის“ განხორციელება შეფერხდა და ქართლ-კახეთის სამეფომაც სამხრეთ კავკასიაში ის მნიშვნელოვანი ფუნქცია დაკარგა, რომელიც მას ოსმალეთის გადანაწილების შემთხვევაში ენიჭებოდა და რამაც გეორგიევსკის ტრაქტატის დადება დააჩქარა. „საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლას საბედისნერო მნიშვნელობა ჰქონდა ქართლ-კახეთის სამეფოსათვის, ერეკლე II-მ კი ამის შესახებ არაფერი იცოდა. ეს იყო სახელმწიფოებრივი საიდუმლო, რომელსაც პეტერბურგში მყაცრად იცავდნენ. „საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლამ რუსეთის იმპერიის კავკასიურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა: თუ „საბერძნეთის პროექტიდან“ გამომდინარე, რუსეთის საიმპერატორო კარი ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების დადებას, საქართველოში ჯარის გამოგზავნას საჭიროდ მიიჩნევდა, „საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლის შემდეგ რუსეთისათვის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების შესრულება უკვე ზედმეტ ბარგადი იქცა. ამიერიდან ყურადღება პოლონეთის დანაწილებაზე იქნა გადატანილი და ევროპის სახელმწიფოებთან დაპირისპირებული რუსეთი ოსმალეთსა და ირანთან მშვიდობიანი ურთიერთობის შენარჩუნების გზას დაადგა. ეკატერინა II-მ კარგად იცოდა, რომ ირანსაც და ოსმალეთსაც ქართლ-კახეთის სამეფოში მდგარი ორი რუსული ბატალიონი უკიდურესად ალიზიანებდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოში ჯარის დამატებითი კონტინგენტის გაგზავნისაგან, რასაც ერეკლე II მრავალგზის ითხოვდა, იმპერატორი თავს იკავებდა. ასე

გრძელდებოდა წლების განმავლობაში, ხოლო 1787 წელს, ოსმალეთთან ომის დაწყების მომიზეზებით, რუსეთმა საქართველოდან ის თრი ბატალიონიც გაიყვანა. ამ ნაბიჯით შეშფოთებულ ერეკლე II-ს პეტერბურგიდან განუმარტეს: რუსეთის ჯარის ქართლ-კახეთის სამეფოში ყოფნა მეზობელ სახელმწიფოებს აღიზიანებს, ჯარის გაყვანის შემდეგ თქვენ მეზობლებთან ურთიერთობას უფრო ადვილად მოაგვარებთო. ალბათ, უადგილო არ იქნება ორი ასეთი ფაქტის გახსენებაც:

ამბავი პირველი: 1784 წლის 24 იანვარს თბილისში გეორგიევსკის ტრაქტატის რატიფიკაცია შედგა – ერეკლე II-მ ხელი მოაწერა სარატიფიკაციო სიგელს (ამ დროისათვის „საბერძნეთის პროექტი“ უკვე ჩაშლილი იყო). რატიფიკაციის ცერემონიალის დასრულების შემდეგ მეფე პეტერბურგში გამგზავრება და ეკატერინა II-თან შეხვედრა გადაწყვიტა. რუსეთის იმპერატორმა პეტერბურგში ერეკლეს ჩასვლა საჭიროდ არ მიიჩნია და მეფეს შვილების გაგზავნა ურჩია. ეს უკვე ცუდის ნიშანი იყო. მეფე ერეკლე ამას იმთავითვე მიხვდა, მაგრამ მას არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ ამის მიზეზი „საბერძნეთის პროექტის“ ჩაშლა იყო. რუსეთის იმპერატორი დიპლომატიურ თამაშს ეწეოდა: ეკატერინა II უკვე ხელმოწერილი ტრაქტატის რატიფიკაციაზე უარს არ ამბობდა, სამაგიროდ, ერეკლე II-ის პეტერბურგში ჩასვლაზე თავი შეიკავა, ეს კი იმის მომასწავებელი იყო, რომ რუსეთის იმპერატორი ტრაქტატის პირობების შესრულებას არ აპირებდა. იმპერატორი სწორად ვარაუდობდა, რომ ქართველი მეფის პეტერბურგში ჩასვლა ირანისა და ოსმალეთის გალიზიანებას გამოიწვევდა. გეორგიევსკის ტრაქტატზე ხელის ალების შემდეგ ერეკლე II-ის პეტერბურგში ჩასვლა რუსეთისათვის არავითარ საჭიროებას ალარ წარმოადგენდა. რუსეთი ჩვეულ ორპირობას განაგრძობდა: ეკატერინა II-მ კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ I-ს ბრილიანტის ჯვარი უბოდა და 2.500 მანეთით დააჯილდოვა, დედოფალი დარეჯანი წმ. ეკატერინას ორდენით დაჯილდოვდა; სხვადასხვა სახის ჯილდოები მიიღეს გიორგი, იულონ და ვახტანგ ბატონიშვილებმა.

პოდპოლკოვნიკის სამხედრო წოდება ებოძა 17 წლის მირიან ბატონიშვილს, ხოლო 18 წლის თეიმურაზ ბატონიშვილს, რომელიც ანტონის სახელით ბერად იყო აღკვეცილი, იმპერატორი რუსეთში მიწვევას და არქიეპისკოპოსის ხარისხში აყვანას დაპირდა. რუსული რევერანსები გათვალისწინებული იქნა. 1784 წლის 23 მაისს, ეკატერინა II-ის სურვილის თანახმად, მირიან ბატონიშვილი და თეიმურაზ ბატონიშვილი (ბერ-დიაკონი ანტონი, მომავალი კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II) იმპერიის დედაქალაქს გაემგზავრნენ.

ამბავი მეორე: გეორგიევსკის ტრაქტატის დადებასთან დაკავშირებით, 1784 წლის 6 დეკემბერს ეკატერინა II-მ ერეკლეს 24 ქვემები და ყუმბარების 2 კომპლექტი უბოძა. ეს მეფის დასამშვიდებელი ქმედება იყო, რადგან ამ დროისათვის პეტერბურგში საიდუმლო გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო, რომლის ძალითაც რუსეთი გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებაზე, ფაქტობრივად, უარს ამბობდა, თუმცა მის იურიდიულად გაუქმების საკითხს არ აყენებდა. მეფე ერეკლეს დასამშვიდებლად ნაბოძებმა 24-მა ქვემებმა დიდხანს იმოგზაურა: 1785 წლის თებერვალში ქვემებები პეტერბურგიდან ტვერში გაგზავნეს, შემდეგ მდინარე ვოლგით ქალაქ ცარიცინამდე ჩაიტანეს, საიდანაც ისევ სახმელეთო გზით ეკატერინონგრადში გადაიტანეს და ქვემებებმა თბილისში მხოლოდ 1787 წელს ჩამოალნია, ისიც ნანილმა. მეორე ნანილის ჩამოტანა იმდენად დაგვიანდა, რომ კრწანისის ომსაც კი (1795 წლის სექტემბერი) ვერ მოუსწრო. ერეკლე II-ის მრავალგზის თხოვნის მიუხედავად, ქვემებების თბილისში ჩამოტანა 1797 წლის 31 დეკემბერსაც კი არ იყო დასრულებული. ერეკლე II ისე გარდაიცვალა, რომ ნაბოძები ქვემებების სრულად ნახვას ვერ ეღირსა.

ერეკლე II-მ, როგორც აღვნიშნეთ, არაფერი უწყოდა არც „საბერძნეთის პროექტის“ არსებობის, არც მისი შეფერხების, ხოლო შემდეგ საერთოდ მივიწყების შესახებ. მეფემ არც ის იცოდა, რომ რუსეთმა

პოლიტიკური ვექტორი დასავლეთისაკენ მიაბრუნა, მთელი ყურადღება პოლონეთის გადანაწილებაზე გადაიტანა, ეს კი ირანსა და ოსმალეთთან მშვიდობის შენარჩუნებას ითხოვდა. რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ახალი დებულება – „სიწყნარე სამხრეთის საზღვრებზე“ – ფაქტობრივად, ქართლ-კახეთის სამეფოს განირვას, მისი ირანისა და ოსმალეთის პირისპირ მიტოვებას და, მაშასადამე, გეორგიევსკის ტრაქტატის ფაქტობრივ გაუქმებას ნიშნავდა.

ამ პერიოდის ისტორიიდან კიდევ ერთი მრავლისმეტყველი ფაქტის გახსენება შეიძლება: ეკატერინა II უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის ნარმომადგენლებთან, ერეკლე II-ის თხოვნის საფუძველზე, საქართველოში ჯარის დამატებითი კონტინგენტის გაგზავნის საკითხს იხილავდა, რასაც თათბირის მონაწილეთაგან ზოგი მხარს უჭერდა, ზოგიც ენინააღმდეგებოდა. ეკატერინა II-მ დასვა კითხვა: არსებობს კი იმის გარანტია, რომ საქართველოში მყოფ ორ ბატალიონს ისმალები არ ამოახრჩობენ? როცა უარყოფითი პასუხი მიიღო, იმპერატორმა განაცხადა: თუ ორი ბატალიონის უსაფრთხოების გარანტია არ არსებობს, მაშინ დამატებითი ჯარი რატომდა უნდა გავიმეტოო. ცხადია, ერეკლე II-მ არც ამ გადაწყვეტილების შესახებ უწყოდა რაიმე, ამიტომაც დაბეჯითებით, თუმცა ამაოდ ითხოვდა რუსეთის ჯარის ახალი ნაწილების გამოგზავნას.

დღეს ხშირად სვამენ კითხვას: რა მოხდებოდა, რუსეთის იმპერიას გეორგიევსკის ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულება რომ შეესრულებინა? ჩვენი ლრმა რწმენით, არაფერი შეიცვლებოდა. ქართლ-კახეთის სამეფო ისევ ისე დაასრულებდა არსებობას, როგორც დაასრულა 1801-1802 წლებში: სამეფო ყველა შემთხვევაში გაუქმდებოდა – ან ცოტა ადრე, ან ცოტა მოგვიანებით. რუსეთის საიმპერატორო კარი, ეკატერინა II, გეორგიევსკის ტრაქტატს არ განიხილავდა, როგორც ქართლ-კახეთის სამეფოს გადარჩენის მიზნით დადებულ ხელშეკრულებას. ტრაქტატი საქართველოში მშვიდობიანად, მისი გარეშე

შემოღწევის საშუალებას წარმოადგენდა. ეს იმ პირობებში, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო ირანის, იმერეთის სამეფო კი ისმალეთის ვასალი იყო, ხოლო ჩრდილო კავკასია რუსეთს ჯერ არ დაეპყრო და მოკლე დროში ვერც დაიპყრობდა. ასეთ ვითარებაში რუსეთს საქართველოში ერთბაშად, მისი გზით შემოღწევა სახიფათოდ მიაჩნდა. რუსეთის საიმპერატორო კარი საქართველოს დაპყრობას სამ ეტაპად გეგმავდა: 1. ქართლ-კახეთის სამეფოსთან მფარველობითი ხელშეკრულების დადება (მისი გარეშე შემოღწევა; სამეფოს საშინაო ვითარებაში, ეკონომიკურ მდგომარეობასა და სამხედრო სიძლიერეში გარკვევა); 2. ქვეშევრდომობითი ხელშეკრულება (პოზიციების განმტკიცება, ერეკლე II-ის ოპოზიციის წახალისება, რუსული ორიენტაციის ძალების ორგანიზება – რუსეთის მეხუთე კოლონის შექმნა); 3. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და ქვეყანაში რუსული მმართველობის, საოცუპაციო რეჟიმის დამყარება. პირველი ეტაპი ერეკლე II-ის მეფობის ბოლო პერიოდში (1783-1798 წ.). დასრულდა; მეორე ეტაპი გიორგი XII-ის დროს (1798-1800 წ.). უნდა დასრულებულიყო, ფაქტობრივად, დასრულდა კიდეც, ოლონდ მეფის გარდაცვალების გამო რუსეთის იმპერიასა და ქართლ-კახეთის სამეფოს შორის ქვეშევრდომობითი ხელშეკრულება იურიდიულად ვერ გაფორმდა; მესამე ეტაპი 1801-1802 წლებში განხორციელდა, როდესაც რუსებმა მათ მიერვე ტახტის მემკვიდრედ აღიარებულ დავით გიორგის ძეს ტახტზე ასვლის უფლება არ მისცეს და ქვეყანაში რუსული მმართველობა შემოიღეს.

აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას: რეალურად მიიჩნევდა თუ არა ერეკლე II რუსეთის იმპერიის მხრიდან გეორგიევსკის ტრაქტატის შესრულებას? სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, აუცილებელია აღინიშნოს: გეორგიევსკის ტრაქტატი არ წარმოადგენდა რაიმე მნიშვნელოვან ხელშეკრულებას, ისეთ ხელშეკრულებას, რომელსაც შეიძლებოდა, ქართლ-კახეთის სამეფო გადაერჩინა. დიდი მნიშვნელობა გეორგიევსკის ტრაქტატს რუსულმა იმპერიულმა

ისტორიოგრაფიამ პოლიტიკური მოსაზრებით მიანიჭა – რუს ისტორიკოსებს სურდათ რუსეთის იმპერიისათვის „დამყრობლის“ სტატუსი მოეხსნათ და „მფარველის“ სტატუსი მიენიჭებინათ. პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიასაც, რუსულსაც და ქართულსაც. არ შეიძლებოდა „უფროსი ძმა“ დამყრობელი ყოფილიყო, იგი ქართლ-კახეთს მფარველად, მეგობრად, მზრუნველად უნდა მოვლენოდა. რუსეთის იმპერიული და საბჭოთა ისტორიოგრაფია გეორგიესკის ტრაქტატის გაიდეალებით 1801 წლის 12 სექტემბრის აქტის შერბილებას, რუსეთის საიმპერატორო კარისათვის პირის მობანას ცდილობდა. ეს მზაკვრული ჩანაფიქრი კარგა ხანს ძლიერ სააგიტაციო საშუალებას წარმოადგენდა, თუმცა ჭეშმარიტების საბოლოოდ დამალვა შეუძლებელია. რაც შეეხება ზემოთ დასმულ კითხვას, მასზე პასუხის გაცემა ძნელია, რადგან დოკუმენტებიდან არ ჩანს, რას ფიქრობდა მეფე ერეკლე. ერთი რამ ცხადია, ერეკლე დაიმედებული იქნებოდა იმით, რომ მფარველობითი ხელშეკრულება რუსეთის ინიციატივით დაიდო. 1782-1783 წლებში რუსეთი ერეკლე Ⅱ-ს მფარველობითი ხელშეკრულების დადებას აჩქარებდა. სხვა ინფორმაცია ქართლ-კახეთის მეფეს არ ჰქონდა, რადგან გეორგიესკის ტრაქტატის დადების შემდეგ რუსეთის საიმპერატორო კარის ახალი კავკასიური პოლიტიკა დიდ სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა, ამ საიდუმლოების გაგების გარეშე კი ერეკლე Ⅱ ვერანაირად ვერ შეიტყობდა, თუ რატომ არ ასრულებდა რუსეთის იმპერია ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებებს. არა ერეკლე Ⅱ-ის დაცვის, მისი გამართლების მიზნით, არამედ ჭეშმარიტების დადგენისათვის, აუცილებლად მივიჩნიეთ იმ საკითხზე მსჯელობა, რომელსაც ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ხოლმე. ორ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების მომზადება, დადება და შემდეგ მის შესრულებაზე კონტროლი, გამოცდილი დიპლომატებისა და რაღაც დონეზე მაინც საგარეო დაზ-

ვერვის არსებობას მოითხოვს. როგორც აღვნიშნეთ, არც ერთი, არც მეორე ერეკლე მეფეს არასდროს ჰყოლია. გეორგიესკის ტრაქტატის დადების შემდეგ ერეკლე Ⅱ თბილისში ინახულა რუსმა რეზიდენტმა, რომელმაც თავის მოხსენებაში აღნიშნა: მეფის ჯანმრთელობა შერყეული მეჩვენა, მხრებში მოხრილიყო, მაგრამ თვალებიდან დიდი ძალა გამოკრთოდა. დაინტყო თუ არა საუბარი, მაშინვე დავრჩმუნდი, რომ მეფე აღმოსავლური დიპლომატიის ხელოვნებას ბრნიცინვალედ ფლობდაო. მეფე კი იყო გამოცდილი დიპლომატი, მაგრამ გეორგიესკის ტრაქტატის მომზადებასა და დადებაში არც ერთი პროფესიონალი დიპლომატი არ მონაწილეობდა. ტრაქტატიზე ხელის მომწერებს, გარსევან ჭავჭავაძესა და იოანე მუხრანბატონს, დიპლომატიურ ასპარეზზე მოღვაწეობის არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ, უფრო მეტიც, ისინი მოლაპარაკების მაგიდას ისე მიუსხდნენ, რომ რუსულ ენას ვერ ფლობდნენ. აქედან გამომდინარე, მათ არ იცოდნენ, რა ენერა ტრაქტატის რუსულ ეგზემპლარში. გეორგიესკის ტრაქტატის დადების შემდეგ რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოს სრულუფლებიან წარმომადგენლად (მინისტრად) რუსულის არმცოდნე გარსევან ჭავჭავაძე დაინიშნა. თბილისიდან გაგზავნილ ოფიციალურ დოკუმენტებს პეტერბურგში მას რუსულად უთარგმნიდნენ და ისიც ქართული ასო-ნიშნებით ხელს აწერდა: „პოლნომორინი მინისტრი გარსევან ჭავჭავაძე.“ „პოლნომორინი მინისტრი“ თბილისში ისე დაბრუნდა, ვერც რუსული ისნავლა და ვერც რაიმე არსებითი შეიტყო, თუ რატომ არ ასრულებდა რუსეთი გეორგიესკის ტრაქტატის პირობებს. ან რისთვის უნდა მიეღწია გარსევან ჭავჭავაძეს, როცა მას ურთიერთობა ინგლისში, საფრანგეთში, პრუსიასა და ევროპის სხვა ქვეყნებში მუშაობის დიდი გამოცდილების მქონე რუსეთის დიპლომატებთან ჰქონდა. გარსევან ჭავჭავაძესთან ერთად, რუსეთის საიმპერატორო კართან ურთიერთობა ჰქონდათ სრულიად ახალგაზრდა ბატონიშვილ მირი-

ას და არქიმანდრიტ გაიოზს. მართალია, ორივენი დროსა და ენერგიას არ იშურებდნენ მეფე ერეკლეს დავალებების შესასრულებლად, მაგრამ რუს დიპლომატებთან ურთიერთობაში ისინიც ბევრს ვერაფერს აღწევდნენ. ასე გაგრძელდა ერეკლეს სიცოცხლის ბოლომდე. როდესაც იგრძნო, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს აღსასრული მოახლოებული იყო, გარსევან ჭავჭავაძე საგანგებო წერილში იმპერატორ პაველ I-ს (1796-1801) სთხოვდა, ავადმყოფი მეფი-სათვის სანუგეშებელი წერილი გაეგზავნა. ეს უკვე ქართველი დიპლომატის მიერ კაპიტულაციის გამოცხადებას ჰგავდა. ცხადია, იმპერატორს ერეკლე II-თვის სანუგეშმ წერილი არ გამოიყენა.

ეკატერინა II-ის მმართველობის ბოლო
წლებში გეორგიევსკის ტრაქტატი სრულ
ფიქციად იქცა, თუმცა ერთი იმედისმომ-
ცემი გარემოებაც იყო – 1796 წელს რუ-
სეთის ჯარი, ირანის დაპყრობის მიზნით,
კასპიისპირეთში შეიჭრა და სერიოზული
ნარმატებებიც მოიპოვა. ჯარის ერთი ნა-
წილი ქართლ-კახეთის სამეფოში შემოვიდა
და განჯისა და ერევნის სახანოებზე შეტე-
ვისათვის დაიწყო მზადება. სამწუხაროდ,
ეკატერინა II-ის გარდაცვალების შემდეგ
ახალმა იმპერატორმა, პაველ I-მა დედის
ჩანაფიქრზე ხელი აიღო და ლაშქრობა შეწ-
ყვიტა. ინგლისის დასამარების მოსურნე
იმპერატორი ფრთხილობდა: „ოსმალეთმა
არ უნდა იფიქროს, რომ ჩვენ ომის საბაბს
ვეძებთ“.

ყუველივე ზემოთქმულს თუ შევაჯა-
მებთ, შეიძლება დავასკვნათ: ირან-ოსმა-
ლეთ-რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ
კავკასიაში იმგვარად განვითარდა, რომ
ერეკლე ॥ იძულებული გახდა, 35-წლიანი
პროირანული ორიენტაცია პრორუსულით
შეცვალა. რუსეთის საიმპერატორო კარი
არც ამის შემდეგ ენდობოდა ერეკლე ॥-ს
და მასთან პოლიტიკურ თამაშს აგრძელებ-
და: ხან ირანითა და ოსმალეთით აშინებდა,
ხან – ქართლის თავადებითა და რუსეთში
გადახვენილი ვახტანგ VI-ის მემკვიდრეე-
ბით. ერეკლე ჭკვიანი დიპლომატი იყო და

միտազութայ մոխքա, րոմ մարտալու, 1770
Եղանակ գեներալ Գրոթլենդենու ազանքուրա
հիամշալա և արյուսետմա միտզու արածասպր-
զելո մեջու տացուգան մոժորոյեա զեր Շեդ-
լո, մագրամ, սավսեծու լիանո ոյո, րոմ
ռյուսետո մթցայս յմեցեցես կըլազաւ գաաց-
րելեցեծա. րյուսետու սամիչրագորո կարո
կարցա ոյցենեծա օմաս, րոմ 1769 Եղանակ
յրեալլո ॥ ոսմալլետու նոնաձմդցա օմ-
թո հիանա, րոտաւ մյուսլոմյուր սամպարուստան
յորտոյերտոռի սյորոնթյուլա դայէսածա. րյու-
սետու մոմազալո ფարյուլո ույ աշկարա աց-
րեսու პորոնեցի յրեալլո ॥-մ ցագանպցութա
կազակասու մոմազալ մըպրոնելս մորոցիցո-
ւա և արյուսետու մոյարցելոռի մոյօլո. ամուս
Շեմդցա պայլագյուրո րյուսետու սամիչրա-
գորո կարծի ճանչրունո սցենարու ցանչո-
տարճա. յրեալլո ॥-ս, լիանո, ար Շեցիլո
Շեցալա րյուսետու օմպերու կազակասուրո
პոլութիւնու արսո.

მეცე ერევლე „რუსეთის კაცი“ არ ყოილა და არც რუსეთი მოუყვანისა საქართველოში. სიმართლე უნდა ითქვას: რუსეთი მოდიოდა და საქართველოს დასაპყრობად მას არც გეორგიევსკის ტრაქტატი და არც ერევლე ॥-ის პრორუსული ორიენტაცია სჭირდებოდა. რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში მთავარი არა გეორგიევსკის ტრაქტატი და ერევლე ॥-ის ორიენტაცია, არამედ ირანის დამარცხება, ქართლ-კახეთის სამეფოს დაპყრობა, ოსმალეთის დამარცხება და იმერეთის სამეფოს დაპყრობა იყო. გეგმა, ერთი შეხედვით, რთული, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, განხორციელებადი იყო. 1804 წელს აქარა ანტირუსული ორიენტაციის იმერეთის მეცე სოლომონ ॥, სამხედრო ძალის გამოყენების მუქარით, აიძულეს, რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომობა მიეღო. იმერეთის სამეფოს გაუქმება 1804 წლიდან 1809-1810 წლებამდე მხოლოდ იმიტომ გადაიდო, რომ 1806 წელს რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყო. სანამ რუსეთმა ამიერკავკასიაში წარმატებები არ მოიპოვა, იმერეთის სამეფოს გაუქმებისაგან თავი შეიკავა. ომში ოსმალეთის მარცხი იმერეთის სამეფოს გაუქმე-

ბასაც ნიშნავდა! დღევანდელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ ერევნის, განჯის, ნახქევნის, ყარაბაღის, შაქის, შირვანის, ბაქოსა და სხვა სახანოებს რუსეთის იმპერიასთან გეორგიევსკის ტრაქტატის მსგავსი ხელშეკრულებები არ დაუდიათ, მაგრამ 1803-1804 წლიდან დაწყებული რუსეთმა ეს სახანოები ზედიზედ დაიპყრო. დაიპყრო იმიტომ, რომ 1804-1813 წლების ომში ირანი დაამარცხა და აიძულა, ამიერკავკასიის სამფლობელოები მისთვის დაეთმო. რუსეთი ამიერკავკასიაში გამარჯვებულის უფლებით მოვიდა. ამასთან დაკავშირებით, ურიგო არ იქნებოდა ერთი მრავლისმეტყველი ფაქტი გაგვეხსენებინა: ევროპის სახელმწიფოთა კოალიციამ (რუსეთი, ინგლისი, პრუსია) ნაპოლეონი დაამარცხა. 1815 წელს ვენაში კონგრესზე შეკრებილი ევროპის სახელმწიფოთა ლიდერები კონტინენტის მომავალზე მსჯელობდნენ – სახელმწიფოთა შორის დამოკიდებულების პრინციპებს არკვევდნენ. დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მეთაურებმა გადაწყვიტეს, როგორმე ევროპა რუსეთის ჯარისაგან გაეთავისუფლებინათ და ამ საკითხის კონგრესის სხდომაზე დაყენება კლემენს ფონ მეტერნიხს მიანდეს. გაიხსნა თუ არა სხდომა, მეტერნიხმა განაცხადა: ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, რა უფლებით დგას რუსეთის 120.000-იანი ჯარი ვარშავის საჰერცოგოში? სამარისებური სიჩუმე ალექსანდრ I-მა დაარღვია: „გამარჯვებულის უფლებით!“ ამჯერად სიჩუმეში მეტერნიხის ხმა გაისმა: „გადავიდეთ დღის წესრიგის შემდეგ საკითხზე!“

სამხრეთ კავკასიაში „გამარჯვებულის უფლებით“ მოსული რუსეთის იმპერია ყველა სამეფოს, სამთავროსა და სახანოს უბოლიშოდ დაეპატრონებოდა, როგორც დაეპატრონა უეჩ-პოსპოლიტას დამარცხების შემდეგ უკრაინას, შვედეთის დამარცხების შემდეგ – ლიტვას, ლატვიას, ესტონეთსა და ფინეთს, ოსმალეთის დამარცხების შემდეგ – მოლდოვას.

სამი დამპყრობლის: ირანის, ოსმალეთის, რუსეთის დაპირისპირებაში მეფე ერეკლე ყოველნაირად ცდილობდა, ისეთი საგარეო პოლიტიკა აერჩია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრიობა გადაერჩინა. დიდ პოლიტიკას დიდი სახელმწიფოები განსაზღვრავენ, ხოლო რიცხვით მცირე ერის, პატარა სახელმწიფოს მეფეს დიდი პოლიტიკის მიმართულების შეცვლა არ შეუძლია. აქედან გამომდინარე, ყველაფერს არა ერეკლე II-ის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია, არამედ ის წყვეტდა, თუ რით დასრულდებოდა ირანის, ოსმალეთისა და რუსეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში. საქართველო ამ დაპირისპირებაში გამარჯვებულს უნდა დარჩენოდა. ერეკლე II-ს ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა: წინდანინ გაერკვია ამ გამარჯვებულის ვინაობა, შესაფერი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია შეემუშავებინა და კავკასიის მომავალი მპყრობელისაგან ქართლ-კახეთის სამეფოს შენარჩუნების გარანტია მიეღო. დიდმა პოლიტიკამ მეფე ერეკლეს სხვა არჩევანი არ დაუტოვა.

კურტ ვონეგუტი



მის ცდუნება

პურიტანიზმი ისე გადაგვარდა, მოხუც შინაბერასაც კი არ უფიქრია სუსანას სამარცხვინო ძელზე გასმა. არც ხანშიშესული ფერმერი დაეჭვებულა, რომ მისი ძროხა სუსანას დემონურმა სილამაზემ გააშრო.

სუსანა სოფელთან ახლოს მდებარე საზაფხულო თეატრში ეპიზოდური როლების შემსრულებელი მსახიობი გახლდათ და ოთახი სახანძროს გვერდით ჰქონდა ნაქირავები. მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულობით სოფლის ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა, სოფლელები მაინც ვერ შეეჩინენ. მათთვის ყოველთვის ისეთივე ამაღლვებელი და სასურველი რჩებოდა, როგორც დიდი ქალაქების ცეცხლსაქრობი მანქანები.

ჰეროვანი თმა და ფართო თვალები უკუნივით ჩაშავებოდა, ნალებივით კანი და ქნარივით ტუჩები ჰქონდა. მისი მკერდი მამაკაცებს მუდამ, დაუსრულებლად, სიმშვიდესა და ბარაქაზე აოცნებებდა. ნიუჟარისებრ ვარდისფერ ყურებზე, მარტივ ოქროს რგოლებს ატარებდა, კოჭებს კი პატარა, ზანზალაკებით მორთული ძენკვი უმშვენებდა.

შიშველი ფეხებით დადიოდა და ყოველ-დღე შუადღემდე ეძინა. როგორც კი შუადღე მოახლოვდებოდა, მეინ სტრიტზე გამოფენილ სოფლელებს ისეთივე მოუსვენრობა შეიძყრობდათ, როგორც ელჭექის დროს – მაძებარ ძალლებს.

შუადღით სუსანა ოთახის გვერდით, ვერანდაზე გამოვიდოდა, მიბნედილი გაიზმორებდა, თავის შავ კატას თასში რძეს დაუსხამდა, აკოცებდა, ბერვს აუჩეჩდა, საყურებს გაიკეთებდა, კარს დაკეტავდა და გასაღებს მკერდში ჩამალავდა.

შემდეგ კი, ფეხშიშველი, თავის დიდებულ, ტალღოვან, ალმგზებ, მოწერიალე სიარულს მოჰყებოდა – კიბეებს ჩაივლიდა, სასმელების მაღაზიას, სადაზღვევო სააგენტოს, უძრავი ქონების ოფისს, სასადილოს, ამერიკული ლეგიონის პუნქტს, ეკლესიასა და ხალხით გადაჭედილ მაღაზიას უკან მოიტოვებდა და უურნალ „ნიუიორკს“ იყიდიდა.

თითქოს მთელ სამყაროს მსუბუქად, დედოფლურად ესალმებოდა, თუმცა, ერთადერთი, ვისაც ყოველდღიური სეირნობების დროს ესაუბრებოდა, ბირს ჰინკლი

გახლდათ – სამოცდათორმეტი წლის ფარ-
მაცევტი.

მოხუცს სუსანასთვის უურნალები ყო-
ველთვის გადადებული ჰქონდა.

„გმადლობთ, მისტერ ჰინკლი. ანგელოზი
ხართ!“ – ეტყყოდა და უურნალის ფურცელას
დაინწყებდა. – „ახლა კი ვნახოთ რა ხდება
უკან, ცივილიზაციაში“. ვიდრე მისი სურნე-
ლით გაბრუებული მოხუცი აშტერდებოდა,
სუსანა ხან სიცილით, ხან ხვნეშით, ხან წარ-
ბშეკრული გადავლებდა თვალს ახალ ამშებს,
რომელთაც არასდროს სხინდა.

შემდეგ უურნალს აიღებდა და სახან-
ძროსთან, საკუთარ ბუდეს დაუბრუნდებო-
და. ოთახთან, ვერანდაზე შეყოვნდებოდა,
ხელს მკერდში ღრმად ჩაიცურებდა, გასაღებს
ამოიღებდა, შავ კატას აიყვანდა, კვლავ აკო-
ცებდა და ოთახში გაუჩინარდებოდა.

ერთი მსახიობის ეს შოუ რიტუალური
იგივეობით გრძელდებიდა მანამ, ვიდრე
ერთ დღეს, ზაფხულის დასასრულს, მაღა-
ზიის ჰერი სკამის მოტრიალების ულმო-
ბელმა და მძლავრმა ფხაჭნამ არ გაფხრინა.

ფხაჭნის ხმამ სუსანას სიტყვა, რომ მის-
ტერ ჰიკი ანგელოზია, მაშინვე შეკვეცა,
თავის ქალა მონინქნა და კბილები გააღ-
ჭიალა. სუსანამ შემწყნარებულუად მი-
ატრიალა თავი ხმის მიმართულებით და
დამნაშავეს მიუტევა, თუმცა, მიხვდა, რომ
დამნაშავე ის ადამიანი არ გახლდათ, ვისაც
შემწყნარებლობა სჭირდებოდა.

ეს კაპრალი – ნორმან ფულერი იყო. იგი
კორეაში გატარებული სასტიკი თვრამეტი
თვის შემდეგ, წინა ღამით, სახლში დაბრუ-
ნებულიყო. თვრამეტი თვე ომის გარეშე
გაატარა და ეს თვრამეტი თვე სიხარული
არ უგრძენია.

ფულერი სკამზე ნელა მოტრიალდა და
სუსანას შემწყნარებლურად შეხედა. როცა
ხმა მიწყდა, მაღაზია მკვდარივით გაშეშ-
და. ფულერმა თითქოს ზღვის სანაპიროზე
დამგარი ზაფხულის მომხიბვლელობა ჩაახ-
შო – მაღაზიაში მყოფთ, ყველას შეახსენა
ბნელი, იდუმალი ვნება, რომელიც ძალიან
ხშირად ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელი
ძალაა.

იგი, შესაძლოა, ძმა ყოფილიყო, რო-
მელიც თავის იდიოტ დას გარყვნილების
ბუდიდან წაათრევდა ან გაცეცხლებული
ქმარი, რომელიც ცოლს მათრახის ტყლა-
შულით დააბრუნებდა ბავშვთან, იქ, სადაც
მისი ადგილი გახლდათ. სიმართლე კი ის
იყო, რომ კაპრალ ფულერს სუსანა აქამდე
არასოდეს ენახა.

ეს სცენა განზრას არ მოუწყვია. არ იცო-
და, რომ სკამი ტრიალის დროს ხმას გამოს-
ცემდა. მას უბრალოდ საკუთარი გულის-
წყრომის გათამაშება სურდა – სუსანას შოუს
უკანა ფონზე მცირე დეტალის დამატება;
დეტალისა, რომელსაც მხოლოდ ადამიანური
კომედიის მცოდნე ერთი ან ორი ექსპერტი
შეამჩნევდა, მაგრამ სკამის ხმამ მისი გულის-
წყრომა მაღაზიაში შეკრებილთათვის მზის
სისტემის ცენტრად აქცია, განსაკუთრებით
კი სუსანასთვის. დრო შეჩერდა და, მანამ
არ ამოძრავდა, ვიდრე ფულერმა საკუთარი
იანკის გაქვავებულ სახეზე ალბეჭდილი გა-
მომეტყველება არ ახსნა.

ფულერი გრძნობდა, რომ კანი ადუღე-
ბული სპილენძივით უვარვარებდა. ბედის-
წერის გააზრებას იწყებდა, ბედისწერამ კი
უეცრად იმგვარი გარემო და მაყურებელი
შესთავაზა, რომელშიც დაგროვილ სიმწა-
რეს ამოანთხევდა.

იგრძნო, რომ ტუჩები აუმოძრავდა და
მისგან მომდინარე სიტყვებიც გაისმა:

„თავი ვინ გგონიათ?“ – ჰკიოთხა სუსანას.

„უკაცრავად?“ – დაიბნა სუსანა და სა-
კუთარი თავის დასაცავად უურნალი გადა-
შალა.

„დავინახე, რომ ისე მოუყვებოდით ქუ-
ჩას, თითქოს საცირკო წარმოდგენაში მო-
ნაწილეობდით და დავინტერესდი, თავი ვინ
გგონიათ?“ – ჰკიოთხა ფულერმა.

სუსანას ალმური მოეკიდა.

„მე.. მე მსახიობი ვარ“.

„შეგიძლიათ დაამატოთ... – უთხრა ფუ-
ლერმა. – „სამყაროს უდიდესი მსახიობი.
ამერიკელი ქალი“.

„შესანიშნავია თქვენგან ამის მოსმენა“
– უპასუხა უხერხულად.

ფულერს კანი თანდათან უწითლდებოდა

და უვარვარდებოდა. მისი გონება ჩახლარ-თული, შესაბამისი ფრაზების წყაროდ იქცა.

„ისეთ თეატრზე არ ვლაპარაკობ, სა-დაც სკამებიც დგას. ცხოვრების სცენაზე ვლაპარკობ. ამერიკელი ქალები ისე იქცე-ვიან და იცვამენ, თითქოს შენთვის მთე-ლი სამყაროს შემოთავაზებას აპირებდნენ, შემდევ კი, როცა ხელს გაიწვდი, ყინულის ნატეხად იქცევიან.

„ნამდვილად?“ – თითქოს დაცლილმა მიუგო სუსანამ.

„ნამდვილად!“ – უპასუხა ფულერმა. – „ამის თქმა დროის საკითხია“, – გამომწვე-ვად გადახედა მაყურებლიდან მაყურებელს და ის გაოგნება იცნო, რაც ნაქეზებად აღიქვა. – „ეს უსამართლობაა“.

„და რა არ არის?“ – იკითხა დაბნეულმა სუსანამ.

„აქ კოჭებზე ეუვნებშებმული მოხვე-დით, რაც იმას ნიშნავს, რომ თვალი თქვენი კოჭებისა და მშვენიერი ვარდისფერი ტერ-ფებისკენ უნდა გამექცეს“, – უთხრა ფუ-ლერმა. – „თქვენ კატას კოცნით და უნდა ნარმოვიდგინო, როგორი იქნებოდა კატის ადგილას ყოფნა; მოხუც კაცს ანგელოზს უნოდებთ და გინდათ ვიფიქრო, როგორი იქნებოდა ჩემი მისამართით თქვენგან ნარ-მოთქმული ეს სახელი. გასაღებს ყველას თვალწინ მალავთ და გინდათ, ამ გასაღე-ბის სამალავზე დაგვაფიქროთ“.

ფულერი წამოდგა.

„მისს“, – უთხრა. სმა ტკივილით უღერდა: – „თქვენ ყველაფერს აკეთებთ საიმისოდ, რომ ჩემნაირ მარტოსულ, ჩვეულებრივ ადა-მიანებს აშლილობა და ტვინის შერყევა და-მართოთ, მაგრამ ხელსაც კი არ გამოიწვდით, რომ კლდეში გადაჩეხვისგან მიხსნათ“.

კარისკენ წავიდა. ყველა თვალი მას მიშტერებოდა. ვერავინ შეამჩნია, რომ მის-მა ბრალდებამ სუსანა დაფერფლა. ახლა ზუსტად ის იყო, რაც სინამდვილეში – ჩერ-ჩეტი, ცხრამეტი წლის გოგო, რომელიც სი-ყალბის პატარა კუთხეს აეკრა.

„ეს უსამართლობაა“, – თქვა ფულერმა. კანონი უნდა არსებობდეს მათთვის, ვინც თქვენსავით იცვამს და იქცევა. ეს უფრო

მეტს გახდის უბედურს, ვიდრე ბედნიერს. იცით, რას გეტყვით ამგვარი სიარულის-თვის, რომელიც ყველას თქვენი კოცნის სურვილს უჩენს?“

„არა!“ – დაინრიბინა სუსანამ. მისი ნერ-ვული სისტემის ყველა უჯრედი ფეთქავდა.

„გეტვით იმას, რასაც თქვენ მეტყო-დით, კოცნა რომ მეცადა“, – მიუგო ფუ-ლერმა გრანდიოზულად და ხელი მსაჯი-ვით აიქნია, რომელიც მოთამაშეს მოედნი-დან აგდებს. – „ჯანდაბაშიც წასულხართ!“

– უთხრა, გავიდა და კარი გაიჯახუნა.

უკან არ მოუხედავს, როცა კარი ერ-თი წუთის შემდეგ მეორედ გაჯახუნდა და მორბენალი შიშველი ფეხები, ზარის ველუ-რი წკრიალით, სახანძროს მიმართულებით ჩაიკარგა.

იმავე საღამოს კაპრალ ფულერის დაქ-ვრივებულმა დედამ მაგიდაზე კანდელი შე-მოდგა და შვილი, სახლში დაბრუნების აღ-სანიშნავად, სუკის სტეიკითა და მარწყვის ორცხობილებით გამოკვება. ფულერმა საჭმელი ისე ჭამა, თითქოს სველ საშრობ ქალალდს ლეჭავდა და დედის მხიარულ შე-კითხვებს მკვდარივით უპასუხა.

„გიხარია სახლში დაბრუნება?“ – ჰკითხა დედამ, როცა ყავის დალევა დაასრულეს.

„რა თქმა უნდა!“ – უპასუხა ფულერმა.

„რას აკეთებდი დღეს?“ – იკითხა დედამ. „ვსეირნობდი“.

„ძველი მეგობრები ინახულე?“

„მეგობრები არ მყავს!“

დედამ ხელები გაშალა.

„არ გყავს? – თქვა. – „შენ?“

„დრო იცვლება, დედი“, – მძიმედ უპა-სუხა ფულერმა. – „თვრამეტი თვე დიდი დროა. ადამიანები ქალაქს ტოვებენ, ქორ-ნინდებიან...“

„მაგრამ ქორნინება ხომ ადამიანებს არ კლავს? – ისევ იკითხა დედამ.

ფულერს არ გალიმებია.

„შესაძლოა არა!“ – უპასუხა. – „მაგრამ ის საშინლად ართულებს ძეველი მეგობრების-თვის ადგილის გამონახვის შესაძლებლობას“. „დოგი არ დაქორნინებულა, არა?“

„დასავლეთშია, დედი, სტრატეგიულ

საპატიო ძალებში“, – უპასუხა ფულერმა.

პატარა სასადილო ოთახი ცივ, უსი-
ცოცხლო სტრატოსფეროში მფრინავი ბომ-
ბდამშენივით გამარტოსულდა.

„ვაჲ, ვიღაც ხომ მაინც დარჩებოდა?“

„არა!“ – თქვა ფულერმა. – „მთელი დი-
ლა ტელეფონთან გავატარე, დე. იქნებ ისევ
უკან, კორეაში დავბრუნდე. შინ არავინაა.“

„არ მჯერა!“ – უპასუხა დედამ, – „რა-
ტომ არ დაუყვები მეინ სტრიქს, მევობრე-
ბისგან გათელილი გრძნობის გარეშე?“

„დე...“ – მიუღო ფულერმა, – „იცი, რა
გავაკეთე მას შემდეგ, რაც დასარეკან ნომ-
რები ამომენურა? მალაზიაში შევედი, სკამ-
ზე ჩამოვჯექი და ვიღაცას ლოდინი დავუწ-
ყე; ვიღაცას, ვისაც თითქმის არც ვიცნობ-
დი...“ – ნატანჯი ხმა ჰქონდა. – „ერთადერ-
თი, ვისაც ვიცნობდი, მოხუცი ბირს ჰინ-
კლი იყო. არ ვხუმრობ“, – ფულერი ადგა
და ხელსახოცი ბურთივით დაგორგლა. –
„დედი, მაპატიებ, რომ გავიდე?“

„კი, რა თქმა უნდა!“ – უპასუხა დედამ.

– „საით გაგინევია? იმედია, რომელიმე
მშვენიერ გოგონასთან დასარეკად, არა?“

ფულერმა ხელსახოცი გადააგდო.

„სიგარეტის საყიდლად გავდივარ!“ –
უთხრა დედას. – „არანაირ გოგოს არ ვიც-
ნობ. ყველა დაქორნინდა“. –

დედამისი გაფითოდა.

„მე, მე... მესმის“, – თქვა მან. – „მე... მე
არც კი ვიცოდი, რომ ეწეოდი“. –

„დე!“ – მტკიცედ გაისმა ფულერის ხმა.

– „ნუთუ არ შეგიძლია ამის გაგება? თვრა-
მეტი თვე ვიყავი წასული, თვრამეტი თვე!“

„ეს დიდი დროა, არა?“ – იკითხა დედამ,
საკუთარი მგზნებარებით დამორცხვებულ-
მა. – „კარგი, გადი, იყიდე სიგარეტი“, –
მკლავზე შეეხო. – „და გთხოვ, ნუ იქნები
ასეთი მარტოსული. უბრალოდ მოიცადე. შენი
სიცოცხლე ისე გაიგსება ადამიანებით, არ
გეცოდნება, რომელი მათგანისკენ მიტრიალ-
დე და ამ დროს ვინმე მშვენიერ გოგონასაც
გაიცნობ და დაქორნინდები“. –

„ვერ-ჯერობით დაქორნინებას არ ვა-
პირებ, დედა!“ – უპასუხა ფულერმა. – არ
ვაპირებ, მანამ, ვიღრე საღვთისმეტყველო

სკოლას არ დავამთავრებ“. –

„საღვთისმეტყველო სკოლა!“ – გაიმე-
ორა დედამ. – „როდის გადაწყვიტე?“

„ამ საღამოს!“

„და რა მოხდა ამ საღამოს?“

„მცირე რელიგიური გამოცდილება მი-
ვიღე, დე“, – უთხრა ფულერმა. – „რაღაც,
რაც მაიძულებს, საჯაროდ ვისაუბრო“. –

„რის შესახებ?“ – დაბნეულმა ჰკითხა
დედამ.

ფულერის აზუზუნებულ თავში სუსანას
რაფსოდია ქროდა. კვლავ თვალწინ და-
უდგა პროფესიონალი, მაცდური ქალები,
რომლებმაც კორეაში გატანჯეს, რომლე-
ბიც კინოფილმის ეკრანებზე, კუსტარუ-
ლად გაკეთებულ საწოლის ზეწრებზე ის-
ხდნენ და იტყუებდნენ; კარვის ნესტიან,
კედლებზე გაკრულ კინოვარსკვლავთა სუ-
რათებიდან, თავდასაცავ თხრილებში მიყ-
რილი, დაფლეთილი შურნალებიდან გად-
მოდიოდნენ. ამგვარი სუსანები ქმნიდნენ
ბედისწერას, მარტოსულ კაპრალ ფულე-
რებს იტყუებდნენ, იტყუებდნენ მომაჯა-
დოებელი სილამაზით და არსად, არაფრის-
თვის მიჰყავდათ.

ფულერის ენას პურიტანელი წინაპრის
გაკერპებული, შავებში გამოწყობილი აჩ-
რდილი დაეპატრონა. მისი ხმა საუკუნეების
სილრმიდან მოდიოდა და ეს ხმა კუდიანების
ჯალათის ხმა იყო, ნგრევის სუნით, თვითკმა-
ყოფილებითა და სიკვდილით გაუღენთილი.

„და რის წინააღმდეგ უნდა გამოვიდე
საჯაროდ?“ – შეუბრუნა კითხვა ფულერმა:
– „ცდუნების“. –

ფულერის სიგარეტი ამ ღამით გამაფ-
რთხილებელი შექურა იყო თავექარიანი
ხალხის მოსაშორებლად. უფრო მარტივად
კი, სიბრაზით მოქაჩული სიგარეტი გახ-
ლდათ. ღამის ჩრჩილებიც კი გაერიდებოდ-
ნენ, გრძნობა რომ ჰქონდათ. სიგარეტი
თავისი მოუსვენარი, ერთადერთი წითელი,
მაძებარი თვალით სოფლის ქუჩებში, ზე-
მოთ-ქვემოთ დაძრნოდა, ვიდრე ბოლოს,
დასვენებული, სველი და ჩამქრალი, სახან-
ძროს წინ არ შეჩერდა.

ბირს ჰქონდა, მოხუცი ფარმაცევტი, სა-

ხანძროსთან მიმჯდარიყო. თვალებში ნოსტალგიია უკრთოდა, იმ დღეების ნოსტალგია, როცა, ახალგაზრდას, მანქანის ტარება შეეძლო. სახეზე ყლასთვის ცხადად ეწერა კიდევ ერთი კატასტროფის სურვილი, როცა ყველა ახალგაზრდა, იქნებ მოხუციც კი, ვისაც ტარება შეეძლო, გამქრალიყო, რათა მისი სახელი კიდევ ერთხელ განედიდებინათ. თბილ საღამოებს აქ ატარებდა, სახანძროსთან, რასაც წლების განმავლობაში ეკუთვნოდა.

„სანთებელა გინდა?“ – ჰერთხა კაპრალ ფულერს, როცა მის ტუჩებს შორის მოქცეული, ჩამქრალი სიგარეტი შენიშნა.

„არა, გმადლობთ, მისტერ ჰინკლი!“ – გაეპასუხა ფულერი. – „სიამოვნება უკვე აღარ მოაქვს.“

„არ მესმის, რა სიამოვნებას პოულობენ საერთოდ სიგარეტში“, – თქვა მოხუცმა.

„გემოვნების საკითხია“, – უთხრა ფულერმა. – „გემოვნებაზე კი არ დავობენ“. „ვისთვის – სიტებო, ვისთვის – შხამი“, – თქვა ჰინკლიმ. – „ყოველთვის ვამბობ: რაკილა ცოცხლობ, თავს ნუ მოიკლავ-მეთქი“. – ზევით აიხედა. ზემოთ სუსანასა და მისი შავი კატის საამო ბუდე იყო.

„ჩემთვის? ჩემი ყველა სიამოვნება ზე-მოთაა“

ფულერმაც ახედა ჭერს და უხსენებელ თემას პირდაპირ შეასკდა.

„ახალგაზრდა რომ იყოთ...“ – მიმართა ჰინკლის. – „მიხვდებოდით, რატომ ვუთხარი ეს ყველაფერი. ლამაზი, ქედმალალი გოგონები დიდ ტკივილს მაყენებენ“. „ოჟ, რასაკვირველია, მახსოვს“, – უპასუხა ჰინკლიმ. – „არც ისე მოხუცი ვარ საიმისოდ, რომ ეს დიდი ტკივილი დამავიწყდეს“. „ქალიშვილი რომ მყოლოდა, ვინატრებდი, ლამაზი არ ყოფილიყო“, – თქვა ჰინკლიმ. – „საშუალო სკოლის ლამაზი გოგონები, ღმერთო ჩემო, ნეტავ არ ფიქრობდნენ, რომ ზედმეტად განსაკუთრებულები არიან“. „ღმერთო, ნეტავ მეც ასე არ ვფიქრობდე“, – უპასუხა ჰინკლიმ.

„ზედაც არ შემოგხედავენ, თუ არც მანქანა გყავს და არც ყოველკვირეულად ჯი-

ბეში მათზე დასახარჯი ოცი დოლარი არ გიჭყივის“, – დასძინა ფულერმა.

„რატომაც არა?“ – მხიარულად გაეპასუხა მისტერ ჰინკლი. – „ლამაზი გოგო რომ ვიყო, მეც ამას გავაკეთებდი“, – თავი დახარა. – „მოკლედ, როგორც ვხვდები, ომიდან შინ დაბრუნდი და საფუძველიც ჩაყარე. იმედია, უკვე უთხარი“. „ეჸ!“ – უპასუხა ფულერმა. – „შეუძლებელია მათზე შთაბეჭდილების მოხდენა“. „არა მგონია!“ – თქვა ჰინკლიმ. – „აქ, თეატრში, ერთი ძველი, მშვენიერი ტრადიციაა: წარმოდგენის გადადება არ შეიძლება. პნევმონიაც რომ გქონდეს ან ბავშვი გიკვდებოდეს, წარმოდგენაში მონაწილეობა მაინც უნდა მიიღო“. „მე კარგად ვარ!“ – უპასუხა ფულერმა. – „განა ვინმე წუნუნებს? თავს მშვენივრად ვგრძნობ“. „მოხუცმა თეთრი წარბები მაღლა აზიდა. „შეზე ვინ ლაპარაკობს?“ – უპასუხა. – „მასზე ვამბობ“. „ეგოიზმის ხაფანგში გაბმული ფულერი გაჭარბლდა. „კარგად იქნება“, – უპასუხა ჰინკლის.

„კარგად იქნება? შესაძლოა, ასეც იყოს. მხოლოდ ის ვიცი, რომ წარმოდგენა თეატრში უკვე დაწყებულია. იგი თეატრში უნდა იყოს, თუმცა ჯერ კიდევ ზემოთაა“. „მართლა?“ – გაოგნებულმა იკითხა ფულერმა.

„კი“, – უპასუხა ჰინკლიმ. – „მას შემდეგ აქაა, რაც მოსცხე და სახლში გააგდე“. „ფულერმა ირონიულად გაერეჭვა სცადა. „არც ისე ცუდია“, – უთხრა ჰინკლის. მისი სიცილი სუსტი და გულისამრევი იყო. – „კარგი. ღამე მშვიდობისა, მისტერ ჰინკლი!“

„ღამე მშვიდობისა, ჯარისკაცო!“ – უპასუხა ჰინკლიმ. – „ღამე მშვიდობისა!“ მეორე დღეს, შუადღის მოახლოებისას, მეინ სტიტზე გამოფენილ სოფლებებს კიდევ უფრო დაეტყოთ გამოშტერება. მაღაზიის იანქმა მეპატრონებ ხურდაც კი უყურადღებოდ დაბრუნა, რაკილა ფული მისთვის მეორეხარისხოვანი გამხდარიყო. ყველას ფიქრი გუგულის საათად ქცეულ

სახანძროს შენობას დასტრიალებდა და ერთი კითხვა აწუხებდათ: კაპრალმა ფულერმა დაამსხვრია გუგულის საათი, თუ მისი პატარა კარი მაინც გაიღებოდა და სუსანა გამოფრთხიალდებოდა? მაღაზიაში კი მოხუცი ბირსი სუსანასთვის ფაციფუცით აგროვებდა უურნალ „ნიუ-იორქს“. გაპრაზებული ასწორებდა გვერდების შესალამაზებლად. ეს სუსანას საჭყუარა იყო.

შუადღემ-დე რამდენიმე წუთით ადრე, მაღაზიაში კაპრალი ფულერი – ნამდვილი ჩხუბისთავი – გამოჩნდა. სახეზე ზე დანაშაულის განცდა და ტკივილი ეწერა. ღამის უდიდესი ნაწილი მღვიძარს გაეტარებინა და მშვენიერი ქალის წინააღმდეგ გამოხატულ საკუთარ გულისწყრო-მაზე ეფიქრა. მხოლოდ იმას ფიქრობენ, რა ლამაზია, ეუბნებოდა საკუთარ თავს. სულ

მცირე დროსაც კი არ მოგცემენ დღის განმავლობაში.

მაღაზიაში სკამების რიგს ჩაუარა და ცველა ცარიელი სკამი უშედეგოდ მოატრიალა. ბოლოს მიაგნო იმას, რომელიც წინა დღეს ღრმიალებდა. ჩამოჯდა, სამართლიანობის კერპი იყო. არავინ გამოლაპარაკებია.

სახანძროს სირენა შეუძლისთვის დაუდევრად აქმინდა, შემდეგ კი ექსპრეს კომპანიის კატაფალკის მსგავსი მანქანა სახანძროს

შენობასთან გაჩერდა. მანქანიდან ორი კაცი გადმოვიდა და კიბეები აირბინეს. სუსანას მშიერი შავი კატა ვერანდის მოაჯირზე გადმოხტა და ზურგი აზიდა, რაკიდა კაცები სუსანას ოთახში გაუჩინარდნენ. კატამ ბენვი გაილოკა, როცა ისინი სუსანას ნივთებით დატვირთულნი გამოვიდნენ.

ფულერი გახევდა. ბირს ჰინკლის გადახედა და და შეამჩნია,

რომ მოხუცის განრისხებული გამომეტყველება გართულებული პნევმონიით დაავადებულის – გულისწავლამდე მისულის, თვალებდაბინდულისა და სუნთქვაშეკულის გამომეტყველებას დამსგავსებოდა.

„კმაყოფილი ხართ, კაპრალო?“ – ჰკითხა მოხუცმა.

„არ მითქვამს, რომ უნდა დავეტოვებინეთ“, – უპასუხა ფულერმა.

„არც დიდი არჩევანი დაგიტოვებიათ მის-თვის“, – თქვა მოხუცმა.

„რაში ანალვლდებდა, რას ვფიქრობდი? საიდან უნდა მცოდნოდა, რომ ასეთი ფაქიზი ყვავილი იყო?“

მოხუცი ფულერს მკლავზე მსუბუქად შეეხო.

„ყველანი ფაქიზები ვართ, კაპრალო, ყველანი. ვფიქრობდი, რომ ბიჭის არმიდან გამოგდება ერთ-ერთი იშვიათად კარგი რამ იქნებოდა. ვფიქრობდი, არმიაში



აუცილებლად ისნავლიდა, რომ იგი ერთა-დერთი ფაქტიზი ყვავილი არაა. ჯერ კიდევ ვერ მიხვდი?“

„არასდროს მიფიქრია, რომ ფაქტიზი ყვავილი ვიყავი“, – უპასუხა ფულერმა. – „ვწესვარ, რომ ასე გამოვიდა, მაგრამ თავად მოითხოვა ასე მოქცევა“. თავი დახარა. ყურებზე ალმური წაეკიდა.

„მაგრად შეგაშინა, არა?“ – ჰეითხა ჰინკლიმ.

მაყურებლების პატარა წრეს, რომელიც მათ ირგვლივ სხვადასხვა მიზეზით შეიკრა, ღიმილმა გადაურბინა. ფულერმა ღიმილი შეაფასა და მიხვდა, რომ მოხუცმა ერთა-დერთი იარაღის ამარა დატოვა – იუმორის სრულიად არმქონე, კეთილსინდისიერი მოქალაქის.

„ვის შეეშინდა?“ – იკითხა ფულერმა. – „არ მეშინია. უბრალოდ, ვფიქრობ, რომ ეს ვინძეს წამოსაჭრელი ან განსახილველი საკითხი არაა.“

„ეს ერთადერთი თემაა, რომლითაც არავინ დაიღლება“, – მიუგო ჰინკლიმ.

ფულერმა თავისი უსირცხვილო მზერა ჟურნალების თაროს გადაატარა. იარუსებად ეწყო ათასობით სუსანა, ერთმანეთს ენაცვლებოდა სველი ტუჩების ღიმილი, მიბრძდილი თვალები და ნალებივით კანი. ფულერმა გონებაში ის ფრაზა მოჩერიკა, რომელიც მის მოტივს ღირსებას შესძნდა.

„მე ახალგაზრდების ბედზე ვფიქრობ“, – თქვა და ჟურნალებზე მიუთითა. – „ეს ბავშვებს გააგიურებს“.

„მე კი შემაშინა“, – მშვიდად უპასუხა მოხუცმა. – „ისევე შემაშინა, როგორც შენ“. „გითხარი, რომ მისი არ შემშინებია“, – თქვა ფულერმა.

„მშვენიერია. გამოდის, ჟურნალებს მასთან შენ მიტან. უკვე გადახდილია“, – უთხრა და ჟურნალები ფულერს კალთაში ჩაუყარა.

ფულერმა რაღაცის თქმა დააპირა, თუმცა გადაიფიქრა. ყელი გაუშრა და მიხვდა, დალაპარაკება რომ ეცადა, მისი ხმა იხვის ყიყინს დაემსგავსებოდა.

„თუ წამდვილად არ გეშინიათ კაპრალო“ – უთხრა მოხუცმა – „ეს ერთ-ერთი

შესანიშნავი რამ იქნება, რასაც გააკეთებთ – ქრისტიანული საქმე“.

როცა სუსანას ბუდისკენ კაპრალი ფულერი კიბებს მიუყვებოდა, დაძაბული ცდილობდა, ჩვეულებრივი ყოფილიყო.

სუსანას ოთახის კარი ურდულით დაკეტილი არ ყოფილა. ამიტომ შეხებისას მარტივად გაიღო. ფულერს წარმოედგინა, რომ ბუდე ბნელი და მშვიდი იქნებოდა, საკემებლის სუნით, საკიდებისა და სარკების ჩახლარობული ლაბირინთით, სადღაც თურქული კუთხით ან მაღალი, გედის ფორმის საწოლით დამშვენებული.

ამჯერად კი რეალური სუსანა და რეალური ოთახი დაინახა; სილატაკის ნაღვლიანი სინამდვილე – იანკების საზაფხულო იაფასიანი ბინა – მოშიშვლებული ხის კედლები, ქურთუკის საკიდი სამი კაუჭით, ლინოლეუმის ხალიჩა, გაზის ორი სანათი, რკინის საკაცე, საყინულე, პანანინა ნიჟარა და გაშიშვლებული მილები, პლასტიმასის ჭიქა, ორი თეფში, დაბურული სარკე, ტაფა, ქვაბი, სარეცხი ფხვნილის ქილა.

ჰარემთან ერთადერთ კავშირზე თეთრი, წრიული ტალკის ფხვნილი მეტყველებდა, რომელიც დაბურული სარკის წინ იდო. წრის ცენტრს ორი, შიშველი ფეხის კვალი დასტყობოდა. ფეხის თითების ანაბეჭი მარგალიტზე დიდი ზომის არ იქნებოდა.

მარგალიტზე ფულერს სუსანას შესახებ სიმართლე უთხრრეს. ქალი ზურგით იდგა და ჩემოდანში დარჩნილ ნივთებს აწყობდა. სამგზავროდ იყო გამოწყობილი – ისე ეცვა, თითქოს მისიონერის ცოლი ყოფილიყო.

„ჟურნალები“, – დაიჩხავლა ფულერმა. – „მისტერ ჰინკლიმ გამოგიგზავნათ“. „რა შესანიშნავია მისტერ ჰინკლიმი“, – თქვა სუსანამ და მოტრიალდა. – „უთხარით, რომ...“ სიტყვები გაქვავდა. კაცი იცნო. ტუჩი მოიკვნიტა და პატარა ცხვირიც გაუნითლდა.

„ჟურნალები...“ – დაცარიელებულმა თქვა ფულერმა. – „მისტერ ჰინკლიმისგან“.

„მესმის“, – მიუგო ქალმა. – „ეს უკვე თქვით. მხოლოდ ესაა, რისი თქმაც გსურდათ?“ ფულერი ხელებს მსუბუქად ისრესდა:

„მე... მე... თქვენი გაგდება არ მიფიქრია“ – უთხრა ქალს. – „არ მიფიქრია“.

„დარჩენას მთავაზობთ?“ – საცოდავად იკითხა სუსანამ. – „მას შემდეგ, რაც საჯაროდ ალისფერ ქალად, მეძავად, კაბპად შემრაცხეთ?“

„ღმერთო ჩემო, თქვენთის ეს არას-დროს მიწოდებია“, – მიუგო ფულერმა.

„ოდესმე დაფიქრებულხართ, რას იგ-რძნობდით ჩემს ადგილას?“ – ჰკითხა ფულერს. ხელი მკერდზე მიიდო. „აქ, ჩემშიც ცოცხლობს რაღაც“

„ვიცი“ – უპასუხა ფულერმა, თუმცა, მანამდე არ იცოდა.

„მე სული მაქვს“, – თქვა ქალმა.

„რა თქმა უნდა, გაქვთ!“ – უთხრა ფულერმა, ცახცახებდა. ცახცახებდა, რაკილა ოთახი ღრმა სიახლოვით იყო გაუდენთილი. სუსანა – ათასობით მტანჯველი სიზმრის ოქროს გოგონა – საკუთარ სულზე მგზნებარედ ესაუბრებოდა მარტოსულ ფულერს, უსახლკარო ფულერს, სასტიკ ფულერს.

„თქვენ გამო წინა ღამით ერთხელაც კი არ მომიტუჭავს თვალი“, – უთხრა სუსანამ.

„ჩემ გამო?“ – ინატრა, რომ ქალი მისი ცხოვრებიდან გამქრალიყო. ინატრა, რომ ქალი თხელი უურნალის გვერდების შავთერი გამოსაუბრება ყოფილიყო, რათა ამ გვერდების გადაშლა და ბეისბოლის ან საგარეო საქმეთა სვეტების წაკითხვა შესძლებოდა.

„რას ელოდებით?“ – ჰკითხა სუსანამ. – „მთელი ღამე ესაუბრებოდით და იცით, რას გეუბნებოდით?“

„არა!“ – უპასუხა ფულერმა. უკან მიბრუნდა. ქალი მიჰყვა, სითბოს რკინის უზარმაზარი რადიატორივით აფრქვევდა. საოცრად ადამიანური იყო.

„მე იელოუსტოუნის პარკი არ ვარ!“ – უთხრა ქალმა. – „არც გადასახადებით მეხმარებიან! ყველას არ ვეკუთვნი! თქვენ არანაირი უფლება არ გაქვთ ჩემს გარეგნობაზე ისაუბროთ!“

„ღმერთო ჩემო!“ – წარმოთქვა ფულერმა.

„როგორ დამღალეს შენნაირმა ლენჩებმა!“ – უთხრა სუსანამ. ნაბიჯი უკან გა-

დადგა და უეცრად საოცრად დაიღალა. – „თუ ჩემი კოცნა გინდა, ვერ დაგეხმარები! ამაში დამნაშავე ვინ არის?“

ფულერი კითხვის მისეულ ნაწილს ახლა ისევე ბუნდოვნად ხედავდა, როგორც მყინთავი შეხედავდა მზეს ოკეანის ფსკერიდან. – „მხოლოდ იმის თქმას ვცდილობდი, რომ ოდნავ უფრო მეტად კონსერვატიული ყოფილიყავით“.

სუსანამ ხელები გაშალა: „ახლა საკმარისად კონსერვატიული ვარ?“ – ჰკითხა. – „ეს მოგწონთ?“

საყვარელი გოგოს მიმართვამ ფულერს ძვლები აუწრიალა. მკერდიდან ოხვრა ჩახშული აკორდივით აღმოხდა: „კი!“ – უპასუხა და შემდეგ ჩაიბუტბუტა: „დაივინყეთ რაც გითხარით“.

სუსანამ თავი გაიქნია: „დავივინყო? რა გაიძულებთ ასეთ უხეშობას?“

„მე მხოლოდ ის ვთქვი, რასაც ვფიქრობიდ“, – უპასუხა ფულერმა.

„ძალიან ცუდ რაღაცებს ფიქრობთ“, – შეცებუნებულმა უთხრა სუსანამ და თვალები გაუფართოვდა. – „საშუალო სკოლაში შენნაირი ადამიანები ისე მიყურებდნენ, თითქოს ჩემ სიკვდილს ნატრობდნენ. არ მეცევებოდნენ, არ მელაპარაკებოდნენ, არც კი მიღიმოდნენ“, – გააურჟოლა. – „პატარა ქალაქის პოლიციელებივით მივლიდნენ გარს და ზუსტად ისევე მიყურებდნენ, როგორც თქვენ მიყურებთ – თითქოს რაღაც საშინელება ჩამედინა“.

ბრალდების ჭეშმარიტებამ ფულერის წრიალი დაასრულა. „შესაძლოა, სულ სხვა რამეზე ფიქრობდნენ“, – უთხრა ქალს.

„არა მგონია!“ – თქვა სუსანამ. – „თქვენ, ნამდვილად არა. მაღაზიაში უეცრად დამიწყეთ ყვირილი, თუმცა მანამდე ერთმანეთს არც კი შევხვედრილვართ“

ფულერი იატაკს დააჩერდა.

„არასადროს მქონია შენნაირ გოგოსთან ურთიერთობის შანსი. სულ ესაა“, – უთხრა ფულერმა. – „მტკივნეულია“.

სუსანამ გაოცებით შეხედა: „წარმოდგენა არ გაქვს რა არის შანსი“.

„შანსი უახლესი მოდელის ავტომობი-

ლი, ახალი პიჯაკი და ოცი დოლარია“, – უპასუხა ფულერმა.

სუსანამ ზურგი შეაქცია და ჩემოდანი დაკეტა. „შანსი თავად გოგოა“, – უთხრა. – „უნდა გაუღიმო, იმეგობრო, გიხაროდეს, რომ ის უბრალოდ გოგოა“. – მოტრიალდა და ხელები ისევ გაშალა: – „მე გოგო ვარ, გოგონები კი ასეთები იბადებიან. კაცები რომ კარგად მექცეოდნენ და მაბედნიერებდნენ, ზოგჯერ ვაკოცებდი კიდეც. ეს მისაღებია!“

„კი“, – მოკრძალებულად უპასუხა ფულერმა. ქალმა ცხვირი მოუჭყლიტა. ფულერმა მხრები აიჩეჩა. – „ჩემი წასვლის დროა, ნახვამდის!“

„მოიცადე, ამას ვერ გააკეთებ! ასე მარტივად ვერ წახვალ და განცდილი ბოროტების გრძნობით ვერ დამტოვებ!“ – ხელი გაიქნია. – „ჩემი გმართებს!“

„რა შემიძლია გავაკეთო? – უიმედოდ ჰკითხა ფულერმა.

„შეგიძლია, სასეირნოდ წამიყვანო მეინ სტირზე. ისე, თითქოს ჩემით ამაყობდე“, – უთხრა სუსანამ. – „შეგიძლია უკან, ადამიანების რასასთან დამაბრუნო!“ – თავი დააქნია. – „კი, ამის გაკეთება გმართებს!“

კაპრალი ფულერი, რომელიც ორი დღის წინ კორეაში გატარებული სასტიკი თვრა-მეტი თვის შემდეგ სახლში დაბრუნებული-ყო, სუსანას ბუდესთან, ვერანდაზე იცდი-და და მთელი სოფელი თვალს ადევნებდა.

სუსანამ გარეთ გასვლა უბრძანა, ვიდრე გამოიცვლიდა, ვიდრე ადამიანებთან დასაბრუნებლად მოემზადებოდა. ექსპრესკომპანიასაც დაურეკა და თავისი ბარგის უკან დაბრუნება სთხოვა.

ფფულერი, ვიდრე სუსანას უცდიდა, დრო კატის მოფერებაში გაჰყავდა.

„გამარჯობა, ფისუნია, ფისუნია, ფისუნია“, – ეუბნებდა ისევ და ისევ. – „ფისუნია, ფისუნია, ფისუნია...“

ამ სიტყვის გამეორება ვერც მაშინ შენ-ყვიტა, როცა სუსანა თავისი ბუდიდან გა-მოვიდა. ამიტომ ქალი იძულებული გახდა, კატა მოეშორებინა, რათა კაპრალს მის-თვის შეეხედა და მკლავი შეეთავაზებინა.

„დროებით, ფისუნია, ფისუნია, ფისუნია, ფისუნია, ფისუნია...“ – ამბობდა ფულერი.

სუსანა ფეხშიშველი იყო, ყურზე მარტივი რგოლები ეკეთა, კოჭებს ზანზალა-კები უმშვენებდა. ფულერის მკლავს მსუბუქად დაეყრდნო, ქუჩისკენ გაუძლვა და თავის დიდებულ, ტალღოვან, აღმგზნებ, მონკრიალე მიხრა-მოხრას მოჰყავა. უკან ჩამოიტოვა სასმელების მაღაზია, სადაზღვევო სააგენტო, უძრავი ქონების ოფისი, სასადილო, ამერიკული ლეგიონის პუნქტი, ეკლესია და ხალხით გადაჭედილი მაღაზია.

„ახლა კი გაიღიმე და მშვენიერი იყავი!“ – უთხრა სუსანამ. – „ყველას აჩვენე, რომ ჩემი არა გრცხევნია!“

„წინააღმდეგი ხომ არ იქნები, რომ მოვ-ნიო?“ – ჰკითხა ფულერმა.

„რა თავაზიანია შენგან ამის კითხვა“, – უთხრა სუსანამ. – „არა, საერთოდ არ ვიქნები წინააღმდეგი!“

მარცხენა ხელი მარჯვენას დააყრდნო და კაპრალმა ფულერმა სიგარეტს მოუკიდა.

ინგლისურიდან თარგმნა
ქეთევან გახოკიამ



ჯოვანი პასკოლი

ოამეული ეასმინი

აი, იშლებიან ღამით უასმინები
და მე მათზე ვფიქრობ, ვინც გულს მარად ახსოვს.
ხიბლავთ ძახველების თეთრი ყვავილები
პეპლებს მიმწუხრისას, მოსულთ საფარფატოდ.

მიწყდა, რა ხანია, ქვეყნის რია-რია,
ღამეს აქ ჩურჩულით ერთი სახლი ათევს.
თვლემენ ბუდეები მშობელ ფრთებქვეშ ტკბილად
ისე, ვით თვალები – გიშრის წამწამთა ქვეშ.

თითქოს მარწყვის სურნელს ჰფენენ არემარეს
შლილი უასმინები ამო სინარნარით.
სახლის მისაღებში შუქი კვლავ ციალებს.
იშვა სამარხთ გულზე უიუო ტანკენარი.

ფუტკარს სავსე დახვდა ყველა უჯრა გეჯის,
გარეთ ზუზუნებს და ელის ცისკრის სხივებს.
როგორც კრუხი – კალოს, ლაშვარდს პლეადები
კვეთენ, მიუძღვიან ვარსკვლავთ მოწივწივეთ.

სიოს გრილი სუნთქვით გარს მიმოფანტული
ყვავილთ სურნელება ბნელსაც არ ნებდება.
ნელა აუყვება კიბეს სანათური,
ზევით ოთახს შუქს ჰფენს, მერე მალე ქრება....

აჰა, ირიურავა: დაღლილ და ნამიან
ფოთლებს დახუჭავენ ახლა უასმინები.
ყვავილს კი იდუმალ კვირტი ჩასახვია –
ხვალის სიხარული, რწმენა და იმედი.

ლვინობისთვის საკამო

გზის პირად სხლტეზე გაბარდნილა წითელი კენკრა,
ლალად კისკისებს კუნწულებად, ღიმილს ჰუნდება
ანეულიდან სალამოჟამს დინჯად ბრუნდება
ბაგისკენ მრონლე.

მოდის გლეხკაცი, ფერად ფოთლებს, თემშარად ფენილთ,
მოაშრიალებს ნება-ნება, ამოდ ჰქრის სიო,
ყანაში გოგო წამოიწყებს სიმღერას გზნებით:
„ეკლის ყვავილო...“

ცრემლი

ამშვენებს ყვავილს, როცა წვიმის შერჩება წვეთი
და იმ ნამცვრევში მზის ცხრა თვალი ერთად ბრწყინვალებს;
კოცნას კი – როცა სხივი აცხრობს ნაცრემლს და გზნებით
დასწვდები ბაგეს.

ზაფხულში

სხივისფერ გლერტებში გატრუნულთ,
საამოდ ეღიმებათ კალიებს,
მზის გულზე ცეკვავენ ქინქლები,
პეპლებქვეშ ღერო უთრთით ყვავილებს.

ზღვა

აი, სარკმლიდან ვიყურები და ზღვას გავცერი:
კრთიან ტალღები, ცაზე მთიებს გააქვთ ციმციმი.
თითქოს მიდიან ვარსკვლავებიც, მდორე ტალღებიც,
ციალთა ძახილს პასუხსა სცემს ჭავლთა ლიცლიცი.

ისმის წყლის სულთქმა, საამურად, ოდნავ ჰქრის ქარი,
ზღვაზე გამოჩნდა ვერცხლის ხიდი გასაოცარი.
ხიდო, თვალწარმტაც და მშვიდ ზღვაზე რა ვრცლად
გამლილხარ,
ვისთვის აგაგეს ან ნეტავი სად გადაგვიყვან?

იტალიურიდან თარგმნა ნიკოლოზ შამუგიაზ



გაბრიელე დ'ანნუნციო

ცარჩი

დარჩი! ჩემ გვერდით დაისვენე!
ნუ წახვალ!
მე გიღარაჯებ. მე დაგიფარავ.
ინანებ ყოველს, გარდა წადილით, გულდაჯერებით
ჩემთან მოსვლისა.
მიყვარხარ. ძაფი ფიქრისა არ არის ჩემში, შენ არ
გელტვოდეს.
წვეთი სისხლისა არ არის ჩემში, შენი სურვილით არ
ჩემფდეს.
ხვდები თვითონაც, არ მეგულვის ცხოვრებაში სხვა
თანამგზავრი, სხვა სიხარული.
დარჩი!
დაისვენე! ნურაფრის გეშინია!
ჩემს გულზე გეძინოს ამაღამ!..

ჩამეკონე

ჩამეკონე,
მომნებდი
თავდაჯერებით.
არ მოგენატრები,
არ მომენატრები.

მივაგნებთ,
მივაგნებთ იდუმალ სიმართლეს
და მასზე ურყევად,
სამარადისოდ დაივანებს
ჩვენი სიყვარული.

ნუ დამიხურავ გულის კარს,
ნუ დარჩები დარდთან ეულად,
ნუ დამიმალავ შენს გულისტკივილს!

მელაპარაკე,
როდესაც გული
სევდით გევსება.
ფე, ვიმედოვნებდე,
რომ შემიძლია განუგეშო.

ნურაფერი დარჩება უთქმელი ჩვენ შორის,
ნურას დავუმალავთ ერთმანეთს.
ვბედავ და გახსენებ პირობას,
თავად რომ ისურვე.

მესაუბრე
და ყოველთვის ტყუილის გარეშე
გიპასუხებ.
მომეცი ნება შენი შეწევნის,
შენგან ხომ
უზომო სიკეთით ვივსები.

იტალიურიდან თარგმნა **ნიკოლოზ შამუგიაზ**



მანანა პაიჭაძე

გოეთეს ვერთერი და მისი კონოადაკტაცია

ძალზე იშვიათია, რომ კლასიკური ლი-ტერატურული ნაწარმოების მიხედვით გა-დაღებული ფილმი ნარმატებული იყოს, მაგრამ მაინც არსებობს გამონაკლისები. მათ შორისაა 1938 წელს გადაღებული კი-ნოსურათი „ვერთერის რომანი“ – „Le Roman de Werther“. საფრანგეთში მოღვაწე გერმანელმა რეჟისორმა მაქს ოფიულსმა (1902-1957) გოეთეს რომანის – „ახალგაზ-რდა ვერთერის ვნებანის“ მაღალმხატვრული კინოადაპტაცია შექმნა.

„ვერთერის რომანი“ გადაღებულია ელ-ზასში (გარეგადაღებების ადგილებია რა-იხევაილერი და ამერსვაილერი), ხოლო სტუდიური გადაღება შესრულებულია პა-რიზში, ბილანკურის პავილიონებში). ფილ-მის პრემიერა შედგა პარიზში 1938 წლის 14 დეკემბერს.

ამ ფილმის ნახვის შესაძლებლობა არც თუ დიდი ხნის წინ მომეცა, რადგან ის არ გადიოდა არც საბჭოთა კავშირის, არც შემდგომ, დამოუკიდებელი საქართველოს კინოკურანებზე. პარადოქსია, მაგრამ მას საფრანგეთის ტელევიზიონითაც ძალზე იშვიათად აჩვენებდნენ და აჩვენებენ. რაც შეეხება გერმანიას, იქ სატელევიზიო პრემიე-რა შედგა 1994 წლის 9 აგვისტოს WDR-ის

ეთერში. ფილმი ფრანგულ ენაზე გერმა-ნული სუბტიტრებით იყო ნაჩვენები. მისი გერმანულ ენაზე სინქრონიზება და დუბ-ლიაჟი დღემდე არ შექმნილა. Amazon-ზე დღემდე არ არის, არც ინტერნეტში იყო ხელმისაწვდომი. მხოლოდ რამდენიმე ხნის წინ დაიდო YouTube-ზე.

ნიშანდობლივი ისიც არის, რომ ეს არის გოეთეს „ვერთერის“ პირველი ხმოვანი ექ-რანიზაცია. ამ ფილმის გარდა, გოეთეს „ვერთერის“ მიხედვით გადაღებულია შემ-დეგი ფილმები: 1976 წელს – გერმანული (გდრ) ფილმი „ახალგაზრდა ვერთერის ვნე-ბანი“, რეჟისორი – ეგონ გიუნტერი; 1982 წელს – „ვნებით შეპყრობილნი“, რეჟისორი – თომას კოერფერი; 1986 წელს – ესპა-ნური ფილმი „ვერთერი“ – რეჟისორი პი-ლარ მირო; 1993 წელს ფრანგული ფილმი „ახალგაზრდა ვერთერი“, რეჟისორი – უაკ დუაიონი; 2008 წელს – გერმანული ფილ-მი „ვერთერი“, რეჟისორი – უვე იანსონი; 2010 წელს – გერმანული ფილმი „გოეთე!“, რეჟისორი – ფილიპ შტიოლცლი. ამ უკა-ნასკნელ ფილმს ასევე გამორჩეული ადგი-ლი ეთმობა კინო-ვერთერიანაში, მაგრამ ის ცალკე უნდა განვიხილოთ.

პირველი, უხმო ვერსიები, დაკარგულია.

ვიცით მხოლოდ ორი ფილმის შესახებ.

1. „ვერთერი“ (1910), რეჟისორი – ან-რო პუეტალი (1910);

2. „ვერთერი“ (1927), ჩეხოსლოვაკია, რეჟისორი – მილოშ პაისკი.

გოეთეს „ვერთერის“, ადაპტაციების თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო სურა-თი გვაქვს კლასიკურ მუსიკაში, განსაკუთ-რებით კი ოპერის უანრში: 1792-1900 წლებში დაიწერა 12 ოპერა. აქედან 11 დღესდღე-ობით აღარც კია ცნობილი და მხოლოდ მუსიკის ისტორიის თვალსაზრისითაა სა-ინტერესო. დაკარგულია ბევრი მათგანის პარტიტუ-

რაც.

მ ს ო ფ -
ლიო საოპე-
რო სცენებს
შ ე მ ო რ ჩ ა
მ ს ო ლ ი დ
ერთი ოპე-
რა – უიულ
მასნეს „ვერ-
თერი“ (1892
წ.).

გერმანუ-
ლი „საერ-
თაშორისო
კინოლექსი-
კონის“ 2001 წლის გამოცემაში მ. ოფიულ-
სის ფილმის უაღრესად დადებით და სწორ
შეფასებას ვკითხულობთ: „გოეთეს რომა-
ნის მიხედვით გადალებული რომანტიკუ-
ლი სურათი შექმნილია დიდი გემოვნებით.
ის გამოირჩევა პოეტურობით, სიფაქიზით,
პათეტიკურობით და დელიკატურობით.
„ვერთერში“ რეჟისორმა ფილმის იმპრე-
სიონისტულ ზემოქმედებას მიაღწია არა
პავილიონის ხელოვნური დეკორაციების
მეშვეობით, არამედ ზემორაინისპირეთის
ბუნებრივი ლანდშაფტის სილამაზისა და
მომხიბვლელობის ჩვენებით.“

მაქს იოსების (ნამდვილი სახელი –
მაქს იოსენპაიმერი, ფსევდონიმი „ოფიულ-
სი“ 1920 წლიდან აიღო) არის ერთ-ერთი
უმნიშვნელოვანესი ფიგურა ევროპული და,

შესაბამისად, მსოფლიო კინოხელოვნების
ისტორიაში. ზარბრიუკენში დაბადებუ-
ლი, ებრაული ნარმოშობის მაქს ოპენპაი-
მერი თავს გერმანელადაც მიიჩნევდა და
ფრანგადაც. პლებისციტის დროს მან სა-
ბუთებში ეროვნებად მიუთითა – ფრანგი,
თუმცა მისი, როგორც ხელოვანის კარიერა
გერმანიაში დაიწყო: მან 25 წლის მანძილ-
ზე გადაიღო 26 მხატვრული ფილმი. ყველა
ამ ფილმს, გარდა სხვა ღირსებებისა, აერ-
თიანებს მათი შემქმნელის განუმეორებელი
სტილი (სწორედ ამ გარემოებას უთვლიდა
მაქს იოსების დიდ პლიუსად ცნობილი
ფრანგი კი-
ნოკრიტიკის
კოსი პიერ
ლეპრონი).

ყველა ს
გვახსოვს
რეჟისორ
უაკ ბეკერის
1958 წელს
გადაღებული
კინოსურა-
თი ამედეო
მოდილიანი-
ზე – „მონ-
პარნასი 19“,
ლეგენდა –

რული უერარ ფილმის მონაწილეობით. ამ
ფილმის ტიტრებში ვკითხულობთ: „ედვინე-
ბა მაქს იოსების ხსოვნას“. „მონპარნა-
სი 19“ მაქს იოსების უნდა გადაეღო. მან
სცენარიც დაწერა უაკ ბეკერთან ერთად,
მაგრამ არ დასცალდა – მძიმე ავადმყოფო-
ფის შედეგად 1957 წლის 26 მარტს ხელო-
ვანი გარდაიცვალა პამბურგის კლინიკაში.
დაკრძალულია პარიზში, პერ ლა შეზის სა-
საფლაოზე.

ფილმის გადამღები ჯგუფი:

სცენარის ავტორები: მაქს იოსების,
პან ვილჰელმი და ფერნან კრომელინკი.

კომპოზიტორი – პაულ დესსაუ (1894-
1979) – ცნობილი კომპოზიტორი და დირი-
ჟორი, რომლიც ბერტოლტ ბრეხტთან თანაშ-



რომლობდა და მისი რამდენიმე ნაწარმოების მიხედვით ოპერებიც აქვს შექმნილი. ტიტრებში პაულ დესსაუ მოხსენიებულია ფსევდონიმით – ანრი ერბლე. პაულ დესსაუმ ფილმში გამოიყენა ბახის, მოცარტის, ბეთჰოვენის, შუბერტის და გრეტრის ნაწარმოებები. ამ მუსიკალურ თემებს ისეთი ოსტატობით ერწყმის ფილმის კომპოზიტორის მიერ შეთხზული მუსიკა, რომ მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ძალზე რთულია. ეს მუსიკალური თანხლება გაცილებით მეტია, ვიდრე მუსიკალური ფონი. მუსიკა ამ ფილმის ერთ-ერთი მთავარი კომპონეტია, რომელიც ორიგინალის ნარატივთან გვაახლოებს.

ფილმს ოთხი კინოპერატორი იღებდა: ოიგენ შიუფთანი, ფედოტ ბურგასოფი, უორუ კ. სტილი, პოლ პორტიე. მრავალპლანისი კადრირების ტექნიკით გადაღება საკმაოდ იშვიათი იყო იმხანად.

ცნობილი ფრანგი კინომცოდნე პიერ ლეპრონი 1957 წელს თავის წიგნში – „თანამედროვე ფრანგული კინორეჟისორები“ – წერდა:

„ოფიულსის საფრანგეთში გადაღებულ ფილმებს მუდამ არაერთგვაროვანი მიღება ხვდებოდა წილად. რა სიუჟეტსაც არ უნდა იღებდეს ოფიულსი, რომელი ავტორის ნაწარმოების ადაპტაციასაც არ უნდა ანარმოებდეს, ის ყველაფერს თავისი ინდივიდუალობის დალს ასვამს, თავის ეგრეთ წოდებულ „ვენურ“ სტილში გადმოგვცემს, რომელიც ვალსს მოგვაგონებს. კინოკამერასაც და თავად რეჟისორსაც ვალსი ძალიან უყვართ. მისი „ტრეველინგები“ (ანუ კამერის მოძრაობები), რასაც მას ხშირად საყვედურობენ, ვალსის ნახაზის ნიმუშს მიჰყვება. შეიძლება ეს ნაკლიც იყოს, მაგრამ ჩვენთვის ეს ნაკლი ძვირფასია. ყოველი ავტორის სტილი განისაზღვრება არა მხოლოდ მისი ღირსებით, არამედ ნაკლოვანებითაც. სტილი ნაკლოვანების გარეშე ნარმოუდენელია“.

გოეთეს რომანმა „ახალგაზრდა ვეთერის ვნებანი“ მაქს ოფიულსი დაბრუნა ძველ გერმანიაში, იმ ატმოსფეროში, რომელიც ასე უყვარდა რეჟისორს. ეს არის ასე-

ვე რომანტიკული ატმოსფეროც, რომლის მიმართ მაქს ოფიულსი გულგრილი არა-სოდეს ყოფილა. რეჟისორი იღებს ფილმს, რომელიც ერთსა და იმავე დროს არის სავ-სე პოეტურობით, სინაზითა და სიფაქიზით, ის პათეტიკურიც არის და სათუთიც. ეს ფილმი წარმოადგენს უზადო გემოვნებით შესრულებულ ადაპტაციას. პ. ლეპრონმა ამ ფილმის შესახებ თქვა: „გოეთეს ნაწარმოები უკვდავია. ის არის თავისი ეპოქის ძეგლი, ავტორის გრძნობებისა და ვნებების მტკიცებულება, მათი უტყუარი საბუთი. რეჟისორმა შექმნა ნაწარმოები, რომელიც გამსჭვალულია გოეთესეული სულისკვეთებით, რომელიც აცოცხლებს ეკრანზე ეპოქის რომანტიკულ ხასიათსა და ბუნებას“.

ამ ღირსებების მიუხედავად, სამწუხაროდ, ფართო მაყურებელი ამ ფილმს არ იცნობს.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მსახიობები: ვერთერის როლში – პიერ რიშარ-ვილმი, შარლოტეს როლში – ანი ვერნე, ალბერტი – უან გალანი.

სრულიად მომწუსხველია ფილმის ელე-განტური და ამავე დროს მელანქოლიური ტონალობა (რაც ასევე შესაბამება წიგნის ლირიკულ ნარატივს), მაგრამ ის ასევე შეიცავს მთელ რიგ სცენებს, რომელებშიც მოცემულია ამ ტონალობის შეალის საოცრად დინამიკური ამპლიტუდა: ემოციური მუხტი მშვიდი ლირიზმიდან გადაიზრდება სასონარკვეთილებასა და იმედგაცრუებაში, რასაც, შესაბამისად, ლოგიკურად მივყავართ მთავარი გმირის სუიციდური ფიქრებისკენ.

უ. მასნეს შარლოტე განსხვავდება რომანის შარლოტესგან. ოპერაში შარლოტე არღვევს გათხოვილი ქალისადმი წაყენებულ მაშინდელ მორალურ-საზოგადოებრივ ნორმებს. ის ბედავს, აღიაროს თავისი ჭეშმარიტი გრძნობა სხვა მამაკაცის მიმართ და ამისათვის ისჯება.

ოპერის პარტიტურაში წინა პლანზეა წამოწეული გოეთეს რომანის ლირიკული ნარატივი, მისი გმირების ხასიათი. ოპერის მუსიკალური და დრამატურგიული ნარატივი ეფუძნება გოეთეს რომანის სიუჟეტურ და ენობრივ თავისებურებებს.

მაქს ოფიულსის შარლოტე გოეთეს ლოტესა და მასნეს შარლოტეს ხასიათების სათუთი შერწყმაა, რომელსაც ემატემა გოეთეს „ფაუსტის“ გრეთხენისეული ვნება და ცოდვების მონანიება. ეს შესანიშნავად ჩანს მის კულმინაციურ ლოცვის სცენაში გალვნის ნიშთან, ღვთიმშობლის ხატის წინ:

„მრავამწუხარეო,
ცრემლით მუჟეარეო,
დამხედე, მომაპყარ სახე... (თარგმანი
დ. წერედიანისა, ფაუსტი ნაწილი I).“

მაქს ოფიულსმა უიულ მასნეს გერიალური იპერა „ვერთერი“ (1892) ზედმიწევნით კარგად იცის, სწორედ ამიტომ ის ეყრდნობა ამ ოპერის დრა-

მატურგიულ ნოვატორობას და მეტიც, ის განავრცობს მას. და სწორედ ამიტომაც ფილმში არ არის გამოყენებული არც ერთი მუსიკალური ფრაგმენტი ამ ოპერიდან. აქ არ ულერს მასნეს მუსიკა, მაგრამ ჩანს მისი დრამატურგიული კონცეპტი.

დღესდღეობით თამამად შეიძლება ითქვას, რომ უიულ მასნეს ოპერა „ვერთერი“ არა მხოლოდ მუსიკალური (საოპერო) თეატრალური ხელოვნების შედევრს ნარმოადგენს, არამედ დრამატურგიულადაც უტოლდება ლიტერატურულ დედანს. ოპერა „ვერთერი“ დამოუკიდებელი მხატვრული ლირებულების მქონე ნანარმოებია, რომლის მნიშვნელობა განუზომლად დიდია საოპერო ხელოვნებაში, თუმც არა ისეთი, როგორც ლიტერატურაშია გოეთეს რომანი „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“. თავისთავად, ეს კონცეფციური და მხატვრული მიახლოვება ლიტერატურულ დედანთან უკვე დიდ და

ძალზე იშვიათ მოვლენას წარმოადგენს საოპერო ხელოვნებაში, ეს ჰარმონიული დამთხვევა კი გაპირობებულია იმით, რომ კომპოზიტორმა და მისი ლიბრეტისტების გუნდმა სწორად წაიკითხეს (აქ საუბარი არ არის მხოლოდ სიუჟეტური ხაზის განვითარებაზე) და გაიაზრეს გოეთეს რომანი.

გამოვყოფ პრინციპულ ნიუანსს:

მასნეს ოპერის გოეთეს რომანთან ერთ-ერთ მთავარ მსგავსებას სწორედ ტექსტობრივი თხზვის სპეციფიკური ფორმების („ერთ გამჭოლ მთლიანობად შეთხეული მხატვრული ნაწარმოები“) თანხვედრა წარმოადგენს.

გოეთეს რომანი „ახალგაზრდა ვერთერის ვნებანი“ დაიწერა 1774 წელს. ეს არის ეპისტოლური ფორმით დაწერილი რომანი და მას ასევე ეწოდება „რომანი წერილების ფორმით“ (Briefroman bzw. Roman in Briefform). რომანის ნარატივის ამ სტრუქტურულ-

სემანტიკური ფორმით გოეთემ განავრცოდა ტექნიკურად ახალი სახე შესძინა ევროპაში XVIII საუკუნის დამლევს ძალზე პოპულარულ და მოდურ ეპისტოლური პროზის უანრს.

გოეთეს შემოქმედებაში ეს რომანი მიეკუთვნება „ქარიშხლისა და შეტევის“ („Sturm und Drang“) პერიოდს. მიუხედავად იმისა, რომ რომანის ფაბულა უხვად შეიცავს მინიშნებებს ავტობიოგრაფიულ ფაქტებზე გოეთეს ცხოვრებიდან, ის მაინც არ ითვლება „Schlüsselroman“-ად, ანუ ეგრეთ წოდებულ „გასაღების შემცველ რომანად“. გოეთეს ეს ნანარმოები არის მხატვრულ



ლი, ერთ გამჭოლ მთლიანობად შეთხზული ფიქციური ტექსტი, რომელსაც რეალური პროტოტიპები ჰყავს. ტერმინი „ერთ გამჭოლ მთლიანობად შეთხზული მხატვრული ნაწარმოები“ – „durchkomponiertes Werk“ (გერმ.) მუსიკის თეორიიდან მომდინარეობს. ის გულისხმობს ისეთ ტექსტობრივ ქსოვილს (მუსიკაში სანოტო პარტიტურას), რომელიც დრამატურგიულად უწყვეტად ვითარდება, რომლის არც ერთი ნომრის/პასაჟის გამეორება, გადასმა ან გამოტოვება არ შეიძლება, რომელსაც ინტერგალები არ აქვს. ეს „ერთი გამჭოლი მთლიანობის“ პრინციპი წარმოადგენს გოეთეს რომანის ერთ-ერთ მთავარ ლიტერატურულ ლირსებას და სიახლეს იმდროინდელ გერმანულენოვან მწერლობაში.

სწორედ ეს პრინციპი წარმოადგენს ასე-ვე უ. მასნეს „ვერთერის“ მთავარ მუსიკალურ-დრამატურგიულ ლირსებასაც და სიახლესაც იმდროინდელ ფრანგულ და ზოგადად ევროპულ საოპერო მუსიკაში.

გოეთეს „ვერთერი“ დაწერილია თავისუფალი რიტმებით. ის „არ არის ტიპური ეპიკური რომანი, ამ სიტყვის მკაცრი გაგებით. ის არ არის ფართო ეპიკური ტილო, „ვერთერი“ ერთი პიროვნების, თუნდაც

ეპოქისათვის ტიპურისა და დამახსიათებლის (რაც ვერთერიზმის „ეპიდემიამაც“ და-ამტკიცა) სულიერი სამყაროს გახსნასა და ანალიზს წარმოადგენს. „ვერთერი“ პოეტური, ლირიკული რომანია, დაწერილი რიტმიზებული პროზით. მასში არ ჩანს ეპოქის პანორამა, ხალხი, მთელი საზოგადოება, ადამიანთა შორის რთული ურთიერთობანი“, – წერს ქართველი გერმანისტი ნოდარ კაკაბაძე თავის წერილში „გოეთეს ლირიკული რომანი“ და იქვე ხაზს უსვამს ამ ნაწარმოების ენობრივ თავისებურებას – მის მელოდიურობას, ჰარმონიულობას, რომლისგანაც „მოპბერს ტკბილი მელანქოლია, რითაც ის შემოდგომის მწუხარს მოგვაგონებს. „ვერთერის“ სტილი ამაღლებული, პათეტიკური, უაღრესად ემოციურია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში მწიგნობრული და მაღალფარდოვანი. იგი ბიბლიური სისა-დავისაა იქ, სადაც იდილიურ სურათებს ხატავს; ზოგჯერ ნერვიულია, კალაპოტიდან ამოვარდნილი ან მომხიბლავად უშფოთველი, ზოგჯერ რბილი, ელეგიური, მერე ისევ აღელვებული, დაუმცხრალი“.

მაქს ოფიულსის ფილმიც ასეთივე ბიბლიური სისადავისაა.